



Контрольный экземпляр



გაზა-ფშაველას ძაგლის

გაფა-ფშაველას მუდმივი სემინარის შრომები, ტ. I.

გაზას პრეგული



თბილისის უნივერსიტეტის გამოგვევლება

თბილისი 1970

კრებულში მიმოხილულია და შეფასებული ვაჟას შესახებ გამოთქმული მოსაზრებანი რევოლუციამდელ კრიტიკაში. განხილულია დიდი ქართველი მწერლის შემოქმედებითი ისტორიის, მის პროზაულ თხზულებათა სტილის საკითხები. გაანალიზებულია ვაჟას ზოგიერთი ნაწარმოების რუსული თარგმანები. აქვე ქვეყნდება სამი ნაწარმოები, რომლებიც გამორჩენილია ვაჟას თხზულებათა სრული კრებულის შედგენისას.

წიგნი გამიზნულია ფილოლოგებისა და, საერთოდ, ვაჟას 'შემოქმედებით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

რედაქტორი გრიგოლ პიპაძე

ეძღვნება
კაბინეტის გამგეობისა და სამინისტროს
მუდმივი სემინარის წევრის მუშაობის
პროფ. მიხეილ ზანდუკელის
ხსოვნას

რედაქტორისაბან

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ვაჟა-ფშაველას კაბინეტთან, მოქმედებს „ვაჟა-ფშაველას მუდმივი სემინარი“. ამ სემინარის მიზანია ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესწავლა. ე. ი. მან უნდა გამოავლინოს ამ დიდი პოეტის შემოქმედებითი კავშირები და მისი პრობლემატიკის მნიშვნელობა როგორც ისტორიული, ისე ჩვენი თანამედროვეობის თვალსაზრისით; სემინარმა საგანგებო ყურადღება უნდა მიაქციოს ვაჟას ხელოვანების საკითხებს, მისი პოეტური შემოქმედების რკვევას და რაც შეიძლება უკეთ გაითვალისწინოს მისი გავლენის არე და გავრცელების დიაპაზონი; სემინარის ამოცანაა განიხილოს ვაჟას შემოქმედების კვლევის შედეგები და თვალი გაადევნოს მის (კვლევის) ამჟამინდელ მიმღინარეობას. სემინარის მოვალეობაა გვაჩვენოს, თუ რამდენად მოხერხდა ვაჟას თხზულებათა გადათარგმნა სხვა ენებზე, კერძოდ, რუსულ ენაზე, და რამდენად ფასეული აღმოჩნდა ამა თუ იმ მთარგმნელის ცდა.

თავისთავად იგულისხმება, რომ სემინარი გვერდს ვერ აუხვევს ვაჟას თხზულებათა ტექსტის დადგენისა და მისი ენობრივი ფორმების რკვევას, ისევე როგორც მრავალ სხვა საკითხს, დაკავშირებულს მის ბიოგრაფიასთან, მისი ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდთან, მისი ეპოქის აქტუალურ მოთხოვნებთან და მისი შემოქმედების სწავლებასთან საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში.

განსაკუთრებით ხაზგასასმელი. და მხედველობაში მისაღებადა, რომ ეს კრებული უმთავრესად ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკების სტატიებს შეიცავს. მასში უფრო ვრცლად არის წარმოდგენილი დაკვირვება ვაჟას თხზულებათა რუსულ თარგმანებზე. ასეთ მუშაობას ეწეოდა და ეწევა კაბინეტთან არსებული საგანგებო სექცია, რომელსაც ამჟამად თინათინ კოპლატად ხელმძღვანელობს.



გარდა პროფ. ჭ. ჭუმბურიძის სტატიისა, რომელშიც მიმო-
ხილულია და შეფასებული რევოლუციამდელ კრიტიკაში გამოთქმულ
ლი მოსაზრებანი ვაჟა-ფშაველას შემოქმედების შესახებ, ამ კრე-
ბულში ქვეყნდება სემინარის ახალგაზრდა წევრების სტატიები ვა-
ჟას შემოქმედებითი ისტორიის და მისი პროზის სტილის თაობაზე.
აქვე იბეჭდება ვაჟას სამი თხზულების მივიწყებული პუბლიკაციები
და ღალაცვა-წყევლის ფორმულები, რომელთაც ვაჟას ნაწერებში
ვხვდებით.

ვთიქრობთ, ვაჟა-ფშაველას მუდმივი სემინარის ამჟამინდელი და
მომავალი მუშაობა უჩვენებს საზოგადოებას, თუ რაოდენ საჭიროა
ჩვენი დიდი მწერლების შემოქმედებათა საგულდაგულოდ შემსწავ-
ლელი მუდმივი სემინარების ჩამოყალიბება და მათ მუშაობაში რაც
შეიძლება მეტი ახალგაზრდა მუშაკის ჩაბმა, ახალგაზრდებისა,
რომელთაც მომავალი კვლევა-ძიების საპატიო მოვალეობა ეკის-
რებათ.

I

ჯუმბერ ჰუმბურიძე

ვაზა-ფშაველა რევოლუციაშემდეღლ ქართულ პრიტიპაზი

უკვე დიდი ხანია ქართველი მკითხველის ცნობიერებაში დამკვიდრდა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მნიშვნელობის შეგნება. პირველი შთაბეჭდილება, რომელიც მკითხველს ვაჟას გაცნობის შემდეგ ეუფლება, მისი სიღიაღის გრძნობაა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებამ, განსაკუთრებით კი პოეზიამ, ჯერ კიდევ პოეტის სიცოცხლეშივე მიიქცია ქართველ კრიტიკოსთა საგანგებო ყურადღება. ბევრი დაწერა ვაჟა-ფშაველას შესახებ, უპირატესად პოზიტიური ხსიათისა. მისმა უაღრესად თავისებურ-მა შემოქმედებამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. მაგრამ ერთი რამ კი ყველასთვის აშკარა იყო: ვაჟას სახით ქართულ მწერლობას დიტი ხელოვანი მოევლინა.

მაგრამ ჩამდენადაც დიადია ვაჟა-ფშაველა, იმდენად ძნელი აღმოჩნდა მისი შემოქმედების თავისებურებათა ჩვენება და ეს იყო უპთავრესად იმის მიზეზი, რომ ბევრი უმართებულო მოსაზრებაც გამოითქვა ვაჟას ლიტერატურული მემკვიდრეობის თაობაზე.

80-იანი წლებისათვის, როდესაც ვაჟა-ფშაველა სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა, ქართულ კრიტიკას უკვე განვითარების გარკვეული გზა ჰქონდა გავლილი. განსაკუთრებით XIX¹ ს. 60-იანი წლებიდან იგი გაუთანაბრდა მოწინავე ლიტერატურული აზროვნების დონეს და სავსებით ნათლად ჩამოაყალიბა თავისი ესთეტიკური მრწამსი. სწორედ 60-იანი წლების ქართულმა კრიტიკამ საბოლოოდ გაუცნობიერა მკითხველს ხელოვნების ბუნება, ფუნქცია და მიზანდასახულობა. მან დაამკვიდრა ჩვენში რეალისტური ხელოვნების პრინციპები და განსაზღვრა ეროვნული მწერლობის განვითარების უმთავრესი ტენდენციები. ამ დროიდან მოკიდებული, იგი კვალდაკვალ მიჰყვებოდა ქართული ლიტერატურის აღმავლობას და ცდილობდა სისტემატურად შეეფასებინა ეროვნული მწერლობის ნიმუშები. ასე რომ, XIX ს. 80-იანი წლებისათვის ჩვენ

უკვე გვყავდა პროფესიონალ კრიტიკოსთა საქმაოდ დიდი რაზე.
ამიტომ, ბუნებრივია, როდესაც ვაუა-ფშაველას მიმართ ქვეყნის უმაღლესი
კრიტიკის დამოკიდებულებაზე ვლაპარაკობთ, მას (კრიტიკას) იგივე
მოთხოვნები უნდა წავუყენოთ, რაც ყველა ქვეყნისა და ყველა
დროს მომწიფებულ, სერიოზულ სალიტერატურო კრიტიკას.

ქართული კრიტიკა თავისი განვითარების მანძილზე საერთოდ
უკვე შემუშავებული ზოგადი თვალსაზრისითა და პრინციპებით
ხელმძღვანელობდა. იგი თვით არ იყო კრიტიკის ახალი გზების შე-
მოქმედი. ქართული კრიტიკა ცდილობდა მეტ-ნაკლებად აღიარე-
ბული პრინციპები მოემარჯვებინა ეროვნული მწერლობის ანალი-
ზის დროს. ეს იყო მისი საბატიო ამოცანა. ბელინსკი ერთ თავის
წერილში აღნიშნავს, რომ კრიტიკის ხასიათისა და პრინციპების
შეცვლა გენიოსის საქმეა და ეს მოვლენა გამონაკლისია, ჩვეულებ-
რივ კი, კრიტიკა ცდილობს ხელოვნების უკვე დამკვიდრებული
ცნებების გავრცელებასა და გამოყენებას და ამჟამად ეს არის კრი-
ტიკის ჭეშმარიტი მიზანით: «...во втором случае она меньше ри-
скует, но зато может быть увереннее в самой себе, может
быть всегда истинною в отношении к своему времени. Итак,
критика первого рода есть исключение из общего правила,
явление великое и редкое; критика второго рода есть усилие
уяснить и распространить господствующие понятия своего
времени об изящном. В наше время, когда основные законы
творчества уже найдены, это есть единственная цель критики»¹.

ვაუა-ფშაველას შემოქმედების ჩა უმთავრეს მხარეებსა და მო-
მენტებზე გაამახვილა იმდროინდელმა ქართულმა კრიტიკამ ყურა-
დლება? აი კითხვა, რომელსაც უნდა გაეცეს პასუხი.

მხატვრული მეთოდისა და მიმართულების საკითხი

ი. გომართელმა და კ. აბაშიძემ თითქმის ერთდროულად გამო-
თქვეს აზრი ვაუა-ფშაველას სიმბოლისტობის თაობაზე (ი. გომარ-
თელი — „სალიტერატურო მიმოხილვა“, უურნ. „სხივი“, 1909,
№ 3, კ. აბაშიძე — „ვაუა-ფშაველა“, უურნ. „ფასკუნჯი“, 1909, № 6).

ი. გომართელი შეეცადა მოკლედ დაეხსიათებინა სიმბოლი-
ზმი. მან აღნიშნა ამ ლიტერატურული მიმართულების ევროპული
ხასიათი და მიუთითა, რომ თავისი ბუნებით იგი მეტად რთული

¹ В. Белинский, Собрание сочинений в трех томах, I, 1948, стр. 224.

მოვლენაა. კრიტიკოსის სიტყვით, — „სიმბოლისტებს უწოდებენ მათ, ვინც სრულებით უარპყოფს ცხოვრებას და მხოლოდ ოცნებიდან იღებს სახეს თავისი პოეზიისათვის. სიმბოლისტებს უწოდებენ მათ, ვინც კოველივე ჩვეულებრივს უარყოფს და თავისი პოეზიის საგნად არა-ჩვეულებრივს იღებს. სიმბოლისტებს უწოდებენ მათ, ვინც ყაფიო, გამძვეთილ; ყველასთვის ადვილად გასაგებ აზრს უარყოფს და პოეზიაში გამოსთქვამს ბუნდოვან აზრს, რომელიც ყოველ მკითხველს თავისებურად ესმის. სიმბოლისტი ეწოდება მასაც, ვინც რაიმე განყენებულ აზრს, ან მოვლენას განსაზღვრულ სახეში ჩამოსხამს, გამოჰქმდას“¹.

სიმბოლიზმის ეს განსაზღვრა, რა თქმა უნდა, არ არის სრული და ი. გომართელი მხოლოდ ზოგადი დახასიათებით დაჭმაყოფილდა. კრიტიკოსი, კერძოდ, არ ცდილა გაერკვია სიმბოლოს მნიშვნელობა სიმბოლისტთა შემოქმედებაში. ამის გარეშე კი შეუძლებელია ამ მიმართულების ნამდვილი ბუნების მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი განმარტება.

მაგრამ ი. გომართელმა ასეთი დახასიათების შემდეგ შესაძლებლად ცნო ვაჟას ერთი ლექსი — „დაუსრულებელი კვნესა“ — უყოყმანოდ დაეკავშირებინა სიმბოლიზმთან და დაბეჭითებით განეცხადებინა, რომ „...მთელი ცხოვრება, მთელი ბუნება, მთელი სურათი მთებისა, ყველა მოვლენა ბუნებისა მთაში, მთელი პოეზია მთებისა ვაჟა-ფშაველამ გამოჰქმდას“ ერთ სახეში — კლდის ქალში, ანუ ალში. და აი ამ მხრივ ის სრული სიმბოლისტია“².

ამ მსჯელობიდან და ზემოთ მოტარილი ციტატიდანაც ჩანს, რომ ი. გომართელი სიმბოლისტური ნაწარმოების განსაკუთრებულ თვისებად მიიჩნევს „განყენებული აზრის, ან მოვლენის განსაზღვრულ სახეში ჩამოსხმას“. მაგრამ ქართულ მითოლოგიაზე აგებული ვაჟას ეს ლექსი ამ ნიშნის მიხედვით რატომ იყო მაინცდამაინც სიმბოლისტური, მკითხველისათვის გაუგებარი დარჩა, რადგან „გან-

¹ ი. გომართელი, „სალიტერატურო შენიშვნები“, რჩეული თხზულებანი, I, 3. წოწელიას რედ., 1966, გვ. 354. რატომღაც ამ გამოცემაში, ისევე, როგორც ქრესტომათაში — „ვაჟა-ფშაველა ქართულ კრიტიკაში“ (1955 წ.), ი. გომართელის წერილის სახელწოდება „სალიტერატურო მიმოხილვა“ შეცვლილია სათაურით: „სალიტერატურო შენიშვნები“.

² ი. გომართელი, რჩეული თხზულებანი, I, გვ. 355. უკანასკნელი ფრაზა — „და აი ამ მხრივ ის სრული სიმბოლისტია“. — ამ გამოცემაში რატომღაც გამოტოვებულია (შდრ. უზრ. „სხივი“, 1909, № 3, გვ. 7).

ყენებული აზრის, ან მოვლენის განსაზღვრულ სახეში” მოცემა არა
მარტო სიმბოლიზმს, არამედ, ცხადია, სხვა ლიტერატურულ მიმარ-
თულებებსაც ახასიათებს.

ქართველი
სიმბოლიზმი

სიმბოლიზმის ის განსაზღვრა, რომელიც ი. გომართელმა მო-
გვაწოდა, უკვე თავისთავად გამორიცხავდა ვაჟას სიმბოლისტობას:
სიმბოლისტები უარყოფენ ცხოვრებას, ისინი სტილს, ფორმას აქ-
ცევენ მთელ ყურადღებას და არა აზრს, პოეზიის საგნად არაჩვეუ-
ლებრივს იღებენ, ისინი უგულვებელჲყოფენ გამოკვეთილ, ყველა-
სათვის აღვილად გასაგებ აზრს და გამოთქვამენ ბუნდოვან შეხე-
ლულებებს, რომლებიც ყოველ მკითხველს თავისებურად ესმის, —
ასეთი დახასიათება არაფრით არ ეგუებოდა ვაჟას პოეზიის ბუნე-
ბას. მაგრამ ი. გომართელი არ ცდილა დაესაბუთებინა თავისი
თვალსაზრისი და ფაქტიურად ლიტონი განცხადებით დაკმაყოფილ-
და.

უფრო ვრცლად შეეხო ვაჟა-ფშაველას სიმბოლისტობის სა-
კითხს კ. აბაშიძე. კრიტიკოსმა თავისი დროისათვის ცუდად როდი
გადმოსცა ევროპული სიმბოლიზმის ზოგადი ტენდენციები, უმთავ-
რესად მეტერლინგის შემოქმედების ანალიზისა და ბრუნეტიერის
შრომების საფუძველზე. კ. აბაშიძემ ურთიერთს შეუპირისპირა
რომანტიზმი, რეალიზმი, ნატურალიზმი და სიმბოლიზმი. კერძოდ,
რეალიზმისა და სიმბოლიზმის შედარების შემდეგ, კ. აბაშიძემ და-
სკვნა: „...თუ რეალისტი მოვლენის ზედაპირით კმაყოფილდებოდა
და იმას იქით არას ეძიებდა, რაკი სწამდა, რომ „იქით“ არა იყო-რა,
სიმბოლისტი ზედაპირის გაგლეჭას ცდილობს და ზედაპირის ქვეშ
ეძიებს საიდუმლო მექანიზმს ჩვენის ცხოვრებისას. მას ზედაპირი
იმდენად ეინტერესება, რამდენადაც იგი ერთგვარი ნიშანია, ერთ-
გვარი მხატვრული ციფრი, სიმბოლო, რომელიც ალნიშნავს ტრა-
გედიულ ძალასა და ცხოვრების იდუმალობას.

თუ ყოველსავე ზემოხსენებულს გავითვალისწინებთ, დავრწ-
მუნდებით, რომ ვაჟა საუკეთესო ტიპია სიმბოლისტ მწერლისა¹.

კ. აბაშიძე თავის წერილში უკვე საგანგებოდ მსჯელობს სიმ-
ბოლოს ხასიათსა და მნიშვნელობაზე სიმბოლისტთა შემოქმედება-
ში და, ამ მხრივ, მისი მსჯელობა რაიმე არსებით კომენტარს არ სა-
ჭიროებს. მაგრამ, სამწუხაროდ, კრიტიკოსმა ასევე ჯეროვნად ვერ
გაარკვია სიმბოლოს ადგილი ვაჟა-ფშაველას პოეზიაში. ის, რაც,
საერთოდ, მხატვრული აზროვნების ნიშანდობლივი თვისებაა, ვაჟა-

¹ კ. აბაშიძე, ეტიუდები მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის შე-
სახებ, II, 1912, გვ. 194 — 195.

ფშაველას შემოქმედებაში კ. აბაშიძემ სიმბოლისტობით ახსნა, ვაუა-ფშაველას მეტაფორიზაციის ღიდი უნარი კრიტიკოსმა სიმბოლისტურ მსოფლმხედველობასა და სიმბოლისტური წერის მემფეროსულ თავისებურებას დაუკავშირა. ამ თვალსაზრისით მან საგანგებოდ განიხილა მწერლის „ია“, ხოლო „სიმბოლისტ-პოეტის საუკეთესო დასურათებად“ მიიჩნია მინდის სახე „გველის მჭამელში“.

როგორც ცნობილია, კ. აბაშიძის ასეთი შეცდომის ერთი მიზეზი ე. წ. ევოლუციური მეთოდიც იყო, რომელიც მან ბრუნეტიერისაგან გაღმოიღო. კრიტიკოსმა მოინდომა ევროპული ლიტერატურის ანალოგიურად, რეალიზმისა და ნატურალიზმის შემდეგ, ქართულ მწერლობაშიც მოენახა სიმბოლისტური ტენდენციები და იგი წინასწარალებული თვალსაზრისით მივიღა საკვლევ მასალასთან, რასაც, უეჭველია, მარცხი უნდა მოჰყოლოდა.

თანამედროვე სპეციალურ ლიტერატურაში უკვე მითითებულია, რომ ვაჟას პოეზია არის „საგნების პოეზია“, რომ მისთვის მთავარია კონკრეტული მოვლენები და ამიტომ ვაჟა არის განსახიერება რეალისტი მწერლისა, რომლის ერთი თავისებურება მეტაფორიზაციის არაჩვეულებრივ ნიჭში მდგომარეობს. კერძოდ, ასეთია აზრი გრ. კინაძისა, რომლის სიტყვით, — „თუ სიმბოლისტებთან თვით საგანსა და მოვლენას დამოუკიდებელი ღირებულება არ გააჩნია, თუ სიმბოლისტების პოეზიაში საგნები გამოდიან მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი სახე დაკარგონ, რათა უცნაურ ძალებზე მითითება შესძლონ, — ვაჟას შემოქმედებაში თვით ეს საგნები და მოვლენები ისეთი მკვეთრი სახით წარმოსდგებიან, რომ მათ მიღმა მდებარე „საიდუმლოებისათვის“ ადგილი აღარ რჩება“¹. და აქვე დაამჯერებლადა ნაჩვენები მკვლევრის მიერ, რომ ის, რაც ვაჟას შემოქმედებაში სიმბოლისტურად იყო მიჩნეული, სინამდვილეში რეალისტი მწერლის თავისებური მხატვრული ხერხი, წერის თავისებური მანერაა.

რომ კ. აბაშიძემ ვერ მოახერხა ვაჟას შემოქმედების ორგანულად დაკავშირება სიმბოლიზმთან, ეს თვით კრიტიკოსის მომდევნო მსჯელობიდანაც ჩანს, როდესაც იგი დაბეჭითებით აღნიშნავს ვაჟას კავშირს ქართული მწერლობის ტრადიციებთან და ქართველ სამოციანელებთან. კ. აბაშიძე წერს:

„ასეთია ვაჟას პოეზია. ეს პოეზია კანონიერი მემკვიდრეა ჩვენი ლიტერატურის განვითარებისა... იგი მეტად ორიგინალურია, რადგან, თუ რაიმე გავლენა ამჩნევია, ეს მხოლოდ ჩვენის სამშობლოს

¹ გრ. კინაძე, ვაუა-ფშაველას შემოქმედება, 1957, გვ. 190.

ბუნებისა და ჩვენის ლიტერატურის კორიფეებისა; უცხო ლიტერატურის მიბაძვასა და გავლენას აქ თითქმის სრულებით არა აქვთ აღვილი; თუ აქვს აღვილი, მხოლოდ იმდენად, რამდენად კულტურული პოეზიაში მსოფლიო ჰანგებია”¹.

ანდა: „და, მართლაც, ილიასა და ვაჟას შორის განუწყვეტელი კავშირია, მათი ლიტერატურული მოღვაწეობა ფოლადისაგან გაჰედილის ჭაჭვით არის გადაბმული.

ილიას „მგზავრის წერილებია“ ვაჟას პოეზიის მთავარი წყარო, მისი სულის ჩამდგმელი, მისი მთავარი კილის მიმცემი.

ვაჟას გმირული სული ილიას გაღვიძებულია, ვაჟას მთის სიყვარული ილიასაგან ჩანერგილია. ვაჟას ტეხნიკური „განდეგილობა“ ერთგვარი, ერთმხრივი და ერთნაირი გამომსახველია მრავლის მეტყველი მოხევის ფორმულისა — „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“, ვაჟას გადაჭარბებული „პროვინციალიზმი“ ილიას იმავე „მგზავრის წერილებისაგან“ არის წაქეზებული და თვით ვაჟას ლიტერატურა არის დაუშრეტელი სათაური ჩვენის ახალის ლიტერატურისა... ვაჟა შემაერთებელი ხიდია, ძვირფასი როგორია იმ უცხო ძაფისა, რომელიც გაბმულია ჩვენის ლიტერატურის კორიფეებსა — ილიასა და აკაკის და მის შემდეგ მწერლობას შორის“², და ა. შ.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ კ. აბაშიძეს (ისევე, როგორც თითქმის ყველა სხვა კრიტიკოსსაც), როდესაც ვაჟას სიმბოლისტობაზე ლაპარაკობს, მხედველობაში აქვს ლიტერატურული მიმდინარეობა, ე. წ. „თანამედროვე სიმბოლიზმი“ და არა „ძველი სიმბოლიზმი“, „რეალისტური სიმბოლიზმი“. მით უმეტეს, ნიშანდობლივია კ. აბაშიძის განცხადება ვაჟასა და ქართველი სამოციანელების მემკვიდრეობითი კავშირის თაობაზე.

ისიც ალსანიშვილია, რომ ევროპულ სიმბოლიზმთან ვაჟას დაკავშირებით კ. აბაშიძე სრულებითაც არ ფიქრობდა მწერლის შემოქმედების დაკნინებას, რამდენადაც სიმბოლიზმი კრიტიკოსმა დაახასიათა როგორც რეაქცია „გადამახინჯებული რეალიზმის“, ნატურალიზმის დეტერმინიზმის წინააღმდეგ, დაახასიათა როგორც მი-

1 კ. აბაშიძე, ეტიუდები, II, გვ. 239 — 240.

2 კ. აბაშიძე, ვაჟა-ფშაველა, გაზ., „სახალხო ფურცელი“, 1915, № 343.

ურნალ „განათლებაში“ 1915 წელს უკვე გამოითქვა ეპევი ვაჟას სიმბოლისტობის თაობაზე: „ვაჟა ფშაველა ქართულს მწერლობაში სიმბოლისტთა არის ცნობილი, მარა ამ სიმბოლიურ პოეზიას დიდი ახსნა და გარევევა უნდა ჩვენში“ (ურნ. „განათლება“, 1915, № 13), და რომ ვაჟას „არ განუცდია სხვა ჩვენებურ ახლანდელ მწერალ-პოეტებიցით პირდაპირი მიმბარეელობა და რომელიმე ჩვენი თანამედროვე ლიტერატურული შეკოლის მოწაფეობა“ (იქვე).

მართულება, რომელმაც „პირველად ყოვლისა, ინდივიდუალიზმს, მწერლის პირადობას, მოუპოვა ნაწარმოებში დაკარგული მნიშვნელობა და მწერლის პირად შთაბეჭდილებას, პირად გრძნობების მოსაზრებათ აღუდგინა თავისი კანონიერი ადგილი მისი შემოქმედების ნაყოფში“¹.

ვაჟა-ფშაველას სიმბოლისტობის საკითხს გაკვრით შეეხო ა. ხანაშვილი. ჯერ კიდევ 1906 წელს თავის წიგნში — «Очерки по истории грузинской словесности» — მკვლევარმა აღნიშნა: «Символизм Важа-Пшавела оригинального, самобытного происхождения. Он не носит каких-либо признаков влияния европейских поэтов этого направления. Символизм грузинского поэта — продукт местный, созревший на почве народных сказаний отдаленных времен»². ა. ხახანაშვილი აქვე სანიმუშოდ ასახელებს „გველის მჭამელს“, ხოლო ცოტა ქვემოთ აღნიშნავს, რომ „სიმბოლიზმითა და სასწაულებრივი სიუჟეტით გამოიჩევა აგრეთვე პოემა „ხის ბეჭი“, მაგრამ «Наиболее яркое проявление символизма Важа-Пшавела нашел в его маленьких поэмах в прозе из животного и растительного мира»³.

იგივე აზრია გამორჩებული ა. ხახანაშვილის „ნარკვევების“ ქართულ გამოცემაშიც, რომ „ლ. რაზიკაშვილის ნიჭი თავისებულად გაიფურჩქნა, როდესაც იგი დაადგა სიმბოლურის შემოქმედების გზას“ და ა. შ.⁴.

როგორც ვხედავთ, ა. ხახანაშვილმა პირველმა წამოაყენა დებულება, რომ ვაჟა-ფშაველა წარმომადგენელია არა თანამედროვე, ლიტერატურული სიმბოლიზმისა, არამედ ადრეული, ე. წ. „რეალისტური სიმბოლიზმისა“. ეს აზრი საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, რამდენადაც იგი გაიზიარა მომდევნო ხანის ზოგიერთმა მკვლევარმა, კერძოდ კი თითქმის სიტყვასიტყვით გამეორა ვ. გოლცევმა:

«Важа Пшавела можно условно назвать символистом. Но его символизм не стоит в общеевропейской литературной

¹ ქ. აბაშიძე, ეტიუდები, II, გვ. 187. შდრ. დ. რამიშვილი, კ. აბაშიძე, 1964, გვ. 147 — 148.

² А. Хаханов, Очерки по истории грузинской словесности. Литература XIX века, Москва, 1906, стр. 371.

³ ივ. გვ. 33, გვ. 372.

⁴ ა. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია (XIX საუკუნე), 1913, გვ. 208.

связи. Он оригинален, самобытен, основан на старой народной мифологии»¹...

Таким образом, А. Кацанашвили в своем исследовании пишет: «Все это — архетипы, образы и символы, которые являются основой для формирования национальной культуры и национального характера грузинского народа. Их можно найти в самых различных сферах жизни грузинского общества, от бытовых до религиозных и фольклорных явлений».


Нам кажется, что в этом исследовании А. Кацанашвили не совсем верно определяет сущность национальной культуры Грузии. Важнейшим элементом грузинской культуры является ее фольклор, который является основой для формирования национальной культуры и национального характера грузинского народа. Их можно найти в самых различных сферах жизни грузинского общества, от бытовых до религиозных и фольклорных явлений».

Согласно А. Кацанашвили, грузинская культура — это «национальное единство, которое выражается в языке, литературе, музыке, изобразительном искусстве, архитектуре, науке, технике, производстве, быту и традициях народа». Национальное единство выражается в языке, литературе, музыке, изобразительном искусстве, архитектуре, науке, технике, производстве, быту и традициях народа».

«Это национальное единство выражается в языке, литературе, музыке, изобразительном искусстве, архитектуре, науке, технике, производстве, быту и традициях народа». Национальное единство выражается в языке, литературе, музыке, изобразительном искусстве, архитектуре, науке, технике, производстве, быту и традициях народа».

¹ В. Гольцев, О Важа Пшавела, Тбилиси: Важа Пшавела, Поэмы (пер. с грузинского), Москва, 1935, стр. 109.

² Зр. კიკნაძე, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, 1957, გვ. 190. (საერთოდ, აღნიშნული საკითხის შესახებ უფრო დაწვრ. იხ. დასახ. ჭიგნი, თავი VII).



შემოქმედებითი ნიჭის ძირითად თვისებებთან. უმთავრესი თვისება ვაჟას სიმბოლიური პოეზიისა არის, გარდა ორიგინულობის, გულწრფელი და ღრმა გრძნობა, უხვი პოეტური ტემპერამენტი და რაღაცნაირი სტიქიური (არა გონიერივი), თუ შეიძლება ასე ითქვას, პანთეიზმი. ვაჟა-ფშაველას თავისი პოემების გმირებათ გამოყავს არა მარტო აღამიანები (უმეტეს შემთხვევაში ფშავები და ხევსურები, მთლიან გრძნობათა პატრონები), არამედ მშობლიური მთების ფლორა და ფაუნა: მცენარეები და ცხოველები¹.

კრიტიკოსის ამ მსჯელობიდან აშკარაა, რომ იგი ვაჟა-ფშაველას არ აკუთვნებს სიმბოლისტურ ლიტერატურულ სკოლას. ვლ. ბ-ძე ვაჟას ნიჭის თავისებურებად, „პოეტის შემოქმედებითი ნიჭის ძირითად თვისებად“ აღიარებს იმას, რაც მანამდე სხვების მიერ სიმბოლისტურად იყო მიჩნეული. როგორც ჩანს, კრიტიკოსის მსჯელობის ძირითადი აზრი ის არის, რომ ეს თავისებურება მდგომარეობს ვაჟას უნარში მხატვრული სიმბოლოებით ასახოს სამყარო და განსულიერებულად წარმოგვიდგინოს ბუნება.

მაგრამ როგორი იყო იმ კრიტიკოსთა პოზიცია, რომელთაც ვაჟა სიმბოლისტად არ მიუჩნევიათ?

ერთნი სრულებით არ ეხებიან რომელიმე ლიტერატურული მიმართულებისადმი ვაჟას მიკუთვნების საკითხს, მეორენი კი, მართლია, სიტყვას „რეალიზმს“ არ ხმარობენ, მაგრამ იმდაგვარად მსჯელობენ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ხასიათზე (მწერლის მიერ სინამდვილის ასახვა, საზოგადოებრივი ინტერესებით გამსჭვალვა და სხვ.), რომ, უეჭველია, ისინი ვაჟაში ჩამოყალიბებულ რეალისტ მწერალს ხედავენ. მესამენი პირდაპირ ლაპარაკობენ, რომ ვაჟაში „მძლავრი იყო რეალისტური ალლო, ალლო ცხოვრების გაგებისა და შეთვისებისა“ (სიმ. ხუნდაძე, მთების ამაყი შვილის ვაჟას ხსოვნას, გაზ. „სამშობლო“, 1915, № 147) და ა. შ.

ამ მეორე და მესამე რიგის კრიტიკოსებმა ფაქტიურად საფუძველი დაუდეს ვაჟას შემოქმედების რეალისტური ხასიათის გარკვევას და ამ მხრივ საკმაოდ ვრცელი მსჯელობაც მიაწოდეს მკითხველს².

¹ ვლ. ბ-ძე, ვაჟა-ფშაველა, გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1915, № 127. ვლ. ბ-ძე უნდა იყოს ინიციალები ამ ვაზეთის ერთ-ერთი რედაქტორის ვ. ბოხოხაძისა.

² ქართულ კრიტიკაში ვამოითქვა აზრი ვაჟას რომანტიკოსობის შესახებაც, მაგალითად, ი. ფერაძე გოგოთურის დახასიათებისას აღნიშნავს, რომ გოგოთური



რევოლუციამდელ ქართულ კრიტიკაში ყველა თვეუნისამდელი კრიტიკოსი, რომელიც კი შეხებიან ვაჟას მსოფლმხედველობის საკითხს, მწერალს პანთეისტად მიიჩნევდა. კერძოდ, ბუნებასთან ვაჟას მიმართების გარევევისას იჩენდა თავს ასეთი შეხედულება.

კ. აბაშიძემ, ერთ-ერთმა პირველმა, აღნიშნა, რომ „ჩევნმა მგოსან-მა ამგვარადვე შეგვამჩნევინა ის უწყვეტი ჯაჭვი, რომელიც აკავში-რებს აღამიანსა და ბუნებას, ის ძლევამოსილი განწყობილება, რო-მელიც მათ ერთის დიადის ძალის თანასწორ ქმნილებად ხდის. რო-გორც მოსალოდნელი იყო, პანტეისტური გრძნობა მგოსანს იმ ღროს მოსდის ფიქრში, როცა თვით ბუნება თითქოს სცდილობს ამ დიადის საიდუმლოს კავშირი გვამცნოს“¹. შემდეგ კრიტიკოსს მო-აქვს ვრცელი ამონაწერები ლექსიდან „ღამე მთაში“ და გამოჰყოფს ისეთ სტრიქონებს, როგორიცაა: „ხევი მთას ჰმონებს, მთა — ხევ-სა“ და ა. შ. როგორც ჩანს, ვაჟას პანთეიზმში კ. აბაშიძე გულისხ-მობს ბუნების საგანთა და მოვლენათა ორგანულ ურთიერთკავშირს, და რომ ბუნება და აღამიანი არიან „ერთის დიადის ძალის თანას-წორი ქმნილებანი“. ეს არის, აღბათ, გამოძახილი, თუ პარაფრაზა, პანთეიზმის ცნობილი დებულებისა, რომ ყოველივე არის ღმერთი და ღმერთი არის ყოველივე. უფრო ვრცლად ამ საკითხზე კრიტი-კოს არ უმსჯელია.

საგანგებოდ შეეხო ვაჟა-ფშაველას პანთეისტობის საკითხს ი. გომართელი. უწინარეს ყოვლისა, კრიტიკოსმა დაახასიათა პან-თეიზმი. ი. გომართელმა აღნიშნა, რომ ყველა რელიგიის წარმოშო-ბის მიზეზი იყო გამართლება აღამიანის არსებობისა და ახსნა არ-სებობის იმ წარმავალი ფორმისა, რომელსაც აღამიანის სიცოცხ-ლე ეწოდება: „სხვადასხვა სარწმუნოებრივ მოძღვრებათა უმეტესი ნაწილის მიზანს შეადგენს გამართლება, ახსნა და აზრისა და შეგნე-ბული ნების შეტანა იმ სისულელეში, რომელსაც აღამიანის სიცო-

რი ქართველი რაინდია, „სახელმაძიებელი, მამულის დამცველი. ვაჭრობისა და მრეწველობისათვის არ სცალია... ეს მეორე მხარე ცხოვრებისა, მეტად მნიშვნე-ლოვანი, ვაჟას ნაწერებში ნაკლებ ყურადღებას იქცევს. ცხადია, ვაჟა-ფშაველა რომანტიკოს-იდეალისტია, მისი პოეზია ქართული რომანტიზმის უკანასკნელი ამოძახილია“ (ი. ფერაძე, „გოგოთურ და აფშინა“, უფრნ. „თეატრი და ცხოვრე-ბა“, 1915, № 40, გვ. 6). სხვა რაიმე არსებითად მნიშვნელოვანი ვაჟას რომანტი-კოსობის დასამტკიცებლად ი. ფერაძეს არ უჩვენებია.

¹ კ. აბაშიძე, ეტიუდები, II, გვ. 210 — 211.

ცხლე ეწოდება¹. ღვთაების იდეის თვალსაზრისით, სხვადასხვა სარწმუნოების დაყოფა შეიძლება ორ გვეუფად: ერთი აღიარებული ღვნული ღმერთის არსებობას, ე. ი. ღმერთს აყენებს ბუნების გარეშე, — „როგორც უნივერსალურ გონიერ ნებას და მას უმორჩილებს სამყაროს. მეორე კი თვით ბუნებაში ხედავს ღვთის განსახოვნებას“².

ი. გომართელის სიტყვით, — „ნაელი ორივეში დიდია“. მაგრამ პირველი შეხედულება თანამედროვე აღამიანს სრულებით ვერ დააკმაყოფილებს, რადგან ჩვენ არ ვიცით რა არის ბუნება, მაგრამ ასევე არ ვიცით რა არის ღმერთი, მაშასადამე, უცნობის ახსნას უცნობითვე ვცდილობთ. — „სულ სხვა მეორეგვარი შეხედულება. ის უარყოფს ღმერთს ბუნების გარეშე და ხედავს მას თვით ბუნებაში, ბუნების ყოველ საგანში, ბუნების ყოველ სხეულში, ბუნების ყოველ ნაწილში, ბუნების ყოველ მოვლენაში, ყოველ სახეში. მთელი ბუნება, ამ მოძღვრებით, თვით ღმერთია. ამიტომ ეწოდება ამ მოძღვრებას პანთეიზმი“³.

„რისთვის დასჭირდა პანთეიზმს ბუნების გაღმერთება?“ — კითხულობს ი. გომართელი. თუ ამ თვალსაზრისს დავეთანხმებით, მაშინ გამართლებულია აღამიანის არსებობა, გარკვეულია ადამიანის სიცოცხლის აზრი, სიცოცხლის საიდუმლოება, რადგან, პანთეიზმის მიხედვით, ყოველი კერძო სიცოცხლე ნაწილია მსოფლიო სიცოცხლისა, ყოველი კერძო ნება ნაწილია მსოფლიო ნებისა, ყოველი კერძო გონება უკვდავია, რამდენადაც უკვდავია მსოფლიო გონება — „ყოველი პიროვნება, ყოველი „მე“ საკუთარ ხორციელ სახეს იცვლის სიკვდილის პროცესით, ხოლო ყოველი კერძო აზროვნება, როგორც არა ხორციელი ყოფა, უკვდავია“⁴.

ასეთია ზოგადი დახასიათება პანთეიზმისა, რომელიც ი. გომართელმა მოგვაწოდა. ამის შემდეგ მან შესაძლებლად ცნო ვაჟაფშაველა ჭეშმარიტ პანთეისტად გამოეცხადებინა: „ვაჟა-ფშაველა, როგორც პოეტი, წმინდა წყლის პანთეისტია. სამყარო მის პოეზიაში სულიერი არსებაა, ის უკვდავია, ჰფიქრობს, გრძნობს და აზროვნებს.

¹ ი. გომართელი, „სალიტერატურო შენიშვნები“, რჩეულებანი, I, 1966, გვ. 356. ამ წერილის ბოლო თვითი, რომელშიც განხილულია ვაჟა-ფშაველა ჭეშმარიტ პანთეისტად გამოეცხადებინა: „ვაჟა-ფშაველა, როგორც პოეტი, წმინდა წყლის პანთეისტია. სამყარო მის პოეზიაში სულიერი არსებაა, ის უკვდავია, ჰფიქრობს, გრძნობს და აზროვნებს.

² ი. გომართელი, რჩეული თხზულებანი, I, გვ. 356.

³ იქვე, გვ. 357.

⁴ იქვე.

ამ თვალსაზრისით კრიტიკოსს განსაკუთრებული ყულადღე-
ბის ღირსად მიაჩნია „გველის მჟამელი“. ამ პოემაში მთელი სამყა-
რო მარადიული სულის განსახიერებაა. ყოველი არსება მხოლოდ
სხვადასხვა სახეა ზოგადი სულისა. ყოველივე — ხე, ბალახი, კლდე,
წყალი და გილოდობულია სიცოცხლისა და აზროვნების უნარით. და,
ვიდრე მინდია გრძნობდა თავს მსოფლიო სულის ნაწილად, მისი
ცოდნა უსაზღვრო იყო. მაგრამ მინდიამ უღალატა თავის რწმენას,
გაწყვიტა კავშირი მსოფლიო სულთან და დაპკარგა ცოდნა და ძა-
ლა. ასეთი მსჯელობის შემდეგ საცემით კატეგორიულია ი. გომარ-
თელის დასკვნა:

„გველის მჟამელში“ ვაჟა-ფშაველა მარტო პოეტი კი არ არის,
ის არის პოეტი-ფილოსოფოსი და თავისი ფილოსოფიური ხელოვ-
ნებით უახლოვდება შილერს. ვაჟა-ფშაველა სწორედ იმგვარივე
პანთეისტია პოეზიაში, როგორც შილერი“².

როგორც ვხედავთ, ი. გომართელმა თავისი თვალსაზრისი სა-
კმაოდ თანმიმდევრულად განავითარა და ეს არის ღირსება მისი,
როგორც კრიტიკოსისა. მაგრამ ეს იყო მაინც ზოგადი შთაბეჭდი-
ლების მიხედვით მსჯელობა და ი. გომართელს პანთეიზმთან დაკავ-
შირებულ მთელ რიგ კითხვებზე არ გაუცია პასუხი. ამჟამად გარ-
კვეულია, რომ ვაჟა არ არის პანთეისტი. იგი ისეთივე მატერიალის-
ტური შეხედულებისაა სამყაროზე, როგორისაც იყვნენ მისი წინა-
მორბედები — ილია, აკაკი და სხვანი. ვინც ვაჟას პანთეისტობას
აღიარებდა, მას უნდა დაესაბუთებინა, რომ მწერლის შემოქმედება-
ში პიროვნული ღმერთი არ ჩანს, რომ იგი არ არის პირველშიზეზი
და განმგებელი სამყაროსი. ამის დასაბუთება კი შეუძლებელია,
რამდენადაც, თუკი ვაჟა სადმე ლაპარაკობს ღმერთზე (ან მეტაფო-
რულად, ანდა გარკვეულ მხატვრულ ხერხთან დაკავშირებით), ყო-
ველთვის მიჯნავს ღმერთსა და ბუნების მოვლენებს.

ვაჟა-ფშაველას პანთეისტობის მომხრეს აგრეთვე უნდა ეჩვე-
ნებინა, რომ მწერლის შემოქმედებაში არავითარი მნიშვნელობა არ
ენიჭება ეთიკურ პრობლემებს, რადგან, პანთეიზმისათვის კეთილისა
და ბოროტის ცნებები არ არსებობს, მისთვის მორალური კატეგო-
რიები უცნობია. ამის დამტკიცებას კი ვერავინ მოახერხებს, რად-
გან რიგითი მკითხველისთვისაც კი ცხადია, თუ რამდენად დიდი

¹ ი. გომართელი, რჩეული ობზულებანი, I, გვ. 357.

² იქვე, გვ. 358.

ადგილი უჭირავს ვაჟას შემოქმედებაში ზნეობრივ პრინციპებს /
(სხვათა შორის, დაახლოებით ამდაგვარადვე უარყოფს შელისტუნებულ
თეისტობას 6. კოტლიარევსკი წიგნში — „მეცხრამეტე საუკუნე“
1921).

არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ, რო-
გორც აღნიშნავს გრ. კიკნაძე, — „პანთეიზმისათვის საერთოდ პრო-
ბლემად იქცევა ცალკეული სახეობის, კერძოს არსებობის შესაძლებ-
ლობაც კი. პანთეიზმი გულისხმობს, რომ ყველაფერი ერთია, ყო-
ველი ცალკეული დაკარგულია ერთ მთლიანში. ასე რომ, პანთეიზ-
მისათვის საბედისწერო საკითხია, თუ როგორ არის შესაძლებელი
საერთოდ ინდივიდუალური სახის არსებობა“. ვაჟას შემოქმედება-
ში კი — „ყოველი მოვლენის, ყოველი ცალკეული სახის თავისთა-
ვადი ღირებულება განიცდება. ვაჟას მიერ დახატული მოვლენა არა
მარტო ემსახურება მასში ნაგულისხმევი ზოგადი, აზრის ნათელყო-
ფას, არამედ მისი არსებობის გამართლება მის საკუთარსა და და-
მოუკიდებელ ღირებულებაშიცაა“¹.

ამავე მკვლევრის მიერ ნაჩვენებია, რომ კრიტიკოსთა შეცდო-
მის სათავე ვაჟას მეტყველების ფორმისა (მხატვრული ხერხისა) და
თვალსაზრისის გაიგივებაში მდგომარეობდა და რომ, სინამდვილე-
ში, დაწყებული მწერლის ეთიკური პრინციპებიდან, მისი რეალის-
ტური პოზიციიდან და დამთავრებული სინამდვილის ასახვის მხა-
ტვრული გზით, — ყველაფერი უარყოფს გავრცელებულ აზრს,
რომლის მიხედვით ვაჟა არის წარმართი, პანთეისტი და ანიმისტი².

ვაჟას პანთეისტობას გაკვრით შეეხო ა. ხახანაშვილი. მწერლის
„პოეტურ პროზასთან“ დაკავშირებით მან აღნიშნა: «Поэт здесь
рисуется пантеистом чистейшей воды, усматривающим част-
тицы мировой души всюду и везде, во всех тварях. Я ограни-
чусь несколькими отрывками из произведений Важа-Пшаве-
ла названной группы. Обращаюсь прежде всего к поэме в
прозе небольшого размера. Это «Горы высокия»³.

როგორც ვხედავთ, ა. ხახანაშვილის შეცდომის სათავეც იგი-

¹ გ. კიკნაძე, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, 1957, გვ. 137.

² ყველა ამ საკითხის თაობაზე დაწერ. იხ. გ. რ. კიკნაძის დასახ. წიგნში,
თავი — „ბუნების ვაჟასეული გაების საკითხი“.

³ А. Хаханов, Очерки..., выпуск 4-й, 1906, стр. 372—373. შდინ
ქართულ გამოცემას: „პოეტი ამ პროზად დაწერილს პოეტებში ნამდვილს პანტეის-
ტად გამოდის და ეძებს მსოფლიოს სულს თვითონეულს უსულო ქმნილებაშიაც“
(ა. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, 1913, გვ. 211).

ვეა, რაც სხვა კრიტიკოსებისა, იმანაც მწერლის მხატვრული ხერხი / ერთონული შემქმნელისაზრისთან გააიგივა.

რამდენადმე თვისებურად დაახასიათა ბუნებასთან ვაჟას მიმართება ი. ვართაგავამ. ერთი მხრივ, კრიტიკოსი ამბობს, რომ ვაჟა აღამიანის თვისებებს მიაწერს ბუნებას: „ერთის სიტყვით, ყოველივე საგანს და ბუნების მოვლენას, რომელსაც აგვიწერს ვაჟა, ის ასულდგმულებს, უკეთ რომ ვსოდებათ, ააღამიანებს: აღამიანის ხორცით, ნერვებით და სულით აჯილდოებს. და ეს გააღამიანება ბუნებისა ისეთ ხარისხამდე აქვს მგოსანს აყვანილი, რომ ილუზიას ეძლევით და გვონიათ, რომ თქვენ თვალშინ იშლება წარმოდგენა ბუნების გამღმერთებელ და გამაცოცხლებელ ძველის დროის აღამიანისა და არა მეოცე საუკუნის შვილისა!“¹ ასეთი მსჯელობა იმას გულისხმობს, რომ კრიტიკოსმა თითქოს დაინახა — ვაჟას მხრივ ანთროპომორფისტული და ანიმისტური მიღვომა ბუნების მოვლენებისადმი მხოლოდ მხატვრული ხერხია, მწერალი ასეთ თვისებებს მიაწერს საგნებას და მოვლენებს და ეს სრულებითაც არ გამოზატავს ვაჟას წარმართულ მსოფლმხედველობას. აღამიანის თვისებების გადატანა უსულო საგნებზე გულისხმობს, რომ საქმე გვაქვს დიფერენცირებულ მიღვომასთან სულიერი და უსულო საგნებისადმი და ეს ხელოვანისათვის სავსებით გაცნობიერებული აქტია².

მეორე მხრივ, ი. ვართაგავა აღნიშნავს: „ვაჟას აზრით, ბუნებაში მეფობს და ბატონობს რაღაც, მართალია, გამოურკვეველი,

¹ ი. ვართაგავა, „სიმღერა მთის შვილის — ვაჟა-ფშაველასი“ (1913 — 1914 წ.), კრიტიკული წერილები, I, 1958, გვ. 35.

² შდრ. გ. რ. კიკნაძის დასახ. წიგნი, გვ. 115 — 131.

საინტერესო აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 1895 წელს გრ. ყიფშიძე ვარკვევით მიუთითებდა, რომ ბუნების გასულიერება ვაჟასთვის მხოლოდ მხატვრული ხერხია: „ძლიერება და ნიჭი ვაჟა-ფშაველასი არის ის უნარი მისი, რომლითაც ასულდგმულებს ბუნების ყოველგვარ მოვლენას, რომლის შემწეობითაც აღამიანივით ალაპარაკებს პირუტყვს, უსულო საგანს... ეს ქანრი, დაბადებული იგავთა წერის ჩვეულებისაგან, ღიდათა პრასობს ყველა ქვეყნის ლიტერატურაში და იშვიათნიც არიან მწერალი, რომელთაც შეთვისებული აქვთ ასეთი უნარი წერისა (გრ. ყიფშიძე, „თ-დი რაფაელ ერისთავი და მისი სალიტერატურო მოღვაწეობა“, „მოამბე“, 1895, № 10).

უეპველია, ამასვე გულისხმობს სიმ. ხუნდაძეც, როდესაც წერს: თავისი სულიერი თვისება მგოსანმა ბუნების აღწერაშიც გადაიტანა; მან ბუნებას სული ჩაუდგა, გრძნობა-გონებით შემოსა, ლაღი სიცოცხლით აამეტყველა და აამოძრავს; ბუნება ვაჟას შემოქმედებაში სცოცხლობს, როგორც მთლიანი ინდივიდუალური არსი...“ (სიმ. ნარდიონი, „ვაჟა-ფშაველა“, გაზ. „სამშობლო“, 1915, № 143).

მაგრამ დიადი და მოძრაობით სავსე ძალა. მას შეუგნებლად სწამის /
რომ ის უსულო არ არის: ბუნებას აქვს, მისი წარმოდგენით უსტურებული
გრძნობს სიყვარულს, მეტყველებს თავისებურის ენით...

ამნაირად ვაუა ბუნების განხორციელებაში ნამდვილი კლასი-
კოსია, წარმართია: მას ბუნებაში და მის წიაღში მუდამ მდევრები და
სხვა ავი სულები ეჩვენება, ელანდება. თავის შემოქმედებაში პოე-
ტი მკვდრეთით აღადგენს თავისებურ წარმართულ წარმოდგენას
ბუნებაზე და სულს უდგამს ყველა მის მოვლენებს...

მხოლოდ აქა-იქ ვაუას პოეზიას ატყვას ნიშანი პანთეისტურის
რწმენისა, ე. ი. მას შესაძლებლად მიაჩნია ადამიანის და ბუნების
ცხოვრება დროებით მაინც გაერთიანდეს, შედუღდეს, ერთმანეთში
გაითქვითოს...¹.

მაგრამ თუ ვავითვალისწინებთ კრიტიკოსის მსჯელობის საერ-
თო ხასიათს ბუნებასთან ვაუას დამიკიდებულების თაობაზე და
განცხადებას, რომ „ვაუა-ფშაველას ბუნების აღწერა საზოგადოდ
არ არის მისტიკურის ხასიათისა: პოეტი სრულებით არ ცლილობს
ჩაწერდეს ბუნების ცხოვრების საიდუმლოებას და თავისებურად ახს-
ნას და განმარტოს ისა, ბუნების მოვლენა მას მხოლოდ აღაფრთო-
ვანებს, ამხევებს, ჩანგს სასიმღეროთ უმართავს“², — მაშინ შეი-
ძლება ითქვას, რომ ი. ვართაგავას მიერ ვაუას გამოცხადება წარ-
მართად უფრო ერთგვარი ტრადიციის შედეგია და კრიტიკოსი
მაინც იქითვენ იხტება, რომ ვაუა მოხიბლულია ბუნებით და აღია-
რებს მის თავისთავად ღირსებას³.

გუნდის გრძნობა ვაზა-ფშაველას ჟამოქმედებაზი

ბუნებასთან ვაუას მიმართების საკითხმა თავიდანვე მიიქცია
ქართული კრიტიკის ყურადღება. ეს სავსებით მოსალოდნელი იყო,
რამდენადაც ბუნებას ვაუა-ფშაველას შემოქმედებაში ერთი უპირ-
ველესი ადგილი უჭირავს.

¹ ი. ვართაგავა, კრიტიკული წერილები, I, გვ. 36.

² იქვე.

³ ორიოდე სიტყვით აღნიშნა ვაუას პანთეისტობა ვლ. ბ-ძემ: „უმთავრესი
თვისება ვაუას სიმბოლიური პოეზიისა არის, გარდა ორიგინალობისა, გულწრფე-
ლი და ღრმა გრძნობა, უხევი პოეტური ტემპერამენტი და რაღაცნაირი სტიქიურის
(არა გონიერივი), თუ შეიძლება ასე ითქვას, პანთეიზმი“, ანდა: „თითქმის ყვე-
ლა მისი ნაწარმოებთა შინარსი ბრძოლაა, ბრძოლის აუცილებლობა, რწმენის
სიმტკიცე, პრაქტიკული მეწვრილმანური ინტერესების დაგმობა და უარყოფა,
იდეალისტური მიღრევილება, თანასწორობის იდეა, რომელიც გატარებულია მის
პანთეისტურ მსოფლმხედველობაში — ი. უმთავრესი მოტივები ვაუას პოეზიისა“
(გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1915, № 127).

პირველი ი. ნაკაშიძე იყო, რომელმაც საგანგებოდ აღნიშნა ბუნების გრძნობა ვაჟა-ფშაველას პოეზიაში. მისი სიტყვით, უმთელესი ფშავ-ხევსურულ პოეზიაში თითო-ოროლა სტრიქონს თუ შევწვდებით, რომლებშიც ბუნების მშვენიერება ჩანდეს, ეს გრძნობა „გმირულ-რაინდულ ჰანგებშია დანთქმული“. და ეს გასაგებია: ბუნება ცივილიზებულ ადამიანს ენატრება და ელტვის მას, ხოლო ბუნების შეილს ეს არ სჭირდება, მაგრამ „ვაჟას შემოქმედობაში კი ჩვენ სულ სხვა სურათს ვხედავთ: მისი პოემები ბუნების გულიდან ამოღებული, მშვენიერი მარგალიტებით არიან მოქარგულნი. ეს გარემოება თითქო არღვევს ჩემგან თქმულ აზრს ფშაველასა და ფშაველთ შემოქმედობის ცხად ერთგვარობაზე, მკვიდრ ნათესავობაზე. ვაჟასაგან გალექსილ მშობელ ბუნების სიყვარულს რომ დავუკვირდებით, თან-და-თან უფრო-და-უფრო ნათლად დავინახავთ, რომ მას მხოლოდ იმის გამოთქმა შეეძლო, რაც ფშაველი ხალხის გულის დუშილში უნდა ცოცხლობდეს. სხვა გვარათ არ აიხსნება ვაჟას სიყვარულის ხასიათი“¹.

ი. ნაკაშიძე გარკვეულად ხედავს, რომ ვაჟა-ფშაველას პოეზიაში ბუნებას შერჩენილი აქვს თავისთავადი ღირსება და მნიშვნელობა, რომ პოეტი ბუნებას საკუთარი განწყობილებებისა და ემოციების შესაბამისად კი არ გვიხატავს, არამედ იგი მოხიბლულია ბუნებით და ცდილობს მკითხველსაც აგრძნობინოს ბუნების ეს დამოუკიდებელი ღირსება: „ქალაქელ ქართულ პოეზიაში კი ჩვენ ამგვარ უმანქო სიყვარულს ვერ ვხედავთ: იქ ბუნების სიყვარულს ამ ბუნებისაგან მოწყვეტილსა და პაწია ცივილიზაციის საკრძალავ-ორანჟერეაში აღზრდილ-აფუფუნებული ყვავილის სუნი აქვს ხოლმე. ვაჟას ენით კი თვით ბუნება გველაპარაკება, ბუნება ალალ-მარტივი და წრფელ-საყვარელი, ბუნება შუშაბანდგადაუხურავი და თავისუფალ-სურნელოვანი². ეს ის დებულებაა, ჯერ მხოლოდ გაკვრით გამოთქმული, რომელსაც ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ბუნებასთან ვაჟას მიმართების დახასიათების დროს და მიიჩნევს, რომ „ბუნების მნაირი დასასიათება და სხვა მრავალი ანალოგიური მაგალითი გვიდასტურებს, რომ ვაჟა-ფშაველა ბუნების გრძნობის განვითარებაში ახალ საფეხურზე აღის“³.

¹ ი. ნაკაშიძე, ვაჟა-ფშაველას პოეზია (კრიტიკული ცდა), „კვალი“, 1896, № 47, გვ. 841 — 842.

² იქ 3 გვ. გვ. 842.

³ გრ. კიკნაძე, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, გვ. 112

საბოლოო აზრი და დასკვნა ი. ნაკაშიძის მსჯელობისა ასეთია:
„ამ სალამში (ლაპარაკია „ბახტრონის“ სტრიქონებზე: „მოგეცალუ-
მებით, ქედებო...“ — ჭ. ჭ.) მთელი ვაჟას პოეზიის ხასიათის გამო-
სახული, პოეზია ბუნებრივ-ეროვნული, ბუნების ძლიერებითა და
სიყვარულით სავსე. განათლების შვილი ისე მარტივათ და ალალ-
გულწრფელათ ვერ მიესალმებოდა მთებს — „თქვენი ჭირიმე, მთე-
ბოო“, თუმცა განათლებულ-ევროპიული პოეზია ვაჟას პოეზიაზე
ბევრათ უფრო მაღალი და მძლავრ-დიდებულია, რადგან იგი ადა-
მიანის შეერთებული ფიქრისა და გრძნობის უკვდავი ნაშობია, ვაჟა
კი ცარიელი პოეტური გრძნობაა, გრძნობა მთების უბეში აღზრდი-
ლი, გრძნობა ამ მთების კალთებისაგან განუშორებელი და თავის
ალალ-ბავშვური გულ-წრფელობით და მხატვრული, ხან მძლავრი
და ხან ნაზი, სიმარტივით მხიბლავი“¹.

რომ ვაჟას მიმართება ბუნებასთან ბუნების თავისთავადი ღირ-
სების აღიარებას, მისი მშვენიერებით ტკბობას გულისხმობს, ეს
აზრი უფრო მკვეთრად გამოიქმული აქვს გრ. რცხილაძეს. კრიტი-
კოსის სიტყვით, უტილიტარიზმა ხელოვნებაში უკვე მოჭამა თავი-
სი ორო და მან დიდი გულგატეხილობა მოუტანა ვაჟასაც. ამიტომ
„...ჩვენი მგონანი თავს ანებებს უტილიტარიზმის დედა აზრებს და
თვით ბუნებაში ეძებს იმ თილისმას, რომელმაც სოფელი უნდა შეა-
ყვაროს, გრძნობა გაუგსოს და გული გაუმდიდროს“. პოეტს ხიბ-
ლავს ბუნების მრავალფეროვნება და შინაგანი ჰარმონია. იგი ხე-
დავს, რომ ბუნების მრავალსახეობა ერთი მთლიანის გამოვლინე-
ბაა. გრ. რცხილაძის სიტყვით, — „ეს ორმა და ფართო აზრი, რაც
ხანი გაღის, მით უფრო მტკიცედ მკვიდრდება ვაჟას გონებაში და
აი, სწორედ ეს აზრი ჰქდება იმის გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად.
ჩვენის პოეტის აზრით, ბუნება წარმოადგენს ერთ ძაფზედ ასხმულს
სიკეთისა და ბოროტების სურათებს და თვით მშვენიერება ბუნე-
ბისა ნაყოფია მხოლოდ მოვლენათა იმ გაერთკავშირებისა, რომე-
ლიც ბუნების მთავარი ძარღვი და თვისებაა. პოეტის მშვენიერე-
ბის მოტრფიალე სული სრულიად იხიბლება ბუნების სიტურფით;
ბუნებას იმისს თვალში ამიერიდგან მარტოოდენ ის ფასი და აქვს,
რომ ის ტურფაა და ეს სიტურფე, ეს მშვენიერება, ვაჟას აზრით,
უმაღლესი კანონია მთლად ბუნების შინაგან წყობილებისა. ბუნება
არაა შექმნილი ადამიანის გასაბედნიერებლად, მაგრამ არც მისი

¹ ი. ნაკაშიძე, ვაჟა-ფშაველას პოეზია, „კვალი“, 1896, № 47, გვ. 843.

გაუბედურება ჰსურს ბუნებას. ის მარტოოდენ მშვენიერებაა და ამ შვენიერების ინტერესი აიძულებს, ხან ნაზი მფარველობა გაუწიულება ის ადამიანს და ხან-კი მრისხანე, სასტიკი ბოროტება მიაყენოს კუთხით

ამიტომ გრ. რცხილაძე კატეგორიულად აცხადებს, რომ ვაჟამ ქართული მწერლობის ისტორიაში საესებით ახალი შეხედულება შემოიტანა ბუნებაზე და მან ბუნების თავისთავადი ღირსება და მშვენიერება დაგვანახა, ვაჟა განთავისუფლდა ბუნების სუბიექტური აღქმისაგან:

„ჩენ მწერლობაში საერთოდ და ლირიკაში კერძოდ ეს სრულიად ახალი შეხედულებაა. აქამდის ჩვენი მგოსნები ბუნებას სუბიექტივიზმის თვალით უქცერდნენ, აქამდის ბუნება ჩვენი პოეტებისათვის უსულო მატერია იყო, რომელსაც მხოლოდ ადამიანის სულიერი ვითარება აძლევდა შნოსა და სიტურფეს. ვაჟამ უარპყო ეს შეხედულება და თავისის საუკეთესო ლექსების მთელი წყობით ბუნების ობიექტური მშვენიერება და სიტურფე დაგვანახვა“².

გრ. რცხილაძეს საილუსტრაციოდ მოაქვს ვაჟას რამდენიმე ლექსი „ღამე მთაში“, „მოგონება (ნუ მიწყენთ, მომაგონდება)“, „სიმღერა (ვუძღვი ახალგაზრდა მგოსნებს)“ და დაასკვნის, რომ მშვენიერების განცდითა და სილრმით ქართველი პოეტი გვაგონებს ჯონ რესკინს:

„...ჩვენი მგოსანი თავისის ობიექტურის მშვენიერების ტრფიალებით და განუზომელის სიყვარულით ძალა-უნებურად გვაგონებს ინგლისის ფილოსოფოსს და ესთეტიკოსს ჯონ რესკინს, რომელმაც მშვენიერების ნამდვილი სარწმუნოებრივი კულტი შექმნა თავისს სამშობლოში და დიდი სამსახური გაუწია ინგლისის ესტეტიურად განვითარების საქმეს“³.

გრ. რცხილაძის ამ თვალსაზრისმა, როგორც ჩანს, გარკვეული გავლენა მოახდინა მომდვერი ხანის კრიტიკოსებზე. ასე, მაგალითად, ა. ხახანაშვილი თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს გრ. რცხილაძის აზრს, როდესაც წერს: „ბუნება ხან მფარველობს კაცს, ხან ბოროტებას აყენებს. პოეტი მშვენიერების მოტრფიალეა და იხიბლება ბუნების სიტურფით. ბუნება არ არის შექმნილი ადამიანის

¹ გრ. რცხილაძე, ვაჟა-ფშაველას ლირიკის ახალი ჰანგი, გაზ. „ივერია“, 1901, № 32.

² იქვე.

³ იქვე.

გასაბედნიერებლად, მაგრამ არც მისი გაუბედურება სურს. იმის პატარა მოთხოვბებს ერთი საერთო თვისება აქვთ. პოეტი, სრული რულით აღფრთოვანებული, აღსარებას ათქმევინებს მცენარეს და ცხოველს კაცის ენით და ამასთანავე იცავს მათ ბუნებრივს ხასიათს და ჭრშმარიტებას“¹.

ანდა: „ბუნების აღწერაში ლ. რაზიკაშვილი იჩენს გასაკვირველს თავისებურობას: მის ორიგინალურის კალმით დახატული სურათები მარტივნი და ამასთანავე გულის წარმტაცნი არიან. თვით პოეტი თუმცა გარეშე მაყურებელივით გამოდის, მაინც მის სულის ვითარების ბეჭედი და კაცთმოყვარების გრძნობა თვალსაჩინოდ გამოსჭვივის ყოველის მის ნათქვამიდან. ასეთის ღირსებით არის შემკული, სხვათა შორის, მისი პოემა პროზად „ფესვები“; ამ უსულო საგნის აღწერაში იგი შემოქმედების უმაღლესს წერტილამდის აღწევს“².

ვაჟას დამოკიდებულება ბუნებასთან არამარტო ე. წ. სიმპათიკური გრძნობით იფარებლება, არამედ, რაც მთავარია, მწერალი ბუნების თავისთავად ღირსებასა და მშვენიერებას ხედავს და ეს არის მისი, როგორც ხელოვანის, ტკბობის საფუძველი, — არსებითად ასეთია აზრი კ. აბაშიძის მსჯელობისაც:

„ბუნება ვაჟასთვის თავისთავად საყვარელია და სალტოლველი, ვითა უმშვენიერესი და უდიადესი ელემენტი სიცოცხლისა და ცხოვრებისა, სიცოცხლის გამაცისკროვნებელი, სულისა და გულის წარმტაცი, გონების მომჯადოვებელი. მისთვის ბუნება და ყოველივე ნაწილი ამ ბუნებისა ცოცხალი არსებაა, მისთვის ბუნების არც ერთნაწილს არა სდევს სიკვდილისა და უსიცოცხლობის ნიშანი. ყოვე-

¹ ა. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია (XIX ს.), 1913, გვ. 219.

² ა. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, გვ. 213. დაახლოებით ასეთივე მსჯელობაა წარმოდგენილი ა. ხახანაშვილის „სიტყვიერების“ რუსულ გამოცემაშიც (A. Хаханов, Очерки по истории грузинской словесности. Литература XIX века, 1906).

გავრით დაახსიათა ი. გომართელმა ვაჟა, როგორც „ბუნების საუცხოო მხატვარი“, რომელსაც „მთის აღწერაში ტოლი არა ჰყავს“. კრიტიკოსის სიტყვით, — „ვაჟა-ფშაველა მთის პოეტია. მთა ვაჟა-ფშაველას პოეზიაში უსულო, უგრძნობელი, მევდარი ნაწილი კი არ არის ბუნებისა, — ის ცოცხალი, ჰფიქრობს, გრძნობს, თავისი საქუთარის ცხოვრებითა სცხოვრობს, ვაჟა-ფშაველამ მთას სული ჩაბერა, გული ჩაუდგა, გრძნობით შემოსა, ფიქრით შეპშრა“ (ი. გომართელი, „სალიტერატურო შენიშვნები“, (1909 წ.), რჩეული თხზულებანი, I, 1966, გვ. 353).

ლივე ნაწილი ბუნებისა განხორციელებულია და განსულიერებული...
ლი...

საერთო ჰარმონია სიცოცხლით აღსავსე მუსიკისა ატებობს ვა-
ჟას მუზის სმენას; საერთო ფერხული სიცოცხლის, ბუნების შვილე-
ბისა ასიამოვნებს მის თვალებს და უწმინდესის გრძნობებით გატა-
ცებული მთრთოლვარე მისი ბაგეები ღვთიურ ჰანგებს გამოალები-
ნებს ხოლმე „უვერცხლო, შეუზიკავ სტვირსა“¹.

კ. აბაშიძე იმასაც აღნიშნავს, რომ საქართველოს ბუნება არის
წყარო ვაჟას დაუშრეტელი სიცოცხლის სიყვარულისა:

„ვაჟა სიცოცხლისა და ცხოვრების სიყვარულით აღსავსე მგო-
სანია; როგორც ყველა ჩვენი დიდი პოეტისათვის, მისთვის ჩვენს
მშვენიერსა და საუცხოვო ბუნებას ჩაუნერგავს ის დაუშრეტელი
გრძნობა აღტაცებისა, სიცოცხლისა და სიცოცხლის დამამშვენებე-
ლი და შემამჟობელის საგნისა და მოვლენისადმი, რომელიც შეად-
გენს მთელი ჩვენი მწერლობის ნიშანდობლივ და მეტად ორიგინა-
ლურ თვისებას. მისთვის ბუნებას მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელო-
ბა, როცა იქ სიცოცხლე სღულს და გადასღულს და სრული უფალია
მსოფლიოსი“².

კრიტიკოსის სიტყვით, ვაჟა „...ბუნებას უფრო ობიექტური
თვალით უყურებს, ვიდრე ყაზბეგი, მაგრამ ისიც იცის, რომ

„ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს,
ზოგჯერ მქნელია ავისა“,

ისიც შეთვისებული აქვს, რომ ბუნება

„მაინც კი ლამაზი არის,
მაინც სიტურიფით ყვავისა“³

კ. აბაშიძე იმასაც გარკვევით აღნიშნავს, რომ პოეტისათვის
ბუნების სიმპათიკური გრძნობაც არ არის უცნობი, პირიქით, ვაჟამ
ძალიან ახლო კონტაქტი დაამყარა აღამიანსა და ბუნების მოვლე-
ნებს შორის და პიროვნების ტკივილები და სიხარული მჭიდროდ
დაუკავშირა ამ უკანასკნელთ:

„როცა ასეთი განუწყვეტელი კაშირი გააბა პოეტმა, ერთის
მხრით, „უასაკოთა და უსულოთა“ და, მეორეს მხრით, ასაკიანთა
და სულიერთა შორის, რასაკვირველია, ბუნება მისთვის და აგრე-
თვე აღამიანისთვის მეგობრად, საყვარელ არსებად არის მიჩნეული,

¹ კ. აბაშიძე, „ვაჟა-ფშაველა“, ეტიუდები, II, გვ. 201.

² იქვე, გვ. 204.

³ იქვე, გვ. 381.

რომელიც მისი ჭირისა და ლხინის ამხანაგია¹, „უმეტეს შემოხვევაში, ვაჟა ბუნებისა და კაცთა შორის დამოკიდებულებაში მეგობრულ განწყობილებასა ხედავს. სხვა რომ არა იყოს-რა, ბუნების სილამაზეს მაინც ხომ თავის დღეში არ დალატობს, ხოლო სიმშვენიერე და სილამაზე კი ისეთი ღირსებაა მგოსნის თვალში, რომელიც ყოველს სიამოვნებასა და სიკეთეს ანიჭებს“².

დაახლოებით ასეთივეა ი. ვართაგავას თვალსაზრისიც, რომლის სიტყვით, — „თვით ბუნება უხვად, დაუზოგველად და სიამოვნებით აწვდის მგოსანს, როგორც ღვიძლ შვილს, საუცხოო მასალას შემოქმედებისათვის... თვითონ პოეტსაც აკვირვებს ასეთი სიამაყე და მრავალფეროვნება ბუნებისა. „ტურთა რამ შეჰქმნა ბუნება? ასე რამ გააფერადა“-ო, აღტაცებით ამბობს მგოსანი“³.

ი. იმედაშვილი მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ ნ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, ვ. ორბელიანი, რაფ. ერისთავი, ილია, აკაკი, ის ბუმბერაზები იყვნენ, „რომელთა მრწამსი და ნალველი მამულისა და ბექავი ერის, ხალხის მწარე სიმღერა იყო. ვაჟაც ამათგანია, მაგრამ იგი კიდევ უფრო მაღლა სდგას, ვითარცა ბუნების მესაიდუმლე და ცხოვლად მხატვარი... ამ მხრივ ვაჟა შეუდარებელია და ღრმა კვალიც გაავლო ჩვენს მწერლობაში...⁴.

¹ ქ. აბაშიძე, „ვაჟა-ფშაველა“, ეტიულები, II, გვ. 206.

² იქვე, გვ. 208.

ქ. აბაშიძე გაყვრით იმის თაობაზეც ლაპარაკობს, რომ სინამდვილე ჩვენს შეგრძნებებში გარდატეხილი მოვლენებია: „კაცმაცა სთქვას, რა არის მთლიან ერთანად სინამდვილე, რა არის რეალური არსება, თუ არა მოჩვენება, თუ არა ის, რასაც ჩვენი ხუთი გრძნობა გვიჩვენებს და გვარწმუნებს, რომ ეგ ეგრეთი არისო. ვინ იცის, რა არის თავის-თავად ან ხე, ან ყვავილი, ან კლდე, ან წყარო; ჩვენ ის ვიცით მხოლოდ, რასაც ჩვენი „მე“, ჩვენი გრძნობა და გონება გვეუბნება მის შესახებ. თავის-თავად, ობიექტურად, აბსტრაქტულად შესაძლოა არა-ვითარი აზრი და არავითარი სახე არა ჰქონდეს არავითარ მოვლენას, მაგრამ ჩვენ, ადამიანი, ამ მოვლენას იმ სახეს ვაძლევთ და იმ სულს ვუდგამთ, რომელიც ჩვენს ხელთ არის“ (ეტიულები, II, 207 — 208), აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ, კრიტიკოსის აზრით, სილამაზის, მშვენიერების გრძნობა ჩვენ უგვაქვს ბუნებაში და რომ ბუნების მშვენიერება თავისთავად, ობიექტურად არ არსებობს. ასე ესმის ქ. აბაშიძეს ესთეტიკის ერთ-ერთი საღვო საკითხი.

³ ი. ვართაგავა, კრიტიკული წერილები, I, 1958, გვ. 36 — 37.

კრიტიკოსის აზრს ბუნებასთან ვაჟას მიმართების თაობაზე უფრო ვრცლად შევეხეთ წინა თავში — „ვაჟას მსოფლმხედველობის საკითხი“.

⁴ ი. იმედაშვილი (ი. არამათოელი), ბუნების მესაიდუმლე, „თეატრი და ცხოვრება“, 1915, № 31, გვ. 4.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა კრიტიკამ
თვით მწერლის სიცოცხლეში, ერთი მხრივ, აღნიშნა ბუნებისაობის
სიმპათიკური გრძნობის გამოვლენა ვაჟას პოეზიაში, რომელიც დაუკავშირდა
ბუნების მოვლენებში საკუთარი განწყობილებების ანალოგიურსა.
და შესატყვისს ხედავს და, მეორე მხრივ, მიუთითა, რომ ვაჟა აღია-
რებს ბუნების თავისთავად ღირსებასა და სიღიადეს, მოხიბლულია
და ცდილობს სხვასაც აგრძნობინოს ბუნების ეს განუმეორებელი
მშვენიერება, და რომ ამით ვაჟა ბუნების გაგების ახალ, მაღალ სა-
ფეხურზე ავიდა.

პატრიოტული მოტივი გაზა-ფშაველას უემოქმედებაზი

პატრიოტული მოტივის თვალსაზრისით ვაჟა აგრძელებს იმ
დიდ ტრადიციას, რაც ქართულ მწერლობას ახასიათებდა, ხოლო
უშუალოდ იგი მემკვიდრეა ჩვენი სამოციანელებისა, უწინარეს ყო-
ვლისა კი ო. ჭავჭავაძის და ა. წერეთლისა. პატრიოტულმა გრძნო-
ბამ პირთამდე აავსო ვაჟას პოეზია და ეს გარემოება ქართულ კრი-
ტიკას არ შეიძლებოდა შეუმჩნეველი დარჩენოდა. ჯერ კიდევ გრ-
ყიფშიძემ მიუთითა, რომ ვაჟა ღრმა პატრიოტული გრძნობითაა და-
ჯილდოებული¹. შემდეგ ო. ნაკაშიძემ და ზოგიერთმა სხვამ (გრ-
ლცხილაძემ, ა. ხახანაშვილმა) გაკვრით აღნიშნეს ვაჟას უსაზღვრო
სიყვარული „მშობელი მთებისადმი“, სამშობლოსა და თავისუფ-
ლებისადმი. მაგრამ შედარებით ვრცელი დახასიათება ვაჟას პატრი-
ოტული გრძნობისა და შეგნებისა პირველად მხოლოდ ო. გომარ-
თელმა და კ. აბაშიძემ მოგვაწოდეს.

ო. გომართელს მიაჩნია, რომ ვაჟას „დიდი ნიჭი“, „მისი პოე-
ტური აღმაფრენა მაინც ფრთაშეკვეცილია; ბუნებას მისთვის ყოვე-
ლისფერი უხვად მიუცია, რომ თავისი ნიჭი მსოფლიო კითხვების
რკევეაში ავარჯიშოს; მიუხედავად ამისა, პოეტი თავის სალ კლდე-
ებს „ზაგორით მზარავთა და კაცის. ფეხდაუკარებთა“ შეპხორცებია
მთელის თავისი არსებით და მისი ოცნება, მისი ფიქრი, მისი
გრძნობა, მთელი მისი აზროვნება, მთელი მისი ნება, მთელი მისი სუ-
რვილი ამ კლდეებს დასტრიალებს გარშემო“².

მიზეზი ამისა კი ის არის, რომ პოეტის სამშობლო დამონიტუ-
ლია, მას დაკარგული აქვს თავისუფლება. ამიტომ „ვერცერთი ქარ-

¹ გ. რ. ყიფშიძე, სალიტერატურო მიმოხილვა, ჟურნ. „მოამბე“, 1895, № 1.

² ი. გომართელი, „სალიტერატურო შენიშვნები“, რჩეული თხზულე-
ბანი, 1, გვ. 347.

თველი, რომელიც კი თავით ფიქრობს და გულით გრძნობს, საშობლოს კითხვას გვერდს ვერ აუქცევს“. ამიტომაა, რომ „ბედუინების თლისა“ ყველა ქართველი მწერლისათვის „უდიდესი საკითხია იგი უპირველესი პრიბლემაა ვაჟასთვისაც.“

კრიტიკოსის სიტყვით, — „ვაჟა-ფშაველას სევდას სამი სათავე აქვს: ეროვნული, სოციალური და ფილოსოფიური“. ეს ეროვნული სევდა თანდათან ერევა ვაჟას, რადგან „პოეტს უყვარს თავისი ბედშავი სამშობლო და, რადგანაც ის უბედურია, ხელ-ფეხშებორკილი, მონად ქცეული, თავისუფლების მოტრფიალე, პოეტის გული სევდით, ნაღველითა და ბოლმით არის სავსე. ეს სევდა, ეს სასოწარკვეთილება პოეტისა მით უფრო უსაზღვროა, რომ პოეტს აღარავითარი იმედი არა აქვს თავისი სანატრელი მამულის მკვდრე-თით აღდგომისა, ამიტომ პოეტის გული სევდით იქსება და ცრემლში ექებს ნუგეშს“¹.

ვაჟა დიდი პატრიოტული განცდის პოეტია, იგი ღრმადაა და ფიქრებული სამშობლოს ბედზე, მაგრამ პოეტი თავისი ქვეყნის მომავალს უიმედოდ შესცემის, მას გულგატეხილობა იპყრობს, — ასეთია ი. გომართელის დასკვნა.

კ. აბაშიძემ მიუთითა, რომ პატრიოტული მოტივის მხრივ ვაჟა აგრძელებს ქართველ სამოციანელთა ტრადიციას, ოღონდ მის შემოქმედებაში ალეგორია სიმბოლოთი იცვლება და ეს უკანასკნელი უფრო ღრმა და პოეტურია (თუმცა კრიტიკოსმა ამ აზრით მაინც დამაინც დამაჯერებელი განსხვავება ვერ უჩვენა მკითხველს). კ. აბაშიძის სიტყვით, — „აკავის მუზა ნიაღა ნესტან-დარეგანს დასტრიალებს თავზედ, მისი სიცოცხლითა სცხოვრობს, მისი სევდები ამისი ტანჯვაა, მისი მხიარულება ამისი ბეღნიერებაა.“

ამგვარივე როლი უკავია ვაჟას პოეზიაში მთას. ეს მთა გულადი სალი კლდეებითა, თოვლითა და ყინულით ამაყობს, იგი სიმბოლოა მისი სამშობლოისა, მისი სიღიაღე და გმირობა, მისი შეუდრეკლობა სამშობლოს გმირთა გამხსენებელია და სამშობლოს მომავალის იდეალი“².

კ. აბაშიძის აზრით, ვაჟას პოეზიაში თითქმის ყოველ საგანსა და მოვლენას პატრიოტული გრძნობის გამოვლენა დაეკისრა. ამიტომ კრიტიკოსი მიიჩნევს, რომ სიმბოლურად სამშობლოს სახეს წარმოგვიღენს არა მარტო დაჭრილი არწივი, არამედ შვლის ნუკ-

¹ ი. გომართელი, რჩეული თხზულებანი, I, გვ. 350.

² კ. აბაშიძე, ეტიუდები, II, გვ. 213 — 214.

რიც, ხმელი წიფელიც, ფესვებიც, მთის წყაროც, „მთანი მაღალი ნიც“. მაგრამ ვაჟას დიდი ლირება ის არის, რომ მისი პოეზია უფრო ვისუფალია შიშველი ტენდენციურობისაგან: „ვაჟა-ფშაველამ და დალი ცვლილება შეიტანა ამ მხრით ჩვენს პოეზიაში. მის პოეზიას შორეული მოგონებაც კი არ ამჩნევია პუბლიცისტიკისა და პოლიტიკისა, მაგრამ უამისოდაც მრავალ-მნიშვნელოვანის აზრების აღმძვრელია“¹. ი. გომართლისაგან განსხვავებით, კ. აბაშიძეს მიაჩნია, რომ ვაჟას პოეზიაში სიმბოლურად გამოხატულია სამშობლოს მომავლის რწმენა და თავისუფლების იმედი. „მთანი მაღალნის“ ანალიზის შემდეგ კრიტიკოსი დაასკვნის:

„სხვა ახალი მოსწყურებია იმათ თვალსა და გულსა. დიალ, მოსწყურებია ლალი, თავისუფალი განახლებული ცხოვრება; ძველის სიღიადით გაბრწყინვებული, ახალის სულისა და აზრით გაცისკროვნებული, ვითა ჩვენს ერს, ჩვენს სამშობლოს და ისე, როგორც ყველა ერს და ყველა ქვეყანას სწადიან უკეთესი მომავალი“².

ანდა: „ელოდნენ, ელიან და კვლავ ექნებათ მოლოდინი. რა დააშრობს იმათ გულში იმ მოლოდინის ზღვას, არა იქვს იმას ბოლო, არც დასასრული, როგორც ღვთაებას“, — და ისე, როგორც ქართველი ერის იმედსა და მოლოდინს, — დავუმატებთ ჩვენ“³.

ი. ვართაგავამ სამშობლოს სიყვარული ვაჟა-ფშაველას პოეზიის უმკვიდრეს საფუძვლად მიიჩნია. კრიტიკოსის სიტყვით, — „ის უმაღლესი ძალა, რომელიც ააზროვნებს, ამაღლებს და ასალკლდევებს ვაჟას და მის შემოქმედებას, სამშობლოს სიყვარულია“⁴. ი. ვართაგავა აღნიშნავს, რომ პოეტი უღრმესი და უფაქიზესი განცდებითაა დაკავშირებული თავის ქვეყანასთან და ამ უკანასკნელის უბედობა მის პირად ტრაგედიად ქცეულა:

„ეს სიყვარული იმისთვინაა ასე მძლავრი და ინტენსიური, რომ ერის ტანჯვაშია ჩასახული, ნაშობი და ამ ტანჯული ერის ოვიძლი შვილის გულშია აღზრდილი და მონათლული. ცნობილია, რომ ლალი, მოდღესასწაულე, გაფერადებული ეროვნული სიყვარული იმდენად არ არის მუდმივი, უცვლელი და მთელი არსების შემქვრელ-შემბაჭველი, როგორც სიყვარული დევნილი და შეურაცხოფილი. თუმცა ამ უკანასკნელს სიყვარულს მეტი ტანჯვა და სევდა

¹ კ. აბაშიძე, ეტიუდები, II, გვ. 216.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 214 — 215.

⁴ ი. ვართაგავა, „სიმღერა მთის შვილის — ვაჟა-ფშაველის“, კრიტიკული წერილები, I, გვ. 48.

თანსდევს, ვიდრე სიამოვნება და სიხარული, მაგრამ მით შეპყრობილი ადამიანი მაინც მისი მონატრული და მაღმერთებელია“¹ ქართული კიბერის მიზანისათვის განვითარება და განვითარება მომავლის მიზანისათვის განვითარება და მაღმერთებელია“²

ი. ვართაგავამ ფართო ასპექტში განიხილა ვაჟას პატრიოტული გრძნობა: ვაჟას მიმართება წარსულთან, „ფიქრი-ზრახვა“ სამშობლოს აწმყობზე და „ფიქრი-იმედი“ საქართველოს მომავლისა.

კრიტიკოსის სიტყვით, ვაჟა საქართველოს წარსულში მხოლოდ გმირობასა და სამშობლოსათვის თავდადებას ხედავს: პირადი კეთილდღეობის გაწირვა საქვეყნო საქმისათვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ძველ ქართველს რაინდული სული ახასიათებდა. ორმა ეროვნული გრძნობა და შეგნება გამოვლინდა საქართველოს ისტორიის მთელ მანძილზე. საილუსტრაციოდ ი. ვართაგავას ვრცლად მოაქვს მასალა მწერლის შემოქმედებიდან, ხოლო საგანგებოდ ახასიათებს „ძველ გმირთა ტიპებს ვაჟას პოეზიაში“ (გოგოთური, ალუდა, სანათა, ლელა, კვირია...). დასასრულ კრიტიკოსი დაასკვნის: „ვაჟას პოეზიასაც უმთავრეს მიზნად ის დაუსახავს, რომ ლამაზად, წარმტაცად და სიყვარულით გამოაქანდაკოს, გააშუქოს და უკვდავების სული შთაბეროს ძველი ქართველის სახეს, თვით დატკბეს მისი წარმოდგენით და ცხოვრების სინამდვილით გულნატკენი და დაჩაგრული ქართველიც ასიამოვნოს, დროებით მაინც ოცნების სიტკბოებით დაათროს. აღწევს კიდეც მგოსანი თავის მიზანს: ჩვენ ჭეშმარიტად ვტკბებით მათი ცეკვით და წარმოდგენით და მხნედ ვამბობთ: არ უნდა მოკვდეს ის ერი, რომელსაც ასეთი შვილი ჰყოლია და რომლის შვილს — პოეტს ასე გენიალურად მოუხერხებია მათი გაცოცხლება-განხორციელება“³.

ი. ვართაგავა იმასაც აღნიშნავს, რომ ვაჟას მიერ შექმნილი ძველი გმირები „უსიცოცხლო იდეალიზაციის“ ნაყოფი არ არიან, არამედ „ისინი არიან შესაძლებლობის განხორციელება, კერძო შემთხვევათა, კერძო მოვლენათა, კერძო პიროვნებათა განზოგადება, გატიბიურება; ისინი არიან ცხადყოფა, ხორციელება იმისი, რითაც სულდგმულებს მგოსანი, რაც შეადგენს მის სანეტარო ოცნებას, რასაც გარს ევლება მთელი მისი შემოქმედება და რაც აცოცხლებდა და რაც დღესაც აცოცხლებს მრავალტანჯულ საქართველოს“⁴. ვაჟამ, რა თქმა უნდა, ისიც იცის, რომ ძველ საქართველოში, არც თუ იშვიათად, ადგილი ჰქონდა ღალატს, შურს, ანარქიას, ჩაგვრასა და პიროვნული ინტერესების წინ წამოწევას, მაგრამ ვაჟა მაინც

¹ ი. ვართაგავა, „სიმღერა მთის შვილის — ვაჟა-ფშაველისი“, კრიტიკული წერილები, I, გვ. 48.

² იქვე, გვ. 89.

³ იქვე, გვ. 91.

მართალია, როდესაც თავისი გმირების „...საარაქო“ საქმეთა ფრ
მოქმედებათა მოწმედ გვხდის, რაღანაც ის, როგორც მხატვარი ფრ
ერის სულის თვით საუკეთესო გამონაშუქი, მშობელი ერმაკი უკანასკნელ
რებაში უმთავრესად ეძებს მისი ზოგადი და ნიშანდობლივი თვი-
სებების გამომჟღადვნებას და არა შემთხვევით, უძლეველ გარემო-
ბათაგან გამოწვეულ ვითარებებს... მგოსანი, მხატვარი ისტორიკო-
სი როდია. ამისთვის მას ჩვენ ვერ დავავალებთ ისტორიული ფაქ-
ტების უცვლელად აღნუსხვას, გადმოცემას, ნამდვილ ისტორიულ
მოვლენათა და პირთა ფოტოგრაფიულად, უცვლელად გადაღებას”¹.

მაგრამ რამდენადაც ვაჟას აღაფროთვანებს წარსული, იმდე-
ნად გულს უკლავს აწყვო თავისი ქვეყნისა. წარსულის დიდების
ფონზე თანამედროვე საქართველო ერთობ დაბეჭავებულია. ერე-
კლების, ალუდების, გოგოთურების მაგივრად საქართველოს მო-
ევლინენ რეზონიორები და რენეგატები, — „ნაცვლად ქეტივობისა,
შეგნებული და შეუჩერებელი ენერგიული მუშაობისა და მოქმე-
დებისა, ამ ვაჟაბატონებს ცხოვრებაში შეაქვთ მხოლოდ გახრწნა და
განხეთქილება, დამლუპველი თეორეტიზმი და კოსმოპოლიტობა“.

ი. ვართაგავას აზრით, ეს ეროვნული ტრაგედია, საქართველოს
დაცემა და დაუძლურება სიმბოლურად გამოხატულია ლექსებში
„არწივი“ და „ბებერი ლომი“.

რაც შეეხება საქართველოს მომავალს, ვაჟა მასაც „ფიქრ-
შეცყურებს. მაგრამ ეს არ არის უიმედობის გრძნო-
ბა. „მართალია, ბუნდოვანი და გამოურკვეველია, პოეტის აზრით,
მომავალი გზა და ბედ-იღბალი ქართველი ერისა; გადაწყვეტით ვე-
რავინ იტყვის, როგორ და როდის მოხდება მისი „ფენიქსებრ განა-
ხლება“, — მაგრამ, კრიტიკოსის სიტყვით, ვაჟა მომავლის რწმენას
არ კარგავს. პოეტმა იცის, რომ დიდი ტანჯვისა და ბრძოლის გზაა
გასაცლელი, ვიდრე სასურველი. მომავალი დადგებოდეს. კ. აბაში-
ძის მსგავსად, ი. ვართაგავასაც მიაჩნია, რომ ეროვნული ტენდენცია
ვაჟამ მკვეთრად გამოხატა ლექსში „ქლდე და მდინარე“ და თავის
„სიმბოლურ პროზაში“, კერძოდ კი ისეთ შედევრში, როგორიცაა
„მთანი მაღალნი“. ყოველივე ეს კრიტიკოსს უფლებას აძლევს და-
ასკვნას: „მიუხედავად იმისა, რომ საკითხი საქართველოს მომავა-
ლი ბედის შესახებ პრობლემატიური ხასიათისაა და გამოურკვევე-
ლია, ვაჟა მაინც მხნეობს: გონების მშრალს და მეტას შეხედულე-
ბას და დასკვნას ლაგმავს, ფანტაზიას და გულისთქმას კი, პირიქით,
ფრთას ასხამს და მომავალს ბრწყინვალე სახით გვისურათებს...“².

¹ ი. ვართაგავა, კრიტიკული წერილები, II გვ. 91.

² ვ გვ. გვ. 104.

„ქართველი ერის რომელ ელემენტებზე ამყარებს მგლსანი თავის იმედს?“ — კითხულობს კრიტიკოსი, — „სად ამჩნევს, საჭიროებული ულობს ის სასიცოცხლო ძალას, ღონეს? რომელი კლასი მიაჩნია მას მომავლის საძირკვლად, ქვაკუთხედად? — საზოგადოდ მშრომელი ხალხი, კერძოდ — გლეხობა და გათვითცნობიერებული და მშრომელი სოფლის თავადაზნაურობა. მართალია, ვაჟამ იცის, რომ დღევანდელი იდეალი ქართველი მუშა-გლეხისა „ფეხმოკლე და ფრთა შეკვეცილია“, რომ მას გონება თითქმის დაბნელებია: „აღარ სწადიან ფიქრი, სჯა, მოსაზრება“, მაგრამ მას მაინც გლეხი მიაჩნია დედაბოძად ეროვნებისა, რადგანაც, მისი აზრით, „დიდი ძალა აქვს სოფელსა; თუ მოინდომა მტერს მალე ყირაზე გადაატრიალებს“. ოღონდ ის კია, რომ „ხელახლად მოსანათლავია სოფლის გონება, და მონათვლით კი მაშინ მოინათლება, როდესაც სოფელს აზრი ესტუმრება, სხვა აზრი, გარდა გაძლომისა“¹.

რა მონაწილეობას მიიღებს ამ პროცესში, ხალხის გათვითცნობიერებაში ჩვენი „დიპლომიანი“ ინტელიგენცია? კრიტიკოსის სიტყვით, ვაჟას მათი იმედი არ აქვს და ისინი არ მიაჩნია ახალი დროის „ერისთავებად“.

ვაჟა საქართველოს მომავლის იმედს „დროთა სვლაზე, წელთა სვლაზე“ ამყარებს, — „მხოლოდ რა კონკრეტულ ნაყოფს მოუტანს საქართველოს ეს „დროთა სვლა, წელთა სვლა“, რა სახეს მიიღებს მისი მომავალი, ეს, სამწუხაროდ, ვაჟას თვითონაც არა აქვს ნათლად გარევული, წარმოდგენილი. მან ვერც პოეზიაში და ვერც პროზაში ვერ შემოხახა საზღვრები საქართველოს მომავალი ყოფა-მდგომარეობისა, ვერ შეჰქმნა, — ფანტაზიის წყალობით მაინც, — ამ მომავლის სახე. მისი ფიქრ-იმედები ჩვენს მომავალ ბეღზე უპერსპექტივოა; ამ საგანზე მას არა აქვს არც მეცნიერებაზე დამყარებული და არც უტოპიური ხასიათის მაინც პოლიტიკურ-სოციალური მთლიანი თეორია“².

ი. ვართავას აზრით, ეს ნაკლი დამახასიათებელია მთელი ჩვენი მხატვრული ლიტერატურისათვის; არც ერთ მწერალს, — „გარდა ილიასი, ვერ შეუქმნია და ვერ შეუმუშავებია სრული და მთლიანი იდეალი სასურველი მომავლისა, — ვიმეორებთ და ხაზს ვუსეამთ, სრული და მთლიანი თეორია“.

ილიამაც ეს თეორია, ეს იდეალი შეჰქმნა არა როგორც პოეტია-მხატვარმა (თუმცა სცადა „ოთარაანთ ქვრივში“), არამედ

¹ ი. ვართავა, კრიტიკული წერილები, 1, გვ. 104 — 105.

² იქვე, გვ. 106 — 107.

როგორც პუბლიცისტ-ფილოსოფოსმა¹. ვაჟამ კი „ვერ მოახორხა თავისი იმედებისა და წინასწარმეტყველური განჭვრეტის ქონკლე-ტულ ფორმებში ჩამოსხმა... და ეს იმიტომ, რომ ერის მომადგრე ყოფა-არსებობის და წესწყობილების წარმოდგენა და გამოხატვა მარტო ინტუიციით და მხატვრული განსჭვრეტით ძნელია, თითქმის შეუძლებელია. აյ საჭიროა ღრმა ფილოსოფიური და სოციალური აღმშენებითი. ნიჭი. ამ უკანასკნელი თვისებით კი ჩვენში დღემდის მხოლოდ ილია იყო დაჯილდოებული².

ეს არის ი. ვართაგავას ის თვალსაზრისი, რომელმაც ვაჟას ცნობილი პასუხი გამოიწვია. თვით პოეტმა გარკვევით განაცხადა: რომ მე არ მქონდეს „წარმოდგენილი მომავალი ჩემის ქვეყნისა ბრწყინვალედ“, კალამს ხელში არ ავიღებდიო. ვაჟამ ისიც აღნიშნა, რომ „თავისუფლება ისეთი მცნებაა, იმას ბევრი კომენტარიები არა სჭირდება“ და რომ „მაინც და მაინც წინ სირბილი და მომავალი ჩვენის ცხოვრების სურათის დახატვა არ არის საჭირო; ამისთანა შრომის შესრულება არავის გვირგვინს გენიოსობისას არ დაადგამს... მომავალიც იმისია, ვინც აწყოს მიზანშეწონილად ემსახურება“³.

ი. ვართაგავა უდავოდ ცდებოდა, როდესაც მოითხოვდა, რომ გარკვეული ეროვნული პროგრამა და თვალსაზრისი საქართველოს მომავალზე ყოფილიყო გამოხატული ვაჟას მხატვრულ ნაწერებში. ეს იმას ნიშნავდა, რომ ხელოვანს დავიწყნოდა მხატვრული შემოქმედების სპეციფიკა და პუბლიცისტიკის ენაზე დაეწყო საუბარი-ვაჟას ღირსება ისაა, რომ მან თავი დააღწია შიშველ ტენდენციურობას და კონკრეტულ მხატვრულ სახეებში, გრძნობად-ემოციურ ასპექტში გამოხატა თავისი იდეები, მისწრაფებები და ოცნებანი. რამდენადაც ამის ატანა მხატვრული შემოქმედების ბუნებას შეეძლო, ვაჟა-ფშაველამ სავსებით ნათლად და გარკვევით გაღმოგვცა თავისი ეროვნული და, საერთოდ, სოციალური იდეალები. ამიტომ, ამ თვალსაზრისით, გაცილებით სწორად ესმოდა ვაჟას შემოქმედების ხასიათი კ. აბაშიძეს, როდესაც წერდა: „ვაჟა-ფშაველამ დიდი

¹ ი. ვართაგავა, კრიტიკული წერილები, I, გვ. 107.

² იქვე.

³ ვაჟა-ფშაველა, „კრიტიკა ბ. ი. ვართაგავასი“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, IX, 1964, გვ. 369.

ი. ვართაგავას ეს წერილი, საკითხების დასმითა და ანალიზის ხასიათით, ერთ-ერთი საუკეთესოა ვაჟას შესახებ არსებულ რევოლუციამდელ კრიტიკულ ლიტერატურაში. ვაჟას შეკვეთ პასუხმა მისი კრიტიკოსის ეს სტატია ერთგარად გააუფასურა.

ცვლილება შეიტანა ამ მხრით ჩვენს პოეზიაში. მის პოეზიას შე-
რეული მოგონებაც კი არ ამჩნევია პუბლიცისტიკისა და პრესტიტუტული
კისა, მაგრამ უამისოდაც მრავალმნიშვნელოვანის აზრების აღმძვ-
რელია”¹.

ი. ფერაძე პირველი კრიტიკოსი იყო, რომელმაც საგანგებოდ
განიხილა ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“ და, ბუნებრივია, ყურად-
ღება გამახვილა ამ პოემის პატრიოტულ ტენდენციაზე. ი. ფერაძემ
აღნიშნა ვაჟას შემოქმედების უაღრესად ეროვნული ხასიათი, რომ
„პოეტი საქართველოს შვილია, ქართველი ერის ძე. ამის გამო იგი
სდგას უმთავრესად ქართულს ნიადაგზე და თვისს ღვთიურს ჩანგს
ამღერებს საქართველოს ლაუვარდოვანი და ხავერდოვანი ცის ქვეშ;
მის სხეულში მოქმედობს ქართველური სული, რომელიც თავისი
მისწრაფებით და სოფლმხედველობით შეკავშირებულია ქართველი
ერის სულიერს ბუნებაში ჩამალულს, მრავალ საუკუნეთა განმავ-
ლობაში შემუშავებულს სოფლმხედველობასთან“².

კრიტიკოსმა იმაზეც მიუთითა, რომ თვით მასალა, რომელსაც
იყენებს ვაჟა, აღებულია ან საქართველოს ისტორიიდან, ანდა ხალ-
ხური შემოქმედებიდან,—„ყოველს მათგანს, გარეგნობით მშრალს,
შთაბერა პოეტური სული“ და ამით კიდევ უფრო მეტად გამოხატა
თავისი ერის მისწრაფებანი და თავისებურებანი.

ი. ფერაძემ აღნიშნა, რომ პოემაში გატარებულია ეროვნული
ერთიანობის იდეა და, ამ მხრივ, პოემის შემეცნებითი მნიშვნელო-
ბა ძალზე დიდია, კრიტიკოსმა საკმაოდ დაწვრილებით დაახა-
სიათა „ბახტრიონის“ უმთავრესი პერსონაჟები: კვირია, ლუხუმი,
ზეზა, სანათა, ლელა, წიწოლა. კერძოდ, სანათას შესახებ მან აღ-
ნიშნა, რომ იგი „ქართველი ერის ისტორიული ცხოვრების მძიმე
პირობათა მეოხებით შემუშავებული ქართველი ქვრივის ტიპია“,
რომ „სანათა პოეტური სიმბოლოა წამებულის საქართველოსი“.
სამავიეროდ ლელა ახალი საქართველოს სიმბოლოა: „მაგრამ მტი-
რალი საქართველოს ნუგეშად შეგვიძლია ჩავთვალოთ ის გარემოე-
ბა, რომ მას, შავბედის მიერ გულგატეხილს, მტერთა დამარცხების
მონატრულს, ეზრდებოდა ახალგაზრდა ასული ლელა, რომელსაც
მემკვიდრეობით გადასცემია დედისგან სამშობლოს გულწრფელი,
შეგნებული სიყვარული. ლელა ასულია მომავალი, ახალი საქარ-

¹ კ. აბაშიძე, ეტიუდები, I წ., გვ. 216.

² ი. ფერაძე, „ბახტრიონი“, პოემა ვაჟა-ფშაველასი (კრიტიკული ესკიზი),
„ოერი და ცხოვრება“, 1915, № 20, გვ. 5.

თველოსი”¹. თავისთავად საინტერესოა ასეთი ინტერპრეტაცია კრი-
ტიკოსისა, მაგრამ, ცხადია, იგი ვაჟასეული გააზრების ფაქტურული
სცილდება.

ი. ფერაძემ პირველმა აღნიშნა, რომ გველის საქციელი ლუხუ-
შის მიმართ ამ უკანასკნელის მამულიშვილობის შედეგია, ლუხუშის
თავდადებამ სამშობლოსათვის მოხიბლა „ადამის მტერი“, — „მა-
მულისათვის თავის გაწირვას ხალხის გამოსახულება მაღლა აყე-
ნებს სხვა ყველა კეთილს საქმეზე... მისი მსგავსი კეთილი საქმე
სხვა არაა... და სწორეთ ამ სიკეთით უხვად შემკულს ლუხუშის თვით
გველი სცემს პატივს, მისი ზეგავლენით საზარელი ქვემძრომი იცვ-
ლის თავისს ბოროტებით სავსე ბუნებას და სიბრალულის გრძნობით
განიმსჭვალება“².

ი. ფერაძემ გაკვრით, მაგრამ მაინც აღნიშნა ერთი საგულის-
ხმო მომენტი, კერძოდ ის, რომ ვაჟამ მთისა და ბარის საქართვე-
ლოს საერთო ინტერესები დაგვანახა, ბარის ქართველობას მთიელ-
თა გულისტყივილი, მისწრაფებანი და თავისებურებანი გააცნო და
ამით ერთიანი საქართველოს იდეა კიდევ უფრო განამტკიცა: „მის
მიერ ჩაქსოვილი ქარასხაში სოფლის წყლული და ჭირი — უპირ-
ველესად საქართველოს წყლული და ჭირია... ამ წყლულის მოსარ-
ჩენად და ჭირის გასაქარვებლად მან აამდერა თავისი ქნარის სიმე-
ბი... ის მთის მწვერვალზე მდგარი გამოეხმაურა ბარის საქართვე-
ლოს... გააცნო მთის გულის ნადება, მთიელთა გარდმოცემანი, მათი
გრძნობანი და მისწრაფებანი, მათი როლი საქართველოს ისტორი-
ულს ცხოვრებაში პოეტურის სიმშვენიერით დაგვისურათხატა“³.

ე. ი. ვაჟამ გვიჩვენა, რომ მთის ქართველობას ბარის ქართვე-
ლობისაგან განსხვავებული ინტერესები არასოდეს ჰქონია და არც
შეიძლებოდა ჰქონოდა⁴.

¹ „თეატრი და ცხოვრება“, 1915, № 23, გვ. 7.

² „თეატრი და ცხოვრება“, 1915, № 22, გვ. 6.

³ „თეატრი და ცხოვრება“, 1915, № 24, გვ. 5.

⁴ მთისა და ბარის ინტერესების ერთიანობას ვაჟას შემოქმედებაში ყურად-
ღება მიაციეს სხვა კრიტიკოსებმაც (იხ., მაგალითად, შ. ა მირე ჭი ბი —
„ვაჟა-ფშაველა“, გაზ. „სამშობლო“, 1915, № 141), განსაკუთრებით საინტერე-
სოა ამ მხრივ ეპისკოპოს ლეონიდის სიტყვა, ვაჟას დასაფლავების დღეს წარ-
მოთქმული: „ეს დიადობა ვაჟასი ორმაგლება იმ გარემოებით, რომ ვაჟასაგან
შეყვარებული ხევსური თუ თუშ-ფშაველი იგივე ქართველია სულით და გულით,
ვაჟას მთიელიც იმასვე ეტრფის და შენატრის, რაც სანატრელია ყოველი პა-
ტიოსანი ქართველისათვის, ვაჟას გმირებსაც ის უხარიანთ და ის ადარდებთ,
რაც ახარებს, ან რაც ადარდიანებს ქართველი ერის ნამდვილ გმირებს. ვაჟა


ეს ის მხარეა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისა, რომელსაც ზოგიერთმა თანამედროვე მკვლევარმა საგანგებო ყურადღება ამითაც დადგინდა ცია და მწერლის განსაკუთრებულ დამსახურებად, მისი მაღალი ეროვნული შეგნების გამოხატულებად მიიჩნია. კერძოდ, გრ. კიქ-ნაძე აღნიშნავს: „ვაჟა-ფშაველას შემოქმედების თვალნათლივი შედეგი იმაში მდგომარეობდა, რომ ამ კუთხის მცხოვრებთა ყოფა და ხასიათი მტკიცედ დაუკავშირდა ჩვენი ქვეყნის წარსულს, მის აწმყო ვითარებას და ქართველი ხალხის სანუკვარ იღეალებს. საქართველოს ბარისა და მთის მცხოვრებთა ერთიანობაზე აქამდე ბუნდოვან წარმოდგენას ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში სრულიად გარკვეული, ყველასათვის ნათელი და დამარტმუნებელი სახე მიეცა. ვაჟა-ფშაველამ ისე გაიაზრა და ასახა მთიელთა ცხოვრება, რომ აშკარა გახდა მათი განუწყვეტელი კავშირი მთელი ქვეყნის საარსებო ინტერესებთან. კერძოდ, ვაჟა-ფშაველამ გვიჩვენა, რომ ქართველი მთიელების სულისკვეთება შერწყმულია საქართველოს სხვა კუთხეების მცხოვრებთა საბრძოლო იღეალებთან, რომ მთაც ბართანაა და მასთან ერთად, ილია ჭავჭავაძის თქმისა არ იყოს, „ერთს ფიქრსა ფიქრობს“. ეს ნიშნავს, რომ ძალიან დიდი იყო და არის ვაჟა-ფშაველას შემოქმედების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა ქართველი ხალხის ეროვნული ერთიანობის ჩვენების თვალსაზრისით“¹.

თავის მეორე წერილშიც — „გოგოთურ და აფშინა“ — ი. ფერაძემ ხაზგასმით აღნიშნა ვაჟა-ფშაველას პატრიოტული გრძნობის სიღრმე და მიუთითა, რომ ეროვნული შეგნების ამაღლების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ მწერლის გმირებს:

„მეოცე საუკუნეში მთიელთა წარსული დროის გმირების დასურათხატება ვაჟას მიერ, შეიძლება ზოგიერთს ეჩვენოს არა სასურველ მოვლენად... შესაძლოა ზოგმა სთქვას, რომ ეს გმირები ნაკლებ პროგრესული არიან, ჩვენ ისინი მისაბაძს მაგალითებად ვერ გამოგვადგებიან. ეს მართალია პირველი შეხედვით. მაგრამ თუ დავაკირდებით უფრო ღრმად, ვაჟას ძველ გმირებში ძლიერი სული ტრიალებს, ღონიერი მაჯა სცემს, კეთილშობილური გული სძეგრს. მათნი მისწრაფებანი უმაღლესის კეთილშობილურნი არიან, მისაბაძნი კულტურით თავმომწონე დღევანდელ ქართველთათვის.“

შირისუფალია ქართველი ერისა და არა რომელიმე თემისა, სამშობლოს რომელიმე კუთხისა, განსაზღვრული ხევისა. ვაჟა „შინა სოფლისა“ და ეს სოფელი მას ესმის მთელ საქართველოდ“ (გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915, № 350).

¹ გრ. კიკნაძე, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, გვ. 7.

ცხვრის ტყავით მოსილი და წუღა-ქალამნიანი მთიელი ამ  ზში კულტუროსანი ქართველის მოძღვარი ჩანს. მას უმოქმედობების სივაჟეკაცეს, გაჯანსაღებას, სამშობლოს მიწის და თავისუფლების სიყვარულს, სიამაყეს, თავმომწონეობას, მონობის წინაშე ქედმოუხრელობას... საქართველოს პოლიტიკური ბედის ცვლილებამ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ღრმად დააღონა მთიელნი, მაგრამ ვერ მოუკლა მათ ტრფიალება თავისუფლებისაღმი. დღესაც მთიელი გულ-მაგარია, მედიდურად სდგას თავის ალაგს და იმედით შეს-ცქერის ცას... ის ნაკლებ გადასხვაფერებულია უკულმართი დროის ხელით, ნამდვილი ძველი ქართველია, რომლის საღი მსჯელობისა და თავისუფლებით მოსილი მსოფლმხედველობის საძირკველზე უნდა აშენდეს საქართველოს მყობაღის შენობა... ამ მხრით რომ გავსინჯოთ, ვაჟას გმირებს აქვსთ სააღმზრდელო მნიშვნელობა იმ ქართველთათვის, რომელთაც უკულმართმა დრომ თავისი გამათახირებელი დაღი დაასვა”¹.

ი. ფერაძემ ხაზი გაუსვა ვაჟა-ფშაველას არა მარტო ღრმა პატრიოტულ გრძნობას, არამედ მომავლის რწმენასაც, ეროვნულ ოპტიმიზმს და ეს კრიტიკოსის უდავო დამსახურებაა.

ღ. კასრაძე ვაჟა-ფშაველას პატრიოტულ გრძნობას უპირატესად ორი პოემის მაგალითზე („მოხუცის ნათქვამი“, „ბახტრიონი“) ახასიათებს. მასაც მიაჩნია, რომ ვაჟა წარსულს მიმართავს, რათა თანამედროვეებში გმირული სული გააღვივოს: „მთელი ჩვენი მოშავალი ვაჟამ ამ რომანტიულ ნიაღაზე ააშენა, აქ ეძებს იგი ხსნას, აქედან ლამობს სიცოცხლის ნერგი მოგვთავაზოს გადაგვარებულთ, ჩაგვბეროს მივიწყების საპირის მიმართ მოფრიალე მამა-პაპათა ძლიერი სული და მით გვალირსოს ახალი განთიადი, ახალი სიცოცხლის დასაწყისი. ულრმესი თაყვანისცემა ჩვენს ისტორიის დამამშვენებელთა სახელების წინაშე, როგორიც არის თამარი, ანუ ერეკლე, მას კერპამსახურად ჰქიდის. შეუძლებელია ამ დროს თქვენ არ გაინაწილოთ მისი ზეაღმაფრენი გატაცება, შეუძლებელია თუნდა ურწმუნო თომას სამოსელი წუთით მაინც უკუ არ აგდოთ და მგოსნის აღტაცებას თქვენი სიამოვნებაც არ დაურთოთ“².

¹ ი. ფერაძე, „გოგოთურ და აფშინა“, პოემა ვაჟა-ფშაველასი, (კრიტიკული ესკიზი), „თეატრი და ცხოვრება“, 1915, № 40, გვ. 6.

² ღ. კასრაძე, ვაჟა-ფშაველა (ესკიზი), გაზ. „საქართველო“, 1915, № 60.

ვაჟას გმირები — ლუხუმი, ზეზვა, ხოშარეული, კვირია ტიტა-
ნებად, ღმერთკაცებად გვეჩენებიან, ესენი ზღაპრული გმირების გვა-
არიან, რომელთა წარმოშობა მხოლოდ მთას შეეძლო, ხოლო სანა-
თა „ქართლის დედის“ ტანჯული სახიერებაა“.

დ. კასრაძის სიტყვით, ვაჟას მთელი პოეტური ენერგია სამშო-
ბლოს კეთილდღეობისაკენაა მიმართული — „ვაჟას ფიქრის „სახა-
ტე“ მხოლოდ მისი სამშობლოა, საქართველოა მისი ხსნა. ისე ჩანს,
თითქოს მას ამას იქით სხვა საზრუნვაი, სხვა რამ საფიქრებელი არა
აქვს რაო“.

სამშობლოზე ფიქრმა „წელში გაპლუნა ჩვენი მგოსანი. ერთხა-
ნად უიმედობის ვულკანმაც კი იფეთქა მის გულში. ეს მოხდა მაშინ,
როდესაც სინამდვილეს ჩაუკვირდა და მის რომანტიკულ გატაცე-
ბას ფრთა შეეკვეცა. იგი დარწმუნდა, რომ გმირნი, ვისაც იგი დღე
მუდამ უყიოდა, მხოლოდ ძველ რაინდთა აჩრდილნი არიან“. პოე-
ტის სულში კაეშანმა დაისადგურა. არავინ იფიქროს, რომ ეს პირა-
დული უბედობის შედეგია, არა, — „მისი საგონებელი ისევ „ბახ-
ტრიონის“ აღებაა“. უბედურება კი ის არის, რომ ვაჟა უშრეტ ძა-
ლებს გრძნობს თავის თავში, იგი მზადაა თვით ტიტანებს შეებრ-
ძოლოს, მაგრამ მისი ბედი ამირანის ბედს დაემსგავსა. ეს არის
სათავე ვაჟას ტრაგედიისა. მაგრამ კრიტიკოსს ვაჟას დიდ ღირსე-
ბად ის მიაჩნია, რომ პოეტი „სულით არ ეცემა“ და მას უსასოო
პესიმიზმი არ ეუფლება. როგორც მოხდენილად შენიშნავს დ. კას-
რაძე, — „მისი პესიმიზმი ჯანსაღი პესიმიზმია!“. ვაჟა არავითარ
კომპრომისზე არ მიდის, „ბილწებს არ შეეკვრება ზავითა!“ იგი
ყოველგვარ განსაცდელს გაუძლებს, ოღონდ იპოვოს გზა „ბახტრი-
ონის“ დაქცევისა და „ტურფა ეთერის“ განთავისუფლებისა.

ვაჟა-ფშაველას პატრიოტულ გრძნობაზე მიუთითა სიმონ ხუნდა-
ძემ თავის ორ წერილში. მანაც აღნიშნა, რომ პოეტი ერის სულიერი
ცხოვრების ულრმეს ფენებს სწვდა და თავის შემოქმედებაში ერის
ტკივილები და მისწრაფებანი გამოხატა. ვაჟამ ღრმად განიცადა
„მშობელი ერის ბედი და უბედობა“. ვაჟა მებრძოლი მამულიშვი-
ლია, რომელიც თავის ქვეყანას იცავს და სხვას არ ეცილება სამშო-
ბლოს¹.

ასე დაახასიათა ვაჟას პატრიოტიზმი სიმონ ხუნდაძემ. კრიტიკო-
სის სიტყვით, ვაჟა თავისი ქვეყნის ბედითა და უბედობით ცხოვრობს.
იგი ფიქრობს სამშობლოს მომავალზე. ვაჟა დასტირის „დარღვეულ

¹ სიმ. ნარდიონი, ვაჟა-ფშაველა, სალიტერატურო შთაბეჭდილებანი,
ვაზ. „სამშობლო“, 1915, № 144.

ოჯახს“ და მთლიან საქართველოს ეძებს. ასეთი საქართველო
არ არსებობდა აწყოში და პოეტმა წარმოსახა იგი —  მან
შექმნა ოცნებით საქართველოს განახლებული სახე... სამჯეროდაც
რად დიდი მგოსანის სტიქიურმა ბუნებამ წინ გაუსწრო მშო-
ბელი ერის დარღვეულსა და გაპარტახებულ მდგომარეობას
და თავისი მძლავრი ფანტაზიის ღვთიურ სამეფოში შექმნა
გამრთელებული, განახლებული და გამშვენიერებული სახე მშობე-
ლი ერისა...¹.

ვაჟა უხმობდა თავისი ერის შორეულ განთიადს, მას სწამდა
სამშობლოს მომავალი და ამ ჩრდენით მოკვდა იგი, — ასეთია და-
სკვნა სიმონ ხუნდაძისა.

ქართული კრიტიკის უეჭველი დამსახურებაა, რომ მან ვაჟას
სიცოცხლეშივე გაარკვია მწერლის პატრიოტიზმის ხასიათი. ჩვენმა
კრიტიკამ აღნიშნა, რომ ვაჟას პატრიოტული გრძნობა მეტად ღრმაა
და იგი დაკავშირებულია საქართველოს წარსულთან, აწყოსთან და
მომავალთან. მწერალი გამოდის მთლიანი საქართველოს სახელით
და იგი მთისა და ბარის ერთიან, განუყოფელ ტკივილებსა და მის-
წრაფებებზე მიუთითებს მკითხველს. ვაჟასდროინდელი ქართული
კრიტიკის დამსახურებაა, რომ არც ერთ მის წარმომადგენელს არ
ულაპარაკნია ვაჟას კუთხურ ინტერესებზე და ამით ვაჟას შემოქმე-
დების, კერძოდ კი მისი პატრიოტიზმის დიდი ეროვნული მნიშვნე-
ლობა არ დაუკნინებია. ვაჟას სიცოცხლეშივე მიუთითა ქართულმა
კრიტიკამ, რომ პოეტის პატრიოტულ გრძნობას მომავლის იმედი
ასაზრდოებს და ვაჟას არასოდეს შეუწყვეტია ბრძოლა სამშობლოს
უკეთესი მომავლისათვის. ვაჟას პატრიოტიზმი სხვა ხალხთა ეროვ-
ნული გრძნობის პატრივისცემაზეა დამყარებული და თავისი ქვეყნის
მომავალი ბეღნიერება მას არასოდეს დაუმკვიდრებია სხვათა ერ-
ოვნულ უბედურებაზე.

პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის საკითხი

ვაჟასდროინდელ ქართულ კრიტიკას განსაკუთრებული ყურა-
დლება არ მიუქცევია პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთო-
ბის საკითხისათვის (რაც ბოლო დრომდე გაგებული იყო როგორც
მხოლოდ პიროვნებისა და თემის ურთიერთობის პრობლემა ვაჟას

¹ ს. ხუნდაძე, მთების ამაყ შეილის ვაჟას ხსოვნას, გაზ. „სამშობლო“, 1915, № 147.

შემოქმედებაში). ამ მხრივ გამონაკლისს წარმოაღენს ი. ვართაგავა, რომელიც „ალუდა ქეთელაურის“ მაგალითზე შეეცადა შეატყობინა მიზეზები პიროვნებასა და საზოგადოებას შორის წარმოშობილი კონფლიქტისა¹.

ამ კონფლიქტის დასაწყისს ი. ვართაგავა ჰქედავს ალუდას საქციელში, როდესაც ამ უკანასკნელმა „მუცალს მარჯვენა არ შეაჭრა მისი განსაკუთრებული და სამაგალითო ვაჟკაცობისათვის, — იმ სულგრძელობისა და შერიგებისათვის, რომელიც მან სიკვდილის წინათ გამოიჩინა“. კრიტიკოსის სიტყვით, — „ალუდას საქციელში გასაკვირველი და უჩვეულო ის არის, რომ მან უარპყო მამაპაპათაგან დაკანონებული და უტყუარად მიჩნეული ჩვეულება — არ მოსჭრა მოკლულ მტერს მარჯვენა და სასახელო ტროფეიად არ წაიღოთვის თემში სახელისა და პატივის კიდევ უფრო გასაღილებლად“². დაიწყო დიდი სულიერი კრიზისი, დაიმსხვრა ძველი ჩწმენა და შეხედულება. თვით ალუდას სიზმარი, ი. ვართაგავის აზრით, სიმბოლური ხასიათისაა და გვიჩვენებს, რომ „...ალუდა მთელი თვისი არსებით წინააღმდეგია სისხლის ოვრისა, „კაცის ხორცის ჭამისა“, და თუ ჯერ კიდევ საბოლოოდ ვერ ამხედრებულა ამ „ხევსურთ შვილებისაგან“ სათნოებად მიჩნეული საქციელის წინააღმდეგ, — გულში მაინც სთვლის მას ისეთ „უშსგავს, შაჩვენებულ“ აქტად, რომელიც მას „ზარავს“³. ალუდამ დასძლია ის, რაც მას ტრადიციის სახით ამძიმებდა. მან ყველა აღამიანი, განურჩევლად რჯულისა და მოდგმისა, აღიარა სიყვარულის ღირსაღ, — „როგორც ცნობილია, უუშმინდეს გრძნობად რელიგიური გრძნობა და განცდა ითვლება. ალუდას განახლებულ გრძნობა-გონების ნაყოფი — მსოფლშედველობის გამოცვლაც რელიგიურ ფორმაში გამოიხატა“⁴. ი. ვართაგავის მიაჩნია, რომ ალუდას მიერ კურატის შეწირვა მუცალის სულის მოსახსენებლად, ეს არის რელიგიური შემწყნარებლობისა და დიდი კაცომოყვარული გრძნობის გამოხატვის აქტი, და „იმ დროს, როდესაც „განათლებულნი“ ევროპიელნი დღესაც, მეოცე საუკუნეში, სინდისის მხილებისაც არ განიცდიან არამცთუ შორეულ მტრის, არამედ ღვიძლი ძმების სისხლის დაღვრისათვის“, ხევსურეთის მიყრუებულ კუთხეში „გაუნათლებელი“, „უკულტურო“.

¹ ცხადია, ჩვენ მხედველობაში არ ვიღებთ ზოგიერთი კრიტიკოსის გავრით გამოიქმედ შეინშვნებს, ანდა „ალუდა ქეთელაურისა“ და „სტუმარ-მასპინძლის“ შინაარსის გადმოცემას (კ. აბაშიძე, ა. ხახანაშვილი და სხვ.).

² ი. ვართაგავი, კრიტიკული შერილები, I, გვ. 67.

³ იქვე, გვ. 72.

⁴ იქვე.

ალუდა, ბავშვობიდან ომსა და სისხლისღვრას მიჩვეული, უჩვეულ-
ლო ადამიანურ ლიტერატურას ამეღავნებს, ძმობისა და სიყვარულის
მქადაგებლად გვევლინება. კრიტიკოსის სიტყვით, ვინც შაქართვეუ-
ლოს ისტორიასა და კულტურას იცნობს, მისთვის ეს გარემოება
არც იქნება მოუღოდნელი, რადგან „როგორც ალუდა, ძველი ქარ-
თველიც უპირველეს სათნოებად სთვლიდა გმირობას, ვაჟკაცობას
და ამ თვისებებს მტერშიაც დიდად აფასებდა; როგორც ალუდა,
ქართველი კაციც შურით და სიძულვილით არ იყო აღვსილი სხვა
ერთა წარმომადგენლებისადმი; როგორც ალუდა, ქართველი კაციც
არ იყო არასდროს სარწმუნოებრივ ფანატიკოსობით გაედნენთილი:
ის ყოველთვის იჩენდა სარწმუნოებრივ სფეროში დიდსულოვნე-
ბას, შერიგება-შეთანხმებას და პატივისცემას“¹. ი. ვართაგა-
ვა დაბეჭითებით აღნიშნავს, რომ ალუდა სინამდვილიდან აღე-
ბული სახეო, იგი ეროვნული ხასიათია და ძალზე ტიპიუ-
რიც, — „ალუდა ნამდვილი განხორციელებაა ძველი ქართვე-
ლისა — მისი ვაჟკაცობისა, დიდსულოვნებისა, ღრმა და შეგნე-
ბული მორწმუნეობისა“. ამავე დროს ალუდა ზოგადსაკაცობ-
რიო ტიპია, — „საუცხოო მსოფლიო ტიპი, ქართულ ისტორი-
ულ-კულტურულ ნიადაგზე დაბადებული და გაზრდილი, და-
ვისატა ვაჟამ თავის უკვდავი გმირის ალუდა ქეთელაურის სახე-
ში. საპატიო და სასახელო ჩვენთვის ის არის, რომ ეს მსოფლიო
გმირი ჩვენი ერის, ჩვენი მთების ნამდვილი ღვიძლი შვილია: მთის
უწოდვა მას ძუძუ „ლალიან-ბარაქიანი“². ალუდა ზოგადსაკაცობრიო
ტიპია, რადგან მის აზროვნებასა და გრძნობას ახასიათებს „ისეთი
რამ ზოგადი, საკაცობრიო ფიქრ-ზრახვა და განცდა-დაკვირვება,
რომელიც მოეთხოვება მსოფლიო ტიპს, როგორც ადამიანის ღირ-
სეულს და იშვიათს წარმომადგენელს“³.

ალუდამ დიდი მსხვერპლი გაიღო თავისი რწმენის საფასუ-
რად. იგი თემმა მოიკვეთა, მაგრამ „ამ უკანასკნელ საბედისწერო
მომენტშიაც ალუდა ნამდვილი გმირია — გმირი გონებით მაღალი
და გრძნობით სპეტაკი. საზოგადოების ულმობელობამ, მისმა სიმ-
კაცრებ და პირადი უბედურების სიმწვავებ ვერ შეურყია გმირს
გულის სიმშვიდე, ვერ შეაძლეს ის, რაც წინათ უყვარდა; ვერ
აღმოუფხვრეს პატივისცემა იმისა, რასაც წინათ პატივსა სცემდა.
სამშობლო მიწა-წყალი, თემი, „დიდი ბატონი“ — ყოველივე ეს

¹ ი. ვართაგავა, კრიტიკული შერილები, I, გვ. 74.

² იქვე, გვ. 65.

³ იქვე.

ჭვლავ წმინდა და სასიამოვნო მოსაგონებელ საგნად დარჩა სამშობლოს ბლოდან გაძევებულ, თემის სიმკაცრით განწირულ და „დიდი ბრძოლის“ მსახურიდან დაწყევლილი ალუდასათვის“¹.

შეიძლება ითქვას, რომ ი. ვართაგავაშ არსებითად სწორად გაარკვია ალუდას ხასიათი და ძირითადად მართებულად დაახასიათის კონფლიქტი, რომელიც პიროვნებასა და საზოგადოებას შორის წარმოიშვა. ალუდას ტრაგედიის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის აღიარებით კრიტიკოსმა თითქოს ერთგვარად გვერდი აუარა იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ეს კონფლიქტი მხოლოდ თემისა და პიროვნების ურთიერთობის ფარგლებში იყო საძიებელი. მართლია, ი. ვართაგავა თავის ნარკვევში არ ლაპარაკობს, რომ ეს წინააღმდეგობა პიროვნებისა და საზოგადოების კონფლიქტის ხასიათს ატარებს და იგი ყველა საზოგადოებრივი ფორმაციისათვის არის დამახასიათებელი, მაგრამ, განსხვავებით მომდევნო ხანის სხვა მკვლევართაგან, კრიტიკოსი დაბეჭითებით არსად არ ლაპარაკობს მაინცდამაინც თემისა და პიროვნების ურთიერთობაზე².

მაშა პესიმისტი თუ დეფოცენის მომღერალი?

ბევრმა კრიტიკოსმა აღნიშნა სევდის მოტივი ვაჟა-ფშაველას პოეზიაში. ი. გომართელი წერდა, რომ „მთელი ჩვენი პოეზია, ბარათაშვილიდან მოყოლებული დღემდე, ბრჭყალით უპყრია სევდასო“ და „თუ წინათ ეს ცრემლები იშვიათად გაისმოდა ჩვენს პოეზიაში, დღეს ცრემლები ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობის უმთავრესი თვისებააო“³. ი. გომართლის სიტყვით, ამ მხრივ არც ვაჟა წარმოადგენს გამონაკლისს, მაგრამ კრიტიკოსი დაბეჭითებით აღ-

¹ ი. ვართაგავა, კრიტიკული წერილები, I, გვ. 77.

² რომ „ალუდა ქეთელაურში“ საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობის საკითხია დასმული და არც მაინც დამაინც თემისა და პიროვნებისა, ეს დებულება პირველად დასაბუთა გრ. კინაძემ (იხ. გრ. კინაძე, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, 1957, გვ. 58-80).

როგორც აღნიშნეთ, გაყრით შეეხო თემისა და პიროვნების ურთიერთობის საკითხს კ. აბაშიძე. მან მიუთითა „ალუდა ქეთელაურსა“ და „სტუმარ-მასპინძელზე“ და აღნიშნა, რომ ვაჟასთვის „დიდი მნიშვნელობა აქვს პირადობას“, პირადობა „ის ელემენტი, რომელიც ცხოვრებას ცხოვრებადა ჰქმნის, რომელიც ცხოვრებას სიცოცხლის ელფერსა სდებს“, რომ თემი „შეეჭიდება ინდივიდუალურ ინიციატივას, ინდივიდუალურ იდეალს და მით უფრო ძლიერად ეომება, რამდენად თავის გახრწილებასა და დასასრულსა გრძნობს“ (კ. აბაშიძე, ეტიუდება, II, გვ. 226).

³ ი. გომართელი, რჩეული თხზულებანი, I, გვ. 343-344.

ნიშნავს, რომ მწერლის სევდა არ არის პიროვნული ხასიათობა — „ვაჟა-ფშაველას სევდას სამი სათავე აქვს: ეროვნული, სოციალური რი და ფილოსოფიური“¹. კრიტიკოსი საქმაოდ ვრცლად ლიტერატურაზე კობს იმ სოციალურ, ეროვნულ და ფილოსოფიურ პრობლემებზე, რომლებმაც ვაჟას სევდა გამოიწვია. ერთ-ერთ წინა თავში („პატრიოტული მოტივი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“) უკვე აღვნიშნეთ, რომ ო. გომართლის აზრით, ვაჟას, როგორც „სამშობლო ქვეყნის მოზარეს“, გულგატეხილობა იძყრობს. მაგრამ საბოლოოდ კრიტიკოსი მაინც იმ აზრისაკენ იხრება, რომ ვაჟა, საერთოდ, არ არის პასიურობის აპოლოგეტი, იგი მებრძოლი პოეტია, — „ბარათაშვილსა და ვაჟა-ფშაველას შორის ერთი დიდი განსხვავებაა, ბარათაშვილი — მშვიდი, წყნარი სევდაა. ვაჟა-ფშაველა კი სევდით შეპრობილი მიჯაჭვული ამირანია, რომელიც თავის ხმალს ვერ მისწვდომია.

მიეცით ბარათაშვილს ამირანის ხმალი, ის ხელს არ მოჰკიდებს, რაღანაც ის არავის არაფერში არ ამტყუნებს და არავის ებრძვის, ის სევდიანი ფილოსოფოსია.

მიეცით ვაჟა-ფშაველას ამირანის ხმალი, ის მაშინვე გაკვეთავს თავის შემბორკველ ჯაჭვებს და თავქვე საომრად დაეშვება“².

დაახლოებით ანალოგიურია ო. ვართაგავას მსჯელობაც: ვაჟას ღრმა სევდა, პარალელი ბარათაშვილთან, შემდეგ იმის ჩვენება, რომ პოეტის სევდას ეროვნული საფუძველი აქვს, — „ბედი ქართლისა“ არის მისი ჭმუნვის მიზეზი:

„ვაჟას ლირიკული ლექსების გაცნობა ნებას გვაძლევს თამა-მად და გაღაჭრით ვსოქვათ, რომ მისი წუხილი, მისი ტანჯვა და ქეჭ-ნა არ არის დროებითი, მდაბალი და უღირსი გრძნობა — წარმო-დგენით გამოწვეული. მიზეზი მისი „გულის ტანჯვისა“, მისი შე-მოქმედების „მღერის“ შესუსტებისა და თითქმის შეწყვეტისა, ზო-გადია, ეროვნულია, მაშასაღამე, წმინდა და უანგაროა. ეს არის სევდა და ვარამი ნამდვილი მოქალაქისა, ერთგული და თავდადე-ბული ერის შვილისა, შევნებულის და დაკვირვებულის კაცობრიო-ბის წარმომადგენლისა. ეს სევდა გამოწვეული და ნაშობია ერის

¹ ო. გომართელი, ჩეხული თხზულებანი, I, გვ. 350.

² იქვე, გვ. 351.

ჩა თქმა უნდა, ნ. ბარათაშვილის ამგვარ შეფასებას, რომ „ის არავის ებრძვის“, რომ ის მხოლოდ „სევდიანი ფილოსოფოსია“, თანამედროვე მკველვარი ვერ დაეთანხმება.

შედ-იღბლით, მისი მდგომარეობით, მისი წარსულის, აწმყოს  უკრანული ტიპის მომავლის წარმოდგენით“¹.

კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ ბოლოსდაბოლოს ვაჟამ დასწლია ეს სევდა და „საზოგადოდ „სიძლერა“ თუმცა ნაღვლიანი და სევ-დიანია, თუმცა ჭმუნვა და ტანჯვა სჭარბობს მასში, მაგრამ მაინც არსებითად მხნე და ენერგიულია: უსასოებას, უიმედობას პოეტი არ დაუმონავებია“². რამ მისცა ძალა ვაჟას დაეძლია ეს სევდა? — „ეს ძალაა ის გაუწყვეტელი, უხილავი, მაგრამ ძლიერი სულიერი კავშირი, რომელიც არსებობს პოეტსა და მის დამბადებელ და აღმზრდელ სამშობლოს შორის“³.

ასეთივეა ა. ხახანაშვილის⁴, სიმ. ხუნდაძისა და ზოგიერთი სხვა ავტორის აზრიც, როდესაც ისინი ვაჟას სევდასა და ამ სევდის დაძლევაზე ლაპარაკობენ.

როგორც ვხედავთ, ამ მკვლევართაგან არც ერთს არ უთქვამს, რომ ვაჟას სევდა უსასოო პესიმიზმში გადაიზარდა, პირიქით, პოეტში იმარჯვებს მომავლის რწმენა და ოპტიმისტური ხილვა. ეს აზრი მკვეთრადაა გამოთქმული სხვა კრიტიკოსთა წერილებშიც. მაგალითად, ი. იმედაშვილი წერდა, რომ ვაჟა „ჩვენი ქვეყნის მომავალს ღრმა რწმენით შეჰყურებდაო“⁵, ხოლო დ. კასრაძის სიტყვით, როგორც ერთხელაც აღვნიშნეთ, ვაჟას „პესიმიზმი ჯანსაღი პესიმიზმი! იგი თვით სიცოცხლის ძახილი გახლავთ, დაუშრეტელი ენერგიის ბუმბერაზი ტოკვა“; პოეტის ეროვნული სევდა ღრმაა, მაგრამ „ნუ იფიქრებთ, ვითომც ვაჟა სულით დაეცა და წინასწარვე პასიურად ხელი მოაწერა თავის სიკვდილს. რა ბრძანებაა! მაშინ რაღაი ვაჟა იქნებოდა, რაღა „რეინის მკვნეტელი“ მთის არწივი იქნებოდა, თუ ლეგიონ მელანქოლიკთა სიაში ჩაეწერებოდა! ვაჟა თვით მწუხარებაშიაც დევ-გმირია!“⁶.

ამასვე ამბობენ „ვინმე ფშაველი“⁷, სიმ. ხუნდაძე⁸ და სხვ.

ამ მხრივ არსებითად რევოლუციამდელ ქართველ კრიტიკოსთა საერთო აზრი გამოხატა კ. აბაშიძემ, როდესაც განაცხადა:

¹ ი. ვართაგავა, კრიტიკული წერილები, I, გვ. 39.

² იქვე, გვ. 43.

³ იქვე, გვ. 44.

⁴ А. Хаханов, Очерки..., Литература XIX века, 1906, стр. 385;

⁵ „თეატრი და ცხოვრება“, 1915, № 31.

⁶ გაზ. „საქართველო“, 1915, № 60.

⁷ გაზ. „თემი“, 1913, № 113.

⁸ გაზ. „სამშობლო“, 1915, № 143, 144, 147.

„ვაჟა სიცოცხლისა და ცხოვრების სიყვარულით აღსავსე მგრძნობასანია; როგორც ყველა ჩვენი დიდი პოეტისათვის, მისთვის ჩვენი მშვენიერსა და საუცხოვო ბუნებას ჩაუნერგავს ის დაუშრეტელი გრძნობა აღტაცებისა, სიცოცხლისა და სიცოცხლის დამამშვენებელისა და შემამკობელის საგნისა და მოვლენისადმი, რომელიც შეადგენს მთელის ჩვენის მწერლობის ნიშანდობლივ და მეტად ორიგინალურ თვისებას. მისთვის ბუნებას მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, როცა იქ სიცოცხლე სდუღს და გადასდუღს და სრული უფალია მსოფლიოსი“¹. რა თქმა უნდა, კ. აბაშიძეს არ გამოჰქონდა ვაჟას სევდის ეროვნული და ზოგადადამიანური ხასიათი, მაგრამ, კრიტიკოსის მართებული თქმით, მაშინაც კი, როდესაც პოეტი ადამიანის სიცოცხლის ხანმოკლეობაზე ლაპარაკობს, — „სამსალას-კი არ გასმევს და სიცოცხლეს-კი არ გიშხამებს, გულს სასიამოვნო მომხიბვლელის კაეშნით გივსებს — თითქოს ბუნების დაუსაბამობა ძლევა-მოსილი ნუგეში იყოს და ამ ჭავრის გამაქარვებელი“².

ვაჟა-ფშაველა და ხალხური ზემოქმედება

რევოლუციამდელმა ქართულმა კრიტიკამ ხალხურ შემოქმედებასთან ვაჟას დამოკიდებულების საკითხი უპირატესად იმ მხრივ განიხილა, რომ ქართული ფოლკლორი წარმოადგენდა მწერლის შემოქმედების თემატიკურ და სიუჟეტურ წყაროს. მაგრამ ამასთან ერთად სალიტერატურო კრიტიკამ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ხალხურობის პრობლემაც წამოჭრა და ის მართებული თვალსაზრისი განვითარა, რომელიც ჯერ კიდევ ბ. ბელინსკიმ ამგვარად ჩამოაყალიბა:

«...Народность есть не достоинство, а необходимое условие истинно художественного произведения, если под народ-

¹ კ. აბაშიძე, ეტიუდები, II, 1912, გვ. 204.

² იქვე, გვ. 210.

განსვავებული აზრი აქვს გრ. რცხილაძეს, რომელსაც მიაჩნია, რომ „ვაჟა-საუკეთესო დამასურათებელია ჩვენის თანამედროვე ინტელიგენციის აზრთა წყობილებისა და სულიერ ვითარებისა“, რაც გულგატებილობასა და უმედობაში გამოიხატება. კრიტიკოსის სიტყვით, 60-იანი წლების უტილიტარიზმა და პუმანიზმა თავისი დრო მოსჭამა, სკეპსის გაძლიერდა, ახალი იდეალები და მოქმედების გზა არ ჩანს. ამიტომ ვაჟა ბუნების წიაღს მიაშურებს და იქ „ექებს იმ თალისმას, რომელმაც სოფელი უნდა შეაყვაროს, გრძნობა გაუვსოს და გული გაუმდიდროს“ (გრ. რცხილაძე, „ვაჟა-ფშაველას ლირიკის ახალ პანგი“, გაზ. „ივერია“, 1901, № 31, 32).

ностью должно разуметь верность изображения нравов, обычай и характера того или другого народа, той или другой страны¹.

Хер юдже օ. նայածութեմ օլնունա զայս ձոյշուս մշուղրու յազ-
մուր ხալեսր Շեմոյմեցեծատան. յրութիւնուս սուպազու, յս շրտո-
յրտունա մդյենա ռարգնուլու, հռմ մթյերալու նոցչեր Յորդանու
ոմեռքը խալեսր Շեմոյմեցեծա նոմշնեծ. սայրտու յո, „զայս ս
Շեմոյմեցեծա խալեսր Շեմոյմեցեծանց ծեցրատ սուրու մալլա չյշես
և Շցենցարքնեծ“².

Օ. զարտացա օլնունա զայս, հռմ զայս տուքմու սպելա ձոյշմաս սա-
ցույշլա սպելա խալեսր տյմուլեծ. յրութիւնուս յս սաժրածուս առ
առ մահնու, Յորդայու, մուս սուպազու, մեռուու լության թուրուս ծեց-
րու Շեցեզրու ցուլկլուն յմցարքնա և ուսետո մթյերալու, հռցորու ու
ոյցնեն հուստացելու, Յոմերուս, Շյյեմուրու, ցոյտու, ջանքու խալես-
ցենուս միմահտացընեն. յյե օ. զարտացա օմ ցնոնծու անհու միյո-
րքնեծ, հռմ „ձոյշու էլուրեծնա, մուս Շեմոյմեցեծա սոցրդե-սոցան, մուս
ցենուալունա պմտացրեսա օմու ցանութումեծ, տու հռցոր ուսար-
ցեծլա ման ահսեծուլու մասալուտ: ցալմուցեմու, նորդայու, ուսուրու-
ուլու սոյցըտու; տու հռցոր ցարդայիւրու, „ելուս ելլ սացոցման-
ծել“ ոծու մարցալութա մարտու, ծեցրու Շեմուեցեզամու Յորդու-
շու ուածուլա, արայու³.

Հաց Շյյեցեծա զայս, մարտալու, տավշյացեծու, մացրամ օ. զար-
տացա մանց ամծոնս, հռմ մթյերալու յեր Շեմու ամառլու պուլուսո-
խալեսր Շեմոյմեցեծանց: „զայս յո տայս օդու մատո Շեմու պացեծ,
ելլույնու ցուրման իսմուսեմա, մտլուն նայարմուցեծա ցարդայիմնա.
յարցու, լոմանու և մեսաթվուլուս յս ուժա մցունուս, մացրամ, սամիւ-
խարու, ման, իցենու անհու, մանց յեր մոաերեսա, — յեր ությունու—
յեր Շեմու, — մատո հուսու, լրմա և ուարտու մեսաթվուլ նայար-
մուցեծա ցարդայիմնա-ցալալուլեծ.

Իցենմա Յոյշումա արամպու յեր ցարտուլա յս յմնուլեծա խալես-
ցանքանուս, արամեց մաս տացու յեր օսուլնիւզու մուս նորցալուս-
տուս հռցորու օդուս, ուս մոմերեծուլու ցուրմուս մերուտ. հռց-

¹ В. Белинский, Собрание соч. в трех томах, I, 1948, стр. 135.

² օ. նայածու, զայս-պացելուս ձոյշու (յրութիւնու ուժ), „ըցալո“, 1896, № 45, ցը. 809.

Նվորիւ խալեսր Շեմոյմեցեծատան մթյերալուս սրտույրտունուս ցարկացուսուս:
օլնունա Յորցելա օ. նայածութեմ Յոմերուսուսեծուրու և Յոմերուսուս ծագունու ցո-
յաս ձոյշունու. յս անհու Շեմու ցամերու և. յամրայիմ (յան. „սայահուցուն“,
1915, № 60).

³ օ. ցարտացա ցա, յրութիւնու թյերու լու, լու, ց3. 108.

საც კითხულობთ ვაჟას პოემებს, თქვენ გვინიათ, რომ ვიღოს
შცვლელად ჩაუწერია ხალხში დარჩენილი ლამაზი თქმულება და
თქვენდა დასატკბობად დაუბეჭდიაო”¹.

ი. ვართაგავა იმასაც დასძენს, რომ ჩვენ ამას აპრიორულად
ვამბობთ და, ვიდრე ხალხური მასალა არ ჩაიწერება და არ ვამო-
ქვეყნდება, მანამდე რაიმეს გადაჭრით თქმა ძნელია. და თუ ვამო-
ირჩვევა, ვთქვათ, რომ ამ შემთხვევაში ხალხის დამსახურება მეტია,
ვიდრე ვაჟასი, რა ვუყოთ, რაც მგონის პირად დიდებას დააკლდე-
ბა, ის მისი სათაყვანებელი ერის გენიას შეემატებაო.

როგორც ცნობილია, ვაჟა-ფშაველა მყაცრად გამოეპასუხა
ი. ვართაგავას ამ მსჯელობას და დამაჯერებლად უჩვენა, თუ რა ეკუ-
თვნოდა ხალხს და რა იყო თვით მისი პირადი შემოქმედებითი ძიე-
ბის ნაყოფი, როგორ შექმნდა დრამატიზმი მარტივ ხალხურ გად-
მოცემაში და, საერთოდ, როგორ აფართოებდა თქმულების მსოფლ-
მხედველობრივსა და თემატიკურ ჩარჩოებს (იხ. „კრიტიკა ბ. იპ. ვარ-
თაგავასი“).

ი. ფერაძეს კი, ი. ვართაგავასაგან განსხვავებით, პირიქით, მი-
აჩნია, რომ ვაჟამ არა მარტო გამოიყენა ხალხური გაღმოცემები,
არამედ ახალი პოეტური სული შთაბერა მათ და მკვეთრად გამო-
ხატა ეროვნული იდეალები და მისწრაფებანი:

„ვაჟამ არ დასტოვა შეუმჩნევლად არც ერთი საყურადღებო
ისტორიული გარდმოცემა, არც ერთი ღრმა აზროვანი ზღაპარი და
მოვლენა, რომელიც კი დაცული იყო მის მთავორიანს სამშობლო-
ში... ყოველს მათგანს, გარეგნობით მშრალს, შთაბერა პოეტური
სული, — მის ჩონჩხს შეაბა არა თუ ხორცი, არამედ იგი განაცხო-
ველა უკვდავი სულით და მოგვცა მრავალი მარგალიტი პოეტურ
ნაწარმოებთა, რომელთა მეოხებით გამდიდრდა ქართული მწერ-
ლობა და გამომზეურდა ის კეთილნი გრძნობანი და მისწრაფებანი,
რომლითაც დაჯილდოებულია ჩვენი ერი...“².

1 ი. ვართაგავა, კრიტიკული წერილები, I, გვ. 109.

2 ი. ფერაძე, „ბახტრიონი“, პოემა ვაჟა-ფშაველასი, „თეატრი და ცხოვ-
რება“, 1915, № 20, გვ. 6.

გაკვრით შეეხო ხალხურ შემოქმედებასთან ვაჟას დამოკიდებულების სა-
კითხს სიმ. ხუნდაძე: „მრავალი ჩვენი მგოსანი კვებავდა თავის ფანტაზიას
ხალხური ზღაპრებით, თვისებებითა და წარმოდგენებით; მაგრამ ყველაზე უფრო
მათ შორის ვაჟა-ფშაველა სწვდა ხალხის „ძოლექტიურ სულს“, მან ყველაზე
უფრო კრგათ გამოკვება და ასაზრდოვა ჩვენს ლიტერატურაში თავისი მგოს-
ნური ფანტაზია ხალხის მეხსიერებაში შენახულ მითებითა და ლეგენდებით“
(გაზ. „სამშობლო“, 1915, № 143).



ვაჟა-ფშაველას სხვა პოემებთან ერთად ქართულმა კრიტიკულმა უურადღება მიაქცია „გველის მჭამელსაც“, რომლის დედაბაზი დიდად საცილობელი აღმოჩნდა მკვლევართათვის. ჯერ კიდევ ა. ხახაშვილმა მიუთითა, რომ მინდია დაიღუპა მას შემდეგ, რაც ცხოვრების მოთხოვნილებებსა და მიწიერ სურვილებს დაემორჩილა: «Так погиб волшебник и чародей, благодетель и друг народа, лишившись божественного дара понимания духовных сил природы с того дня, как он заглушил в себе чувство жалости к одушевленной и неодушевленной твари и вступил на путь житейской суэты и земных вожделений»¹. დაახლოებით ამასვე ამბობს ა. ხახანაშვილი თავისი „სიტყვიერების“ ქართულ გამოცემაში: „ასე წახდა კაცი ბრძენი და მკურნალი, როცა მან ჩაიკლა გულში ბუნების სიყვარული და შელახა მისი სიფაქიზე და სილამაზე. ამგვარის შინაარსის ლეგენდა ცნობილია ალექსანდრე მაკედონელის ექიმზე (ლახმანი), რომელიც გველის შეჭმით გაბრძენდა და ბუნების საიდუმლოება გამოიცნო“².

დაახლოებით ასეთივე აზრი განვითარა კ. აბაშიძემ. მან მინდიას ტრაგედია საკუთარი რწმენის, იდეალის უარყოფაში დაინახა: „ამგვარად მეწვრილმანურმა შეხედულებამ სძლია მინდიას, ცხოვრების უმსგავსოებამ ჩაითრია. უღალატა თავის ღიღდა და უცნაურ ნიჭს, უღალატა თავის ღმერთს, იდეალს, უღალატა თავის თავს, თავის პირადობას და კიდეც დაიღუპა სულითა და ხორცით... ამგვარად იღუპება ის, ვინც ღალატობს თავის თავს, თავის პირადობას, თავის „მეობას“ და თავის იდეალს, თავის ნიჭსა და გონებას. საზარელი, უმზგავსო და უბადრუეკი მეწვრილმანური იდეალი და აზრი სძლევს მინდიას ზე-კაცს, ახალი ცხოვრების მახარობელს. იგი მსხვერპლია თავისისავე ნების სისუსტისა და ამიტომაც იღუპება“³.

კ. აბაშიძეს მიაჩნია, რომ „გველის მჭამელი“ „არის მშვენიერი დასურათება იბსენის დიდებულის პრინციპისა“. ეს პრინციპი კი იმას გულისხმობს, რომ „იყავ თავის თავად, ე. ი. ხელი შეუწყვეშენს პირადობას, შენს „მეობას“ (სიტყვაც ვაჟასია), და არას დაუმორჩილო იგიო, გარდა შენის ზრახვებისა, იდეალისა და გულის-თქმისაო... თანაც ეს პოემა არის მეწვრილმანურის პრიკტიკულის

¹ А. Хаханов, Очерки..., 1906, стр. 372.

² ა. ხახანიშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, 1913, გვ. 209.

³ კ. აბაშიძე, ეტიუდები, II, გვ. 223—224.

ფიქრისა და უსახო უტილიტარიზმის დამგმობელი და საზიანო სურათი”¹.

კ. აბაშიძის ასეთი მსჯელობა ბევრისათვის საკმაოდ დამაჯერებული ელი აღმოჩნდა და მომდევნო ხანის ზოგიერთმა მკვლევარმა იგი კიდეც გაიმეორა.

კ. აბაშიძის აზრით, მსგავსი იდეა უძევს საფუძვლად „გოგო-თურ და აფშინასაც“, ოღონდ განსხვავება ისაა, რომ გოგოთური არ უღალატებს თავის იდეალს, ცხოვრების მაცდურ მოთხოვნილებებს არ აჰყვება, — „აქ კი ნამდვილი გმირობა სძლევს იმიტომ, რომ გოგოთურმა არ უღალატა თავის თავს და თავის რწმენას“, — დაასკვნის კრიტიკოსი.

სხვაგვარად გაიგო და შეაფასა „გველის მჭამელის“ დედააზრი ი. ვართაგავამ. მისი სიტყვით, პოემის „...დედააზრი შემდეგია: „გამეცნიერება“ ადამიანისა, რა გზითაც უნდა მოხდეს ეს, განსაკუთრებულ „შეუას“ აძლევს მას და „გულის ხედვას და თვალებს, როგორც ბრძანა და ყრუს, უხსნის“. გამეცნიერებული ადამიანი წვდება სიცოცხლის საიდუმლოებას“².

მაგრამ ეს ცოდნა, სასარგებლო სხვათათვის, თვით ამ ცოდნის მფლობელისათვის ტრაგედიის წყაროდ იქცევა, რადგან იწყება კონფლიქტი „გამეცნიერებული“ პიროვნების მისწრაფებებსა და ცხოვრებას შორის, იდეალი და სინამდვილე არ ემთხვევა ურთიერთს. ცოდნა ამავე დროს დიდი ტვირთიცაა და „მთელი მეორე და მესამე თავი პოემისა მგოსანმა იმ ძველთაძველის, მაგრამ მარად ახალი აზრის მხატვრულად ხორც-შესხმას მოახმარა, რომ „დიდს სიბრძნეში დიდი მწუხარებაც არის“³. და ეს სავსებით მოსალოდნელია, რამდენადაც „გამეცნიერებული“ პიროვნება უფრო ნათლად ხედავს ადამიანის, საზოგადოებისა და ბუნების უორმეს კავშირებს. სასურველი პარმონიის დარღვევა ასეთ პიროვნებაზე უფრო მოქმედებს და ეს არის ერთი მიზეზი მისი ტრაგედიისა. მაგრამ „მინდიას ეს თეორეტიული, ასე თუ შეიძლება ითქვას, ტრაგედია სულისა ორკეცდება ოჯახურ და საზოგადოებრივ ურთიერთობის

¹ კ. აბაშიძე, ეტიუდები, II, გვ. 224.

რომ მინდიას ტრაგედიის მიზეზია საკუთარი რწმენის ოლატი, ეს აზრი გაკრით ი. ვართაგორებაც გამოიქვა (იხ. ამავე ნარკვევში თავი — „ვაჟას მსოფლ-მხედველობის საკითხი“).

² ი. ვართაგავა, კრიტიკული წერილები, I, გვ. 110.

³ იქვე, გვ. 115.

და თანხმობითი ცხოვრების დარღვევის და უარყოფის წყალობით რაც უნდა ამაღლდეს პიროვნება, საბოლოოდ ის ვერასოდეს წყალობით წყდება ოჯახს, საზოგადოებას და ვერ გაუძლებს მიწიერ მოთხოვნილებათა შემოტევას, იგი დაიღუპება, — „ამის ცოცხალ მაგალითს მინდია წარმოადგენს“. კრიტიკოსს მიაჩნია, რომ „მინდიას იდეალი ცხოვრების და მოქმედებისა უტოპიური ხასიათისაა, ცხოვრების რეალურ ვითარებაზე არ არის დამყარებული, ასე წარმოიდგინეთ, თითქმის ზღაპრული ხასიათისაა“¹. ამ აზრს ი. ვართაგავა შემღეგაც ავითარებს და ფიქრობს, რომ ასეთი უნდა იყოს თვით ავტორის პოზიციაც მინდიას მიმართ.

„მინდიას სახე თავისი მხატვრული სირთულით და ღირსებით ბევრად ჩამოუვარდება ალუდა ქეთელაურს. ჩვენ მინდიას სახეს ვუყურებთ, როგორც სიმბოლოს, მთელ პოემას, როგორც ალეგორიას, როგორც ერთგვარ ხერხს და მანერას განყენებული აზრის განსახორციელებლად და არა როგორც დადებითი, იდეალური და სასურველი აზრ-შეხედულების გამოსახვას. გვვინია, რომ თვით ავტორსაც სხვა აზრით არ შეეძლო მინდიას ტიპის შექმნა. მართლაც, ვინ იტყვის, ან ვის შეუძლია სთქვას, რომ მინდია რეალური ტიპია, რომ ცხოვრების სასურველ სინამდვილეს წარმოადგენსო“².

კრიტიკოსის ღრმა რწმენით მინდიას მსგავსი მეოცნებე, „გრძნეული“ ადამიანები დალუპავდნენ ქვეყანას:

„მადლობა ღმერთს, რომ კაცობრიობა ჩალხიასთანა ჰქუის და გონების ადამიანებისაგან არის შემდგარი და არა მინდიასთანა გალუცინაციით და „გრძნეულობით“ შეპყრობილ პირებისაგან, თორემ ადამიანთა ცხოვრება შეწყდებოდა, დედამიწა დაცარიელდებოდა ადამიანისაგან და გახდებოდა მხოლოდ ნადირთა და ფრინველთა სათარეშოდ!“³

ამიტომ, ბუნებრივია, რომ კრიტიკოსის სიმპათია ჩალხიას მხარესაა, იგი მიაჩნია „ცხოვრების ფილოსოფიის“ გამომხატველად-მისი აზრით, ვაჟამაც ჩალხია ამ მხრივ დაუპირისპირა მინდიას: „ჩალხიაში ჩვენმა მგოსანმა დაგვიხატა ტიპი ნამდვილი რაციონალისტისა, რომელიც ცხოვრებას და მის ვითარებას ზომავს და აფასებს სალი გონების ჩაგონებით და ანგარიშს უწევს ნამდვილ რეა-

¹ ი. ვართაგავა, კრიტიკული წერილები, I, გვ. 115.

² იქვე, გვ. 117.

³ იქვე.

⁴ იქვე, გვ. 118.

ლურ ცხოვრებას და არა იმას, რაც სურს იყოს და რაც ეჩვენები
მეოცნებები იდეალისტებს”¹.

რა თქმა უნდა, ი. ვართაგავა ამარტივებს საკითხს, რომელიც უკავშირდება იდეალისათვის თავგანწირულ აღამიანს განაქიქებს და მას ცხოვრების პრაქტიკულ ინტერესებს უპირისპირებს. ცხადია, თვით პოემაში ასე უბრალოდ არა გადაწყვეტილი ეს საკითხი. მრავალმა დაღუპულმა მინდიამ განაპირობა კაცობრიობის მომავალი. და რა იქნებოდა ცხოვრება, კაცობრიობა მხოლოდ „ჩალხიასთანა ჭკუისა და გონების აღამიანებისაგან რომ იყოს შემდგარი“?

ი. ვართაგავა ამავე პაპექტში განიხილავს მზიას სახეს და აღნიშნავს, რომ იგი არა ჰგავს გოგოთურის „უჭირუ“ ცოლს, რომელიც ქმარს ძარცვა-გლეჭისავენ მოუწოდებს. მზია „ძველი ქართველი დედების ნამდვილი ტიპიური წარმომადგენელია“, „ამ უჩინარმა დედებმა, რომლებიც მხოლოდ აზრიანად უცლიდნენ კერას და „დაუჩაგვრელად“ ზრდიდნენ შვილებს, შეჰქმნეს ჩვენი გმირული ისტორია, დიდება და სახელი საქართველოს მხედრობისა და ძლიერება ქართველის ხმლისა!...“².

კ. აბაშიძის მსგავსად მსჯელობს ვლ. ბ-ძე, როდესაც „გველის მჟამელის“ იდეაზე ლაპარაკობს. იგი აღნიშნავს, რომ მინდიაში ურთიერთს ებრძვის ამაღლებული იდეალი და „ვიწრო პრაქტიკული და წვრილმანური იმპერატივები ყოველდღიური ცხოვრებისა“. პოემის იდეა არ არის ახალი, „სამაგიეროდ სრულიად ახალი და ორიგინალურია მისი დამუშავება“. მინდიას ანტიპოდია მისი მეუღლე მზია, — „მინდია, თუ გამომსახველია აღამიანში მაღალი და იდეალური მისწრაფებების, მისი ცოლი, პირიქით, განხორციელებაა აღამიანის მეწვრილმანური ბუნებისა“³. მინდიას ტრაგედია საკუთარი იდეალის ღალატის შედეგია.

კრიტიკოსის აზრით, „გოგოთურ და აფშინაშიც“ იგივე თემაა დამუშავებული, მაგრამ აქ პოემის გმირი გოგოთური გამოდის გამარჯვებული, რადგანაც მტკიცედ იცავს თავის რწმენას და ამ მხრივ იგი მთლიანი პიროვნებაა. განსხვავებით ი. ვართაგავასაგან, ვლ. ბ-ძეს მიაჩნია, რომ „...მთელი სიმპატია ავტორის იმათვენ არის, ვინც უარყოფს მეწვრილმანურ, ეგოისტურ ცხოვრებას და მტკიცეთ იცავს ბოლომდის თავის რწმენას“⁴.

¹ ი. ვართაგავა, კრიტიკული წერილები, I, გვ. 116.

² იქვე, გვ. 122.

³ ვლ. ბ-ძე, ვაჟა-ფშაველა, გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1915, № 127.

⁴ იქვე.

იმ პირთა საწინააღმდეგოდ, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ „იდეალი პოეტის ბუნდოვანია და აზ ვიცით რომელ ღმერთებს“ სახურება იგიო“, კრიტიკოსი დამაჯერებლად აცხადებს:

„მართალია, ვაჟას არა აქვს თავის ნაწარმოებებში დასახული კონკრეტული იდეალი, მაგრამ მის სიმბოლოს მკითხველი თვითონ აძლევს განსაზღვრულ შინაარსს. ესთეტიკური და საზოგადოებრივი მნიშვნელობა მისი პოეზიის ამით არას კარგავს.“

საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ პოეტის ნაწარმოებებში თქვენ ყველავან ხედავთ მოძრაობას, ბრძოლას და პრინციპებისა და გმირების ერთმანეთთან შეჯახებას.

ამით პოეტი აღუძრავს მკითხველს, გარდა ღრმა ესთეტიურ ემოციებისა, მხურვალე თანაგრძნობას და სიმპატიას რწმენის სიმტკიცისადმი და აგრეთვე ბრძოლის საჭიროების შეგნებას“¹.

ასეა წარმოდგენილი ძირითადი საკითხების მიხედვით ვაჟა-ფშაველას შემოქმედება რევოლუციამდელ ქართულ კრიტიკაში. შეიძლება ითქვას, რომ სალიტერატურო კრიტიკა ვაჟას მიმართ არასოდეს გულგრილი აზ ყოფილა და, დაწყებული XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან, ე. ი. თითქმის ვაჟას სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის დროიდან, ვიდრე მის გარდაცვალებამდე, ინტერესი მწერლის შემოქმედებისადმი აზ შენელებულა. ასე რომ, თვით ვაჟას სიცოცხლეშივე შეიქმნა საკმაოდ ვრცელი კრიტიკული ლიტერატურა, რამაც ამჟამად, თავმოყრის შემდეგ, მოზრდილი ტომი შეადგინა².

ვაჟასდროინდელი ქართული კრიტიკის უეჭველი დამსახურებაა, რომ მან მეტ-ნაკლები სისრულით გამოკვეთა მწერლის შემოქმედების ძირითადი ტენდენციები, პრობლემები და ვაჟას მხატვრული აზროვნების ზოგიერთი თავისებურებაც აღნიშნა (ვაჟას მხატვრული მეთოდისა და მიმართულების საკითხი, მსოფლმხედველობა, ბუნების გრძნობა, პატრიოტიზმი, ვაჟა — ეროვნული მწერალი, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის მოტივი, ვაჟა და

¹ ვლ. ბ-ქ, ვაჟა-ფშაველა, გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1915, № 127.

ვაჟას ზოგიერთი პერსონაჟის დახასიათება ქართველი კრიტიკოსების მიერ მოცემულია ჩვენი შრომის სხვა თავებშიც („პატრიოტული მოტივი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“, „პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის საკითხი“).

² ამ მხრივ საყურადღებოა ი. ბოცვაძის მიერ გამოცემული ქრესტომათია — „ვაჟა-ფშაველა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში“, ქ. 1955, შესავალი წერილითა და შენიშვნებით.

შალხური შემოქმედება, ვაჟა და ქართული მწერლობა, სიცოცხლისა, სიკვდილისა და სიყვარულის პრობლემა, ვაჟას ოპტიმიზმი, უნიკალური საბავშვო მწერალი, ვაჟას ენა, ვაჟა ეპიკოსი, შინაარსისა და ფორმის მთლიანობა, შეფარული ტენდენცია, მეტაფორიზაციის ნიჭი, სიმბოლურ-ალეგორიული ხერხი და სხვ.).

მართალია, ვაჟას შემოქმედების თაობაზე ბევრი უმართებულო შეხედულებაც გამოითქვა და სალიტერატურო კრიტიკამ ზოგიერთი საკითხის არამც თუ სათანადო დახასიათება და გადაწყვეტა, არა-შედ წამოჭრაც ვერ შეძლო, მაგრამ მნიშვნელოვანი ის არის, რომ ვაჟა უკვე სიცოცხლეშივე აღიარეს დიდ შემოქმედად, ეროვნულ მწერლად, გენიოსად, რომელმაც უდიდესი ძალით გამოხატა ერის სულიერი ფიზიონომია, მისი თავისებურებანი, მისი მისწრაფებანი.

ცხადია, ვაჟასდროინდელი ქართული კრიტიკის ნაკლია ისიც, რომ ამ პერიოდში თითქმის არ გვხვდება პაექტობა მწერლის გარშემო (მხოლოდ თვით ვაჟა ეკამათება თავის კრიტიკოსებს — პ. მირიან შვილს, ი. ვართაგავას და სხვ.), მიუხედავად იმისა, რომ პოლემიკა ქართული კრიტიკის უკვე დამახასიათებელი ნიშანი იყო და განსხვავებული შეხედულებანიც არსებობდა ვაჟას შესახებ. სამაგიეროდ ყველა თვალსაჩინო კრიტიკოსი ერთსულოვნად აღიარებდა ვაჟას პოეზიის მომხიბელელობას და, ამ მხრივ, მათ საფუძველი ჩაუყარეს ვაჟას ნამდვილ დაფასებას.

ქართულ კრიტიკას თითქმის არ განუხილავს ვაჟას შემოქმედების ზოგიერთი მხარე (ლიტერატურული წერილები, პუბლიცისტიკა, დრამატურგია), კრიტიკოსები ძირითადად ლირიკასა და პოემებს ეხებოდნენ. უეჭველია, ქართულმა კრიტიკამ ვერ შეძლო ვაჟას, როგორც ხელოვანის, სათანადო დახასიათება. მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ ვაჟას მხატვრული ფენომენის ყოველმხრივი ჩვენება დღესაც კი ვერ მოხერხდა. და, საერთოდ, რომელი დიდი ხელოვანი შეუფასებია სრულად მის თანამედროვე კრიტიკას? ვაჟასდროინდელი ქართული კრიტიკის დამსახურებად ისიც კმარა, რომ მან, როგორც უკვე აღნიშნეთ, შეძლო წარმოედგინა მწერლის შემოქმედების ძირითადი ტენდენციები და პრობლემები, მიიჩნია იგი დიდ შემოქმედად და ა. შ. ამით ვაჟასდროინდელმა სალიტერატურო კრიტიკამ უეჭველად საფუძველი ჩაუყარა მწერლის შემოქმედების შემდგომ მეცნიერულ შესწავლას.

იუზა ევგენიძე

ვაჟა-ფშაველას ზეორებებითი ისტორიისათვის

I. რამდენადაც ხელოვნების ყოველი ნიმუში სხვათაგან გამორჩეული, ე. ი. ინდივიდუალური ფაქტია, ამდენად თავისთავად იგულისხმება ასეთ ფაქტებზე მოპოვებულ დაკვირვებათა განზოგადების სიძნელე. თუ რამდენადმე მაინც ხერხდება ცალკეულ ნაწარმოებზე ამა თუ იმ მწერლის მუშაობის გათვალისწინება, გაცილებით ძნელია შინაგანი კავშირების დაძებნა სხვადასხვა პერიოდსა და ვითარებაში შექმნილ თხზულებათა შორის. ამითაც აიხსნება ის გარემოება, რომ ერთი და იგივე მწერალი სხვადასხვა მკვლევარისა და ისტორიკოსის ნაშრომში განსხვავებული შემოქმედებითი სახით წარმოგვიდგება.

ძნელია იმის გათვალისწინება, თუ რამდენად მოხერხდება ხელოვანთა შემოქმედებით პროცესებზე დაკვირვების განზოგადება. მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, მწერლის შემოქმედებითი პროცესები ჩვენთვის საინტერესოა არა მხოლოდ თავისი რეზულტატით, ე. ი. უკვე მზად მოცემული ნაწარმოებით, არამედ საინტერესოა ის თავისი შინაგანი რაობით, იმით, რასაც ერთი, — და შეიძლება მთავარი, — განმსაზღვრელი ფაქტორის როლიც კი ეკუთვნის ასეთი რეზულტატის მიღებაში. ამიტომ ახლაც აქტუალურად დგას ოდითგანვე უაღრესად საინტერესოდ და მნიშვნელოვნად მიჩნეული საკითხი — რა არის ანუ როგორია შემოქმედებითი პროცესი?

ლიტერატურათმცოდნეობა ჯერ კიდევ შორსაა უპასუხოს ამ კითხვას. მაგრამ მას არ შეუძლია ხელი აიღოს ამ საკითხის კვლევაზე, რაღაც ეს იქნებოდა უარის თქმა ლიტერატურათმცოდნეობის, როგორც მეცნიერების ასებობაზე. და ეს იმიტომ, რომ ლიტერატურული ფაქტის განხილვა არ შეიძლება შემოიფარგლოს

მხოლოდ წერილობითი ძეგლის ანალიზით იმ პირობათა გაუთვალისწინებლად, რამაც შესაძლებელი გახდა ამ ძეგლის არსებობას ამის გარეშე ანალიზიც არ იქნება ასე თუ ისე დამაკმაყოფილებების ლი. როგორც ენათმეცნიერი იკვლევს ბერათა ფიზიოლოგიურ საფუძველს, ბერათა წარმოთქმის პირობებს, მიუხედავიდ იმისა, რომ ცალკე არსებობენ სათანადო მეცნიერებანი, ასევე ლიტერატურათ-მცოდნეობამაც, რასაკვირველია, უნდა შეისწავლოს შემოქმედების განმსაზღვრელი პირობები, რომლებიც თავის მხრივ შეიძლება წარმოადგენდეს სხვა დისციპლინების (მაგალითად, ფიქოლოგიის, ესთეტიკის და ა. შ.) ინტერესის საგანსაც.

* * *

ხელოვანის შემოქმედებითი ისტორიის ერთ-ერთ წყაროდ ხელოვანის თვითდაკვირვებებს, თვითანალიზებს მიიჩნევენ.

შემოქმედებითი ისტორიის გასათვალისწინებლად უაღრესად საინტერესოა მწერლების დღიურები, მკითხველთათვის გამიზნული განმარტებანი¹. ლიტერატურათმცოდნეობა თვით ხელოვანთა ისეთ განმარტება-ანალიზებსაც იცნობს, რომელთა ღირებულება გამოკვლევის დონეს აღწევს².

ლ. ტოლსტოის მუშაობის პროცესის აღსაღვენად მის თხზულებათა „შავებს“ მიმართავენ³. თ. დოსტოევსკისა და გ. ფლობერის შემოქმედების რაობის ცხადსაყოფად მათ პირად წერილებსაც ეყრდნობიან⁴.

ამას გარდა, პირდაპირ ზღვა მასალის სახით გვხვდება მწერალთა ნაამბობი თავიანთი შემოქმედებითი მუშაობის შესახებ⁵. რასა-

¹ აქ მაგალითისათვის დავასახელებთ: И. Эккерман, Разговоры с Гете, перевод с немецкого, 1905; Л. Толстой, Отрывок из черной редакции эпилога «Войны и мира», сб. «Л. Толстой о литературе», М., 1955; Р. Роллан, От Жан-Кристофа до Кола Брюньона, Собр. соч., т. 14, 1958 და ა. შ.

² მხედველობაში გვაქვს იმ რიგის წერილები, როგორიცაა, მაგალითად, ვ. მაიაკვსკის «Как делать стихи».

³ Н. Гудзий, Как работал Л. Толстой, 1936; Л. Мышковская, Мастерство Л. Н. Толстого, М., 1958.

⁴ Ф. Достоевский, Письма, т. I—II, под редакцией А. С. Долинина; Г. Флобер, Собр. соч., т. VII, Письма, перевод с французского, М., 1937.

⁵ И. Бунин, Происхождение моих рассказов, Как я пишу, Собр. соч., т. 9, 1967; Сомерсет Моэм, Заметки о творчестве, ж. «Вопросы литературы», 1966, № 4; Т. Манн, Художник и общество, пере-

ქვირველია, ქართულ სინამდვილეშიც მოიპოვება, — მართალია, არასაქმაო სიუხვით, მაგრამ მაინც — ანალოგიური მასალები. ასეთია, მაგრამ მან „სოლომან მოჩხელაძე“, „წრფელი გული“, „სამანიშვილის დედინაცვალი“¹. ჩვენთვის ამჟამად განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა ვაჟა-ფშაველას „Pro domo Sua“, „წერილები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“, „პასუხი ბ. იპ. ვართაგავას“², თანამედროვე ქართველ მწერალთაგან საკუთარი შემოქმედებითი პროცესების სხვადასხვა მხარეს შეეხენ კონსტანტინე გამსახურდი³, მიხეილ ჯავახიშვილი⁴, სერგო კლდიაშვილი⁵ და სხვანი. ეს ერთი ეხრივ. შეორე მხრივ, ხელოვანთა შემოქმედებითი პროცესის ცხადისაყოფად არაერთი გამოკვლევა დაწერილა. კვლევა ძირითადად ორი ხაზით მიემართებოდა და მიემართება.

პირველ ყოვლისა, იგი ეყრდნობა ტექსტოლოგიურ დაკვირვებათა მონაპოვარს, იმას, თუ რა სახე ჰქონდა ნაწარმოებს თავდაპირველად და რა ცვლილებები განიცადა მან საბოლოო სახის მიღებამდე. ამ რიგის დაკვირვებები, რასაკვირველია, საგულისხმო მონაცემებს შეიცავს.

ჩვენთვის საინტერესო ტექსტუალური კვლევა-ძიების თვალსაზრისით ქართულ სინამდვილეშიც საყურადღებო შრომები არსებობს. მრავალ გამოცემას ერთვის ნაწარმოებთა ვარიანტები, სადაც აღნუსხულია ცალკეულ სწორებათა შემთხვევები, აგრეთვე თანდართულია შენიშვნები და გამომცემელთა ნარკვევები. თხზულებათა ვარიანტებზე დაკვირვებისას, მათში მწერლის მიერ შეტანილი

вод с немецково, Собр. соч., т. 10; Статьи (1929 — 1955) под редакцией Н. Вильмента и Б. Сучкова, М., 1961; ე. ჰემინგუეი, ლიტერატურული მსტატობის შესახებ, თხზ., ტ. 5, ქართული თარგმანი ვ. ჭელიძისა; М. Горький, Литературные портреты, М., 1963. ასეთივე მასალა ბევრ სხვა მწერალთანაც გვხვდება, იქნება ეს ვ. ბრიუსლოვი, ა. ბლოკი, ა. ტოლსტიო. თუ სხვა. იხ. კრებ. «Русские писатели о литературном труде», т. 4, 1956.

1 დ. კლდიაშვილი, „ჩემი ცხოვრების გზაზე“, თვი XIV, თხზ., ტ. II, 1952.

2 ვაჟა-ფშაველას დასახელებული წერილები და აგრეთვე ვაჟას პოეტურ გამონათქვამებში მოქცეული ამ რიგის თვითდაკვირვებები იხ. კრებულში „ვაჟა-ფშაველა ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“, თბ., 1967.

3 კ. გამსახურ დია, „როგორ ვწერ?“ კრიტიკა, Essays, II, 1959.

4 მ. ჯავახიშვილი, „როგორ ვმუშაობ“ და „როგორ იწერებოდა „არსენ მარაბდელი“, თხზულებანი, ტ. VI, 1964.

5 საუბარი იუბილართან, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1969 წლის 10 იანვარი, № 2 (1639).

ცვლილებების გათვალისწინებით მრავალ სხვა საკითხთან ურთდებოდა, შესაძლებელი ხდება იმის გარევევა, საგანგებოდ ცდილობს სთუა პრატი მწერალი. თავისი მსოფლმხედველობისა და ენობრივი გრძნობის შესაბამის ფორმათა გამოძენასა და განმტკიცება-დაცვას.

ხელნაწერები და ე. წ. „შავები“ საშუალებას იძლევა მწერალთა წარმოსახვის სფეროში მიმღინარე პროცესებთან მისაახლოებლად. აქ, ხშირად უფრო მკაფიოდ ჩანს ავტორის განცდათა მიმღინარეობის თავდაპირველი სახე. ავტოგრაფთა ვარიანტების მნიშვნელობა შემოქმედებითი ისტორიისათვის იმაში მდგომარეობს, რომ ხელნაწერებზე დაკვირვების შედეგად დანახულ უნდა იქნას მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ხელოვანზე გარეგანი ფაქტორების ზემოქმედებასა და მისი შინაგანი გამოვლენის ფორმაზე. ეს კი ერთგვარად მიგვითოთებს მწერლის შინა და გარე სამყაროთა ურთიერთმიმართებაზე.

შემოქმედებით პროცესთა გასარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს მწერალთა თხზულებების ავტოგრაფული ვარიანტების განხილვას; მათი შესწავლა უკეთ გავვითვალისწინებს კონკრეტულ შემოქმედებასა და მისი შინაგანი გამოვლენის ფორმაზე. ეს კი ერთგვარად მიგვითოთებს მწერლის შინა და გარე სამყაროთა ურთიერთმიმართებაზე.

მაგალითად, ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ვარიანტებზე დაკვირვება პ. ინგოროვას საფუძველს აძლევს აღნიშნოს, რომ „ილიას თავდაპირველად ერთი ნაწარმოების სახით ჰქონდა მოაზრებული „ქაცია ადამიანი?!“, „გლახის ნაამბობი“ და „ქაკო ყაჩალი“. მოთხოვაში „ქაკო“ გაერთიანებულია ამ სამი ნაწარმოების სიუჟეტით, წარმოდგენილია „ქაცია-ადამიანის?!“ პირველი ესკიზი¹.

6. ბარათაშვილის ავტოგრაფებზე დაკვირვება ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ საეჭვოდ მიიჩნიონ აზრი 6. ბარათაშვილის ენობრივი კონსერვატიზმის შესახებ².

გრ. ორბელიანმა პოემა „საღლეგრძელოს“ ბოლო ვარიანტს გარეკვეული მოვლენებისაგან მიღებული უშუალო შთაბეჭდილების შედეგად, ჩაუმატა ზოგიერთი სტროფი, რომელიც ნაწარმოებს აზრობრივად აზუსტებს³.

იმის მრავალი ნიმუში აქვს მოყვანილი პრ. კეკელიძეს, თუ

¹ იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, თბ., 1951, ტ. I, პ. ინგოროვას შესავალი ნარკვევი — „ილია ჭავჭავაძე“, გვ. XXIX—XXX.

² გრ. კიკნაძე, „როგორ მუშაობდა 6. ბარათაშვილი“, წიგნში, მეტყველების სტილის სკონხები, თბ., 1957, გვ. 213 — 223.

³ ქ. ჭუმბურიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის და კრიტიკის ძალობრივიდან, თბ., 1958, გვ. 324-342.

ლექსის მხატვრული დახვეწის მიზნით როგორ ჰქმნიდა აკაკი წერე-
თელი ცალკეული სტროფის რამდენიმე ვარიანტს¹.

თავისთავად ცხადია ტექსტოლოგიურ ძიებათა მნიშვნელობა,
მაგრამ, გარდა ამისა, შემოქმედებითი პროცესის გაანალიზების სა-
ჭიროებამ რიგი თეორიული საკითხის განხილვა მოითხოვა. ამ მხრი-
ვაც, მართალია, არათანაბარი ღირებულების, მაგრამ დიდძალი ლი-
ტერატურა შეიქმნა. სპორადულად გამოთქმულ შეხედულებებზე
რომ აღარ შევჩერდეთ და მხოლოდ სისტემური განხილვის ცდებს
მივაქციოთ ყურადღება, დავინახავთ, რომ ამ საკითხს, — შემოქმე-
დებითი პროცესის, როგორც ასეთის, რაობის საკითხს, — აღრეც
ეძღვნებოდა და ამუამაღაც მრავალი გამოკვლევა ეძღვნება².

შემოქმედებითი პროცესის ბუნება საგანგებო ინტერესის სა-
გნად ფსიქოლოგებმა და ესთეტიკოსებმა აქციეს. მეცნიერთა ერთი
რიგი იმის დამტკიცებას ცდილობდა, რომ ხელოვანი თავიანთი
ქარაქტეროლოგიური თავისებურებებით დიდად გამოირჩევიან ჩვე-
ულებრივ ადამიანთაგან და შეიძლება კიდეც უპირისპირდებიან
მათ.

ახლა ძნელი აღარაა იმის ჩვენება, თუ რამდენად მიუღებელია
ამ ავტორთა შეხედულებანი. მართალია, ლიტერატურული შემოქ-

1 პრ. გვერდი 54, აკაკი წერეთლის ისტორიული პოემები, „თორნიკე ერისთავი“ და „ნათელა“, ტექსტოლოგიური გამოკვლევა, თბილისი, 1962, გვ. 54 — 55.

2 ამ საკითხე საყურადღებო აზრები აქვს გამოთქმული პლატონის და
არისტოტელეს. იხ. «Античные мыслители об искусстве», 1938, стр. 70—
144. არისტოტელე, პოეტიკა, პროფ. ს. დანელიას თარგმანი და წინასი-
ტყვაბა, 1944, გვ. 36.

Гегель, Лекции по эстетике, Собр. соч., т. XII.

А. Фуллье, Темперамент и характер, перевод с французского, М., 1896; Т. Рибо, Опыт исследования творческого воображения, перевод с французского, М., 1901.

А. Бергсон, Творческая эволюция, Собр. соч., т. I, перевод с французского, 1911; З. Фрейд, Психологические этюды, Поэт и фантазия, перевод с немецкого, 1912.

Н. Бердяев, Смысл творчества, Опыт оправдания человека, М., 1916.

Б. Кроche, Интуиция и выражение, კრებულში: «Современная книга по эстетике», перевод с английского, М., 1957.

იხ. აგრეთვე ამავე კრებულში: Кристофер Колдуэлл, Поэтическое воображение.

И. Кон, Общая эстетика, перевод с немецкого, М., 1921.

Н. Гартман, Эстетика, перевод с немецкого, М., 1958.

მედება სულის აქტივობის უმაღლესი სფეროა და ძნელია მისი ჩვეულებრივ ენაზე თარგმნა, ძნელია ეს თვით ხელოვანთათვეშია და რომელთაც არც მოეთხოვებათ „გრძნობათა კრიტიკოსობში“ (გრძნებათ), მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს დასკვნა, რომ ამათა ხელოვანის შემოქმედებით საიდუმლოებათა წვდომის ყოველგვარი ცდა.

ინტუიტიური თეორიების ჩამოყალიბებისა და განსაკუთრებით გავრცელების შემდეგ უკვე მტკიცედ მოიკიდა ფეხი აზრმა, რომ შემოქმედის მუშაობა ინტუიციას ემყარება. მაგალითად, ბენ-დე-ტო კრონეს თქმით „სული ინტუიტიურად მოქმედებს მხოლოდ შემოქმედებაში“¹. ასეთ შეხედულებას თავისითავად მივყავართ იმ აზრამდე, რომ არამც თუ ძნელია შემოქმედებითი პროცესის გაღმოცემა ინტელექტის ენით, არამედ ეს პრინციპული შეუძლებელიცაა, რადგან, ანრი ბერგსონის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ინტუიცია და ინტელექტი ცნობიერების მუშაობის ორ საპირისპირო მიმართულებას წარმოადგენენ“. ინტუიცია მიეღინება თვით ცხოვრების მიმართულებით და მის თანახმად, ინტელექტი კი მის საპირისპიროდ².

იმ ესთეტიკოსებსაც კი, რომლებიც ინტუიტივიზმის პოზიციაზე არ დგანან, აეჭვებთ შემოქმედებითი პროცესის წვდომის შესაძლებლობა. მაგალითად, იონას კონის აზრით შემოქმედებითი პროცესი „თითონ ხელოვანისთვისაც შეუდწეველია. გულმოლგინე ანალიზის დროს, მან შეიძლება მოძებნოს, თუ რა სახით განვითარდენ მასთან ნაწარმოების ელემენტები, მაგრამ როგორ და რატომ სწორედ მოცემულ დროში წარმოსდგა მათგან ერთიანობა, ეს მის-თვის (ხელოვანისათვის — ი. ე.) გაურკვეველი რჩება“³.

6. ჰარტმანი უფრო მკაფიოდ წერს: „არაფერია იმაზე ბნელი და იდუმალი, ვიდრე შემოქმედი მხატვრის მოქმედებაა. თვით გენიოსის გამონათქვამები საკუთარი მოქმედების შესახებ ძალიან ცოტა რამეს გვეუბნება საქმის არსის გასაგებად. უმრავლეს შემთხვევაში ეს გამონათქვამები გვიმტკიცებენ მხოლოდ იმას, რომ მანაც სხვებზე მეტი არ იცის იმ საოცრებათა შესახებ, რომლებიც მასშია (ხელოვანში — ი. ე.) და მის მიერ ხორციელდება“⁴.

¹ Б. Кроche, Интуиция и выражение, сб. «Современная книга по эстетике», перевод с английского, М., 1957, стр. 173.

² А. Бергсон, Творческая эволюция, перевод с французского, стр. 236.

³ И. Кон, Общая эстетика, перевод с немецкого, М., 1921, стр. 145.

⁴ Н. Гартман, Эстетика, перевод с немецкого, М., 1958, стр. 23.



6. ბერდიაევი შემოქმედებითი ფაქტის წარმომავლობას იდუ-
მალებით მოსავს, როცა წერს: „შემოქმედება არის ის, რაც მომდინარე შიგნიღან, აუხსნელი და უძირო სიღრმიღან და არა მსოფლიო გარ-
დუვალობისაგან. სურვილი გავხადოთ შემოქმედებითი აქტი გასა-
გები, მოვუძებნოთ მას საფუძველი, თავისთავადაა უკვე მისი ვერ
გაგება“¹.

შემოქმედებითი პროცესის შეფასებისადმი ასეთი მიღობით
ეს ავტორები უპირისპირდებიან ჰეგელის თვალსაზრისს, რომლის
თანახმად: „უგუნურებაა ვიფიქროთ, რომ ისეთი პოემები, როგო-
რიც ჰომეროსისაა, პოეტის მიერ შექმნილია ძილში. მოფიქრების,
დახარისხების, გარჩევის გარეშე ხელოვანს არ შეუძლია იმ მასა-
ლის ათვისება, რომელიც უნდა გააფორმოს და სისულელეა ვიფი-
ქროთ, თითქოს ნამდვილმა ხელოვანმა არ იცის რას აკეთებს“².

ღიღი იყო ამავე რიგის საკითხებისადმი ინტერესი XIX საუ-
კუნის რუსულ ლიტერატურულ კრიტიკასა და ესთეტიკურ ნააზ-
რევში. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ბ. ბელინსკისა და ნ. ჩერ-
ნიშვილის შეხედულებანი.

წერილში „ალექსანდრე პუშკინის თხზულებანი“ (სტატია მე-5),
ბ. ბელინსკი კონკრეტულ მასალასთან კავშირში დაწვრილებით
არჩევს პოეტის, ხელოვანის შემოქმედებითი მექანიზმის ზოგად სა-
კითხებს და წერს: „პოეტის შემოქმედებითი მოღვაწეობის წყაროა
მისი სული, რომელიც გამოიხატება მისი პიროვნებით, და მის ნა-
წარმოებთა სულისა და ხასიათის პირველი ახსნა მის პიროვნებაში
უნდა ვეძიოთ“³. შემოქმედებითი ცხოვრების ცალკეულ მხარეებს,
იქნება ეს შემოქმედ პიროვნებათა დახასიათება თუ ჰეშმარიტ პო-
ეტში თხზვის პროცესის მიმდინარეობის თავისებურებანი, ეხება
ბ. ბელინსკი მრავალ თავის კრიტიკულ-ლიტერატურულსა და პირად
წერილში⁴.

6. ჩერნიშევსკი, თავის ცნობილ შრომაში „ხელოვნების ესთე-

¹ Н. Бердяев, Смысл творчества, 1916, стр. 139.

² Гегель, Лекции по эстетике, Собр. соч., т. XII, стр. 289—290.

³ ბ. ბელინსკი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, ქართული თარგმანი ვ. მგა-
ლობლიშვილისა, 1957, გვ. 248.

⁴ ასეთია მაგალითად, წერილი ა. ი. გერცენს, 1846 წლის 6 აპრილი, ამავე
გამოცემის გვ. 818. აგრეთვე, ბ. ბელინსკი, „ჩვენი ღრივის გმირი —
ბ. ლერმონტოვის თხზულება“, რჩეული თხზულებანი, ქართული გამოცემა,
ტ. I, 1952, გვ. 206. და სხვა.



Оригінатором методу було вважається Сінна Модзилевська та брат її, доктор лікарства Орест Сінна, які вперше вивели цей метод на практику в 1905 році. Вони використали його для вивчення творчості художників і письменників. Сінна Модзилевська писала: «Метод, який я використовую, дозволяє мінімальним зусиллям отримувати найбільш точні результати».

Ганса Касселю та Йоганну Гартманн-Карлсбергу вважають авторами методу. Вони використали його для вивчення творчості художників і письменників. Ганса Касселю писала: «Метод, який я використовую, дозволяє мінімальним зусиллям отримувати найбільш точні результати».

Е. А. Борисова вважає, що метод Касселю та Гартманн-Карлсбергу є аналогом методу Сінни Модзилевської. Вона пише: «Метод Касселю та Гартманн-Карлсбергу є аналогом методу Сінни Модзилевської. Вони використали його для вивчення творчості художників і письменників. Ганса Касселю писала: «Метод, який я використовую, дозволяє мінімальним зусиллям отримувати найбільш точні результати».

О. Ляшко вважає, що метод Сінни Модзилевської є аналогом методу Касселю та Гартманн-Карлсбергу. Він пише: «Метод Сінни Модзилевської є аналогом методу Касселю та Гартманн-Карлсбергу. Вони використали його для вивчення творчості художників і письменників. Ганса Касселю писала: «Метод, який я використовую, дозволяє мінімальним зусиллям отримувати найбільш точні результати».

Сінна Модзилевська вважає, що метод Касселю та Гартманн-Карлсбергу є аналогом методу Сінни Модзилевської. Вона пише: «Метод Касселю та Гартманн-Карлсбергу є аналогом методу Сінни Модзилевської. Вони використали його для вивчення творчості художників і письменників. Ганса Касселю писала: «Метод, який я використовую, дозволяє мінімальним зусиллям отримувати найбільш точні результати».

¹ Сінна Модзилевська, доктор медичних наук, викладачка Університету в Бресті, відмінний вчитель. Вона використовувала метод Касселю та Гартманн-Карлсбергу для вивчення творчості художників і письменників. Вона писала: «Метод, який я використовую, дозволяє мінімальним зусиллям отримувати найбільш точні результати».

² Н. Чернишевский, Полное собр. соч., т. XII, Повести в повестях, М., 1949, стр. 132, 681—685.

³ Сінна Модзилевська, доктор медичних наук, викладачка Університету в Бресті, відмінний вчитель. Вона використовувала метод Касселю та Гартманн-Карлсбергу для вивчення творчості художників і письменників. Вона писала: «Метод, який я використовую, дозволяє мінімальним зусиллям отримувати найбільш точні результати».

⁴ Д. Овсянников-Куликівський, Наблюдательный и экспериментальный метод в искусстве, «Вопросы теории и психологии творчества», Хар'ков, 1907, стр. 99.

⁵ И. Лапшин, О перевоплащаемости в художественном творчестве, «Вопросы теории и психологии творчества», т. V, Хар'ков, 1914, стр. 261.

ქ, კვლევა-ძიების ამოსავალია დებულება, რომ «и эмоциональность, и наблюдательность, и интуиция, и фантазия художника важные слагаемые творческого таланта»¹.

შემოქმედებითი პროცესების შინაგანი მექანიზმის გამომცემულებას დიდი დაბრკოლებები ეღობება. მათ შორის ყველაზე უფრო ძნელად ნათელსაყოფია შემოქმედებითი პროცესის ფაქტორები და ამ პროცესის საკუთრივ ფსიქოლოგიური შინაარსი.² ამის ერთი მიზეზია ის, რომ ხელოვანნი ძნელად თუ ააშკარავებენ თავიანთ შემოქმედებითს მოტივებს და ნაწარმოებზე მუშაობის სურათს. ისინი თავიანთ ინტიმურ შემოქმედებით სფეროს ფარავენ გარეშე თვალისაგან; საკმარისია გავიხსენოთ ჩეხოვისა და იბსენის მაგალითები. კუპრინი წერდა: «Мы ничего не знаем не только о тайнах его (Чехова—Ю. Е.) творчества, но даже о внешних приемах работы. А. П. был до странности скрытен и молчалив».

იბსენი საშინლად გაჯავრდა, როდესაც მისმა ცოლმა ძირს შემთხვევით დავარდნილ ქალალდის ნაგლეჯზე მისი პიესის ნაწყვეტი ამოიკითხაჲ.

არც ვაუა-ფშაველა ამზეურებს ამა თუ იმ ნაწარმოების შექმნის ყველა მოტივს. ერთგან ვაუა ამბობს: „თუ რა პირადმა განცდამ, რა შემთხვევამ დამაწერინა „გოგოთურ და აფშინა“ ან ვინა მყავს გოგოთურად და ვინ აფშინად დახატული ეგ ჩემი საიდუმლოებაა და საფლავში თან ჩავიყოლებ“.

რასაკვირველია, მხედველობაშია მისალები ის გარემოებაც, რომ ხელოვანთ არც ძალუდთ და არც მოეთხოვებათ, რომ ბოლომდე გაანალიზონ საკუთარი შემოქმედების მიმდინარეობა და, რაც მთავარია, მოახერხონ მისი არსის შეცნობა. სწორედ ამაზე მიუთითებს გოეთეს სიტყვები: „ყველა ღროში ამბობდნენ და იმეორებდნენ: იცან თავი შენი. უცნაური მოთხოვნაა, რომელიც აქამდე ვერავინ დააკმაყოფილა და არც შეუძლია, კაცია რომ თქვას, დააკმაყოფი-

¹ Основы марксистско-ленинской эстетики, Госиздат, М., 1961, стр. 362. ამ საკითხებს ეხებიან ავტორები, მაგ.: А. Илиади, Природа художественного таланта, М., 1965; Н. Ферстер, Творческая фантазия, 1924.

² დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1940, თავი „შემოქმედებითი პროცესი“. იხ. აგრეთვე ვლ. ნორაკიძე, ხსიათის ფსიქოლოგია და ხელოვნება, თბ., 1962.

³ მაგალითები გადმოცემულია ი. ლაპშინის მიხედვით, იხ. მისი ხудожественное творчество, 1922, стр. 13.

ლოს. ადამიანის ყველა გრძნობა და ყველა მისწრაფება მიმდინარეს—
ლია მისი გარემომცველი სამყაროსაკენ და მას უწევს მისი შესწორებული
ლა და გამოყენება იმდენად, რამდენადაც ეს შეეფერება შესტაციულება
ნებს. საკუთარ თავზე ადამიანმა იცის მხოლოდ ის, რომ ტკბება ან
იტანჯება. დანარჩენ შემთხვევაში ადამიანი მიწიერი არსებაა და
არ იცის საიდან მოვიდა და საით მიდის. მან სულ ცოტა იცის სამყა-
როზე და თავისთავზე კი იმაზე ნაკლები. მეც აგრეთვე საკუთარი თა-
ვი არ ვიცი და ღმერთო დამიფარე ამისაგან“¹. ჩვეულებრივ ენაზე
შემოქმედებითი პროცესების გადმოცემის შეუძლებლობა გოეთეს
ასე ჰქონდა წარმოდგენილი: „როდესაც დიდი ადამიანი ბუნების
იღუმალი ქმედობისა და მის კანონთა შეცნობისას მიღის წინათ-
გრძნობამდე, მანამდე შექმნილი ენა არ იძლევა ამ რაღაცის გა-
მოსახვის შესაძლებლობას, რადგან იგი (ეს რაღაც — ი. ე.) ადა-
მიანურის მიღმა ძევს. თავისი დაკვირვების ზუსტად გამოსახატა-
ვად მას სჭირდება სულთა ენა; მაგრამ ვინაიდან ის ამ ენას არ
ფლობს, იგი განწირულია ბუნებაში არსებული არაჩვეულებრივი
ურთიერთობანი გამოხატოს ადამიანური სიტყვებით, რომელნიც
თითქმის ყოველთვის არასაკმარისნი აღმოჩნდებიან ხოლმე. ამგვა-
რად, იგი ამახინჯებს თავის შეხედულებებს, ცვლის მათ და სრუ-
ლიად სპობს კიდევ“².

იმდენად რთულია შემოქმედებითი პროცესი, რომ ხელოვან-
თათვისაც არ არის გასაგები მისი წარმომავლობა და მიმდინარეო-
ბის ესა თუ ის სახე, ხოლო ბევრ მათგანს შეუძლებლად მიაჩნდა ამ
პროცესის წვდომა არახელოვანთა მიერ. „საშინელი რამაა ჩვენი
მუშაობა. ჩვენს გარდა ამას ვერავინ გაიგებს. რომ იმუშაო, ამის-
თვის საჭიროა ფეხქვეშ ხარაჩოები ამოგეზარდოს და ეს ხარაჩოები
კი შენზე არაა დამოკიდებულიო“, — წერს ერთგან ლ. ტოლსტიო³.

შემოქმედებითი პროცესი დიდ შინაგან ტკივილებთან, ტანჯვა-
სა და ჭაფასთან დაკავშირებული აქტი რომ არის, ამას თ. დოს-
ტოევსკის სიტყვებიც მოწმობს. თავის პირად წერილებში არა-
ერთგზის მიუთითებს ის შემოქმედებითი პროცესების სირთულეზე.
მმისადმი მიწერილ ერთ მის ბარათში ვკითხულობთ: «Мне кажется,
что нет святее самоотверженника, как поэт. Как можно
делиться своим восторгом с бумагой? Душа всегда затает
более, нежели сколько может выразить в словах, красках и

¹ И. Эккерман, Разговоры с Гете, ч. II, 1905, стр. 190—191.

² იქვე, გვ. 372.

³ იხ. ლ. ტოლსტიოს წერილი ა. ფეტისადმი, 1875 წ., 28/X, ვარგებ-
ლობთ კრებულით; Л. Толстой о литературе, 1955, стр. 151.

звуках. Оттого трудно исполнить идею творчества»¹. Свое  «Что?»  «Что: работал и мучился. Вы знаете, что такое значит сочинять? Нет, слава богу, вы этого не знаете!»².

«... я б... таю с *Случайностью* (ჩანაწერებში) «Происхождение моих рассказов» да «Как я пишу», adds: «У писателя форма неразрывно связана с содержанием и рождается сама собой из содержания... Я часто приступаю к своей работе, не только не имея в голове готовой фабулы, но и как-то еще не обладая вполне пониманием ее окончательной цели... Не готовая идея, а только самый общий смысл произведения владеет мною в этот начальный момент». *Он* определяет прежде всего размер произведения»³.

«... я... о... с... а... м... м... მ... რ... ლ... ს... შ... ე... მ... მ... ე... დ... ი... თ... პ... რ... ც... ე... ს... ბ... ი... ს... მ... ა... ხ... რ... დ... ი... ე... ბ... ლ... ი... ი... მ... ჟ... უ... ლ... ს... ე... ბ... ი... ს... ა... ხ... ს... ნ... ა... გ... ე... ბ... ა... ი... მ... ი... ს... ა... თ... უ... რ... ა... რ... ი... ს... ა... მ... პ... რ... ც... ე... ს... ი... ს... ე... რ... თ... ვ... ა... რ... ი... ს... „ს... ა... წ... ვ... ა... ვ...“... მ... ა... ს... ა... ლ... ა... — შ... ე... უ... ძ... ლ... ე... ბ... ლ... ი... ა... „ს... ა... წ... ვ... ა... ვ...“... ლ... ე... ბ... უ... ლ... ო... ბ...“, მ... ა... გ... რ... ა... მ... „კ... ა... ც... ა... რ... ი... ც... ი... მ... ს... ა... წ... ვ... ა... ვ... ი... ს... შ... ე... მ... ა... დ... გ... ე... ნ... ლ... ი... ბ... ა... უ... ე... ლ... ა... ზ... ე... ნ... ა... კ... ლ... ე... ბ... კ... ი... შ... ე... ნ... ი... ც... მ... ა... რ... ტ... ი... ი... მ... ა... ს... გ... რ... ძ... ნ... ი... ბ... გ... ა... ქ... ვ... ს... თ... უ... ა... რ... ა... მ... ყ... ა... მ... ა... დ... ე... ს... ს... ა... წ... ვ... ა... ვ... ი... თ... უ... დ... ა... ც... დ... ა... ს... ა... წ... ი... რ... ი... კ... 4.

ხელოვანთა მიერ საკუთარი შემოქმედებითი პროცესების მიმდინარეობისა და ახსნის ოვალსაზრისით, ქართულ სინამდვილეში შედარებით მცირე, მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებული ღირებულების შემცველი ცნობები და მწერალთა ცალკეული დაკვირვებებიც მოიპოვება.

ი ლ ი დ ჭ ი ვ ჭ ა ვ ა ძ ე ზ ე ა რ ს ე ბ უ ლ მ ო გ ო ნ ე ბ ე ბ შ ი ვ ხ ვ დ ე ბ ი თ დ ე ტ ა ლ ე ბ ს მ ი ს ი შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი პ რ ი ც ე ს ე ბ ი ს დ ა ძ ა ბ უ ლ ი ხ ს ი ა თ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ . მ ა გ ა ლ ი თ ა დ , ი . მ ა ნ ს ვ ე ტ ა შ ვ ი ლ ი ს თ ქ მ ი თ „მ უ შ ა მ ბ დ დ ა ი ლ ი ა გ ა ტ ა ც ე ბ ი თ , მ ა გ რ ა მ თ ა ნ ა ც კ ი გ ვ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ დ ა ... კ ა მ ბ ე ჩ ი ს ჯ ი შ ი ს ა ვ ა რ , რ ა ც უ ნ დ ა მ ძ ი მ ე დ დ ა ტ ვ ი რ თ უ ლ ი უ რ ე მ ი ი ყ უ ს , უ კ ა ნ ა რ დ ა ვ ი ხ ე ვ ... მ ა ხ ს ი ვ ს , რ ი ც ი რ ლ ი ს ტ ე რ დ ა „ო თ ა რ ა ნ თ ქ ვ რ ი ვ ს “. ჩ ა ი კ ე ტ ე ბ ო დ ა თ ა ვ ი ს კ ა ბ ი ნ ე ტ შ ი , მ ი უ ქ დ ე ბ ო დ ა მ ა გ ი დ ა ს დ ა ს ტ ე რ დ ა გ ა ნ უ წ ყ ვ ე ტ ლ ი ვ , თ ა ვ ა უ ლ ე ბ ლ ი ვ , დ ლ ი თ ი დ ა ღ ა მ ი თ ... ე რ თ ფ ი ნ გ ა ნ ყ ა ვ ა ს თ უ შ ე უ ტ ა ნ დ ნ ე ნ ... თ ო რ ე მ ს ხ ვ ა ს ა წ მ ე ლ ს ა რ ა ფ ე რ ს მ ი ი კ ა რ ე ბ დ ა ... ა ს ე გ ა შ მ ა გ ე -

¹ Ф. М. Достоевский, Письма, т. II, под редакцией А. С. Долинина, 1839, Письмо к М. М. Достоевскому.

² ი ქ ვ ე , Письмо к А. Н. Майкову, стр. 59.

³ И. Бунин, Как я пишу, Собр. соч., т. 9, М., 1967, стр. 374—375.

⁴ ე . ჰ ე მ ი ნ გ უ ე ი , ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი ს ტ ა ტ ი ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ , ქ ა რ თ უ ლ ი გ ა მ ო ც ე მ ა , თ ხ ზ , ტ . 5.

ბით იცოდა მუშაობა... მხოლოდ თამბაქოზე კი ხელს არ იღებდა... გაათავებდა წერას, მიატოვებდა კალამს და მთელი კვირაობით დაუბრუნდებოდა საქმეს¹. მაგრამ შემოქმედებით პროცესში ურთიერთ გვარი შეყოვნებები ამ „მოაზრე“ ხელოვანისათვისაც არ უკი უცხო. შემოქმედებითი პროცესის სიმძიმეს გახაზავს ილიას პირადი წერილი დავით ერისთავისადმი; ილია აქ აღნიშნავს: „ამ „აჩრდილმა“ ტყავი გამაძრო. ისტორიულს ნაწილზედ... შევდევ და ერთი ბიჭი წინ ვერ წავდგი. არ ვიცი რა ვქნა? ვამბობ ამ „აჩრდილს“ თავი დავანებო მეთქი“.

დავით კლდიაშვილი იხსენებს, თუ როგორ დაწერა მან თავისი ნაწარმოებები. მაგალითად, „სოლომან მორბელიძის“ შექმნასთან დაკავშირებით იგი ამბობს: „მოთხრობა დაიწერა სულ მოკლე ხანში და ისეთი გატაცებით, რომ გაკვირვებას ვიყავი, რომ ისე იოლად მოვერიე და დავამთავრეო“... და შემდეგ განაგრძობს: „სამაგიეროდ დიდი გასაჭირი მომაყენა შემდეგმა მოთხრობამ „წრფელი გული“ რომა აქვს სათაურად. ჩამოყალიბებულ, ჩამოსხმულ მოთხრობას ვერ მოვუნახე პირველი სტრიქონი. ჩემთვის ეს პირველი სტრიქონი ყოველთვის ტონის მომცემი იყო. ამ პირველი სტრიქონიდან, ასე ვთქვათ, გასრიალდებოდა მოთხრობა... ერთხელ... გზაში ჩემი მოთხრობა გამახსენდა, ჩემი გმირები ალაპარაკდნენ... უცებ ჩემ თვალშინ თითქოს ჩამოფარებული ფარდა გადაიწია და ჩემი მოთხრობა თავიდან ბოლომდე, ერთ წუთში გადამეშალა... დასაწყისიც აგერ არის, ნაძებარი დასაწყისიც, რომელსაც გაყვა, გაყვა, რაღაც გატაცებით სიტყვა, წინადაღება, სურათი... სურათები ბოლომდე... ასეთივე გატაცებითაა ნაწერი „სამანიშვილის დედინაცვალი“².

თანამედროვე ქართველმა მწერლებმაც გამოამუღავნეს ინტერესი საკუთარი შემოქმედებითი პროცესების ახსნა-განმარტებისადმი. და უნდა აღინიშნოს, რომ აქაც ხაზგასმულია თხზვის იდუმა-

1 ი. მანსვეტაშვილი, მოგონებები, ლევან ასათიანის რედაქციით, თბ., 1936, გვ. 85—86.

2 რტურ ლაისტის გადმოცემითაც „ილია ხშირად თავდავიწყებით მუშაობდა, მთლად გადაიღებოდა და ასეთი გატაცების შემდეგ ონბავ გულგრილობას მიეცემოდა... ამ თავის ხანგამოშვებით გულგრილობას ილია თვითონ დასცინოდა; ერთხელ კიდეც მითხრა: მე სწორედ კაეჩის ხსიათი მაქვს; ამ კარგ ცხოველივით ძლივს ვიწყებ მუშაობას, მაგრამ როცა ურემს გავსწევ, მაშინ კი მიმაქვს, სანამ სრულებით არ მოვიქანცებიო“.

ის. არტურ ლაისტი, სქართველოს გული, თბ., 1963, გვ. 12.

2 დ. კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, თავი XIV, თხზ., ტ. II, თბ., 1952, გვ. 353—354.

ლებით გამოწვეული სირთულე, მაგალითად, კ. გამსახურდია წერს: „ძნელია იმის აღწერა, თუ როგორ ვწერ. შემოქმედების უმცირესი ჭერაც უაღრესის იღუმალებითაა მოცული... მე შემიძლია შემოქმედებითი მუშაობის გარეგნულ ვითარებათა შესახებ მოგითხროთ ზოგი რამ... საერთოდ ქვეშეცნეულად ვწერ. მეტწილად სათაურიდან გამოვდივარ. ვერ გეტყვით, თუ როგორ ხდება ეს, როგორ გამოუდგება ერთს ან ორ სიტყვას, სათაურში გახმაურებულს, ათასი და ათი ათასი... ნაგრძნობის, ნაოცნებარის და ზმანებულის ფიქსირებას სატანური ნებისყოფა სჭირია და ეს მოითხოვს საშინელ ბრძოლას ენის ინსტრუმენტთან“¹.

მიხ. ჯავახიშვილი ც აღნიშნავს ამ საკითხის განსაკუთრებულ სირთულეს და ამბობს: „რა მასალა უფრო შველის — ავტობიოგრაფია, დაკვირვება, წიგნი თუ ჩანაწერები? ყველა ერთად, ცალკალკე კი არც ერთი“²... იგი მიუთითებს შემოქმედების პროცესში მოქმედ ერთ მეტად მნიშვნელოვან და ჩვენთვის საყურადღებო მოვლენაზე: „იმ დროს მწერლობაში, „საწყალი კაცი“ იყალათებდა და მეც მიმიზიდა... ერთ საწყალს რამდენიმე საწყალი მოჰყვა („უპატრონი“, „მეჩექმე გაბო“, „თავდავიწყება“, „კურკას ქორწილი“) და ეს მოტივი — დაჩაგრული და უბედური — ოცი წლის დუმილის შემდეგაც მრავალჯერ გავიმეორე, შეუძლებელია ან არ განმეორებულიყო, ვინაიდან მწერლისთვის სიბრალული და თანაგრძნობა იგივეა, რასაც თითები წარმოადგენენ ასტატ მეჩონგურესათვის“³.

სერგო კლდიაშვილი გვიამბობს: „სწრაფად ვწერ, მაგრამ მოთხრობის დაწერა როდი ნიშნავს მის დამთავრებას. რაგინდ პატარა იყოს ნაწარმოები, შეუძლებელია ერთი-ორი თვით არ ჩავაგდო უჭრაში, რომ გული ცოტა გაცივდეს მის მიმართ და მხოლოდ მაშინ, ცივი გონებითა და გულით კარგად ვხედავ, რა არის ზედმეტი, გასასწორებელი და ჩასამატებელი. წაშლა-შემცირება არ მენანება. რაც ზედმეტად მიმაჩნია ის დაუნდობლად უნდა ამოვილო“⁴.

მწერალთა ზემოთგადმოცემული აზრები, სავსებით საკმარისია იმის საჩვენებლად, თუ რაოდენ დიდ სიძნელეს წარმოადგენს თვით ხელოვანთათვისაც კი შემოქმედებითი ცხოვრების საიდუმლოებათა

¹ კ. გამსახურ დია, როგორ ვწერ? Essays, ტ., II, 1959, გვ. 180—189.

² მიხ. ჯავახიშვილი, „როგორ ვმუშაობ“, თხზ., ტ. VI, 1964, გვ. 384.

³ იქვე.

⁴ შეხვედრა იუბილართან, გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1969 წლის 10 იანვარი.

ახსნა, მწერლის ნამდვილი შემოქმედებითი ბიოგრაფიისათვის თვალის გადევნება. შემოქმედთა თვითდაკვირვებებსა და თვითგადაუღიერებებში სწორედ ამ გარემოებაზეა ყურადღება გამახვილებული: შემოქმედებით გრამ, როგორც არ უნდა იყოს, უკვეველია: ეს აზრები სწორედ იმითაა ფასეული, რომ საზრდოობენ ხელოვანის თვალით დანახული შემოქმედებითი სინამდვილით, კონკრეტულ-ინტუიტური თვითდაკვირვებით მოპოვებული ფაქტებით. ეს კი მხატვრული შემოქმედების ბუნებას გამოხატავს, ანუ ერთგვარად განმარტავს მწერლის ხასიათს. შეიძლება ამ დაკვირვებებსა და გამონათქვამებში ბევრი რამ მისაღები არ იყოს, მაგრამ ანგარიშგასაწევი და ლიტერატურულმცოდნეობითს მუშაობაზე გავლენის მომხდენი კი უთუთდ არის.

მიუხედავად იმისა, რომ მდიდარი ფაქტიური მასალა არის დაგროვილი მწერლის შემოქმედებითი პროცესების შესასწავლად ცალკეული თვითდაკვირვებების, თვითანალიზების, მწერალთა ხელნაწერების, მათზე არსებული მოგონებების, თუ სხვა სარწმუნო ცნობების სახით, — უნდა ითქვას, რომ ძნელად ხორციელდება მასალის კორეგირება.

შემოქმედებითი პროცესები ძნელად ამოტივტივდებიან დაკვირვებისათვის ხელმისაწვდომ ზედაპირზე. მათ საბოლოო სახე არ აქვთ მიღებული და ამიტომაც ძნელია მათი შემდგომი სახის გათვალისწინება, რადგან, როგორც კ. მარქსი ამბობს „განვითარებული სხეულის შესწავლა უფრო ადვილია, ვიდრე უჯრედისა“¹. ჩვენ ცალკეულ შემოქმედებით პროცესებს მათ ცალკეულ „უჯრედებს“ თუ შევამჩნევთ, ხოლო ცალ-ცალკე გაანალიზებული მასალა საკმარისი არ არის შემოქმედების მხატვრულ თავისებურებათა ასახსნელად (მათს მთლიანობაში). ამასთანვე, კერ კიდევ საცემით გამოქვეთილი არაა იმ საკითხების წრე, რომელთაც ე. წ. „შემოქმედებითი ისტორია“ სწავლობს, მეტად ფართო და ყოვლისმომცველი აღმოჩნდა შემოქმედებითი ისტორიის ფარგლები. ცნების დაუკანკრეტებელმა შინაარსმა გამოიწვია ის, რომ პრაქტიკულად „შემოქმედებითმა ისტორიამ“ შეიწოვა მწერლის შემოქმედებითი ცხოვრების ყველა დეტალი. ამიტომაც, შემოქმედებით ისტორიად მიიჩნევენ მწერლის განხილვას მისი იდეური ჩამოყალიბების თვალსაზრისით, ტექსტის ავტორისეული ცვლილებების შესწავლას (შემოქმედის მოწიფების თვალსაზრისით) და ა. შ. ცხადია, რომ ეს მომენტები შემოქმედებითი პროცესების მიმდინარეობის ცალკეუ-

¹ კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, პირველი გამოცემის წინასიტყვაობა, 1954, გვ. 4.

კი მხარეებია, და მთავარი სიძნელე ამ მხარეთა დაკავშირებული მათი კანონზომიერების ახსნაში მღვმარეობს. რასაკვირეული, შემოქმედების პროცესში არსებულ ფაქტთა მიმართებების დაჭრა ძნელია, მაგრამ გასათვალისწინებელია ხელოვანის ერთი ნაწარმოების მეორესთან ერთიანობა-მსგავსების და განსხვავების მიზეზები, ისევე როგორც თვით ერთი თხზულების აღრინდელ და მოგვიანო სახეთა (ვარიანტთა) შორის არსებულ განსხვავებათა წარმომშობი მოტივები. ამასთანავე გასარკვევია, თუ რაზე წერდა მწერალი, რამდენად გაფართოვდა (ან შეიზღუდა, დაკონკრეტდა, ჩაღრმავდა) წრე ინტერესებისა (მასალობრივად და საკითხების თვალსაზრისით). ეს ნიშნავს, რომ გავარკვევთ მწერლის მსოფლმხედველობრივად მომწიფების პროცესს, გამოვყოფთ მის საფეხურებს. „შემოქმედებითმა ისტორიამ“ უნდა გვიჩვენოს თუ აზრობრივი სწორების თვალსაზრისით რა მომენტები და მოტივებია წამოწეული მწერლის მიერ ვარიანტებში (ან ნაწარმოებიდან ნაწარმოებში), რანაირი ფრაზებია წარმოლგენილი ერთი თხზულებიდან მეორეში მომდინარეობის ნიშნით და რა სპეციფიურ ემოციურ შრეებს ჰქმნიან ეს ფრაზები (ან სიტყვები) თავის გარშემო. ამოსაცნობია, აგრეთვე, თუ რამდენად მოქმედებს მწერალზე შემოქმედების პროცესში (ან უკვე მზა ნაწარმოებზე) გარე ფაქტორები; მისაკვლევია მწერლის ნაწერებში მკვიდრი, ე. ი. ის, რაც მეორდება, — ე. წ. „თვითგამეორებათა“ ნაირ-ნაირი სახით გვეძლევა და მწერლის შემოქმედებითს მთლიანობაზე მიგვითითებს. ამას დავინახავთ, მოტივთა (თემათა), ხატთა სისტემის, მასალის, ლექსიკური ერთეულების, სინტაქსური კონსტრუქციების აღნუსხვა-კლასიფიკაციით და ა. შ.

ამთავითვე უკვე ჩანს, თუ რაოდენ ფართოა იმ საკითხების წრე, რომელთაც შემოქმედებითი ისტორია გულისხმობს და რაოდენ ვრცელია და მრავალფეროვანი ის მასალა, რომელსაც იგი უნდა ითვალისწინებდეს.

II. „ჩემი შემოქმედობის ისტორიის დაწერა აღვილია, ხოლო ვა თუ ამ განმარტებამ ავნოს ჩემს ნაწარმოებებს“, — წერდა ერთგან ვაუკა-ფუნველა. დიდ პოეტს შემთხვევით არ აეჭვებდა საფრთხე, რომლის წინაშე შეიძლებოდა დამდგარიყო და რომელშიც მოსალოდნელია ჩავარდეს მკვლევარი, როცა იგი მოწადინებულია საკუთარ ზრახვათა შესაბამისად წარმოისახოს ნამდვილი ხელოვანის შემოქმედებითი ცხოვრება; ყველაფრის ახსნისა და განმარტების სურ-

ვილი იმის ნიაღაგსაც პქმნის, რომ გამარტივდეს შემოქმედებით
მრავალფეროვნება.

ეროვნული

ჯერჯერობით, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ისტორიაში შეჩლია
ანი სურათის მოცემა შეუძლებელია არა მარტო იმიტომ, რომ პოე-
ტური თხზვის მექანიზმის შინაგანი სირთულე აფერხებს კვლევას,
არამედ იმიტომაც, რომ მისი შემოქმედება ღროის ვრცელ მონაკ-
ვეთშია განვითარებული (1878 — 1915 წწ.) და შემოქმედებითი პრო-
დუქციის სიუხვითა და მრავალფეროვნებით გამოიჩინა.

ამიტომ ჩვენ ვიფარგლებით გარკვეული ღროით — 1878—1890
წლების ვაჟას შემოქმედებით ნიმუშების განხილვით. ასეთი შემო-
ფარგვლა სრულიადაც არ გულისხმობს, თითქოს 1878 წელს იწყე-
ბოდეს და 1890 წელს თავდებოდეს ვაჟას შემოქმედების ერთი პე-
რიოდი და შემდეგ იწყებოდეს სხვა. ღროის ეს მონაკვეთი იმიტო-
მა შერჩეული, რომ ამ ხანაში ისახება, მწიფდება და უკვე ჩამოყა-
ლიბებული სახით გვეძლევა ვაჟას მხატვრული ინდივიდუალობა. 1890 წლის ჩათვლით არის შექმნილი „შვლის ნუკრის ნაამბობი“ და
„ხმელი წიფელი“, „არაგს“, „ღამე მთაში“, „არწივი“, „გოგოთურ
და აფშინა“, „ალუდა ქეთელაური“, „ეთერი“ და სხვა მრავალი შე-
დევრი. ამ ღროს იქმნება მისი ეთნოგრაფიული, პუბლიცისტური და
კრიტიკულ-ლიტერატურული სტატიების მნიშვნელოვანი ნაწილი,
რომლებშიც, ყოველდღიური ყოფითი და ლიტერატურული ცხოვ-
რების მიმართ შეუნელებელი ინტერესის გამო, ვაჟას მოქალაქეო-
ბრივი პროფილი ჩანს. ამ წერილში საყრდენად და ორიენტირად
ჩვენ ვირჩევთ ვაჟას ნაწარმოებთა გარკვეულ რიგს, — პოეტის შე-
მოქმედებით ისტორიაზე წარმოდგენის შესაქმნელად ხელსაყრელ
და აუცილებელ მასალას: 1887 წელს გამოქვეყნებულ „გოგოთურ
და აფშინას“ და 1890 წელს დაწერილ „ეთერს“¹. პროზაული თხზუ-
ლებებიდან ვჩერდებით „პატარა მწყემსის ფიქრებსა“ (1886 წ.) და
„ხმელ წიფელზე“ (1888 — 1889 წწ.), ვაჟას ლირიკულ შედევრებ-
ზე — „ამირანსა“ (1884 წ.) და „არაგვზე“ (1886 წ.).

ბუნებრივია იბადება კითხვა — რატომ შევჩერდით ამ და არა
სხვა ნაწარმოებებზე? განა ამ წლებში არაა შექმნილი მაგ.: „შვლის
ნუკრის ნაამბობი“, „არწივი“ და „ალუდა ქეთელაური?“ ჩვენს არ-
ჩევანი განპირობებულია პირველ ყოვლისა იმით, გვაქვს თუ არა
პოეტის მიერ ვრცლად ნაწორები ტექსტი ნაწარმოებისა ან მისი
ვარიანტი (ხელნაწერები). მართალია, ხელნაწერები სხვა ქმნილე-

¹ წერილის მოცულობის შემცირების საჭიროებამ გამოიწვია ავტორის
ვრცელი მსჯელობის შეკვეცა ამ ნაწარმოებთა შესახებ. რედ.

ბებსაც მოეპოვება, ისეთს მაგ. როგორიცაა „შალვას ნანახიზატი“ ან „დათვი“. მაგრამ ამ შემთხვევაში ნაწარმოების მხატვრულ დოკუმენტები ნეს და სპეციფიკურობას ვიღებთ მხედველობაში. ჩვენ გვაინტერესებს, რამდენად ჩანს და რა სახით წარმოსდგება აღნიშნულ მასალაში ვაჟა?

ბეჭით პოეტურ ძიებას ვაჟა 16 — 17 წლის ასაკში იწყებს. ამას ის ლექსებიც მოწმობენ, რომელთა დახასიათება თვითშეფასების წესით აქვს მოცემული ვაჟას სტატიაში „Pro domo sua“. „ურნალ „იმედშიც“ ვბეჭდავდი ლექსებს — წერს პოეტი, — რასა-კვირველია, იმ ლექსებში ბევრი არა ყრია-რა, იქნება ცოტა რამ კი ეტყობოდეს ნიშანწყალი გრძნობისა“. ამ ნაწარმოებების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ მხოლოდ იმაზე, თუ თავისი ძიების პოლიტიკური ვაჟა განსაკუთრებით რომელი ქართველი პოეტისადმი იჩენს ინტერესსა და ერთგვარ სიახლოვეს. მაგალითად, 1877 წელს შეთხ-ზულ ლექსში — „თხოვნა“ შეინიშნება ილია ჭავჭავაძის „დიმიტრი თავდალებულის“ სტრიქონების ზემოქმედების ბეჭედი.

1878 წელს იგი ქმნის ლექსს „ყარსის ბოლოს“. აქ მკაფიოდ ჩანს გრ. ორბელიანის პოეტური ფაქტურის („სადღეგრძელო“ და „საღამო გამოსალმებისა“) გავლენა, ინტონაციების გამოძახილი.

ვაჟას თანამედროვენი აღნიშნავენ ამ წლებში პოეტის განსაკუთრებულ ინტერესს ნ. ბარათაშვილის პოეზიის მიმართ¹. 1879 წელს დაწერილი ლექსიც „დროება“, სწორედ ბარათაშვილით გატაცებას უნდა მოწმობდეს. ყრმობისდროინდელი პოემა „დაჩა-გრული მესტვირე“ კვლავ ილია ჭავჭავაძის პოეზიასთან სიახლოვის ნიშნებს შეიცავს.

ილიას პოეტურ გარემოში ტრიალებს ვაჟა 1883 წელსაც, როცა ქმნის ლექსს „ჭერ არ მომკვდარა მორწმუნე გული“. ლექსში „ვართანას“ (1885 წ.) რამდენადმე აკავი წერეთლის პოეტურ ხმას ვცნობთ.

ეს ნიმუშები იმ მხრივაა საინტერესო, რომ მათში ჩანს ვაჟას კავშირი ლიტერატურულ ტრადიციებთან და საერთოდ ის, თუ როგორ ლიტერატურულ ატმოსფეროში იყო მოქცეული ეს პოეტი.

ვაჟას იმდროინდელი ლექსები მაინც დამაინც არ ამჟღავნებენ, რომ მათი ავტორი მომავალი ვაჟა-ფშაველაა; ამნაირი ნიშნები შეიძლება ვიპოვოთ მხოლოდ შემდეგ, როცა ჩვენს წინაშე უკვე გამოკვეთილი პოეტური ინდივიდუალობა დგას.

¹ სვ. სალარიძე იგორებს, რომ ვაჟამ მოსწავლეთა წრეში წაიკითხა მოხსენება: „ნ. ბარათაშვილი, მსოფლიო სევდის პოეტი“. იხ. კრ. ვაჟა-ფშაველა ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, თბ., 1967.

ვაუას ადრინდელი ლიტერატურული ცდები ახლის, საკუთარის ძიებას გამოხატავს. ის ცდილობს დამოუკიდებელი პოვტუნას საყრდენების შექმნას. სხვათა შექმნილის გაცნობა, რამდენადაც პოვტუნას უნდა აღვივებდეს იგი ხელოვანში საკუთარის შექმნის მოთხოვნილებას, ინდივიდუალურის პოვნის პირობად მაინც არ შეიძლება იქცეს, მაგრამ მის ხელისშემწყობ ფაქტორად კი შეიძლება გამოვიდეს.

ვაუა-ფშაველა ჭაბუკობიდანვე გატაცებით იწერს და აგროვებს ხალხური შემოქმედების ნიმუშებს, ხოლო უფრო მოგვიანებით სხვის მიერ შეკრებილი ამგვარი მასალის რეცენზირებასაც ახდენს. ვაუა ფშავში ცხოვრობს, ურთიერთობა უხდება ფშავ-ხევსურებთან და ბუნებრივია, როგორც მათი თანამოძმე, დაინტერსებულია არა მარტო ამ ხალხის ყოველდღიური ჭირ-ვარამით (რაც ასახულია მის კორესპონდენციებში), არამედ მთიელთა ტრადიციებით, მათი რწმენა-წარმოდგენებით, ზნე-ჩვეულებით, პოეზიითა და ამ პოეზიაში შემონახულ გმირთა ხასიათებით, ე. ი. იმით, რაც მისი გარემოს სოციალურ, მორალურსა და ესთეტიკურ სახეს ქმნის. ამის გამოხატულებაა ვაუას მიერ ამ პერიოდში დაწერილი (ე. ი. 90-იანი წლების ჩათვლით), ეთნოგრაფიული წერილების წყება, „ფშავლები“ (1886 წ.), „ხევსურეთი“ (1887 წ.), „ლაშარობა“ (1888 წ.), „კოპალა და იახესარი — დევების მებრძოლნი“ (1889 წ.), „ხევსურული ჭორწილი“, „გმირის იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულებით“, „ფშაველი დედაკაცის მდგომარეობა და იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულებით“. (1890 წ.) და მრავალი სხვა. რაც დრო გადის და პოეტურად მწიფდება ვაუა, კიდევ უფრო ფართოვდება და ორმა-ვდება მისი ამგვარი ინტერესები.

ფშაური გარემოს და ხალხური მითოლოგიის გმირების, „ვეფხისტყაოსნისა“ და ბიბლიის პერსონაჟთა ატმოსფეროში მოქცევამ გაამდიდრა ლუქა რაზიკაშვილის სულიერი სამყარო. ამას უნდა დავუმატოთ ბავშვობაშივე ჩანერგილი გამორჩეულობის გრძნობა და ძლიერებისაკენ მისწრაფებაც. „ჩემი თავი სამსონ ძლიერად მყავდა წარმოდგენილო“, — იგონებს პოეტი და უკვე ვხედავთ თუ იმთავითვე როგორი მასალისაკენ აქვს მიღრეკილება ვაუას. მას ძლიერი პიროვნებები და გმირები იტაცებენ, (მაგ. ნაპოლეონი) ძლიერება ხიბლავს მას და თვითონაც ცდილობს იყოს სამაგალითო ამ მხრივ. გმირული სული იტაცებს და აკი თვითონაც ამბობს: „საგმირო ამბებს აღტაცებაში მოვყავდი და სწორედ ის ხანა დაედვა ლიბოდ ჩემს შემოქმედებასო“.

დიდია ვაჟას მიერ მოსმენილი და მის წერილებში განხილული მასალის სიახლოვე ვაჟას მხატვრულ შემოქმედებასთან. „დედაზე მის მიერ ნაამბობიდან ღრმად ჩამეჭდია გულში იაკოზის უძრობული ცხად-მოჩვენება“, — ამბობს ვაჟა და სანიმუშოდ მოპყავს ადგილი მონათხობიდან, როცა „ცეცხლის ბალლები ადიოდნენ და ჩამოდიოდნენ და ისეთ მწევრ ხმაზე გალობდნენ, ისე ტკბილად, ღმერთო იმაზე კარგს რას გაიგონებს კაცის ყურიო“. ნათქვამის გამოძახილია 1886 წელს შეთხული მოთხობიდან „შთაბეჭდილებანი (ფშაველის ცხოვრებიდამ)“ მოკლიას მოჩვენება. „ზემოთ სიმღერა ისმოდა; ცეცხლის ბალლები იმღერდნენ მწევრის ხმით, იმათმა წკიცილმა ყურთასმენა გამტაცა“. ეს არის ილუსტრაცია იმისა, თუ მხატვრული წარმოსახვის სფეროში რანაირად შეიძლება შემდგომ შეიქრეს და დამკვიდრდეს ბავშვობაში გაგონილი.

მსგავს ფაქტებთან გვაქვს საქმე ერთ და იმავე დროს გამოქვეყნებული (1889 წ.) წერილის „კოპალა და იახსარი“ და პოემა „კოპალას“ შემთხვევაშიც. უეჭველია სიახლოვე ვაჟას მიერ ადრე შესწავლილ მასალასა და პოემის მხატვრულ ქსოვილს შორის. ამგვარ მასალაში ტრიალი ამდიდრებს და ბიძგს აძლევს ვაჟას ფანტაზიას, ამიტომაცაა, რომ შემოქმედების პროცესში ეს მასალა აქტიურადაა ჩართული და გარდასახული, რასაკვირველია, თავისებურად.

III. ვაჟა-ფშაველას მთელი შემოქმედების დახასიათებისადმი მიძღვნილი შრომებიდან ვიცით, თუ რა თემები იზიდავს მას და რა მოტივებს უთმობდა ის განსაკუთრებულ ყურადღებას. შემოქმედებითი ისტორიის თვალსაზრისით, რასაკვირველია, აუცილებელია იმის გარკვევა, თუ რამდენად მკაფიოდ ჩანს ვაჟას შემოქმედებაში ეს მოტივები ჩვენთვის საინტერესო 80—90-იანი წლების მანძილზე. ეს აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ თემატიკა დიდად პაირობებს ხელოვანის შემოქმედებითი პროცესის ხასიათს და, მაშასადამე, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ისტორიის ერთი მნიშვნელოვანი მხარე სწორედ მისი თემატური ინტერესების გათვალისწინებით უნდა გავარკვიოთ.

ა) შენიშნულია, რომ „შეუპოვრობა-გამძლეობის ნიშანი ვაჟა-ფშაველას მთელს შემოქმედებას გასდევს და რამდენადაც ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ ის ზვიადაურის სახეშია პერსონიფიცირებული“, მას ზვიადაურის მოტივსაც უწოდებენ. ამ მოტივის შინაარსად

სულიერ უკომპრომისობას და ფიზიკურ გამძლეობას გულისხმო—
ბენ!

90-იან წლებამდე ვაჟა-ფშაველას ამ მოტივის ფესვები უშერე-
სად შესამჩნევია და პერსონიფიცირებული ხალხური მითოლოგიის
ცნობილი გმირის — ამირანის სახეში. 1878 — 1890 წლებში (და
არა მარტო ამ წლებში) ვაჟა-ფშაველა განსაკუთრებული სიმპატი-
ით დასტრიალებს თავს ძლევამოსილი დაჩაგრული გმირის — ამი-
რანის სახეს, რადგან მასში ჩვენი, ხალხური წარმოდგენებისდა-
კვალად ხედავს სულიერი უტეხობისა და ძლიერების ეტალონს.
ვაჟას შემოქმედებაში შეინიშნება ამ პერსონაჟის თვისებების შევ-
სება-სრულყოფა. ამირანის პიროვნებაში აერთიანებს ვაჟა ზენობ-
რივი სიმაღლისა და ფიზიკური ძლიერების ნიშნებს. ჯერ კიდევ
1880 წელს მეღავნდება პოეტის განსაკუთრებული ინტერესი ამი-
რანის ბედისადმი. ყრმობისდროინდელ პოემაში „დაჩაგრული მეს-
ტვირე“ ვკითხულობთ:

„ერთს კლდეზედ შევრჩი და გავიხედო,—
ამირანია წელში გაშლილი
მხრებში მიჰყევება სვეტათ ნათელი
მთა-კლდეთ მიარღვევს გაჩქარებული...
... თავისუფლება მას გაუღიმებს...
თუმც ძველი წყლული ზედ დააჩნდება“...

ძველთაგანვე ცნობილი და XIX საუკუნის მწერლობაში ფარ-
თოდ გამუქებული თემა ამირანისა ბუნებრივად იყორობდა ვაჟას
ყურადღებას. მითიური სახე ამირანისა — სწორედ თავისი მითიუ-
რობის გამო, — ადვილად იტევდა ხელოვანის იდეალის გამომხატ-
ველ თვისებებს. განსხვავებული ვითარება შეიქმნებოდა მაშინ, რო-
დესაც ადამიანი კონკრეტული, რეალურად არსებული სოციალური
წრიდან შეირჩეოდა, რათა მას განესახიერებინა ფიზიკური სიმტკი-
ცე, გაუტეხელობა და ზენობრივი გამძლეობა. ვაჟამ „სტუმარ-მას-
პინძელში“ ასეთი სახე შექმნა, როცა ზვიადაური წარმოგვიდგინა.
მაგრამ ამ სახის ნიშან-თვისებანი „სტუმარ-მასპინძლის“ დაწერამდე
იჩენს თავს ვაჟას ერთ ლექსში. ეს არის დაუმთავრებელი ლექსი
(1882 წ.) „მთიელის შფოთი“. აქ ვკითხულობთ:

„როცა მტერს კლავენ, ზედ დავედრიან:
ჩემს ძმას უზიდე ცივი წყალიო“
თან ცორებენ პრიალა ხანგალს;
„გაუბანდოდი კიდეც ჭლანნიო“.

¹ გრ. კიკნაძე, ვაჟას ფენომენი, ვაჟას ხსოვნისაღმი მიძღვნილი კრე-
ბული, 1966, გვ. 15.

ეს სტრიქონები გვარუმუნებს, რომ „სტუპარ-მასპინძლის“ ფესვები უკვე 1882 წელს ჩანს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ პოემის ისტორია, სულ ცოტა, ამ დროიდან მაინც უნდა იქნას დაწყებულება (პოემა გამოქვეყნდა 1893 წელს). მაგრამ ხაზგასასმელი მაინც ისაა, რომ ამ ხანებში შეუპოვრობასა და გამძლეობას ვაჟა უფრო მითიური ამირანთ ანსახიერებს. ამას მოწმობს მისი 1888 წელს გამოქვეყნებული ლექსი „გაზაფხული“, რომელშიც ძლიერების გამოსახატავად ამირანის სახელია მოხმობილი:

„არაგვმა ლახტი აიღო.
ამირანისა, რა ხანი;
მილეწ-მოლეწა კლდები,
მტკვარს გააღინა ჭახანი“.

ამირანია გამძლეობის სიმბოლოდ მიჩნეული მოთხრობაში „კლდე მტირალი“ (1889 წ.). ამ ნაწარმოებში ჩვენ ტექსტუალურ დამთხვევას ვამჩნევთ ადრინდელ (1884 წ.) ლექსთან — „ა მირანი...“ ამ მოთხრობის დედააზრი გამოხატულია კლდის სიტყვებში, რომლითაც ის მიმართავს ამირანს: „ნუ გასტყდები, იმედს ნუ დაჰკარგავ. მე ხომ მხედავ, რამდენი ქარცეცხლი გადადის ჩემს თავზე და ისევ მაინც მაგრადა ვდგევარ“.

უკელაფერი ეს მოწმობს, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედება ქართულ ფოლკლორსა და ლიტერატურაში განმტკიციცებული თემა-ტიკიდან არის ამოზრდილი. ამ თემათა მისი ინტერპრეტაცია არ სცილდება ტრადიციულ ფარგლებს, მაგრამ ჩვენ ყურადღებას იმაზე ვამახვილებთ, რომ ქართული ფოლკლორისა და ლიტერატურის მრავალფეროვანი თემატიკიდან უპირველესი და წამყვანი მნიშვნელობა გამძლეობის, გულგაუტეხლობის თემას მიერნიჭა და მხატვრულად სწორედ ამ ასპექტში წარმოსდგა ვაჟას მიერ დანახული სინამდვილე. სიმტკიცე, ამტანობა და აღამიანის გაუტეხელი ბუნება გვხიბლავს, როცა ვეცნობით გიგლიასა და მუცალის გმირულ სიკვდილს, გოგოთურისა და ალუდას ამტანობასა და სულიერ სიმაღლეს, მათ სულიერ ძლიერებას, თუ კოპალას ვაჟკაცურ საქმეებს.

სიმტკიცისა და გულგაუტეხლობის ქადაგება და მოთხოვნა თავისთავად გულისხმობს საკუთარი ძალებისადმი რწმენას, ანუ იმას, რომ ასეთი ხელოვანი თავისი ბუნებით არის ოპტიმისტი. ოპტიმიზმი კი ფასეული მაშინაა, როდესაც იგი მძიმე ვითარებაში მუღანდება. მწარე სინამდვილეა ვაჟა-ფშაველას ოპტიმიზმის ფონი და ასეთ ატმოსფეროში უფრო იგრძნობა ჩვენი პოეტის სიმტკიცე და მის მიერ დახატულ სამაგალითო გამძლეობის სურათთა ღირებულება.

ბ) ეს შინაგანად დაპირობებული ოპტიმიზმი მსჭვალავს ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებში ობლობისა და მარტო თობების შემთხვევაში ნაარსთა ნაირ-ნაირ ნიუანსს. ვაჟა-ფშაველა მრავალ თავის კუთხით სა და პროზაულ ნაწარმოებში სხვადასხვანაირად და სხვადასხვა კუთხით გვიჩვენებს ობლობისა და მარტობის სიმწვავეს. ყველაზე ძვალიოდ მუღავნდება ეს „პატარა მწყემსის ფიქრებსა“ (1886 წ.) და „შვლის ნუკრის ნაამბობში“ (1883 წ.). „ძნელია მარტობა და ობლობა“ — გვეუბნება პოეტი ამ მოთხრობებით და ფიქრისა და მრავალნაირი ოცნება-მოვონების ფორმით წარმოსახავს მის სიმწვავეს. ამ განცდის ბუნებრივი არსებობა და მისი სიმძაფრე გამოხატავს სწორედ ვაჟასთან მარტო თობისა და ობლობის მოტივს.

ჯერ კიდევ 1881 წელს გამოჩნდა ვაჟასთან ინტერესი ეულ-და მარტოდ მიგდებული ბუჩქურის ქუდისადმი. იგი გაღრმავებულია და უმაღლეს ხარისხშია აყვანილი „შვლის ნუკრის ნაამბობში“ (1883 წ.); მარტო და მიტოვებულია უბედურებაში ჩავარდნილი ბეროს ოჯახი („მთიელის უბედურება“, 1886 წ.), ასე უწყვეტად იჭრება ეს მოტივი ვაჟას შემოქმედებაში და ამის შესატყვისი განცდის კონკრეტული შინაარსია მოცემული მოთხრობებში: „პატარა მწყემსის ფიქრები“, „ია“, „გოჩი“, „სურათები“, „მთის წყარო“, „კურდღელი“, „ხმელი წიფელი“, „კლდე მტირალი“, „ქუჩი“ და თვით „დარეგანშიც“ კი. ეს მოტივი, როგორც ერთ მყარ და მრავალფეროვან მოტივთაგანი, ვლინდება არა მარტო ვაჟის პროზაში, არამედ სხვა მოტივებთან გარკვეული თანამოტივის მნიშვნელობით გვეძლევა იგი ვაჟას ამ პერიოდის ლირიკაშიც¹. სხვა ასპექტით, მაგრამ მაინც ამ განცდის სახეცვლილებას ვამჩნევთ ისეთ პოემებში, როგორიცაა „გიგლია“, „მონადირე“, „გოგოთურ და აფშინა“, „ალუდა ქეთელაური“ და განსაკუთრებით „ეთერი“, და ა. შ. ინდივიდუალურ ღირსებათა მძაფრი შეგრძნება რაც დასახელებულ ნაწარმოებთა პერსონაჟებს გააჩნიათ, მარტობის და ზოგჯერ სულიერი ობლობის გრძნობამდეც აღის; მაგრამ ვაჟა ობლობისა და მარტობის განცდას, მხოლოდ დადებით პერსონაჟებს როდი მიაწერს. მარტო და იზოლირებული ყველასაგან ცოდვილი გოჩი და სულგაყიდული შერე („ეთერიდან“), თანამოძმის გამყიდველი უსახელო პერსონაჟი მოთხრობა „წისქვილიდან“ და თვით აფშინაც კი, რომელიც

¹ იგულისხმება ლექსები: „ამირანი“, „ჩემს მურას“, „სვინდისის სიმღერა“, „სიმღერა“, „არწივი“, მსგავსი ვითარებაა ლექსებში: „ობლების სიმღერა“, „ლარიბის სიმღერა“, „მესტვირის ანდერძი“.

ადრინდელ ცოდვათაგან დამძიმებული, გაფლანგული ენერგიისა
გამო, სინდისის ქენჯნას განიცდის და ჩუმჩუმად ქვითინებს: უჭირავდა
მკვდარო ვაჟკაცობაო, ცოცხლად დამარხვავ თავისა“.

გ) ზემოდასახელებულ მოტივთა ვერდით თემატურ გამოო-
რებათა ნაირ-ნაირი ვარიაციებით მკვიდრდება ვაჟას შემოქმედებაში
საკუთარ ქცევათა კონტროლის, ანუ ზნეობრივი პასუხისმგებლობის
მოტივი, რომელსაც პირობითად სინდისის მოტივი შეიძლე-
ბა ვუწოდოთ.

სინდისის მატარებელ, ანუ ზნეობრივ ერთეულებად რჩებიან
ჩვენს წარმოდგენაში ამირანი, გოგოთური, ალუდა, კოპალა, პატარა
მწყემსი, თამარი და პაპა („შთაბეჭდილებანი“) და ა.შ.

ვაჟას ნაწერებში სინდისის მოტივი განსაკუთრებულად მაშინაა
ამოქმედებული, როცა გარეშე თვალი სინდისის დაკარგვის მოწამე
ხდება. ადამიანურობის პრინციპი მართავს ვაჟას შემოქმედებით მი-
ღრეულებებს. ამიტომაა, რომ სინდისის მოტივი ვაჟას შე-
მოქმედებაში, ერთგვარ თემატურ ბირთვს ქმნის. უარყოფითი ყო-
ველობის აღვივებს და იწვევს თავის წიაღში სიკეთისა და დადებითის
გაჩენის წყურვილსა და შესაძლებლობას.

1886 წელს დაწერილ „სვინდისის სიმღერაში“ ვკითხულობთ:

„არ ვიცი საით წავიდე,
ვის ვუთხრა ჩემი წვალება,
ცეცხლში დამწვარი სვინდისი
ნეტავ ვის შაებრალება!?
რა დავაშვე უფალო,
რომ კაცი ამკიდე ბარგალა...
...კაცი იტანჯვის, ვერ მთავრობს,
ცდილობს გამაგდოს ჩქარიო...
...ვერ დავეხსნები კაცის გულს
ეს მიწყივ ჩემი ვალია“.

იმავე წელს შეთხზულ მოთხრობაში „გოჩი“ ცოდვებით დამძი-
მებული გოჩის სულის ტანჯვის პროცესია წარმოდგენილი. ჩვილ
ბავშვს ჭამს გოჩი და დათქმული ფიცისდა მიუხედავად მაინც აგრ-
ძელებს ბოროტების გზას. „გოჩი... მოუსვენრად და შეწუხებული
გრძნობდა თავის თავს“, — ამბობს მწერალი, — „ცალკე სინდისი
აწუხებდა, ცალკე ჩვეულება. დაუწყო ღმერთს ხვეწნა: — ღმერთო
მომაშორე, ეს რაღაც ბარგი ამკიდე — სინდის-სიყვარულები“.

სინდისის ქენჯნის შემდეგ განწმენდასა და აღორძინებას განი-
ცდის აფშინას სული და სიკეთის გზას ადგება ის. სინდისი აწუხებს

მონადირეს (პოემა „მონადირე“), რომლის შეცდომას მისი პიროვნული უბედულება, ტანჯვა გამოისყიდის.

დ) ასეთ რთულ მოტივთა არსებობის პირობებში ვაჟაში ინტენსიული უბედულება, ტანჯვა გამოისყიდის კუთხით გარეშე არ შეიძლებოდა დარჩენილიყო აღამიანთა სულიერი ცხოვრების რთული სფერო — სიყვარულის გრძნობა — თავისი მრავალფეროვანი შინაარსით. 1885 — 90 წლებში ვაჟა განსაკუთრებული გატაცებით გვიხატავს სიყვარულს, როგორც უაღრესად ფაქიზ გრძნობას. ეს ჩანს მის შედევრებში: „სიმღერებში“ („ნეტავი გამაგებინა“, „ისევ შენ ისევ ქალაო“ და სხვ.), „მწყემსი ქალი“, „მწყემსის მუქარა“, „რამ გაგჩინა ქალაო“, „ქალას“, „ფშავლის სიყვარული“, „სამეფოს სიმღერა“, „ქალებს“, „გაუბედავი სიყვარული“ და სხვა. ფაქიზი ხილვებითაა სავსე თუნდაც შემდეგი სტრიქონები:

„დავგძნები, ქალაო,
ლამაზო, ხუჭუჭმიანო,
ნეტავი გამაგებინა
რა გესიზმრება ღვთიანო?!“

ამგვარივე ფაქიზი ხილვები ბატონობს „სამეფოს სიმღერაშიც“:

„ქალო გნახე ფეხშიშველა
გამაპერები ეზოშია;
გენაცვალე კაკაბს ჰევანდი,
მოსეირნეს ფერდობშია“...

ხალასი და გულწრფელი სიყვარულისათვის ნიშანდობლივი განცდებით დგას პოეტი ჩვენს წინაშე და სიცოცხლის სიხარულს ღვრის აღამიანში მისი „გაუბედავი სიყვარულის“ სტრიქონები:

„ამ დღეს შევხვდით ერთმანეთსა:
დამინახა, დავინახე...
...მეც დამრცხენდა, ქალსაც შერცხვა,
არ იქნა ვერ ავიძრახე...
...ნეტავ ღმერთო, მაცოდინა,
რა ფიქრს მალაგს გარდის კონა,
მერე თუნდა ჭოჭოხეთში
გადამაგდე შენი მონა“.

ქალისადმი ფაქიზი მიმართებაა ნაჩვენები პოემაში „ეთერია“:

„წამოდგა ქალი ეთერი,
მთვარე ამოჰყვა პირზედა...
თვალებში ჩაპქსოვებოდა

ზღვა-ხმელი ერთიანადა,
მთელი ქვეყანა შეი ბრწყინავს
თვაის ხატ-ღმერთიანადა“.

მაგრამ ვაჟა ქალს მხოლოდ ამ უაღრესად პოეტური ნიშნით როდი გვიღებნს. იგი ჯანსაღი და ფხიზელი ადამიანის თვალით უცქერის მოვლენებს, სრულიადაც არ უვლის გვერდს ცხოვრები-სეულ სინამდვილეს:

„თუ მამქლავ, ისევ შენ მამქლავ,
ქალავ თავდახრით მცინარო,
დღეს ჩემის პირის მკოცნელო
ხვალ სხვისოვის ძუძუს მჩინარო...
არ დაინდობა დიაცი
მიწყივ ობირი, ფლიდია,
როგორც სავალად ბეჭვისა,
ზღვას გადებული ხიდია“.
(„თუ მამქლავ, ისევ შენ მამქლავ“.)

1886 წ.)

ლექსში „მოგონება“ (1890 წ.) ვაჟა გვიჩვენებს, რომ სიყვარულის გრძნობა, ისევე როგორც ყოველი გრძნობა, წარმოიშობა, ვითარდება და იცვლება. ამიტომ ამ გრძნობის მარადიულობის მოთხოვნას საფუძველი არ აქვს და ჯანსაღი ადამიანის ბუნებას ვერ ეგუება. ამ აზრს ვაჟა ფილოსოფიურ სამოსელში ხვევს და დამარწმუნებლობით გამოთქვამს:

„სიცოცხლე სიყვარულითა
და სიყვარული სიცოცხლით, —

უერთურთისოდ ვერც ერთსა
ვერ ვიცნობთ ვერც რას ვიცნობდით“.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ამ მონაკვეთში (1878 — 1890 წწ.) სხვა მოტივები სოციალ-პატრიოტულ განწყობილებათაგან არიან ამოზრდილნი. მაშასადამე, სოციალური და პატრიოტული, შეიძლება ითქვას, მოტივთა მოტივია, მაგრამ ზოგჯერ ვაჟასთან მათი მოწოდების ფორმაა თავისებური. მაგალითად, პირდაპირი სახითაა გაღმოშლილი პატრიოტული განცდები ლექსში „ქართლი“ (1886 წ.). აქ აშკარად ჩანს პოეტის მიზანდასახული ჩანაფიქრი, რომ ჩვენი ქვეყნის მთა-ბარის სილამაზითა და მისი წარსულით მოხიბლოს მკითხველი:

„კიდევ ვინილე ადგილი
წყალ-ველიანი, მთიანი...
...როს ხელი ქართლის არესა,
ვკითხულობ გორის ციხეზედ
ჩემს ფიქრს ძველებურს მწარესა“.

სევდიან წუთებშიც ეუფლება მას საკუთარი ქვეყნის სიღრადიზ
გრძნობა:

ერმანული
გიგანტები

„ვიცი, რომ გინდა გიამბო
ამბავი ჩვენის ქვეყნისა...
...ლიახვიც ისევ ისე დის,
დროს გიერ, დროზე ჭკვიანი,
მას გზას უღობავს ვაჟკაცი
მტკვარი ზანზარა-ხმიანი“.

ღრმაპატრიოტულად უღერს „პაპიჩემის ანდერძის“ (1886 წ.)
სტრიქონები:

„ნუ დასვენებ, ებრძოლე
მტერს მინამ გიღგა სულიო.
შვილო მეც ეგრე ვიყავი,
ეგ არი ჩვენი რჯულიო“.

გულგაუტეხლობა და სულიერი ძლიერებაა წყარო ნამდვილი
პატრიოტიზმისა და გამძლეობაა საჭირო ამისათვის:

„ჭირში ყოფნის დროს გაძლება
მუდამ ვაჟკაცის წესია,
ვაჟკაცს არ შვენის ცრემლის ღვრა
ქვითინი დიაცურადა“.

ამ მაღალ გრძნობას საქართველოს სახელოვანი ისტორიის,
მისი ტრადიციების განცდა ასაზრდოებს. ოვალნათლივ ჩანს ეს
ლექს „ომის წინ ჯარის სიმღერაში“ (1888 წ.).

„გული გვალესოთ გრძნობითა,
საცაა დაჰქრავს ნაღარა,
ერთი დაგსძახოთ ქართულად,
ხვალ არ გვეცლება, აღარა...
იხილოს მიწამ მშობელმა:
გული გვაქვს პაპაოული,
სისხლი გვიფუის ძარღვებში, —
სისხლი ლაშქრობას ჩვეული,
მკვლავიც გვაქვს შაშქორს ნაცადი
არა ვართ გამორჩეული!“

ვაჟა-ფშაველას პატრიოტულ განწყობილებათა გადმოცემა ამ
შემთხვევებში, ილიასა და აკაკის შემოქმედებაში გამოვლენილ გან-
ცდათა და მიზანდასახულებათა ანალოგიურია. ამ მხრივ განსაკუთ-
რებით თუ დავუკვირდებით 1883 წელს დაწერილ „მოხუცის ნათ-
ქვამს“, ვნახავთ, რომ აქ პატრიოტული გრძნობის ილიასებური მო-

წოდება შეინიშნება¹. ვაჟას პოემა არის ხოტბა მცირერიცხოვანი
ქართველებისა, როცა ამბობს: „არწივთა მაღლის მთისათა ნეტავ
რად უნდა მქებარი!“

ქართველებისა
შეიძლება

ზემოაღნიშნულ ნაწარმოებებში პატრიოტული გრძნობის გან-
სახიერებისას ვაჟა ჩვენს ლიტერატურულ სინამდვილეში განმტკი-
ცებული ტრადიციიდან ამოდის. ესაა იმდროინდელ მოწინავე ქარ-
თველობის პატრიოტულ გრძნობათა გამომუღავნების ტრადიციული
გზა. და თუ ამ სფეროში, ვერ იჩენდნენ საგამაო სოციალ-პოლიტი-
კურ შორსმჭვრეტელობას, ეს „იმ უაღრესად რთული—როგორც ვ. ი.
ლენინი ტოლსტოის შესახებ ამბობს — წინააღმდეგობრივი
პირობების, სოციალური გავლენების და ისტორიული ტრადიციე-
ბის ასახვა“², რომლებიც იმდროინდელ საქართველოში არსებობ-
და. მაგრამ თავის სახელგანთქმულ თხზულებებში ვაჟა-ფშაველა
აფართოებს პატრიოტული გრძნობის განსახიერების სფეროს, სამ-
შობლოს პირდაპირი დასახელების აუცილებლობა გამორიცხა ვა-
ჟამ — „არწივსა“, „ხმელ წიფელსა“, „ქლდე მტირალსა“ და მრა-
ვალ სხვა ნაწარმოებში. და ამ სახელდების გარეშე მისცა პოეტმა
მათ პატრიოტული ულერადობა. მოქალაქეობრივი განცდა აჩერებს
ვაჟას ისეთ მასალაზე, რომელიც პატრიოტული გააზრების შესაძ-
ლებლობებს იძლევა. მწერლის ინტერესი ამ შემთხვევაში, რასა-
კირველია, ფარულად მოქმედებს და იმას ეტანება, რაც ყველაზედ
მტკიცნეულია მისთვის.

პატრიოტული მიზნით გამოცოცხლებულ ჩვენი ქვეყნის ის-
ტორიული წარსულის ამსახველ მასალას ვაჟასთან მითთა მოხმო-
ბაც აღრმავებს. სამშობლო-ქვეყნის ისტორიის სიყვარულსა და მნი-
შვნელობას, გახაზავს პოეტის მიერ გაცოცხლებული გუდანის ხა-
ტის, კოპალას, იახსარის, ლაშარისჯვრის და სხვათა ჩართვა ლექ-
სებას, პოემებსა და მოთხრობებში. ამით ვაჟა ახალი შინაარსით ავ-
სებს პატრიოტულ გრძნობას და ამ სახით პოეტის მიერ უკვდავყო-
ფილია კავშირი სამშობლოს არსებობის სათავესა და მის დღევან-
დელ ფორმას შორის.

პატრიოტული გრძნობის სიღრმეები მუღავნდება ვაჟასთან, რო-
დესაც მის ქმნილებებში სინდისის მოტივის მოქმედების ფონს პატ-
რიოტული განწყობილებები ქმნის. გოგოთურის ზნეობრივ საქცი-
ელს, მის ვაჟაცურ შემართებას პატრიოტული გრძნობა მართავს,

1 ამას თვითონ ვაჟაც მიუთითებდა: „ამ პოემის წერის დროს „დიმიტრი
თვადადებულს“ ჰქონდა ჩემზე გავლენა, ვიდრე სხვა რომელიმე მშობელ ლი-
ტერატურის ნაწარმოებს, უფრო კი მის ფორმასთ“. (იხ. Pro domo sua).

2 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტომი XVI, 1951, გვ. 404.

როცა იგი აფშინას არაზნეობრივ გამოხდომებს ასეთ ანალიზს უქმდა
თებს:

საქართველო
გერმანული
პიმუში

„ხომ იცი საქართველოა
ყველა კუთხიდან მტრიანი,
მგზავრს მიშვებ უიარალოს,
კაცი არ ხარ ღვთიანი?!“

სამშობლო მიწის სიყვარულის იგივე მყარი გრძნობა იჩენს
თავს ალუდა ქეთელაურის გაუტეხელ პიროვნებაში. იმ მომენტშიც
კი, როცა მას თანამემამულენი ჰქვეთენ თემისაგან, იგი სიყვარუ-
ლით შესცერის საქართველოს „თვალისგამახარელ საჯიხვეებს“.

სოციალური უსამართლობა თავისი ყოფითი ყოველდღიურო-
ბით იჭრება ვაჟას ამ პერიოდის (1878 — 1890 წწ.). შემოქმედება-
ში და იგი იმავე ნიშნებს შეიცავს, რომლებიც პატრიოტული გრძნო-
ბის გამოსახვის შემთხვევებში ჩანს:

„ვაპმე, რა მეტად ბევრს უჭირს,
ვაჲ, რა ბევრია ტანჯული,
როგორა ხარობს სხვის ტანჯვით
გულ-გაყინული მსაჯული!“
(„ჩემს მურას“, 1886)

სოციალური უსამართლობა ათქმევინებს ადამიანს:

„არ ვიცი საით წავიდე,
ვის ვუთხრა ჩემი წვალება“-ო:
(„სვინდისის სიმღერა“, 1886)

უსამართლობის ფესვებს ყოფის „წვრილმანებად“ მიჩნეული
ფაქტები კვებავს. ეს ჩანს „ლარიბის სიმღერაში“ (1889 წ.):

„ვითომ კი ვშრომობ მეღგრადა,
ყელ-თავებევ ვკიდავ მუდამა...
აბა, რა მივცე მახტაში,
რა მაქვს, რა მატიალია?!“

მაგრამ სოციალური სიღუპტირე კიდევ უფრო ამძაფრებს ჩაგ-
რულ ადამიანში უსამართლობის, მდაბალ მოვლენათა დამარცხების
მოთხოვნილებას. ზნეობრივი პოზიციიდანაა თქმული ეს ლარიბისა-
ვე სიტყვებში:

„მე ვერ ვიქურდებ, ვერ, ვერა
გული არ მაძლევს წებასა,
ვამბობ და ნუ გეგონებათ,
თქვენგნით ველოდე ქებასა,

წაიღონ, ერთი ეგ-ლა მაქვს,
 ერთი თანგირა ქობია,
 მოკვდები ნამუსიანად,
 ესრე სიკვდილი სჭობია.

სოციალური და კერძოდ პატრიოტული მოტივი ვაჟას თითქმის მთელი შემოქმედების საყრდენია, მაგრამ 1878 — 90 წლების მისი შემოქმედების მოტივთა მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ ეს მოტივები ცალ-ცალკე კი არ ძეგს, არამედ ურთიერთთან შერწყმული და ურთიერთგამალრმავებელნი არიან. ეს მოტივები ვაჟას შემოქმედების მყარი მოტივებია, რადგან ისინი თითქმის თანაბარი ძალით მუდავნდებიან ვაჟას ამ დროის ლირიკასა, პოეტურ ეპოსსა და პროზაში.

IV. ვაჟას შემოქმედებით პროცესთა მიმღინარეობის დასახა-
 სიათებლად, ასებითი მნიშვნელობა აქვს იმის გარკვევას, თუ რა არის მათი წყარო და ნიაღაგი.

ქართულ კრიტიკაში იმთავითვე მიუთითებდნენ ხალხური შე-
 მოქმედების ნიმუშებზე, როგორც ვაჟას შემოქმედების მასაზრდო-
 ებელ წყაროზე.

1878-90-იანი წლების ვაჟას სხვადასხვა უანრის ნაწარმოებთა გაცნობა გვარწმუნებს, რომ მასალის მხრივ, ვაჟას თხზულებებს შეტ-ნაკლებად ურთიერთთან ამსგავსებს ინტერესი მითიურ-ლეგენ-დარული, სიზმრისეული და ოცნება-ჩვენებების ფორმით წარმოდ-გენილი მასალისადმი. როგორც უკვე ვთქვით, ეს ჩანს ვაჟას ლირი-კულ ლექსებში, ამ დროს შექმნილ პოემებსა და მოთხოვნებში. მა-გალითად, 1884 წელს შეთხზული ლექსის — „ამირანის“ სტრიქო-ნების კვალი მეორდება 1889 წელს მოთხოვნაში „ქლდე მტირა-ლი“. აქ, მსგავს მითოლოგიურ მასალაზეა ამოზრდილი სურათები.

1886 წელს ვაჟა წერს ლექსს „დევების ქორწილი“, სადაც მი-
 თურ-სიზმრისეული მასალაა საყრდენი მისთვის:

„დევებსა აქვის ქორწილი,
 დიდი დარბაზი ზრიალებს,
 მეც დამპატიუეს, შევეღი, —
 რა მქისე სუნი ტრიალებსი?
 სამპირად ცეცხლი ღაენთოთ,
 ზედ სამი ქვაბი შხიოდა,
 სტუმრების წინა ხონჩებზე
 კაცის თავ-ფეხი დიოდა.

უკვენას ყურეშითა
 კვენესის ხმა გამოდიოდა:
 „მმის ხარცი როგორა გსჭებო?“
 ყმა ვინმე გამოჰყოოდა.
 უსმელ-უჭმელად გავქეხი,
 ყელშიაც ამოდიოდა“.

ვაჟას მოთხრობაში „შთაბეჭდილებანი“, რომელიც იმავე წელს სა შეთხზული, მოქლიას ზმანებაში მსგავსი ხილვებია გადაშლილი: „ჯერაც თვალშინ მიღვა ჩამოთვლილი მთები და ხალხის წიოკი ცეცხლში. ცეცხლი შავადა ფურდა. ეგ კუპრის წყალიაო, მითხრეს წერა-მწერელთ... მივაღებით სხვას კარსა: აქათ სამ მარცხნივ შავი კაცები იღვნენ, საძაგლები, საზარლები... ხელი გამოწვადეს ჩემქე: აქ მოგვგვარეთ, აქაო... პირდაპირ შამიყვანეს განათებულს სახლ-ში... ზემოთ სიმღერა ისმოდა; ცეცხლის ბალლები იმღეროდნენ მწკეპრის ხმით“ და ა. შ.

1886 წელს ვაჟა წერს მოთხრობას „მთიელის უბედურება“. აქ მოწოდებული სიზმრისეული მასალა ასეთ მძაფრ სურათს ჰქმნის: „ზალლები ერთი-ერთმანეთზედ მიყრილიყვნენ დედის გარშემო და დასძინებოდათ... ყველამ ერთი სიზმარი ნახეს... ჰქედვენ ბეჩავები სასაფლაოს, სადაც იმათი მამა ორის დასაფლავებული, სასაფლაო შამბით დაფარულია... მიჩურებულია სასაფლაო. ათასში ერთგან გველი მოხვდანჭილა და დასძინებია საფლავის ქვის ძირში, — სხვაზე ხვლიკი შესკუპებულიყო და მოეღერებინა კისერი... ერთ აღილას შამბმა გაიშრიალა, გადაიწ-გადმოიწია, საფლავი გაელო... და ამოჩნდა ბერო“.

არსებითად, ასეთივე ჩვენებათა სახით მოწოდებული მასალაა ლექსებში: „ბნელეთი“ (1888 წ.), „სიზმარი სასოწარქვეთილისა“ (1889 წ.), „დაუსრულებელი კვენესა“ (1890 წ.) და სხვა.

ასეთი ხილვა მცირე როლს არ ასრულებს ვაჟას პოემათა პერსონაჟების ცხოვრებაში. ამას მოწმობს ადგილი ვაჟას პოემისა „მონადირე“ (1886 წ.), სადაც ვკითხულობთ:

„სიზმარში ვნახე წუხელა:
 მჭვარტლის წყლის კუდში ვიდოდი,,
 ...გორის პირს მაყლოვანშია
 ქალი გადმოდგა მზებურა,
 ია, პირიშვე ტანთ ეცვა,
 თავზედ ბუერა ეხურა.
 მეტად ლამაზი რამ იყო,
 საამო, სახით ლვთებურა“.

სიზმარში მითიური ქალის ჩვენება საბედისწერო მნიშვნელობას იძენს მონაღირისათვის. და ამიტომაც სიზმარი ამ შემთხვევაში კომპოზიციურად ჰკრავს მთელ პოემას¹. არსებითად იგივე დატვირთვა აქვს სიზმრისეულ მასალას „ალუდა ქეთელაურშიც“. ალუდას საზარელი სიზმარი ფაქტიურად აღრინდელ თხზულებებში გატარებული სიზმრისეული მასალის უფრო ღრმა ვარიანტია:

„დავჯე ჯამ ვინამ დამიღვა,
კაცის ხორც იყო წვნიანი,
ვსჭამდი მზარავდა თუმცალა
კაცის ხელ-ფეხი ძელიანი.
რასა ვსჩადიო, ვსჯავრობდი,
უმსგავსი, შაჩვენებული.
„ჭამეო, — რამამ მიძახა,
ნუ ჰედები გაშტერებული:
კიდევ მიმირთვით ალუდას
წვენ-ხორცი გაცხელებული“...
სიზმართ დამტანჯეს, იმით ვარ
გუნება-აღელვებული“.

„დევების ქორწილის“ მასალაა შეჭრილი პოემა „ქოპალაში“ (1889 წ.). იგივე მასალაში ტრიიალებს ვაჟა 1890 წელსაც პოემაში „ეთერი“, როდესაც კუდიანი ბებრის სახეს აღწერს:

„თვალები ცეცხლისა უსხდა,
კბილები ჰქონდა მინისა,
ცალიერს ძვლებზე ზედ ეკრა
ტყავად ფურცელი რკინისა;
ფეხები ჰქონდა კაცისა,
ხელებად ბჭლები ციცისა,
და, თმის მაგივრად, სულძალლსა,
მოკლე ფაფარი კვიცისა“.

ვაჟა-ფშაველას ლექსებში, პოემებსა და მოთხოვნებში ერთ-მანეთთან დაახლოებული, ანალოგიური ან უკეთ ერთ რკალში მოქცეული ხილვებია წარმოდგენილი. მაგალითად, მოთხოვნაში „გოჩი“ (1886 წ.) ვკითხულობთ: „უზარმაზარი, ხშირი ბალნით დაფარულის ტანისა, თავდიღი, კბილდიღი, ცხვირდიღი იყო გოჩი; მისი გაწეწილი თმა-წვერი, კაცის გამხმარი სისხლით მორთული, შავს დიდრონს ხელებზედ დიდრონი ბრჩხილები, ადამიანის სისხლში ნათრევი, კაცს შეწარავდა. გოჩმა ახალგაზრდობა კაცების ჭამაში

¹ სიზმრის მნიშვნელობა და მისი კომპოზიციური როლი განხილულია მიხ. ზანდუ კელის სტატიაში „სიზმარი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“, ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი ქრებ. გვ. 121—122.

ჭაატარა... გამოქვაბულის ზემო თავში ელაგა გამოხრული კენწხოვ-
ში, კარებისაკენ წვრილი ძვლები, — ფერცხლები, კანჭები, საჭარ-
ში გადაკვნეტილი ხელის თითები... ფუნთუშა ბალლი გოჩის შიმოქმდება
ნა: — გემრიელი ხორცი ექნებაო...“

„დევების ქორწილში“ (1886 წ.) მსგავსი სურათი იშლება;
დევებს:

„სამპირად ცეცხლი დაენთოთ,
ზედ სამი ქვაბი შხიოდა
სტუმრების წინა ხონჩებზე
კაცის თავ-ფეხი დიოდა.
უკვენას ყურეშიითა
კვნესის ხმა გამოდიოდა:
„ძმის ხორცი როგორა ესჭამო?“
ყმა ვინმე გამოჰკიოდა...“

პოემა „ქოპალა“ (1889 წ.) ანალოგიური ხილვებითაა ავსებუ-
ლი:

„შავ-ბნელთ და უზარმაზართა
გრგვინვით ჩამოვლნეს ჭალანი,
კაცისა სისხლით ეღებათ
ხელ-ფეხი, პირის ბალანი,
...შრება გული და გონება
ძმა სისხლსა ჰსომდა ძმისასა.
ძმას ძმები შამაელივის,
სისხლსა ექებდის სხევისასა.
დევთ დატბაზობას რაც მოპრჩა,
იმათ ლაშ-პირსა მგლისასა,
ციხეს აგებენ დევები,
ციხეს კაცების ძვლისასა.“

პოემა „ეთერში“ მითიური ჩვენებების სახით მოცემული დევ-
თა ღრეობის სურათი, ხილვის თვალსაზრისით „გოჩის“, „დევების
ქორწილისა“ და „ქოპალას“ თავისებურ შევსებად შეიძლება ჩაი-
თვალოს:

„ცეცხლი დაენთოთ ძლიერი,
გარს უსხედნენ ყოტებივითა,
თავ-ცხვირი წიმოეშვირათ
სალის კლდის ლოდებივითა;
დალრენილი აქვთ ლაშები,
სალუდეს ქობებივითა...
ღვინის მაგივრად სისხლს ჰსვამდენ
დევები სწორობაზედა...“

სისხლი, ნაწური კაცების,
 შურქლებში ედგათ ღვინოდა,
 შეკლისში სისხლით თვრებოდენ,
 სისხლს ჰსგამდენ მოსალხინოდა“.

ზემოთგანხილულ ნიმუშთა სიახლოვე უკვე მიუთითებს, რომ ვა-
 ჟასათვის არამც თუ შემთხვევითი არ არის ხილვათა მოწოდების ეს
 გზა, არამედ მისთვის იგი პირდაპირ სპეციფიკურადაც კი შეიძლე-
 ბა ჩაითვალოს. ვაჟას ლირიკასა, ეპოსსა და პროზაში წარმოდგენი-
 ლი ხილვები ეპიკოსი პოეტის ხილვებია და მათი ურთიერთმსგავ-
 სება ვაჟას შემოქმედებით მთლიანობას მოწმობს.

V. შემოქმედებით მოტივთა განსახიერება, რასაკვირველია, პო-
 ეტის შესაძლებლობათა დაძაბვას გულისხმობს, საერთოდ. ასე იყო
 ეს ვაჟას შემთხვევაშიც. ამას მოწმობს ის ცნობები, რომელთაც მის
 ნაწარმოებთა ვარიანტებზე დაკვირვებიდან ვღებულობთ.

მიზანდასახულობათა შესაფერი ფორმების ძიების პროცესი
 გარკვეულადაა ასახული ვაჟას ხელნაწერებშიც. მაგალითად, ლექს-
 ში „ამირანი“ პოეტმა დაჩაგრული გმირის გამძლეობა უნდა გვიჩვე-
 ნოს. ხელნაწერში ვკითხულობთ¹:

„მოზარე წამებულისა
 ფერდს მისჯდომია ფინია,
 ამ პატაწინა ოთხეხსა
 უცხო რამ დაუჟინია“.

საბოლოოდ ვაჟას გაუსწორებია:

„მოზარე წამებულისა
 ფერთ ჩასწოლია ფინია,
 ამ პატაწინა არსებას
 უცხო რამ დაუჟინია“.

ვაჟა უპირატესად აზრობრივი სინათლისაკენ ისწრაფვის, როცა
 „გვერდს მისჯდომია ფინიას“ ნაცვლად წერს „ფერთ ჩასწოლია ფი-
 ნია“. ამ მითოლოგიური პერსონაჟის სიღიადის ილუზია გაფერ-
 მკრთალდება, თუ ვიტყვით რომ დევ-გმირ ამირანს გვერდით
 მიუჭდა ფინია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია „ხმელ წიფელში“ ვაჟას მიერ

¹ „ამირანის“ ავტოგრაფი, იხ. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული
 მუზეუმი, № 15623.

შეტანილი სწორებები. წინასწარ უნდა ითქვას, რომ ამ ნაწარმოვა—
ბის ვარიანტსა და ძირითად ტექსტს შორის იდეური თვალსაჭირებელი
არსებითი ხასიათის სხვაობაა.

როგორც ჩანს, ამ მოთხოვნის პირველი ვარიანტი 1888 წლის
დასაჭყისში დაუწერია ვაჟას და „ივერიის“ რედაქციაში გაუგზავ-
ნია. მაგრამ ცენზურას აუკრძალავს მისი დაბეჭდვა. მწერალს მო-
თხოვნა საგანგებოდ გადაუმუშავებია როგორც იდეურად, ისე მხა-
ტვრულადაც და ერთი წლის შემდეგ გამოუქვეყნებია იმავე ორგა-
ნოში¹.

„ხმელი წიფელის“ აღრინდელ ვარიანტში² ხმელი წიფელი ასეა
დახასიათებული: „იმ დღეს უფრო საცოდავად მეჩვენა, პირს სულ-
მობრძავივით იღმეჭდა, ღრმადა კვნესოდა და საბრალოდ გადმოს-
ცემეროდა მოტეხილის თავით დედამიწას, თავის გამხმარ ფესვებს,—
იმ არემარეს, საღაც მოსულა, სიხარული უნახავს და ბოლოს სიმ-
წარის დღეებში ჩავარდნილა“.

ამ სტრიქონების მიხედვით წარსული ხმელი წიფელისათვის
თავის მნიშვნელობას ქარგავს. თუკი საბოლოო ტექსტში მწერალი
გვახსენებს ხმელი წიფელის გარდასულ სიღიადეს და გვეუბნება:
„ერთი დრო იყო ესეც ამაყად გაბარჯლული იდგაო“, — პირველ ვა-
რიანტში ოდნავი მინიშნებაც არაა მის წარსულზე, როგორც უკვდა-
ვების გამომხატველ ნიშანზე, რათა ამით მაინც შენელდეს სიკვდი-
ლის მოახლოებით გამოწვეული საშინელება.

კვდომის პროცესს ვხედავთ აქ და ოდნავადაც არ ჩანს ხმელი
წიფლის ფიქრში მფეთქავი სიცოცხლე. თუ საბოლოო ტექსტში
მწერალი გახაზავს ხმელი წიფლის წარსულის მნიშვნელობას,
როცა გვეუბნება: „დიალ, არ იციან უგუნურმა ხეებმა, რომ ხალხს
ჯერ არ დაუვიწყნია ხმელი წიფელის სახელი, კიდევ ახსოვს იმის
სიღიადე“, — წინა ვარიანტში ამ წარსულის ნაშთთან ვხედავთ მხო-
ლოდ პარაზიტ მწერებს: ბუზურასა და კელას.

ოდესლაც მშვენიერი და ძლიერი ხმელი წიფლის შეცვლა ამ

1 ამგვარი ცნობების (თუ კომენტარების) არსებობის პირობებში უნდა შე-
მოწმდეს, თუ რა გავლენას ახდენენ ვაჟას შემოქმედებითი პროცესების მიმღი-
ნარებაზე გარეგანი ფაქტორები, ცვლიან ისინი ვაჟას მხატვრული ჩანაფიქრის
დინებას, თუ მხოლოდ კიდევ ერთხელ აძლევენ საშუალებას მწერალს ერთგვარ
„წესრიგში“ მოიყვანოს. თავისი შემოქმედებითი სწრაფვები. ამ შემთხვევაში
მწერლის იძულებით შეზღუდვასთან რომ გვეკონდეს საქმე, მოსალოდნელია მისი
შემოქმედებითი აღმაფრენის დაქვეითება.

2 იხ. ს. ყუბანევიშვილი, ვაჟა-ფშაველა, დოკუმენტები და მასალები. 1937 წ.,
გვ. 408—411.

მწერებით, ბუნებრივად ხსნიდა გზას გაუვალი სევდა-ნაღველით ა-
სებული დასასრულისაკენ: „ესე უპატრონოდ, ყველასაგან დაშვილა
წყებულ-მოძულებული, მოკვეთილი სდგას ხმელი წიფელი; ელის
შავსა და ბნელს დღესა“. ასეთი განწყობილებითაა ივსებული ხმე-
ლი წიფლის ადრინდელი ვარიანტი. აქ, სიცოცხლის მაღალი შინა-
არსის გაუფასურებისა და კვდომის პროცესია ნაჩვენები. ვაჟას
შემოქმედებით მიღრეკილებებს უფრო გამოხატავს ძირითადი ტექს-
ტის ლაიტმოტივი, სადაც ავტორი გვეუბნება, რომ ხმელი წიფელი
უკვდავია მანამდე, ვიღრე მასში ჯანსაღი ფიქრის მოთხოვნილება
არის მოცემული... ამ ფიქრის შინაარსი დაფუძნებულია, სწორედ
წარსულის პატივისცემის, აწყვოს სწორად დანახვასა და მომავლი-
საღმი უსაზღვრო რწმენაზე. ამიტომაცაა, რომ ასე სათუთად დას-
ტერიერის ხმელი წიფელი „მის ერთს ფესვის ბოლოზე დასახულ პა-
ტარა ყლორტს“ — როგორც მისი სიცოცხლის ნუგეშა და გაგრ-
ძელებას. ესაა სწორედ უკვდავების მოტივის შინაარსი
და ეს მოტივია წამყვანი მოთხოვნაში „ხმელი წიფელი“.

ეტყობა „ხმელი წიფლის“ ადრეული ვარიანტი, პოეტის ჯერ
კიდევ სათანადოდ მოუმწიფებელ შემოქმედებით ზრახვებს გვიდ-
გნდა, ხოლო მწერლის ნამდვილ ინტერესთა გამოხატულებას აშ
მოთხოვნის შემდგომი, საბოლოო ვარიანტად მიჩნეული ტექსტი
წარმოადგენს.

ლეილა სულხანიშვილი

ვაჟას სტილის თავისებურებათა ჯესახებ

(პროზაულ თხზულებათა მიხედვით)

ვაჟას მხატვრული აზროვნების სირთულე, ერთი მხრივ, ხოლო, შეორე მხრივ, მისი პოეზიის, განსაკუთრებით ეპიკური პოეზიის, მონუმენტურობა და მკაფიოდ გამოხატული ორიგინალობა გახდა იმის მიზეზი, რომ მკვლევართა ყურადღება უთანაბროდ განაწილდა გაუას შემოქმედების სხვადასხვა მხარეზე. ინტერესის მთავარ საგნად ვაჟას მსოფლმხედველობისა და, საერთოდ, მისი შემოქმედების აზრობრივი სფეროს პრობლემები იქცა. ამ პრობლემათა გამოცალკევებულად კვლევას კი, — რასაც, თავისთავად ცხადია, არ შეეძლო ეწევნებინა ვაჟას ხელოვნების სპეციფიკა, — შედეგად მოჰყვა სხვა რიგის, არანაკლებ მნიშვნელოვანი და, ლიტერატურული თვალსაზრისით, არანაკლებ საინტერესო საკითხების უკანა პლანზე გადანაცვლება.

რას წარმოადგენს ვაჟა, როგორც მხატვარი? რით გამოიჩინა მისი ესთეტიკური ხედვა, მის მიერ წარმოსახული მხატვრული სინამდვილე? როგორია მისი სტილი? რა ხასიათისაა მისი შემოქმედება მთლიანად, როგორც მხატვრული ღირებულება? — ეს კითხვები ან ნაკლებად ისმებოდა მკვლევართა წინაშე, ან მათ განხილვას დიდი დაბრკოლებები ელობდებოდა. ყოველ შემთხვევაში, ვაჟას, როგორც მხატვრის შესახებ მსჯელობა, უმთავრესად, მის პოეზიაზე დაკვირვებას დაეყრდნო და, ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში ვაჟას სხვა რიგის თხზულებები, კერძოდ, მისი შესანიშნავი მოთხრობები ჩრდილში აღმოჩნდა¹.

¹ მეტიც, ვ. გოლიაზი პირდაპირ წერდა: «Ряд художественных достоинств прозы Важа не подлежит сомнению, но все-таки она интересна нам главным образом как дополнительный материал для характеристики поэта». (Поэзия Важа Пшавела, Литературно-критические статьи, 1957, стр. 169).

ვაჟას ირგვლივ არსებული საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა გვარშმუნებს, რომ მისი მხატვრული პროზა დიდხანს ვერ გამოიწვევს სპეციალური ინტერესისა და შესწავლის ობიექტი, საერთოდ, და, კერძოდ, სტილის თვალსაზრისით შესწავლის საგანი. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ასეთ ვითარებაში არაფერი თქმულიყოს საგულისხმო ვაჟას პროზის სტილის შესახებაც. არსებულ ნაშრომებში მაინც გვხვდება მთელი რიგი საინტერესო დაკვირვებები და შენიშვნები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ვაჟას მხატვრული პროზის სტილს.

ვაჟას მოთხრობათა სტილისტური თვალსაზრისით განხილვა-შეფასების ერთ-ერთ, და შეიძლება მთავარ, დამაბრკოლებელ მიზე-ზად უნდა მივიჩნიოთ თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში სტილის ცნების გაურკვევლობა და ის ბუნდოვანება, რაც ამ ცნების დახასიათებისას იჩენს თავს.

დღეისათვის სტილის სამ კონცეფციას არჩევენ: ხელოვნებათ-მცოდნეობითს, ლინგვისტურსა და ლიტერატურათმცოდნეობითს, თუმცა ყოველთვის არ ხერხდება ურთიერთისაგან მათი მკაფიოდ გამიჯვნა.

ა. სოკოლოვი, რომელსაც წიგნში «Теория стиля» (1968 წ.) დალაგებული აქვს სტილის შესახებ არსებული ძირითადი თვალსაზრისები, ლიტერატურათმცოდნეობითი თვალსაზრისის ლინგვისტური ფრთის თანამედროვე წარმომადგენელთაგან ასახელებს: პერძერტ ზაიდლერს¹, ე. კლიმენტოს², ი. სერმანს³, ბ. ტომაშევსკის⁴, ა. ფეოდოროვს⁵, რომლებიც ტერმინებს — მხატვრული ენა და სტილი — თანაბარი მნიშვნელობით ხმარობენ და ლიტერატურული ნაწარმოების კვლევისას ენის კვლევის ფარგლებიდან არ გამოდიან.

ა. სოკოლოვის მიერ ჩამოთვლილი ავტორებით სრულიადაც არ ამოიწურება ჩვენი საკითხისათვის უაღრესად საინტერესო ლიტერატურა. აქ შეიძლება გავიხსენოთ სხვა ავტორებიც, რომელთა თვალსაზრისის ნათელსაყოფად მათი წიგნებისა და სტატიების მხოლოდ სათაურებისათვის გადახედვაც საკმარისია: ი. ბონდარევი — «Стиль и слово» (1965), ო. ბურმისტრენკო — «Язык и стиль романа М. Горького «Мать» (1961), ვ. ჩიხერინი — «О языке и

¹ ზოგადი სტილისტიკა, ვერმ. ენაზე, I გამოც. 1953, წ. I გამოც. 1963.

² Проблемы стиля в английской литературе первой трети XIX века, 1959; Байрон, Язык и стиль, 1960; Лирико-эпическая поэма Байрона, 1964.

³ Поэтический стиль Ломоносова, 1966.

⁴ Стилистика и стихосложение, 1959.

⁵ Язык и стиль художественного произведения, 1963.

стиле романа-эпопеи «Война и мир» (1956), о. პოდგაეცაძე — «Изучение языка и стиля А. П. Чехова» (1959), პ. ბუსტოვოვა — «Через жизнь к слову»¹ და სხვ. ყველა ეს ავტორი კრიტიკული ნეთს ეთანხმება ერთ ძირითად თეზაში — ლიტერატურული სტილი მხატვრული ენის სისტემა.

გაცილებით ფართოდ აყენებს სტილის პრობლემას ლიტერატურათმცოდნეობის მეორე ფრთა, რომელიც სტილის ხელოვნებათმცოდნეობითი კონცეფციიდან გამოდის და ლიტერატურულ სტილს უდგება როგორც ხელოვნების მოვლენას.

ენის ფარგლებს გარეთ გასვლა და სტილის კატეგორიის დაკავშირება ლიტერატურული ნაწარმოების სხვა კომპონენტებთან თუმცა უთუოდ ფაქტიური ვითარებით გამართლებული ნაბიჯია (რადგან პოეზიაში ბევრი რამ არის ისეთი, რაც სიტყვიერი გამოხატულების საზღვრებს სცილდება), იგი, ამავე დროს, პრობლემის გართულებას, მრავალ საღავო საკითხთა წარმოშობასა და, ამღენად, თვალსაზრისთა გამრავლებასაც მოასწავებს.

ზოგიერთისათვის სტილი მთლიანად ემთხვევა მხატვრულ ნაწარმოებს, — სტილი არის ნაწარმოები და პირიქით. ასე რომ, შეუძლებელი ხდება მწერლის ინდივიდუალურ სტილზე ლაპარაკივ. კაზერი, მაგალითად, კითხვის ქვეშ აყენებს ინდივიდუალური სტილის ფაქტიურ არსებობასაც კი².

სხვა, საკმაოდ გავრცელებული, თვალსაზრისი სტილს მხატვრული ნაწარმოების ფორმას უკავშირებს. საბჭოთა მეცნიერების ბოლოდროინდელ ნაშრომებში ხშირად ვხვდებით ამგვარ განსაზღვრებებს: „სტილი თვით ხასიათია გამოხატვისა ხელოვნებაში, მხატვრული ფორმის განუმეორებელი კონკრეტულობაა“³, სტილი მიგვითოებს „ფორმის სფეროში არსებულ ერთიანობასა და კნონზომიერებაზე“⁴, „ფორმის ელემენტთა ურთიერთგაშუალება და საყოველთაო ურთიერთდამოკიდებულება ქმნის ხელოვნების იმ თვისებას, რომელსაც სტილი ეწოდება“⁵, სტილი მხატვრულ სახეში „გა-

¹ Ж. «Вопросы литературы», 1959, № 8. წერილი დისკუსიისათვის თემაზე — «Слово и образ».

² იხ. მ. ვარლი, ზოგადი ლიტერატურათმცოდნეობა, 1957, რუს. თარგ.. 83. 160.

³ В. Гусев, ж. «Филологические науки», 1964, № 3, стр. 143. ციტირებულია ი. ელსბერგის ქვემოთ მითითებული სტატიის მიხედვით.

⁴ იქ ვ. ე.

⁵ М. Маган, Лекции по марксистско-ленинской эстетике, ч. II, Ленинград, 1964, стр. 158.



მოვლინდება მხოლოდ ოოგორც ზედაპირი¹...¹ ამავე დროს რეაში შემოდის ტერმინი „შინაარსიანი ფორმა“ («Содержательная форма»), რითაც იმის ხაზგასმა სურთ, რომ ფორმა შინაარსის გარეშე არ ასებობს და მხატვრული ნაწარმოების კვლევისას მკვლევარმა ამ ნაწარმოების შინაარსი განუწყვეტლივ მხედველობაში უნდა იქონიოს, ვინაიდან სტილი სწორედ ამგვარი, „შინაარსიანი ფორმაა², ის სწორედ „შინაარსიანი ფორმის“ მომწერლიგებელ და მაორგანიზებელ, მის გამამთლიანებელ ძალას წარმოადგენს³.

სტილის ცნება ნაწარმოების ფორმასთან არის დაკავშირებული კერძო ხასიათის — ამა თუ იმ მწერლის სტილზე დაწერილ — არა ერთ ნაშრომშიც⁴, საღაც, მართალია, არ კვლებით საგანგებო მსჯელობას სტილის ცნებაზე, მაგრამ ავტორის თვალსაზრისი აღებული საკითხის კვლევის ხასიათში ვლინდება⁵.

მდგომარეობა შედარებით მარტივი იქნებოდა, სტილის პრობლემის ირგვლივ არსებულ აზრთა სხვადასხვაობა ზემოთქმულით

¹ П. Палиевский, Постановка проблемы стиля, «Теория литературы», Москва, 1965, стр. 32.

² ქვე, გვ. 33.

³ И. Эльсберг, Спорные вопросы изучения стиля, «Вопросы литературы», 1966, № 2. „შინაარსიანი ფორმის“ ანალოგიურია ტერმინი „მნიშვნელადი ფორმა“ («Значимая форма»), ორმელსაც უცხოელ ავტორთა ნაშრომებში კვლებით. ე. ს. ბრედლი სტატიაში „პოეზია პოეზიისათვის“ (იხ. „თანამედროვე წიგნი ესოეტიკაში“, 1957, რუს. თარგ., გვ. 364), საღაც საინტერესოდ ასაბუთებს მხატვრული ნაწარმოების განუყოფლობას, მის ორგანულ მთლიანობას და ნაწარმოებზე ლაპარაკობს, როგორც „გაფორმებულ მნიშვნელობას“ («Оформленная значимость») ან „მნიშვნელად ფორმაზე“ («Значимая форма»), ამ უკანასკნელის თავისებურებად აცხადებს სტილს.

⁴ Н. Чирков, О стиле Достоевского, 1964; იმავე ავტორის, О стиле Достоевского. Проблематика, идеи, образы, 1967; ვლ. კოვალიოვი, О стиле художественной прозы Л. Н. Толстого, 1960.

⁵ ვლ. კოვალიოვი მიუთითებს კიდეც პირველივე გვერდის სქოლით, რომ საკითხის კვლევისას მას მხედველობაში იქვს სტილის იმგვარი გაგება, როგორიც მოცემულია პროფ. გ. პოსპელოვის წიგნში «Творчество Н. В. Гоголя» (1953 წ.). „სტილში ვგვლისხმობთ არა მარტო მწერლის პოეტური ენის თავისებურებებს, — ვკითხულობთ აქ, — არამედ მის მხატვრულ ფორმათა კანონზომიერ და ნაწარმოებიდან ნაწარმოებში განმეორებად თავისებურებებს მათ მთლიანობაში, მათ ერთიანობაში შემოქმედების იდეურ შინაარსთან, რომლის გამოსახულადც არიან ისინი შექმნილნი“ (მითითებულია გვ. 217). ამ უკანასკნელი ფრაზილან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ნაწარმოების იდეური შინაარსი შეიძლება არსებობდეს მის ფორმაზე აღრე, ვიდრე მოიძენება ამ შინაარსის გამოხატვის საშუალებები, მისი გამოსახვის ფორმა. მაგრამ საკითხავია: სხვადასხვაგვარად თქმული, მხატვრულად გამოსახული შინაარსი, განა სხვადასხვაგვარი შინაარსი არ არის?

რომ ამოიწურებოდეს. მაგრამ საქმეც ის არის, რომ სრულ თანხმობას არც ცალკეული თვალსაზრისის ფარგლებში აქვს ადგილობრივი თვით ერთი კონცეფციის წარმომადგენლებიც კი, შეეცდებიან თუ არა პრობლემის სილრმეში შეჭრასა და სტილის შინაარსის შემდგომ დაზუსტებას, მაშინვე მთელ რიგ საკითხებში შორდებიან ერთმანეთს. ასე ხდება, მაგალითად, როცა ცდილობენ გაარკვიონ — მხატვრული ნაწარმოების თუ მისი ფორმის რომელი კომპონენტები, რომელი ელემენტები ღებულობენ მონაწილეობას სტილური მთლიანობის შექმნაში და ამ ელემენტთაგან რომელი ატარებს უშუალოდ სტილურ ნიშანს¹. აზრთა სხვადასხვაობა ამ შემთხვევაში გამოწვეულია იმით, რომ დღესდღეობით ჯერ კიდევ დაუმუშავებელია მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურის საკითხები და „ჯერ კიდევ არ არსებობს ერთიანი და მოქმედი სისტემა, რომლის ბაზაზეც შესაძლებელი იქნებოდა პოეტიკის სახელმძღვანელოს შექმნა“².

თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში დიდი პოპულარობით სარგებლობს აზრი, რომლის თანახმად, სტილი მხატვრული ნაწარმოების განუყოფელი მთლიანობის თავისებურებაა. ნაწარმოების სტილისტური კრიტიკა ნიშნავს მის მთლიანობაში ხედვას, — მთლიანობაში, ფორმა-შინაარსად დაყოფის გარეშე მის განხილვას.

ფორმა-შინაარსად ნაწარმოების დაშლას თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობა არ მიიჩნევს კვლევა-ძიების ნაყოფიერ გზად. ნაწარმოების დაშლა ისე, რომ მხედველობის არეში წამყვან მომენტს თვით მხატვრული მთლიანობა აღარ წარმოადგენდეს, ლიტერატურათმცოდნეობით მიღომაზე უარის თქმაა. მაგრამ ეს არ ნიშნავს ანალიზის უგულებელყოფას საერთოდ. ანალიზი გაცნობიერებაა მოვლენის შედგენილობისა, მაგრამ ყოველი შემადგენელი ნაწილის მოვლენისადმი დაქვემდებარების პირობებში. ასეთია ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზის წინაშე წაყენებული მოთხოვნა. — ამგვარი ანალიზი არსის და სტრუქტურის, შინაარსისა და ფორმის ყოვლისმომცველ ერთიანობას იცავს. სიტყვა „ხატიც“ გაგებულ უნდა იქნას როგორც ერთიანობა „ხატისა“ და იღებისა. ასე რომ, უნიადაგოა აზრი, თითქოს შინაარსი იყოს რაღაც ისეთი, რისი გამოყოფაც მთელიდან შესაძლებელია, ხოლო ფორმა წარმოადგენდეს რაღაც მარტოოდენ გარეგანს.

ამგვარად, სტილის ცნებასთან დაკავშირებულია ერთიანობის-

¹ ამ საკითხზე იხ. ა. სოკოლოვის ზემოთ დასახელებული წიგნი. განსაკუთრებით საგულისხმოა თავები: სტილი, როგორც მხატვრული კონცომიიერება; სტილის მატარებლები, ელემენტები და კატეგორიები; სტილის ფაქტორები.

² 2. ვერლი, ზოგადი ლიტერატურათმცოდნეობა, გვ. 78.

ან მთლიანობის ცნებები; მკვლევარები სტილში ნაწარმოების ელე-
მენტთა გამაერთიანებელ თუ მის გამამთლიანებელ ძალას შედებულ
ვენ. — ეს აუცილებლად გასათვალისწინებელია.

სტილის შესწავლის თანამედროვე დონეზე ჯერ კიდევ არ მო-
ვვეპოვება ამ ცნების რამდენადმე ზუსტი დახასიათება-განსაზ-
ღვრა. ასეთ ვითარებაში ცალქეული მწერლის სტილის კვლევისას,
ვფიქრობთ, ყველაზე უფრო მიზანშეწონილი იქნება არა ამა თუ
იმ სქემის მიხედვით მსჯელობა, არამედ ორიენტაციის აღება ნაწარ-
მოების მხატვრულ მთლიანობაზე და მასზე დაკვირვება. მიზანშე-
წონილი იქნება ამ მთლიანობის განხილვა სხვადასხვა ასპექტში,
რომელთაგან თითოეულში ნაწარმოების ესა თუ ის მხარე წამო-
იწევს წინ: შინაგანი თუ გარეგანი, ემოციური, აზრობრივი თუ სა-
ხითო, მაგრამ ამის გამო მხედველობიდან არასოდეს დავკარგავთ
მთელს.

ვფიქრობთ, თუ დაგაკვირდებით ნაწარმოებს, სწორედ რო-
გორც განუყოფელ მხატვრულ მთლიანობას მის სხვადასხვა ასპექტ-
ში, ჩვენ უთუოდ შევნიშნავთ ამ მთლიანობის სტილურ ნიშნებს,
მის სტილურ თავისებურებებს. იქვე გამოირკვევა — ნაწარმოების
ესა თუ ის მხარე, მისი რთული სტრუქტურის ესა თუ ის კომპო-
ნენტია სტილური ნიშნების მატარებელი აღებულ შემთხვევაში, თუ
საერთოდ ნაწარმოები, როგორც მხატვრული მთლიანობა¹.

ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში ზოგჯერ მითითებულია,
ხოლო უფრო ხშირად ნაგულისხმევი ვაჟას პროზის ესა თუ ის სტი-
ლური თავისებურება. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი კრიტიკოსები და ლი-
ტერატურის ისტორიკოსები ვაჟას პროზას უდგებიან და აფასებენ
როგორც ლიტერატურულ-მხატვრულ ფაქტს და ამიტომ, ჩვენი სა-
კითხის თვალსაზრისით, აუცილებელია ვაჟას პროზისადმი ქართუ-
ლი კრიტიკის მიღვომის ისტორიის გათვალისწინება.

¹ ამ მხრივ, საგულისხმოა ლიტერატურის ისტორიკოსის, ცნობილი პოლონე-
ლი თეორეტიკოსის, რ. ინგარ დენის, სიტყვები: „შეიძლება დაისვის სა-
კითხი იმის შესახებ, თუ სახელდობრ რა გამოხატავს სურათში სტილის სპეცი-
ფიკას — გამოსახული საგანი, ხედები ან მათი რეკონსტრუქციის წესი, თუ, ბო-
ლოს, სურათი, როგორც მთლიანობა, ყველა თავისი ფენითა და მხარით. დაუ-
დევრობა იქნებოდა, ამ საკითხის ზოგადად გადაწყვეტას თუ მოვისურვებით,
რადგან გამორიცხული არ არის, რომ სტილი თვითონ წყვეტილეს, თუ რა ემორ-
ჩილება მას სურათში“. (იხ. მისი „გამოკვლევები ესთეტიკაში“, 1962, რეს.
თარგ., გვ. 346) რ. ინგარდენი აქ ფერწერაზე ლაპარაკობს, მაგრამ მისი წიგნის
საერთო ხსიათიდან თუ გამოვალთ, ეს აზრი ლიტერატურულ ნაწარმოებზეც უნ-
და გავავრცელოთ.

ვინც კი ვაჟას შემოქმედების განხილვა იტვირთა, ყველაზე აღ-
ნიშნა მისი პროზისათვის — ისევე, როგორც მთელი მისი შემოქმედების
დებისათვის — დამახასიათებელი მოვლენათა გასულიერებრს ფერების
ტი. ამან — თითქმის ყოვლისმომცველმა ტენდენციამ გასულიერე-
ბისა — ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში ვაჟას შემოქმედების
თავისებურებათა აღნიშვნის მნიშვნელობა მოიპოვა. ეს გასულიე-
რება იქნა მიჩნეული მისი შემოქმედების ნიშან-თვისებად ანუ, რო-
გორც ზოგი იტყოდა, ვაჟას სტილის სპეციფიკურ ნიშანდ.

გასულიერების საყოველთაო აღიარებას არ განუსაზღვრავს
ვაჟას მხატვრული სტილის საბოლოო შინაარსი. გასულიერების მიჩ-
ნებამ ვაჟას შემოქმედების დამახასიათებელ ნიშანდ ხელი არ შე-
უშალა მის აღიარებას ხან სიმბოლისტად და ხან რეალისტად¹.

ადრეც, მაგრამ განსაკუთრებით ბოლო ხანებში, წინ წამოსწი-
ეს ვაჟას სტილური ნიშნის დონემდე აყვანილი მისი ხედვის საგნო-
ბრიობა. ეს დანახულ იქნა მკაფიოდ მის პოეზიაში და ნაპოვნი —
მის პროზაშიც. ამ საგნობრიობაში იგულისხმებოდა უჩვეულო
თვალსაჩინოებრიობა, რომლის ნიმუშად პროზიდან ასეთ მაგალითს
ასახელებენ: „აი დახედეთ ჩემს სისხლიანს ფეხსა, ეს, წყლის დასა-
ლევად რომ ჩავედი ხევში, მაშინ ვიტკინე“². ამ რიგის მოვლენების
სიუხვემ შექმნა მტკიცე საფუძველი იმის დასასაბუთებლად, რომ
ვაჟა-ფშაველას შემოქმედების არსი თავის ამოსავალშივე რეალის-
ტურია, მისი ხედვა რეალისტურია მაშინაც კი, როდესაც ფანტას-
ტიურ ვითარებას გადმოგვცემს, ასეთ სფეროებში იმყოფება და
ზოგიერთს შეიძლება სინამდვილიდან დაშორებულადაც კი მოეჩვე-
ნოს.

საყოველთაოდ შემჩნეული გასულიერების ფაქტი დაკონკრეტ-
და მაშინ, როდესაც ვაჟას მოვლენებისათვის დამახასიათებელი მო-
ძრაობა, მუდმივი მდინარება და ურთიერთში გადასვლა ზოგადი
თვალსაზრისიდან ყოველ ცალკეულ შემთხვევაში იქნა ნაპოვნი. თუ
ვაჟას მსოფლმხედველობის სიმაღლის საჩვენებლად იმოწმებდნენ
იმ რიგის სტრიქონებს, როგორიცაა: „ხევი მთას ჰმონებს, მთა —
ხევსა, წყალი — ტყეს, ტყენი — მდინარეთ“... ან „სიცოცხლე სი-
ყვარულითა და სიყვარული სიცოცხლით, უერთურთისოდ ვერც
ერთსა ვერ ვიცნობთ, ვერც როს ვიცნობდით“... — შემდეგში ეს
მსოფლმხედველობრივი მომენტი სტილში იქნა დანახული იმით,

¹ მაგ. კ. აბაშიძე ბეჭითად იცავდა მის სიმბოლისტობას.

² იხ. გრ. კიკნაძის „ვაჟა-ფშაველას პროზის სტილი“, მეტყველების
სტილის საკითხები, 1957, გვ. 237.

რომ ვაჟას ხატების რელიეფურობას, დინამიკურობას და პლასტიკურობას გაესვა ხაზი. ესეც ვაჟას შემოქმედების სტილურ ნეშვანაჟული გამოყენებას ჩაითვალა.

ისევ გასულიერების ფაქტმა განსაზღვრა ისიც, რომ განსაკუთრებული ღირებულება მიენიჭა არა მარტო ადამიანს, არამედ მასთან დაახლოებულ და მის დონემდე აყვანილ საგნებსა და ბუნების მოვლენებს. ეს არის გამოხატულება იმისა, რომ ჰუმანისტური თვალთახედვითაა მოცული ვაჟას მთელი შემოქმედება. ამგვარმა თვალთახედვამ კი მკითხველამდე იმით შეაღწია, რომ მოიხსნა დისტანცია მწერლისა და მკითხველის მეტყველებით დინებას შორის და ვაჟა ალაპარაკდა ისე ბუნებრივად, ისეთი თავისუფალი კავშირებით, როგორითაც ადამიანის აზროვნება და მეტყველება ჩვეულებრივ მიმდინარეობს. ამგვარი მეტყველებითი სისადავე, დაუძაბავობა და ბუნებრივობა ახასიათებს ვაჟას სტილს. და გასაგებია, რომ ეს ეხება, პირველყოვლისა, ვაჟას პროზის სტილს.

მა ლიტერატურის გაცნობა გვარწმუნებს, რომ სინამდვილისადმი, როგორც ცოცხალისადმი ვაჟას ეული მიღვომა განსაკუთრებით თვალში საცემია. ეს მიღვომა აპირობებს მის ნაწარმოებთა თავისებურებებს. შემდგომი ამოცანა კი ისაა, თუ რა კონკრეტული ენობრივი საშუალებებით არის განხორციელებული ასეთი მიღვომა და არა მარტო ენობრივი საშუალებებით: აღნაგობა ნაწარმოებისა, მისი არქიტექტონიკა თუ კომპოზიცია და მისთანანი ისევე მონაწილეობენ ნაწარმოების სტილის ჩამოყალიბებაში, როგორადაც გამოსახვის ენობრივი გზები... სტილის რაგვარობისათვის უმნიშვნელო ფაქტორის როლი არ მიეკუთვნება სიტუაციების შერჩევას, ამბავთათვის მიჩენილ დროსა და ადგილს, მათ ემოციური იქრს... ხოლო სტილისტური დინება მოუცილებელია მწერლის მიერ შერჩეული თემისა და მოტივებისაგან და ა. შ.

ჩვენს ერთ-ერთ პირველ ამოცანას ვაჟას მხატვრული პროზის ემოციურ წყობაზე დაკვირვება და მისი დახასიათება წარმოადგენს.

რამდენადც მხატვრული ნაწარმოები სინამდვილესთან ესთეტიკური დამოკიდებულების ფიქსაციაა, მხატვრული შემოქმედების, — ამ შემთხვევაში ვაჟას მოთხრობების, — სტილური თავისებურებანი უშუალოდ მწერლის ესთეტიკური აღქმის, მისი ესთეტიკური ხედვის თავისებურებიდან უნდა მომდინარეობდეს.

ესთეტიკური აღქმისათვის კი, პირველყოვლისა, ემოციური დატვირთვაა დამახასიათებელი. როგორც ცნობილია, ჩვეულებრივი, ჯოველდღიური აღქმისაგან განსხვავებით, მასში გარდუვალად მო-

ნაწილეობენ გრძნობითი ელემენტები და სწორედ ამ უკანასკნელ-
თა წყალობით არის, რომ ერთი და იგივე ნივთი, მოცემული ჩვეულებრივ და ესთეტიკურ აღქმაში, ორი სხვადასხვა საგანზო სახის სხვადასხვა სუბიექტის ესთეტიკურ აღქმაში მოცემული კი, იგი ორ სხვადასხვა ესთეტიკურ ობიექტს წარმოადგენს.

უსულო საგნების გასულიერება და გაპიროვნებაც, მათი გა-
ადამიანურება, დიდი ხანია, ესთეტიკური ხედვისა და ხელოვნების-
დამახსასიათებლად არის მიჩნეული. ამიტომ, ცხადია, რომ ხელოვა-
ნის ინდივიდუალობაზე უნდა მეტყველებდეს არა იმდენად უსულო
სამყაროს გაცოცხლების ფაქტი, რამდენადაც თვით ამ გაცოცხლე-
ბული სამყაროს ხასიათი, მისი ემოციური შინაარსი, ის, რაც ხელო-
ვანმა ამ სამყაროში შეიტანა მისი გაცოცხლებით და რითაც აღბეჭ-
და იგი, როგორც განსაკუთრებული, გამორჩეული ესთეტიკური
სინამდვილე¹.

თუ ამ თვალსაზრისით დავაკვირდებით ვაჟას პროზაულ თხზუ-
ლებებს, დავინახავთ, რომ მათი ემოციური სამყარო არა მარტო
ფართო და ღრმაა, არამედ მეტად მრავალფეროვანიც. აქ ერთმა-
ნეთთანაა შერწყმული და ერთმანეთში ჩაქსოვილი: გრძნობა სიყვა-
რულისა, სიბრალულის, სიხარულისა და წუხილის; ქმაყოფილები-
სა, გულნაკლულობის, ბეღნიერებისა და უმწეობის; იმედისა, უი-
მედობისა, მშვენიერებით სიამოვნებისა, შიშისა და ძრწოლის. ეს
ნაირ-ნაირი ემოცია ერთ მოთხრობაში, — ზოგჯერ ერთ პერსო-
ნაჟში, — თავმოყრილი და მრავალ სხვადასხვა დეტალში გამოვლე-
ნილი, ნაწარმოებს განსაკუთრებულ ემოციურ ხასიათს აძლევს.

მართალია, გრძნობითი ტონი საგნებს ყოველთვის აქვთ ესთე-
ტიკურ აღქმაში, ემოციური შეფერილობის გარეშე ესთეტიკური
საგანი არ არსებობს, მაგრამ ვაჟა, ამ მხრივ, მაქსიმალური ინტენ-
სივობით გამოირჩევა.

ავილოთ სანიშუშოდ რომელიმე მოთხრობა, — ვთქვათ, „ია“.—
რა რიგის ემოციებია გამოხატული აქ, როგორია მოთხრობაში გა-
მოსახული საგნობრივი სინამდვილის ემოციური შინაარსი, მისი ხა-
სიათის და ხარისხის მიხედვით?

¹ ალნიშნავენ, რომ „რაც გასულიერებულ საგანში ერთბაშად გამოდის, როგორც გამასულიერებელი ძალა... ჩვენი საკუთარი, ჩვენთვის კარგად ცნობილი „მეა“ ყველა თავისი თავისებურებით... ასე რომ, გოეთეს, მაგალითად, შე-
ეძლო ეთქვა ჰებელის შესახებ, რომ მან ბუნებას მისცა ძალზე ბეგრი რამ „გლეხური“, ხოლო შერებს ამის პარალელურად შეეძლო ეთქვა ვოლფ რამ „ნიკა“. (კარლ გრონი, ესთეტიკის შესავალი, 1899, რუს. თარგ., გვ. 70).



მოთხოვთ ასე იწყება:

„ულრანს ტყეში მოსული ვარ... მანამ ცოცხალი ვარ, ჩემის უსაკულტო ლამაზით დავატკბობ ტყეს, ბალახს და იმ გაღმიღამ გამომცემრალს გულხავსიანს კლდესა, სუნელებას მივაფრქვევ არე-მარეს. ყველას გუყვარვარ: აგერ იმ დამპალს ყუნჭს თვალი სულ ჩემსკენ უჭირავს, მიცინის ხოლმე, უნდა ჩემთან მოვიდეს, — მაკოცოს, მაგრამ არ შეუძლიან, მხოლოდ შორიდამ გამიცინებს, გაიღიმება საცოდავი, თუმცა უშნოდ, მაგრამ გულკეთილობა კი დიდი გადაეფინება ხოლმე პირზედ“.

ჩვენს ყურადღებას აქ, პირველყოვლისა, ემოციებით სავსეობა იპყრობს. ია თავის გრძნობებს, გარემოსთან თავის ემოციურ მამართებებს გამოხატავს, — სახელდობრ, თავისი სისუსტისა და უმწეობის გრძნობას, როცა ამბობს — „ულრანს ტყეში მოსული ვარო“. — ტყის ამგვარ აღქმასთან უშუალოდ არის დაკავშირებული განმცდელი სუბიექტის, — ამ შემთხვევაში ის, — მიერ სწორედ თავისი სისუსტისა და ერთგვარი უმწეობის შეგრძნება. — აქვე სიცოცხლით სიხარულის განცდა, განცდა საკუთარი მშვენიერებისა და სხვათა დატებობის სურვილი („მანამ ცოცხალი ვარ, ჩემის სილამაზით დავატებობ ტყეს, ბალახს და იმ გაღმიღამ გამომცემრალს გულხავსიანს კლდესა, სუნელებას მივაფრქვევ არე-მარეს“).

აქ, ამ ერთი აბზაციდან, ჩანს, რომ ყველაფერი გამსჭვალულია ურთიერთსიყვარულით; — ყველას გუყვარვარო, ამბობს ია და თვითონაც ტქბება იმით, რომ სურნელებას აფრქვევს არე-მარეს. ეს არის ბრწყინვალე ნიმუში უაღრესად ინტიმურ, ფაქიზ ემოციათა კონტაქტების გამოვლენისა: „აგერ იმ დამპალს ყუნჭს თვალი სულ ჩემსკენ უჭირავს, მიცინის ხოლმე, უნდა ჩემთან მოვიდეს, — მაკოცოს, მაგრამ არ შეუძლიან, მხოლოდ შორიდამ გამიცინებსო“, — ამბობს ია.

შემდგომ მოთხოვთ უფრო და უფრო მდიდრდება ემოციებით და უკვე გამოხატული ემოციების ახალ-ახალი ნიუანსებით. თანდა-თანობით ღრმავდება ემოციური კონტაქტები. ახლა ის სუსტი ამ ფარველობის სახეს იღებს და ეს უკვე სრულიად გარკვეული მინიშნებაა ამ მოთხოვთის სოციალურ შინაარსზე. ის სიცოცხლე მის გარეშემოთ მარტო სიხარულს კი არა ჰგვრის, არა-მედ ამოქმედებს კიდეც. — მარტო ყუნჭს კი არ უხარის ჩემი სიცოცხლეო, — ათქმევინებს პოეტი ის, — „წვერხმელი ხეებიც მე დამხარიან ზევიდამ, თვითონ თავშიშველნი, ტოტებს მე მაფარებენ; ჩვენს ის არ შეგვიცივდეს, ან არაფერმა არ აწყინოსო. პირდაპირ

შხაპუნა წვიმას არ უშევებენ ჩემამდის: წვიმას შეუძლიან ერთბაშად /
ჩამომაცალოს ფრთლები. უფოთლებოდ ყოფნა და სიკვდლური ჩემი
თვის ერთია. არა; ხეები: არყი, წიფელი, თხილი, თამელი, დუღუფე
ლა გარშემო მეხვევიან და მყარაულობენ, წვიმის ნამს ინახავენ ტო-
ტებით, ფრთლებით და მერე ნელ-ნელა მამცვრევენ პირზე თითო-
ოროლ ნამობით, პირსა მბანენ“.

ამ მოთხრობაში გვიჩვენა ვაჟამ უშუალო კავშირი სხვადასხვა
არსებათა შორის, — კავშირი, აღმოცენებული და განმტკიცებული
სიბრალულის, გულკეთილობის და ურთიერთის სიცოცხლის მოწა-
დინების ფონზე. ეს არის გზის გახსნა ბუნების ჰარმონიუ-
ლობის პრინცის აკენ, რაც განსაკუთრებით ნათლად
ჩანს ნაწარმოების იმ სტრიქონებში, სადაც ბუნების ხილვით ტქბო-
ბაა გადმოცემული:

„გუშინ ცამ იჭექა, ჭექა-ჭუხილი ჩვენ არ გვაშინებს: ქუხილი
წვიმის მომასწავებელია და წვიმა ხომ ძუძუს გვაწოვებს დედამიწის
გულზე. მზე — მამა, ზევიდამ დაგვყურებს და გვეალერსება,
ოვალყურს გვადევნებს. წვიმის მოსვლა მცენარეთ უხარიანთ, —
უხარიანთ, ყელამდის სიხარულით მოიყარნენ, ეხლა ისინი ახალს კა-
ბებს და ქათიბებს ჩაიცმენ“.

ია ტკბება ბუნების ყოველი მოვლენით და
ნატრობს: „ნეტავი დამბადებელს ჩემთვის ნიჭი მოეცა, რომ მექო
მაღლა ცა და ღრუბელი, მზე, ეს ჩემი მფარველი ხეები, ეს მთები,
ის ჭალები და ღაბუა ჩიტები, რომელნიც ხმელს, ყვითელს ფრთლებ-
ში წითლის და მწვანის ფრთაბუმბულით ჩემს წინ დაგოგვენ და
ხანდახან შემომჰიკვიკებენ პირში, მათამაშებენ, უხარიანთ ჩემი
სიცოცხლე“... და „ყველას უყვარს ბუნება“, — ასეთია ბუნები-
საღმი ვაჟას მიმართება. სიხარულითაა ავსებული ბუნების მისეული
ხილვა.

ამ ნაწარმოებში იის გულუბრყვილო თხრობა მწერალს მაღე
ვაღაპყავს გარემოსაღმი ფხიზე ლ მიმართებაზე. აქ ნა-
ჩენებია, რომ სრულებით არ არის აუცილებელი, სამყაროს ჰარ-
მონიულობის განცდაში შეიჭრას შეუბრალებლობა, სისასტიკე და
სხვათა მომსპობი მოქმედება. ამ ნიაღაზე აქ აღმოცენებული
უარყოფითი ემოცია აღამიანისაღმი, რომელიც სიცოცხ-
ლეს ართმევს „მშვენიერს ტოტგაღართხმულს წიფელს“, გაზაფხუ-
ლის მოსვლით გახარებულ ქედანს... უარყოფითი ემოცია ძალადო-
ბის ყოველგვარი გამოვლენისაღმი.

ასეთივე ფხიზე ლი მიმართების მანიშნებელია ის ნაღვლია-
ნი ტონი, რაც სიცოცხლის წარმავლობით, მისი „წამიერებით“,

ცალკეულ მშვენიერთა გაქრობით არის გამოწვეული. ეს ჩანს  მოთხრობის ლექსით ფინალშიც, რომელიც ის მომხიბლავ ჯოზების გადას შეიცავს.

ეს სევდიანი ტონი, რომელიც ვაჟას მიერ ნაჩვენებ ემოციებს ერთგვარ უარყოფით ელფერს აძლევს და რომელიც, ამავე დროს, სოციალურად გამიზნულია, ყოველთვის რთულია თავისი წარმომავლობითა და თავისი ღინებით.

თუ შედარებით მარტივი უარყოფითი მიმართება მოძალადუ ადამიანისადმი, არსებითად სხვაგვარია ვაჟას დამოკიდებულება, ერთი შეხედვით, უარყოფითი „პერსონაჟებისადმი“. ესენია, მაგალითად, ყვავ-ყორანი, სვავი, მგელი. მათი დახასიათებისას ვაჟა არა მარტო სოციალურ ასპექტს მიმართავს, არამედ თავის ფილოსოფიურ თვალსაზრისსაც ავლენს.

ვაჟასთან ვკითხულობთ:

„ფარფაშობდენ უზარმაზარი სვავები... ყვავ-ყორნები, დამაძლები, ლეშით გათოშილები, იქვე ახლო-მახლო კლდეებზედ სხდებოდენ, ფეხებით, ფრთით თან მიჰქონდათ სისხლი და ასისხლიანებდენ კლდის დეკას, ჭუჩს, ურძნიანებს. ერთი გამაძლარი სვავი... სიმაძლრით ძლიერდა ქშინავდა... სულხარბად დასჩერებოდა უფსკრულში ლეშის გროვას“ და არარად მიიჩნევდა ბულბულს. („სვავი“).

მგელი „დაპრეოდა მთელ ცხვრის ფარას და მუსრს ავლებდა... მაღლიდან თავზე დასტრიალებდა ყორანი, ამაზრზენის ხმით თავზე დაჰყრანტალებდა, ამხნევებდა: „ყოჩალ, ემაგრე! გამუსრე! არ გაუშვა ერთი ცოცხალი!“ („ყორანი“)

როდესაც ამ და სხვა ამის მსგავს ადგილებს ვკითხულობთ, უეჭველად არის საფუძველი შემაზრზენი განცდის წარმოშობისა. ამ საფეხურზე სრულიად უარყოფითია მკითხველის დამოკიდებულება მტაცებელ ცხოველთა და ფრინველთადმი, მაგრამ ვაჟასთვის ფილოსოფიური ხედვაა დამახასიათებელი: ადამიანს შეუძლია არ იყოს მოძალადე და მას შეიძლება წავუყენოთ მოთხოვნილება, რომ არ იყოს ასეთი, — გაუკეთესება თვითონ მასზეა დამოკიდებული. სხვაგვარია ვითარება, როდესაც საკითხი ცხოველთა სამყაროს ეხება:

„რა უბედურ დღესა ვარ გაჩენილი მე საწყალი? — ჰეოდებს ყორანი. — რამოდენა ცოდვას ვიღებ კისრად! რადა? რის გულის-თვის?... რამდენჯერ გადავწყვიტე გულში, ამეღო ხელი ყორნობაზე... მაგრამ, არა და არა, არ იქნა: ვერ დავძლიე ჩემი ფიქრი, ჩემი გუნება... თუ ასე არ მოვიქეცი, ვინ მომცემს ცხვრისა და ცხოველების თვალებს საჭმელად?!...“ („ყორანი“).

უფრო ცხადია გოლება მგლისა:

„ღმერთო, რად გამაჩინე მგლაღ?! რადა ვძულვარ ყველას? რად მომეცი ბუნება მგლისა?... რატომ არა ვარ შველი, ან მომენტი, თუნდ ბეჩავი კურდლელი... კურდლობა მე არ შემიძლიან, არც ირმობა, არც შვლობა... ჩემი ბუნება სულ სხვა... ღმერთო, შე და-ლოცვილო! რა უბედური გაგიჩნივარ!“ („მგელი“).

ასეთივე გაგებით არის დახასიათებული მრავალი ცხოველი ვაჟას შემოქმედებაში და ამასვე, შუშანას პირით, იმეორებს იგი თავის „მოკვეთილში“. მგელს არ შეიძლება მოვთხოვოთ, რომ ის არ იყოს მგელი და ყორანს — რომ ის არ იყოს ყორანი, რაღან მხოლოდ ასეთია მათი არსებობის ფორმა. და სწორედ ამიტომაა ასეთი მიღვომა ფილოსოფიური მიღვომა. ეს არის განმარტება და ახსნა სინამდვილისა, რომლის გარდაქმნის შესაძლებლობა არ არის და არც შეიძლება იყოს. ეს მთელი სამყაროს წონას-წორობის პრინციპია, რაც ჩანს უკვე ზემომოყვანილი მა-გალითებიდან და რაც პირდაპირ დებულების სახით არის მოწოდე-ბული მის ცნობილ პოეტურ სტრიქონებში:

„ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო,
სიცოცხლე უვენობს შენითა,
და შენც, სიკვდილო, ფასი გძე,
სიცოცხლის ნაწყენობითა“...

ქართული პროზისათვის და, შეიძლება, არა მარტო ქართული პროზისათვის უჩვეულო იყო და არის ვაჟას ნაწარმოებებში მოქმედი არსებები და მოვლენები. მათ მხოლოდ პრიზორით და შეიძლება კუჭოდით პერსონაჟები და ამ პირობითობას მხოლოდ ის ამართლებს, რომ აღამიანურ-პიროვნული სახით წარმოდგებიან ვა-ჟასთან — თავიანთი განცდებით, ემოციებით, სურვილებითა და აზ-როვნების წყობით — სალი კლდე და უოლი, ქუჩი და ფესვები, შევარდენი და არწივი...

ვაჟა ადგას თითოეულ მათგანთან დიფერენცირებული მიღვობის გზას. ამიტომ მისი პროზის პერსონაჟთა თითქოს ერთგვაროვანი წრე მრავალფეროვანია შინაგანიად და არც ერთ მათგანს არ ეტყობა ინდივიდუალურ ნიშანთა ნაკლებობა.

თანაგრძნობა და სიბრალული, სიყვარულთან და ურთიერთჭიდილის განცდებთან ერთად, საერთოდ, ვაჟას მთელი მხატვრული პროზის ემოციური წყობისთვისაა დამახასიათებელი. პერსონაჟებს უყვართ, ეცოდებათ, თანაუგრძნობენ ერთმანეთს, თუმცა, ამავე

დროს, მეტოქეობენ, ავიწროებენ და ურთიერთს კიდეც ნთევენ, მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევებში მათ ზოგჯერ სინაულეს, სინაულე დისის ქენჭის ემოციებიც უჩნდებათ და ავტორის განცდის ფენებშიც იქმნება მათვის სიყვარულისა და თანაგრძნობის გარემო.

ვაჟას ამ სრულიად თავისებურ დამოკიდებულებას პერსონაუებისადმი, ცხადია, გამოავლენს ის, თუ რა განცდებია მის მიერ დანახული სამყაროში, რას გრძნობენ, რა უხარიათ და რა აწუხებთ მის პერსონაუებს, რა ხასიათის კავშირებით არიან ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულნი. მაგრამ უნდა ითქვას, რომ არჩეული ობიექტებისადმი თავის კეთილგანწყობილებას ვაჟა სხვა გზებითაც გვაგრძნობინებს: მას შეუძლია ისეთ ობიექტებშიც კი, რომლებიც ამის, თითქოს, ძალიან მცირე, ძალიან უმნიშვნელო შესაძლებლობას იძლევიან, პატივისცემის აღმძრელი ლირსებები აღმოაჩინოს და მათი სილამაზე დაგვანახვოს.

მგელი, მაგალითად, ვაჟასთვის მხოლოდ სისხლით გაუმაძღარი კი არ არის, თუნდაც, საბრალო იმის გამო, რომ საკუთარი ცოდვები აწუხებს, არამედ ვაჟკაციაა, მამაცი „ლეგჩოხა ბიჭია“, ჭკევიანი, მაგარი და ქედუხხრელი, რომლის ცხოვრებას თავისებური სილამაზე და მომხიბლაობაც კი აქვს. („სურათები“, „ამოდის, ნათდება!“).

შიშველი კლდე, „უსწორ-მასწოროდ, უწესოდ ერთმანეთზე მიყრილის ლოდებით, ზოგან ჩაშავებული, ზოგან ჩაყვითლებული, სხვაგან ჩალურჯებული, ნაკაწრი, ნაღადრი, დელგმა-ლვარისაგან გაგლილი და ჩამოლარული“, ვაჟას თვალში მხოლოდ „საძაგლად, უმსგავსად მოთუთხნილი“ კი არ არის, არამედ ლამაზიცაა, „როგორც ათას ომში გამოვლილი ვაჟკაცი, ათასგან დაჭრილ-დაზიანებული, მაგრამ ისევ მხედ, მამაცად და შეუპოვრად გამომცქირალი და მებრძოლი“ („კლდე მტირალი“).

ვაჟა რომ კომიკურად წარმოადგენს ისეთ პერსონაუებს, როგორიცაა მაგალითად, ყვავი და სვავი, ესეც მათლამი ავტორის კეთილგანწყობილების მაჩვენებელია. კომიკური შთაბეჭდილება კი გვექმნება მაშინ, როცა, მაგალითად, ყვავი „ხანხალით, ფრატუნით, თანაც „ყვაო-ყვას“ ძახილით“ მოფრინდება („ყორანი“), ან, როცა „თავის მშვენიერის ხმით“ სუფრულს შემოსახებს („ჩხიკვთა ქორწილი“), როცა მედიდური არწივის შემდეგ ბულბულისთვის იუბილის მისალოცად სვავი „გაღმოაფლაშუნებს“ და „იბლინძება, თავი მოსწონს ტანაღობით, ახოვნობით, თავისთავს თითქმის არწივის ტოლ-ამხანაგად სთვლის, რაიც ფრინველთა უგუნურებას ღირსეულად ვერ დაუფასებია, თვალებს თავმომწონედ აბლვრიალებს და ჩიჩახვს ისიებს“ („ბუნების მგოსნები“).

ვაჟას კომიკური აქ სიყვარულს იტევს. იგი თავის პერსონა-
ჟებს, თითქოს, უარყოფითი შინაარსის ეპითეტებით ახასიათებს, და
სინამდვილეში კი უალერსებს მათ, მათდამი დიდ სითბოს შემთხვევაში

თუ ახლა ვაჟას მიერ გამოსახულ საგნებს მათი გარეგამოვლე-
ნის თვალსაზრისით შევხედავთ, ერთი რამ თავიდანვე ცხადი იქნე-
ბა: ეს საგნები პირდაპირ ჩვენს თვალშინ არიან, მათ ჩვენ სრუ-
ლიად უშუალოდ ვხედავთ. საგანთა თვალსაჩინოება, ხელშესახე-
ბობა და სიცხადე ფაქტია ვაჟას პროზაში. როგორ მიიღწევა ეს?

ძალზე ნათლად ვხედავთ ვაჟას საგნებს, მაგრამ საგანგებო და-
კვირვება გვარწმუნებს, რომ მათი გარეგნობის არც თუ ისე ბევრი
ნიშანია მოთხრობებში მოცემული. ყველაზე მეტი ნიშანი — კონ-
კრეტული, რეალური ნიშანი — ზმელი წიფლისა და შვლის ნუკრისა
გვაქვს. ხმელ წიფელზე, მაგალითად, ნათქვამია, რომ მას „სამი
ტოტილა შერჩენია შუა წელს ქვემოთ, ზედა ტანი მოტეხილა... ამ
სამ ტოტში წელიწადში მარტო ერთს გამოუვა ხოლმე სამი თუ
ოთხი ფოთოლი, ისიც ფერწასული, დამჭკნარი, გაყვითლებული...
სულთმაბრძოლს დაპფერებია, წაქცევ-წაქცევაზეა მიმზადული.
ტანზე რამდენსამე ადგილს საცოდავს გამხმარი ქერქი ასძრობია და
ტიტველი გვერდები უჩანს. ერთს ალაგას უფრო გრძლად აპყრია
ქერქი და დედამიწისკენ გრძლად გაღმოშვერილა, გეგონებათ, ხან-
ჯალი დაუციათ და ნაწლავები გაღმოუყრევინებიათო“. შვლის ნუ-
კრი თვითონ გვეტენება, რომ ტანზე აცვია „პატარა, მოკლებეწვია-
ნი, თეთრის თვლებით მოწინწლული თხელი ქათიბი“ და რომ
ჯერ რქები და კბილები არა აქვს ამოსული და ჩლიქები — გამაგ-
რებული.

აქ მითითებული ყველა ნიშანი თვალით დასანახი, ობიექტური
ნიშანია, რომელთა სიმკვეთრეს დიდად უწყობს ხელს ასოციაციე-
ბი: „სულთმაბრძოლს დაპფერებია“ და „გეგონებათ, ხანჯალი დაუ-
ციათ და ნაწლავები გაღმოუყრევინებიათო“.

დანარჩენ შემთხვევებში პერსონაჟთა გარეგნობა გარემოს-
ფონზე და სხვა საგნებსა თუ არსებებთან ურთიერთობის გზით არის
ნაჩვენები. ამასთანავე, სულიერი მოძრაობის გამომხატველი ნიშნე-
ბიც საგანთა თვალსაჩინოებას უწყობს ხელს.

თვალსაჩინოება, მართალია, მხედველობითი შეგრძნების ნია-
დაგზეა მიღებული, მაგრამ მხოლოდ ამით არ არის განსაზღვრული.

დანახვა საგნებისა უფრო მეტად და უკეთაა შესაძლებელი, როდე
საც ისინი მოძრაობენ. სტატიკურობა თვალსაჩინოების პირობები
არის. დინამიკურობაა ერთი ხელშემწყობი ფაქტორი თვალსაჩინო
ებისა. ვაჟასთან კი მთელი სამყარო დინამიკურია. გაქვავებულ, უძ-
რავ მდგომარეობას ვაჟას პროზაში საერთოდ არ ვხვდებით. დაძა-
ბულ მოლოდინად ქცეული მთანიც კი არ არიან სტატიკურნი, რად-
გან სავსენი არიან ფიქრით, რომლის უაღრესად დინამიკური და
პლასტიკური შინაარსია: დაქანებული ზვავები, გალაღებული ხარ-
ჯიხვნი, ცივი წყაროები...

მაგრამ დინამიკურობა ვაჟას პროზის მხოლოდ საგნობრივი ფე-
ნისა და მხატვრული სახეებისათვის არაა დამახასიათებელი. დინა-
მიკურია თუ შეიძლება ასე ითქვას თვით აღნაგობა ვაჟას მოთხრო-
ბებისა. ხოლო ამ მხრივ დიდ როლს ასრულებს მოთხრობაში ნაირ-
ნაირი ობიექტის თანმიმდევრული შემოყვანა, ავტორის ან პერსო-
ნაჟის მიერ მიმართვის ობიექტთა ცვლა და ასოციაციები, რაც სუ-
რათების სწრაფი და ხშირად მოულოდნელი ურთიერთმონაცვლეო-
ბის სახით გვეძლევა.

საქმიანდ დაშორებულ ასოციაციებზეა აგებული, შაგალითად,
მოთხრობა „პატარა მწყემსის ფიქრები“, დიდია ასოციაციების
როლი, აგრეთვე, მოთხრობებში: „შელის ნუკრის ნაამბობი“, „ფე-
სვები“, „ხმელი წიფელი“, სიღაც დინამიკა, უმთავრესად, წარსული
და ახლანდელი განწყობილებების, მდგომარეობისა და სურათების
ურთიერთში ჩაქსოვით, ურთიერთდაპირისპირებითა და სწრაფი მო-
ნაცვლეობით იქმნება. „ხმელ წიფელში“ წარსულისა და აწყოს-
კონტრასტულ სურათებს თან ერთვის ხმელი წიფლისათვის კონტ-
რასტული ფონი, რომელსაც გაფოთლილი და ნაყოფით დატვირთუ-
ლი ხეები ქმნიან. ამას კიდევ უფრო მეტი მოძრაობა შეაქვს მოთხ-
რობაში. ანალოგიური ვითარებაა მოთხრობაში „ფესვები“.

სინამდვილის დინამიკურად და პლასტიკურად ხედვის შედეგი
უნდა იყოს ვაჟას მოთხრობების ერთი კომპოზიციური თავისებუ-
რებაც: ნაწარმოების დაწყება უექსპოზიციონდ, მკითხველის წინას-
წარ მოუმზადებლად, ყოველგვარი შესავლის გარეშე, ჩვეულებრი-
ვია ვაჟასათვის. მისთვის არ არის დამახასიათებელი ილიასებური: „მე, სწორედ, ნაღირობის ტრფიალს რომ იტყვიან, ისა ვარ“... ან
„რიტორიკაში სწერია: ყველაფერი შესავალით უნდა დაიწყოს კაც-
მაო“.... „მახსოვს, როცა პატარა ვიყავი, რა გულის ფანცჭალით
ვნატრობდი წინა-ღამე ახალის წლისა მალე გათენდეს-მეთქი“ და
სხვ.

ვაუა პირდაპირ მიღის საგანთან, — კი არ უახლოვდება, არა-
მედ, თითქოს, მიიჭრება მასთან და ერთბაშად, სწრაფად უკურნებელი
სხლეტით წარმოადგენს მას მკითხველის წინაშე:

„ბალახი ვარ მთისა...“ („ქუჩი“).

„ბეჩაობით გაზდილი ვარ“... („პატარა მწყემსის ფიქრები“)

„ფეხშეუხრელად, მკვიდრად, პირდალმეჭილი, მრისხანე სლგას
კლდე“. („კლდე მტირალი“).

„ნუ გეშინია, არა ვართ გველები“... („ფეხსვები“).

„მოდგნენ დანგრეულის დარბაზის ეზოში“... („მოჩვენება“)

„იდგნენ და ელოდენ“... („მთანი მაღალნი“).

იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს, საგანი უეცრად წამოიზარდა
და თქვენს თვალწინ აღიმართა.

დასასრული კი ვაუას მოთხრობებისა, — განსაკუთრებით იმ
მოთხრობების, რომელთა მთავარ შინაარსს პერსონაჟის განცდები
წარმოადგენს, — ისეთია, თითქოს, ავტორს კიდევ შეეძლო მათი
გაგრძელება. აქ, ამ მოთხრობების ბოლოს, არ ზის მყარი და უძრა-
ვი წერტილი, რომელთანაც ყველაფერი მთავრდება, თუმცა ამის
გამო მოთხრობა სრულიადაც არ ტოვებს დაუმთავრებლის შთაბეჭ-
დილებას და არ იწვევს უქმარობის უსიამოვნო გრძნობას. პირიქით,
კომპოზიციის თვალსაზრისით, იგი სრულიად უნაკლო. მსგავს მო-
ვლენას სახვით ხელოვნებაში ზოგი მკვლევარი ატექტონიკური სტი-
ლის ნიშნად ჩათვლიდა.

ვაუას მთელი შემოქმედების და, კერძოდ, პროზის არაჩვეუ-
ლებრივ დინამიკურობას მოწმობს ყოველივეს გაცოხცლებისა და
გასულიერების ფაქტი. ასეთია ვაუას სამყარო, ხოლო სიცოცხლე
მოძრაობაში ვლინდება და მოძრაობით დასტურდება. დინამიკურო-
ბა სიცოცხლის, ემპირიულად მოცემული, არსებითი ნიშანია.

გაცოცხლებული სამყარო. ადამიანის სიმაღლემდე აყვანილი
და ემოციურად მასთან გატოლებული სამყაროა და ამას ისეთი ენობ-
რივი გამოხატულება ეძლევა ვაუას პროზაში, რომელიც ერთგვარ
აღნუსხვას ექვემდებარება.

როდესაც ჩვენ ილია ჭავჭავაძეს ვკითხულობთ, სრულიად უ-
ჭველია, რომ აქტიურია ხელოვანი, — ის ამყარებს ჩვენთვის თვალ-
საჩინოდ მოცემულ მიმართებას გარესამყაროსთან. „სამშობლო
მთებო! თქვენი შვილი განებებთ თაქსა“... — ასე იწყებს ილია „ყვარ-
ლის მთებს“ და ლუქსს ისეთი, თავისი მიმართების გამომხატველი,
სტრიქონებით ამთავრებს, რომელშიც ობიექტის აქტიური მონაწი-
ლეობა არ იგულისხმება: „კვლავ გაგილიმებთ შორ ქვეყნიდამ თქვენ

ჩემი სული, და დამიწყებსცა სიყვარულით ფეთქისა გული".

ლოგიურია ცნობილი აღწერა ზამთრისა „ოთარაანთ ქვრივშეზეკულია“

ემოციური პროზის ისეთ ნიმუშშიც კი, როგორიცაა ჰერქი შე-
რეთლის „ბაში-აჩუკი“, ავტორს მღელვარებისა და განცდათა დაძა-
ბულობის ცენტრი, ბოლოს და ბოლოს, მაინც მხილველებზე, ბუნე-
ბის ცვლილებათა მოწმეებზე გადააჭეს. მართალია, არაგვია გაცო-
ცხლებული შემდეგ, აკავისეულ, სიტყვებში: „თვალმიუწვდომელ
სიშორიდან გველივით მიიკლაკნებოდა ჩუხჩუხა არაგვი და ერთგან
კლდოვან კიდეს გამეტებით ეხლებოდა, რომ ახალი გზა გაეკვლია!..
თავს არ იზოგავდა, მაგრამ შეუბორობისაგან უკუქცეული, დარე-
ტიანებული და თავბრუდასხმული, თითქოს სულის მოსაბრუნებ-
ლად, იქვე მორევში რამდენჯერმე მოტრიალდებოდა ხოლმე და
შერე კი დაკვირვებით გადადიოდა დაბლობზე, რომ უფრო მეტის
სიფრთხილითა და კვენსა-დუდუნით დაშვებულიყო ქვემოატეხილ
ჭალებისაკენ“. — მართალია, აქ არაგვია გაცოცხლებული, მაგრამ
ავტორი აქვე ჩერდება, რათა ამ სურათის ხილვით გაოცებული ადა-
მიანები დახატოს.

სხვაგვარია ვითარება, როდესაც ვაჟასათვის სპეციფიკურად
დამახასიათებელ მოთხრობებს ვეცნობით. მისი მოთხრობების მთე-
ლი წყება („ია“, „მთის წყარო“, „ქმელი წიფელი“, „ქლდე მტირა-
ლი“, „ქუჩი“ „ფესვები“, „მთანი მაღალნი“...) სამყაროსადმი ობი-
ექტთა მიმართებას უფრო გვიჩვენებს. იმდენად ხელოვანი არა
ჩანს აქ, რამდენადაც თვითონ სამყაროა დაჯილდოებული ხელოვა-
ნის უნარით. მთის წყარო განიცდის და გვიამბობს თავის აწყოსა
და მომავალზე ისეთი დამაჯერებლობით, რომ მის უკან ამოფარე-
ბული ხელოვანის არსებობა ავიწყდება მკითხველს და თხრობის
მთელ ღირსებას თვითონ მთის წყაროს უმაღლის.

ვაჟას მოთხრობებში გადაშლილი სამყაროს სიცოცხლე, მისი
დინამიკურობა, მისი ყოვლისმომცველი ემოციურობა ჩვენ გვეძ-
ლევა არა მხოლოდ საერთო შთაბეჭდილების სახით, არამედ გარკ-
ვეული ლექსიკური ფორმებითაც. ეს ფორმები სიცოცხლის არსე-
ბობას აღნიშნავენ, ე. ი. აქტივობაზე მიუთითებენ. აქტივობას
ვეგრძნობთ და ვხედავთ მთებისას, როდესაც ვკითხულობთ, რომ ისი-
ნი მხოლოდ კი არ იდგნენ, არამედ ე ლ ო დ ნ ე ნ; მათი მოლოდინი კი
არ წყდება, არამედ უსაზღვროა და თან გულ-მკერდში უ თ ი მ თ ი-
მ ე ბ ს თ; რაღაც ამბავი ცეცხლივით ს დ უ ლ ს და გ ა დ მ თ დ ი ს
მათ გულში; ა მ თ ი თ ხ ე ბ ე ნ და ცრემლსა ჰ ლ ვ რ ი ა ნ ხოლმე
ისინი; ფიქრს დაუმონებიათ; გული სტკივათ, ძალიანაც

ატკივათ; ახლის ხილვა მოსწყურებია იმათ თვალსა და
გულსა.

ასევე შეიძლება გაგრძელდეს მაგალითების დამოწმება სხვა
მოთხრობებიდანაც. და ყველაფერი ეს გვიჩვენებს, რომ ვაჟას პრო-
ზაში მოხსნილია სტატიკურობა და დამკვიდრებულია მთელი სამ-
ყაროს დინამიკურობის განცდა.

ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში ვაჟას მოთხრობებთან
დაკავშირებით ზოგჯერ ნახმარი გამოთქმები: „პროზად დაწერილი
პოემები“, „პოემა პროზად“¹, „ზღაპრული პოემები“, „მინიატურუ-
ლი პოემები“² — შემთხვევითი არ არის. ამგვარი შთაბეჭდილების
ერთ-ერთ პირობად, ამ მოთხრობების პოეტურობის ერთ-ერთ გან-
შსაზღვრელ ფაქტორად მათი რიტმულობა უნდა იქნას მიჩნეული.
ხოლო როგორც საგანგებო კვლევა-ძიების შედეგად ასკვინან, „რი-
ტმულის შთაბეჭდილებას პროზაული მეტყველება მხოლოდ მაშინ
ტოვებს, თუ ამოსავალი ერთეული (ვთქვათ, წინადაღება) რაღაც-
ნაირად პოულობს თავის გამოხატულებას მომდევნო ერთეულებში,
თუ შესაძლებელი ხდება ამოსავალი ერთეულის ანალოგიური მოვ-
ლენების, მისი კვალის დადასტურება დანარჩენ მომდევნო ერთე-
ულებში“³.

ასეთი რიტმული პროზის მკაფიონ ნიმუშად აქ შეიძლება დავა-
სახელოთ, ვთქვათ, „მთანი მაღალნი“, რომლის ძირითად კომპოზი-
ციურ პრინციპს გარკვეულ ერთეულთა (სიტყვა, წინადაღება, აზა-
ცების პირველი და უკანასკნელი ფრაზები...) ზუსტი ან ვარიაციუ-
ლი განმეორება წარმოადგენს ცალკეული მონაკვეთის თუ მთელი
მოთხრობის მანძილზე.

ავიღოთ მაგალითისათვის პირველი აბზაცი:

„იდგნენ და ელოდენ. // უსაზღვროა მთების მოლოდინი,
// უსაზღვრო ზღვადა სდგას იმათ გულში, // წითლად, სისხლის-
ფრად შედედებული უთიმთიმებსთ გულმკერდში. // გარეთ, სახეზე
კი არაფერი ეტყობათ, / გარდა მტერობისა. // ეს არის კიდეც ნი-
შანი მოლოდინისა. // ვინ ჩა იცის /ჩა ამბავია მთების გულში,/
რა ცეცხლი სდულს და გადმოდის“.

აქ ვხედავთ, რომ ერთი ფრაზიდან მომდევნო ფრაზაში (თუ

¹ ალ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია (XIX საუ-
კუნ), 1913, გვ. 225.

² ვლ. ბ-ქ. ვაჟა-ფშაველა, „თანამედროვე აზრი“, 1915, № 127.

³ გრ. კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები, 1957, გვ. 57.

ერთი ერთეულიდან მომდევნო ერთეულში) უცვლელად ან რღნავ
შეცვლილი სახით გადადის ესა თუ ის სიტყვა ან ბგერათ უკავშირდება
ლექსი:

ელოდენ (1) — მოლოდინი (2); უსაზღვრო (2) —
უსაზღვრო (3); გულში (3) — გულ-მკერდში (4); →
ეტყობათ (5) — მტერობისა (6); რა (8) — რა (9) — რა (10).

გარდა ამ სიტყვებისა, რომელთა მიზანშეწონილი გამეორება
გარკვეულ რიტმულ წესრიგს ამყარებს მოცემულ მონაკვეთში,
თვით ამ მონაკვეთის ვარიაციული განმეორებებიც იძებნება მო-
თხობის სხვა ნაწილებში. ასე მაგალითად, „იდგნენ და ელოდენ“
გვხვდება კიდევ მომდევნო მონაკვეთსა და ბოლო ორი აბზაცის და-
საწყისში:

„იდგნენ და ელოდენ. უსაზღვროა მთების მოლოდინი.“

„ელოდენ, ელიან და კვლავ ექნებათ მოლოდინი.“

„სდგანან და ელიან. წვიმა წვიმს იმათ თავზედ...“

„სდგანან და ელიან. გული სტკივათ, ძალიან სტკივათ“.

ხოლო ამ პირველი აბზაცის ბოლო ფრაზას („ვინ რა იცის რა
ამბავია მთების გულში, რა ცეცხლი სდულს და გადმობდის“). აშკა-
რად ენათესავება თავისი კილოთი და ხასიათით მომდევნო აბზაცის
დასასრული — „რა დააშრობს იმათ გულში იმ მოლოდინის ზღვას?“

ასეთი რიტმული ერთეულების დაძებნა მთელი მოთხობის
მანძილზე ადგილი შესაძლებელია.

მართალია, ვაჟას მხატვრული პროზა ერთიანია სტილის თვალ-
საზრისით, მაგრამ ეს ერთიანობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა
იქნას გაეგბული, როგორც მისი სტილური ერთფეროვნება.

რამდენადაც სტილის განმსაზღვრელ ფაქტორთა შორის თემა,
გამოსახვის საგანი და მწერლის თვალთახედვა, საგნისაღმი მისი მი-
დგომა მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ამგვარი ერთფეროვნება
გამორიცხული უნდა იყოს ყოველ დიდსა და მრავალმხრივ მწერ-
ალთან. და ეს ფაქტიურად ასეცაა.

ვაჟას მხატვრული პროზის ბირთვს გარკვეული — პირობითად,
„მთის წყაროს“ ჯუფის — მოთხობები შეადგენს და ზემოთ მი-
თითებული სტილური ნიშნებიც, პირველყოვლისა, სწორედ მათ-
თვისაა დამახასიათებელი. და თუმცა ერთი წყება ამ ნიშნებისა (მაგ.
აღნიშნული კომპოზიციური თავისებურება, გამოსახულ საგანთა
პლასტიკურობა და დინამიკურობა...) მეტ-ნაკლებად ვაჟას მთელ
პროზაზე ვრცელდება, სხვა ნიშნების მიხედვით, მაინც შეიძლება

და აუცილებელიცაა გამოიყოს ვაჟას პროზაში რამდენიმე ჭავჭავაძე^{ჭავჭავაძე}
ოდ თავისებური სტილური რეალი. ერთ-ერთი ასეთი რეალური სიზმრები
სიზმრები და ჩვენებები.

ჩვენებების ეს ციკლი ორმხრივ მაინც არის საინტერესო ჩვენ-
თვის: საინტერესოა ვაჟას ცნობილ მოთხოვნებთან სტილური მი-
მართების თვალსაზრისით და საინტერესოა თავისითავადაც, — მას-
ში გამოვლენილი მხატვრული ხედვის თვალსაზრისით.

ვაჟას სიზმრებსა და ჩვენებებში საყურადღებოა, პირველყოვ-
ლისა, ის, რომ არა ერთი ნიშნითაა განსხვავებული მათში წარმოსა-
ხული მხატვრული სინამდვილე ვაჟას სხვა რიგის მოთხოვნებში
წარმოდგენილი საგნობრივი სამყაროსაგან.

აქ ჩვენ, ნაცვლად ისია, შვლის ნუკრისა, მტირალი კლდისა,
ქუჩისა, ფესვებისა და სხვა ამათ მსგავსთა, ვხედავთ: სახენაჭრილო-
ბევ, მდუმარე რაინდებს, ბოროტ სულს, რომელიც ხან ქაჯის, ხან
უწმინდური, ვეება დათვის, ხან კი შავი, საზარელი ადამიანის სახით
წარმოგვიდგება; ღვთაებრივ ქალს, ცეცხლის კაცებს, გლახაკოა
გროვას, საფლავის მთხოვებს, სასაფლაოს დარაჯს და სხვ. ამ
პერსონაჟთა მხოლოდ ჩამოთვლაც საკმარისია „მთის წყაროს“ ჯგუ-
ფისაგან სრულიად განსხვავებული შთაბეჭდილებისა და განწყობი-
ლების შესაქმნელად. აშერაა, რომ დასახელებულ პერსონაჟთა გა-
რემო არ შეიძლება იყოს მხიარული და ნათელი. და მართლაც, ჩვე-
ნებებისათვის ბევრად უფრო მუქი კოლორიტია დამახასიათებელი
„მთის წყაროს“ ჯგუფის მოთხოვნებთან შედარებით.

ჩვენებებისთვის სპეციფიკურია ისიც, რომ გამოსახული საგა-
ნი აქ ან მთლიანად თეთრია, ან მთლიანად შავი, — ან მთლიანად
დადებითია, ან მთლიანად უარყოფითი. „მთის წყაროს“ ჯგუფში კი
„უარყოფით“ ობიექტებშიც დანახულია რაღაც დადებითი, რაღაც
ისეთი, რაც შესამჩნევად არბილებს სიხეს. აქ შავშიც თეთრი, თუ შე-
იძლება ასე ითქვას, ნათელია ნაპოვნი.

ეს არის სამყარო, დასახლებული მიამიტი, გულუბრყვილო
არსებებით, რომელთათვისაც სიცოცხლეს, არსებობას ძალზე დიდი
და ყოვლისმომცველი სიხარული მოაქვს. ამ არსებათა სევდასაც
სიცოცხლის ტრფიალი, სიცოცხლის სიყვარული უდევს საფუძ-
ლად. სიხარული და სევდა აქ უფრო ხშირად ერთმანეთშია ჩაქსო-
ვილი და ამიტომაც სიხარული სევდასარევია და სევდა — სიხარულ-
ნარევი.

ჩვენებებში ასე არ არის. ჩვენებებში განწყობილება ან მძიმეა,
ან საზეიმო და ამაღლებული: საზეიმო, — თითქოს, რაღაც დიდისა
და მნიშვნელოვნის მოლოდინში ვიყოთ (რაინდების შემოსვლა, ცის-

დასავალზე გაჩერებული მზე, უზარმაზარ დარბაზში ახალი წლის ღმე; ამაღლებული, როცა ქალი ღვთაებასავით აღიმართება მრავალ ბის გმირის წინაშე (სახალწლო ჩვენება); ზოგჯერ ამაღლებული და საზეიმო განწყობილება მძიმე განწყობილებასთან არის შერწყმული (ჩაინდების ეპიზოდი).

მძიმე განწყობილება განსაკუთრებით დამახასიათებელია ამ ციკლის ორი მოთხრობისათვის — „ოცნება“ და * * (* („ულოცნია ან მე, ან სხვას...“)). აქ მრავალი მომენტი განაპირობებს ასეთ განწყობილებას: მონოტონური ხემი წვიმის ჩქამი, კრამიტებიდან ჩამონადენი წვეთების წკაპწკაპი და სხვ.), ამინდი, კოშმარული სურათები, თვით პერსონაჟთა სულიერი მდგომარეობა...

მძიმე განწყობილებას აქ არაფერი ამსუბუქებს. სინათლეც კი, რომელიც ჩამოდგება ხოლმე ამ მოთხრობებში ღვთაებრივი ქალის გამოჩენით, კიდევ უფრო ამკვეთრებს დანარჩენ, გაბატონებულ ფერთა სიმუქეს.

„მთის წყაროს“ ჯგუფის მოთხრობები სიცოცხლის განმამტკიცებელი, მისი დამადასტურებელი პათოსითაა სავსე. „რა კარგია სიცოცხლე!“ — აი, რა არის ამ მოთხრობების პერსონაჟთა ძირითადი განცდა. გამოსახული საგანი აქ, პირველყოვლისა, სიცოცხლის მოვლენას წარმოადგენს და ამიტომ მისი მთავარი დანიშნულებაა — რაც შეიძლება, სავსებით და სრულყოფილად იყოს ის, რა სახელსაც ატარებს. ეს მოთხრობები სიცოცხლის ესთეტიკურად განცდის შედეგია, გამოსახული საგნები სიცოცხლის მშვენიერებაზე მეტყველებენ. მათ თავისი საკუთარი ლირებულება აქვთ, — საკუთარი ესთეტიკური ლირებულება. საგნების მნიშვნელობა აქ დიდია იმით, რომ ისინი სიცოცხლეს ამჟობენ, სიამოვნებას და სიხარულს გვანჭებენ თავისი არსებობით. საგნები აქ თავისთავს, თავის ბუნებას გამოხატავენ. განცდები, ემოციები, რომლებიც დამახასიათებელია მათვის ამ მოთხრობებში, უშუალოდ მათი ბუნებიდან გამომდინარე განცდებია. აქ მოცემულია ყველაფერი, რაც საგანს ცოცხლად და სისხლსავსედ წარმოგვიდგენს. მოთხრობების კითვისას ჩვენ არა გვაქვს განცდა, თითქოს ეს საგნები, — საერთოდ, მთელი საგნობრივი სინამდვილე, — კიდევ რაიმეს ნიშნავდეს იმის გარდა, რაც მას ჰქვია, რომ იგი ატარებდეს რაიმე სხვა, გადატანით აზრს, რაიმე სხვა საგანს, სხვა მოვლენას გამოხატავდეს. (ლაპარაკია შთაბეჭდილებაზე, როგორსაც ტოვებს „მთის წყაროს“ ჯგუფში გამოსახული სინამდვილე ავტორის ოსტატობის გამო, თორემ, სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ასეა მხოლოდ ნაწილობრივ: საგნების ესთეტიკური მნიშვნელობა არის მათი მხოლოდ ერთი მხარე). აქ გამოსახული

საგნები სხვადასხვანაირ ასოციაციას იწვევს, მაგრამ ეს ასოციაციური ვერ ენაცვლებიან საგნებს, ვერ იჭერენ მათ ადგილს, რაფგან რამ ასოციაციასაც არ უნდა იწვევდნენ, მაინც რჩებიან სწორფლის მისამართ გნებად, რა სახელშოდებისანიც არიან. საგანი რჩება საგნად, რომლის ღირებულება მის საკუთარ მნიშვნელობაშიცაა და იმაშიც, რომ იწვევს სხვა მოვლენათა, სხვა საგანთა ასოციაციას, აღძრავს გარკვეულ აზრებსა და ემოციებს. — მაშასადამე, პირველ რიგში — საგანი. აქედან — რეალობის გრძნობა.

სხვა ვითარებაა ჩვენებებში. აქ ერთბაშად ვგრძნობთ, რომ საგანი ისიც არის, რაც და როგორადაც უშუალოდ გვეძლევა ნაწარმოებში და კიდევ — რაღაც სხვა. და უფრო — სწორედ ეს სხვა. ქალი, მაგალითად, რომელიც თითქმის ყველა ჩვენებაშია, მნიშვნელოვანია არა იმით, რომ ის ქალია — ასეთი და ასეთი გარეგნობით, ჩაცმულობით და სხვ. (ჩვენ მისი სახელიც კი არ ვიცით), არამედ იმით, რომ რაღაც სხვას ნიშნავს, რაღაც სხვას გამოხატავს, — ვთქვათ, სიკეთეს, სიწმინდეს, მშვენიერებას, — იდეალურს, საერთოდ. ან, შეიძლება, დაჩაგრულ საქართველოს... თეთრწვერა მოხუცი მხოლოდ თეთრწვერა მოხუცი კი არ არის, — უფრო ზუსტად, არა იმდენად თეთრწვერა მოხუცია, რამდენადაც რაღაც აზრის (თუ ცნების) ნიშანი და ეს მოთხრობაში მკაფიოდ ჩანს. ასევეა სხვა შემთხვევებში: რაინდები, ქაჯი, დათვი, „შავი, საზარელი ადამიანი“... მზეც კი, რომელიც ანათებს ჩვეულებრივ მზესავით, სინამდვილეში სრულიადაც ჩვეულებრივი მზე არ არის და ჩვენ ამაზე მერე კი არ ვფიქრობთ, არამედ მაშინვე, კითხვის პროცესშივე ვგრძნობთ სრულიად გარკვევით. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს ჩვენებებში გამოსახული საგნების სქემატურობას. ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ამ საგნების მეორე (სიმბოლური) მნიშვნელობა აღმატება მათ პირველ მნიშვნელობას და ეს ჩვენებებში მკაფიოდ იგრძნობა.

გამოსახულ საგანთა ეს ორმაგი მნიშვნელობა ჩვენებებში გამეფებული იღუმალების ერთ-ერთი მიზეზია. საგნები თავისი მეორე, ფარული მნიშვნელობით ქმნიან მოთხრობებში ამგვარ ატმოსფეროს და ხშირად იწვევენ რაღაც უცნაურის (თუ უცნობის) მოლოდინს. აი, მაგალითად: რაინდები მღუმარედ შემოდიან სცენაზე (გრძნობა, რომ სწორედ სცენაზე შემოდიან, რომ მოქმედება სცენაზე ხდება, ბოლომდე არ გვტოვებს). მღუმარედ ათვალიერებენ თაღებჩამონგრეულ კოშკებსა და დარბაზს. ყველას ხმლები არტყია

წელზე, რკინის პერანგები აცვიათ, თავზე მუზარადები ჰქონდათ. ზოგს ხელში უჭირავს დამტვრეული მუზარადი და თავ-პირზე უსასველი ხლი შეჰქმობია. ზოგს მსხვილი, დიდობი მკლავები ბრტყელს გულ-მკერდზე აქვს დალაგებული. ახოვანნი, მედიდურნი, სახემო-ლრუბლვით, მჭმუნვარედ დგანან, მიღამოს თვალს ავლებენ... აქვეა მოთხოვნის გმირი — პატარა, სანახაობით განცვიფრებული, სულ-განაბული, სახეგამტკნარებული აღამიანი. შეჰყურებს მდუმარე მხე-დრებს, ევედრება ჩუმაღ, ლულლულით: „სთქვით რამ, საკვირველო კაცებო, სთქვით, გამაგონეთ თქვენი ხმა“. ხოლო მერე, როცა უც-ნაური სტუმრები მწყობრი ნაბიჯით, ხმაამოულებლად გაბრუნდე-ბიან და ყოველივე ძეველებურად რჩება სრულ დუმილში, მოთხოვნის ამ პატარა გმირს უკვირს, რომ „თავხამონგრეული კოშკები ისევ ისე სდგანან წარბშეუხრელად, თითქოს იქ საკვირველი არა-ფერი მომხდარიყოს“. გაკვირვების განცდა და რაღაც მნიშვნელო-ვანის მოლოდინი მოიცავს მოთხოვნის გმირს და ეს კიდევ უფრო საიდუმლო ელფერს აძლევს სურათს, გარემოს.

უცხოს, უცნაურის მოლოდინს იწვევს ამინდიც, ამინდის ცვა-ლებადობა. ასეთია, მაგალითად, „ოცნებაში“ ავღრის ეპიზოდი: „ამოვარდა საშინელი ქარი, წამოშოლტა ხეები და მიწას გააკრა. წვიმის ცვარები სეტყვასავით მკვეთრად სცემდა ფანჯრების შუშებს. გამოურკვეველი გუგუნი ისმოდა, ძალაუნებურად გაფიქრებინებ-და: წარლვნის დღე ხომ არ დადგაო... მოიწყო ჩიტების გუნდმა მოდენა: ერთს რიგობას მეორე მოსდევდა, ქარს მოჰქონდა ესენიც წვიმისათან ერთად, და განუწყვეტლად ისმოდა ჩიტთა ჟივილი... ჟ ჟ ჟ... ყველა ეს თავის საიდუმლოებით შიშის ზარსა მცემდა...“ — მიწას გაკრული ხეები, ფანჯრის მინებზე წვიმის შხაპუნი, ქარს მოყოლილი ჩიტების გუნდი, მათი ჟივილი, რაღაც გაურკვეველი გუგუნი; ყოველივე ამასთან ერთად, გარეთ, ლოდზე, შეუშფოთრად ჩამოჭდარი ქალი, რომელსაც ქარი გრძელ თმას უშლის და უწე-წავს; ცეცხლის კაცები და ქალის იღუმალი გაქრობა ცაში, — მოე-ლი ეს სურათი ირეალურის, არაამქვეყნიურის, მისტიკურის შთა-ბეჭდილებას ტოვებს.

ასეთივე შთაბეჭდილება იქმნება მომდევნო — ზოგჯერ კოშმა-რული — სურათებით და ამ სურათების მოულოდნელი და ელვი-სებური ურთიერთმონაცვლეობით: ...მშვენიერ ყმაწვილთა — ქალ-თა და ვაჟთა — გუნდი თავზე აღგას სასოწარკვეთილებაში ჩავარ-დნილ, ტირილისგან დაქანცულ მოთხოვნის გმირს და მღერის... — წვიმის წყლით სავსეა სახლი, ბაყაყები დახტიან ტახტზე, ფანჯრის თავებზე... — მოთხოვნის გმირი გარბის... იგი დაბურულ ტყეშია.

მის წინ „მირბიან პატარა, პაწაწინა ბალები და მიტირიან“... მო-
თხრობის გმირი ამაოდ ეძახის: ისინი გარბიან... წვიმს. ტყეში მცველ-
ბისა და ტურების ჩხავილი ისმის მხოლოდ. — ტყე უზარმაზანი მცველ-
ლაქად იქცევა. მოთხრობის გმირი ტაძრის წინ ზის სკამზე. მოღის
გლახავთა და ხეიბართა გროვა. მოედანზე ვეება ტანის კაცი გამო-
ჩნდება, გრძელი წვერით, საცრისოდენა თვალებით. ხელში მახვილი
უჭირავს, უკან ლაშქარი მოსდევს. დაერევა ხეიბრებს... გოდების,
მუდარისა და კვნესის ხმა ცასა სწვდება... სისხლი წყალივით იღვ-
რება. — მოთხრობის გმირი გარბის. გაღის ველზე. ველზე ხალხი
ირევა. საფლავებს თხრიან. მოთხრობის გმირი, შეძრწუნებული,
აქედანაც გარბის. — შინაარსობრივი კავშირი ყოველთვის არ არის
ამ სურათებს შორის და მისტიკურობა თვით ამ დაუკავშირებლო-
ბაშიცაა, სურათების ამ, თითქოს, ნებისმიერ ცვლაში.

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ მოქმედების ადგილი დაკონკრე-
ტებული თითქმის არასოდეს არ არის (მხოლოდ ერთგანაა ასეთი
მითითება: „ვხედავდი ფანჯრიდან, ჩვენს ეზოში რომ დიდი ლო-
დია“...). ესეც ხელს უწყობს ირეალურობის ატმოსფეროს შექმნას.

მაშასადამე: ა) მოქმედების ადგილის მიუთითებლობა; ბ) საგ-
ნების ორმაგი მნიშვნელობა და ამის გამო რაღაც გაურკვევლის
მოლოდინი; გ) რაღაც გაურკვევლის მოლოდინი საერთო ატმოსფე-
როს გამოც (გამეფებული მღუმარება, ამინდის უეცვლა, სა-
იდუმლოებით საესე ხმები სიჩუმეში და სხვ.); დ) კოშმარები, —
არარეალური, სასწაულებრივი ეპიზოდები (ცეცხლის კაცები ქალს
იტაცებენ, სახლს ჭერი აქვს ახდილი და მოთხრობის გმირს თავზე
აწვიმს... ახდილი ჭერიდან თავზე ძვლებს აყრის რაღაც საზარელი
არსება...), ე) კოშმარების — შინაარსის მიხედვით, არარეალური
ამბების, ხოლო თხრობის მიხედვით, თითქოს, რეალურის — არა-
ჩვეულებრივი სისტრაფით ცვლა. — ყოველივე ამის გამო, ვაჟას
ჩვენებებში წარმოსახული სამყარო იდუმალი და მისტიკური სინამ-
დვილის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ეს სამყარო, ამავე ღროს, მწერლის ძალზე თანამედროვე მხა-
ტვრულ ხედვას ამეღავნებს, უფრო ზუსტად, — თანამედროვე კი-
ნემატოგრაფიულ ხედვას: ა) დეტალები ნაჩვენებია მსხვილი პლა-
ნით — არაშემთხვევით: მათი ამგვარად ჩვენება განწყობილებას
ქმნის ნაწარმოებში. ასეთი დეტალები ხან მხედველობითი ხასიათი-
საა, ხან სმენითის. მაგალითად: ღამურების ფარფატი კარების თავ-
ზე და ერთბაშად წყვდიალში გაუჩინარება; წვიმის ჩქამი ღამით და

კრამიტებიდან ჩამონადენი წვეთების წყაპრები; ბაყაყების ხტოშა
ტახტზე და ფანჯრის თავებზე; სველი, ნაწვიმარი ბილიკი; ქველული
ბისა და ტურების ჩხავილი; საფლავების თხრისას ბარის, ჭრის, ჭრის
წერავების, ნიჩებების წყაპრებული, ძალის ღმუილი. მსხვილი პლანი-
თაა ნაჩენები უსათაურო მოთხრობაში კედლებზე დაკიდებული
სურათები და ძველებური იარალი.

ბ) თანამედროვე ხელვას მოწმობს სინამდვილისადმი დამოკი-
დებულების იმგვარი გამოხატვა, როგორიც ჩვენებებშია მოცემუ-
ლი: მოთხრობის გმირი კოშმარებშია; იგრ გაურბის ამ კოშმარულ
სურათებს, უნდა — თავი დააღწიოს ულმობლობის, გულქვაობის,
სისასტიკის ატმოსფეროს, უნდა — მარტობის გრძნობისგან გათავი-
სუფლდეს; სინათლის, იმედის, სიხარულისკენ მისწრაფვის, იღეა-
ლურს ეძებს... ამასთან, განწყობილება — „ნუ ვნახავ ამ სურათს...
ააა!.. არ მინდა მოვიხედო უკან, აღარ მინდა ვნახო ეს ქვეყა-
ნა... სად წავიდე, სად?“ — სრულიად უიმედოა, ძალზე აფორიაქე-
ბული.

ფელინიზე წერენ, რომ მისთვის დამახასიათებელია გასაგნობ-
რივება ფილოსოფიური თემებისაც კი. ვაჟას ჩვენებები მისი სუ-
ლიერი მდგომარეობის საგნობრივი გამოხატულებაა. ამით „ოცნე-
ბა“ და უსათაურო კაფესაც კი მოგვავონებს.

ვაჟას ჩვენებები იმდენად, თითქოს, გარე სინამდვილის გამო-
ხატულება არ არის, რამდენადაც შინაგანი, სულიერი ვითარებისა.
ამაშიც იჩენს თავს ამ თხზულებებში გამოვლენილი ვაჟას მხატვ-
რული ხედვის თანამედროვეობა და, ამასთანავე, განსხვავება „მთის
წყაროს“ ჯგუფის მოთხრობებისაგან, სადაც გარე სინამდვილე თა-
ვის მნიშვნელობას და ლირებულებას ინარჩუნებს. ჩვენებებში
წარმოდგენილი სინამდვილე სიმბოლური სინამდვილეა.

მაშასადამე: დეტალების მსხვილი პლანით ჩვენება, როგორც
კინემატოგრაფიული საშუალება (კინემატოგრაფიული ხელვა); სუ-
ლიერი მდგომარეობის საგნობრივი გამოხატულება, — აგრეთვე,
თანამედროვე კინემატოგრაფიული ხედვისა და თანამედროვე მწერ-
ლობისთვისაც დამახასიათებელი ეს ნიშნებიც ვაჟას ჩვენებებისა-
თვის სპეციფიკური სტილური ნიშნებია.

ბუნებრივია, რომ ვაჟას მხატვრული პროზა არ არის მისი პოე-
ზიისაგან მოწყვეტილი და ამ უკანასკნელთან ერთად სტილისტურ
მთელს ქმნის. ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთი, ზემოაღნიშნული,
ნიშნის მითითება საგანგებო კვლევა-ძიების გარეშეც ხერხდება ვა-

ეს პოეზიაში. ამ ნიშანთაგან, პირველყოვლისა, ვაჟას ხილვის პლატანი ტიკურობა და ღინამიკურობა¹ უნდა დავასახელოთ.

ვაჟას პოეტურ სამყაროში ყველა მოვლენა პლასტიკურისადაც დინამიკურია: მთანი აქ ხელ-პირის დასაბანად გა დ მოხრილან წყალზე, გათენებისას კი ნამძინარევი დ ე ვ ე ბი ვ ი თ ა ღ მ ა რ-თ უ ლ ა ნ, კლდეები მიყრილ-მოყრილან, „პირქუშნი, სახე მწირითა“ („სისხლის ძიება“), მიყრილან მთებიც „ერთურთზე, გადაბმულები თხემებით, გულ-მკერდი ჩამო ჰ ლ ა რ ვ ი ა თ ბნელის, საზარლის ხევებით“... („დაუსრულებელი კვნესა“).

ხან რომ ცა მოიღობლება,
ჩაბნელდებიან ხევები,
გაჩნდება მეხთა ტკრციალი,
ათრთოლდებიან ხევები,
კლდეებზედ დაიკეცება
სვავთა და არწივთ ფრთეები...

(„არაგვს“)

შუალამისას უეცრად გაჩენილი ჯანლი კი შავი ვეშაპივით ჭამოვა ჩვენს ჩასანთქმელად. („ღამე მთაში“).

სხვადასხვა ფორმას ღებულობს და სხვადასხვანაირ ასოციაციას იწვევს ვაჟასთან ნისლი, რომელსაც გამუღმებით ვხედავთ მთის ქედებსა („მთებმა ახარონ ყვავილნი, კისრით ატარონ ნისლები“), თუ მათ ძირში, ხევებსა თუ სოფლის მიდამოებში. ნისლები ხან ჭიათურაის მხარეს გადასწოლიან, ხან კი ხევებში ჩაწოლილან („ნისლები გადასწოლია ჭიათურაის მხარესა“... „ხევებში ჩაწვა ნისლები, განზე დაყრილან მთანია“...). ხან, გზადაგზა ცრემლების ფრქვევით, მთებისკენ იწვევნ და იქ, ზევით, ერთად გროვდებიან („თენდება, მთის წვერნ დაწითდენ, ნისლნი აგროვდენ მთებზედა“... „მთაზე შაჯარდა ნისლები გზა-გზა ცრემლების თესვითა.“), ხან ისევ „ნა-

1 „თავიდან ბოლომდე ღინამიკა ვაჟა-ფშაველა, — წერს გრ. კინაძე, — ღინამიკურია მთელი სამყარო და ღინამიკურია ამ სამყაროს ვაჟასეული ხილვაც. ვაჟასთან არაფერია სტატიკური, ყველაფერი მოძრაობს მასთან და, რაც მთავარია, ნათელია ამ მოძრაობის არე და მოძრავი საგნის კონტურებიც ერთობ ნათელია“. (გრ. კიკ ნა ქ ე, პლასტიკურ ხატთა საუნგე, უფრნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1961, № 8—9) ვაჟა-ფშაველას ლირიკაში ღახატულ ბუნების სურათებს რომ ეხება, აკ. გამერელიაც ამ სურათების ერთ-ერთ დამახასიათებელ თებს რომ ეხება, აკ. გამერელიაც დინამიკურობას მიიჩნევს. „საქმარისია ოდნავი ბიძგი, — წერს იგი, — რომ ყველაფერი დაიძრეს, მოსხლტეს თავის ადგილი დან, ურთიერთს შეეჯახოს, აირის, აზითდეს, გრანდიოზულ ჭილილ იქცეს დან, ბოლოს ისევ დამშვიდდეს, ბუნების წიაღში ისევ მყუდროებამ დაისადგუროს“. (აკ. გა წერე ლია, ჩრეული ნაწერები, II, 1965).



წყვეტ-ნაწყვეტი ნისლები ხევებში სდგამენ გორასა“, ანდა მწყებზე დაკიდებულან, ზოგჯერ კი, დაქანცულები, მუხლმოკეცით სხდების და „დაისვენებენ მთაზედა“ („ათასჯერა წვიმს, სეტყვაა, მთებზე ნისლები ჰყიდია“... „მუხლმოკეცილნი სხდებიან შავი ნისლები მთაველთა“... „ნისლნი, ათას მხრით მომდგარნი, დაისვენებენ მთაზედა“...).

ვაჟას მიერ ხილული ნისლი ხან მკვდრების სულებივით უსხეულო და მკრთალია, ხან კი — გველივით შავი და უზარმაზარი („აგერ ნისლებიც დაიძრა, როგორც სულები მკვდრებისა“... „მთის ძირში სძინავს შავს ნისლსა, სჩანს უზარმაზარ გველადა. დაბლიდამ მთებსა შეჰყურებს შუბლ-მოქუშული ცერადა.“), ხან „სოფლის თავს სძინავს შავს ნისლსა დაფიქრებულის სახითა“, ხან კი მთას აქრავს „ბუმბულივითა“ და ფიქრებშია გართული:

„მცირე რამ ნისლის ნაწყვეტი
მთას ეკრა ბუმბულივითა,
ჰუვენოდა ფიქრებში გართვა
მინდორზედ სუმბულივითა“.

ეს უკანასკნელი შედარება, — მინდორზე სუმბულივით „ფიქრებში გართვა“, ტიპიური ნიმუშია ვაჟას ხილვაში ფსიქიკურის გასაგნობრივებისა, მისი მატერიალურად ქცევისა. დამახასიათებელია, ამ მხრივ, მომდევნო მხატვრული სახეც: „მთის წვერებს მოსდევს ნიავი ნადირის სუნსულივითა“, სადაც ნიავის უხილავი მოძრაობა ნადირის თვალსაჩინო მოძრაობის ასოციაციის იწვევს. ვაჟას პოეტური ხედვისთვის ნიშანდობლივი ეს მხარე, — ფსიქიკურის გამატერიალურება, — ძალზე მყაფიოდა გამოხატული ვაჟას პროზაშიც. საგულისსმოა, რომ ამ პრინციპზე აგებული მხატვრული სახეების პოეტური და პროზაული ნიმუშები ზოგჯერ მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითად, პოემაში „კოპალა“ ვკითხულობთ:

„ნადირთ ულახავ ბალახნი,
მისდევს ნავალი შუნისა,
მოსცმია გარსა, მიღამოს
ნისლი ყვავილთა სუნისა“.

„ბუნების მგოსნები“: ქალაქს „ყვავილების სუნი ნისლივით დასწოლია ზედა“. ყვავილთა სუნი ხომ მხოლოდ და მხოლოდ ყნოსვით შეიძლება შევიგრძნოთ, — ჩვენ კი მას, ვაჟას წყალობით, ნისლის სხით ვხედავთ ოჩსავე, ზემოთ მოტანილ მაგალითში.

ვაჟას პროზაში თუ ნისლი ფიქრის, აზრის ან დარდის გამომხატველია („მთანი მაღალნი“), მის პოზიაშიც: „ნისლი ფიქრია მთე-

ბისა, იმათ კაცობის გვირგვინი“. „კარგი ხარ, აღარც კარგი ხარ, მე გულს მაწევხარ ნისლადაო“, — მიმართავს ვაჟა სატრიფოს რამ მინდა სათქმელად, გულს ნისლად დაფარებულიო“, — ამბობს სხვაგან.

ნალველი, დარდი, მჭიდროვარება ხშირად ღებულობს ნისლის სახეს ვაჟას პოეზიაში:

„შავი ნაღველი, გულის მჩაგვრელი,
ნისლად და ლოდად გულს დამესვენის“...
(„ბავშვობაშიაც დედა მიყვარდა“)

„ყმა მოიდოდა გორი-გორ,
არ ეწონება თავია,
პირს დასწოლია ნისლები,
გულით ნადენი, შავია“.
(„ალუდა ქეთელაური“)

„შაიბურება ნალვლითა,
როგორც მყინვარი ნისლითა“...
(„იმედი რაზიყაული“)

ფიქრი ხელშესახები და თვალსაჩინო ხდება, როცა ვაჟა იტყვის: „ცოცხალს ფიქრს ვმარხავ გულშია და ზედ მივაყრი მიწა-სა“... ან — „დარდი მაქვს მძიმე, ძმობილო, გულს დაბჯენილი რქი-თაო“... „არ მინდა ძველი დარდები რომ გულში აიწეწოსა“... გვი-ხსენოთ „კლდე სალიდან“; „გულში ჩაიხვევა, ჩაიკეცება შავი, მწარე ფიქრები“... ანდა იმავე მოთხრობიდან სალი კლდის ჩივილი, — ჭილყვავებმა „ჩხავილით ყურები ამიწეწესო“, — ხომ სავსებით ისეთსავე შთაბეჭდილებას ტოვებს, როგორსაც სტრიქონები: „სწო-რედ ყურები აგვწეწეს, იმდენს უივიან ჩიტები“...

ვაჟასთვის გული „ხარია გალალებული“, როცა მას მრავალი სურვილი აქვს, ხალხის ჩვეულება „დევია, რეინის მკვნეტავი“, სი-ტყვაც ცოცხალი აჩსებაა და ამიტომაც შეიძლება იყოს „სნეული, გულგაგმირული, ბეჩავი, თავს მანდილ-ჩამოხეული“...

ამგვარად, ვაჟას მხატვრულ სინამდვილეში არსებული ყოველ-გვარი მოვლენა, უმთავრესად, მხედველობით შეგრძნებასთან არის დაკავშირებული. მხედველობითი შეგრძნება ასრულებს ყველაზე უფრო მნიშვნელოვან როლს ვაჟას მიერ სამყაროს აღქმაში და მისი ხედვის ეს თავისებურება მეტ-ნაკლები ინტენსივობით გამოვლინ-დება პროზაშიც და პოეზიაშიც.

დაცით ზოჯპოლაში

„ბახტრიონისა“ და „სტუმარ-მასაინდლის“ წყაროთა
 საკითხი ფოლკლორისტიკაში

ვაჟა-ფშაველა არაერთგზის შექმნა ხალხური შემოქმედების რაობას. 1890 წელს „ვეფხისტყაოსნის“ ხალხურობის შესახებ მსჯელობისას მიუთითა მან იმაზე, რომ საჭიროა ინდივიდუალური შემოქმედების გარჩევა ხალხურისაგან და არ შეიძლება რუსთველს ღვაწლად და ლირსებად მხოლოდ ხალხური ლექსების გამშვენიერება, ერთიმეორესთან შეკავშირება ჩავუთვალოთ.

თვითონ ვაჟასა და ხალხური შემოქმედების ურთიერთობის საკითხს ჭერ კიდევ 1896 წელს შექმნა ილია ნაკაშიძე. ი. ნაკაშიძემ გააიგივა ხალხური და ვაჟას ქმნილებების ფორმა-გარეგნობა, აზრი და კილო. მისი შეხედულებით, ვაჟას ნაწარმოებები „ძველებურ ჩვენებური“, „ფშაურ ხალხურია“; ესაა მიზეზი, რომ „სტუმარ-მასპინძელში“ არ ჩანან ცოცხალი ადამიანები: ხალხური პოეტი ვერ მორევია ცოცხალ სულის რთულ ვითარების გამოხატვას. არც ერთი მოქმედი პირი ამ პოემაში პიროვნების მსგავსად არ არის შექმნილი¹. ამ პოემების წყაროების საკითხს ილია ნაკაშიძე არ ეხება. სამაგიეროდ ამ მხარეს აქცევენ ერთგვარ ყურადღებას ალ. ხახანაშვილი, იპ. ვართაგავა, ილ. ფერაძე, ი. იმედაშვილი და სიმ. ნარდიონი. თუმცა ვერ იმოწმებენ კონკრეტულ მასალას ხალხური შემოქმედების წიაღიდან.

ჩვენთვის ამჟამად საინტერესო საკითხზე მნიშვნელოვანი არა თქმულა რა 30-იან წლებამდე, ვიღრე აკად. აკაკი შანიძემ კონკრეტულად არ მიუთითა ვაჟას ქმნილებთა ხალხურ წყაროებზე და

¹ ქრესტომათია „ვაჟა-ფშაველა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში“, შედგენილი ი. ბოგაძის მიერ, 1955, გვ. 133.

ფოლკლორში არსებულ მათ პარალელურ თემებზე¹. კერძოდ „ბაზ-ტრიონისა“ და „სტუმარ-მასპინძლის“ წყაროების შესახებ, იგი წერს: „ამ წიგნში მოიპოვება ზოგიერთი წყარო ვაჟას შემოქმედებულ ბისათვის და პარალელები მის მიერ დამუშავებულ თემებისათვის: ბახტრიონის ალებისა და ზეზვა გაფრინდაულის ლექსებს რომ თავი დაგანებოთ (რომელთა ფშაურ გარიანტებსაც თვითონვე ასახელებს), შეიძლება მივუთითოთ ლუხუმზე (ამ წიგნში № 91), რომელიც მხოლოდ ზოგადი ხაზებით მოვაკონებს ვაჟას ლუხუმს „ბახტრიონში“... „სტუმარ-მასპინძელში“ რომ ორი თემაა ერთმანეთზე გადაბმული: ერთი მასპინძლის მოვალეობისა სტუმრის წინაშე და მეორე საფლავზე შეწირვის ამბავი, ორივე პოულობს პარალელს ჩვენს მასალებში: გარეშე მტრისაგან სტუმრის დაცვა, თუნდაც ეს სტუმარი მოსისხლე მტერი იყოს მასპინძლისა, გადმოცემულია მთრეხელის ამბავში (№ 42). ასეთივე ხასიათისაა ამხანაგის მიერ შემთხვევით დაჭრილი ხევსური მონადირის მიღება და სათანადოდ მოვლა და პატივისცემა მოსისხლე ქისტის მიერ (ნ. შენიშვნა, 517 ნომერთან, გვ. 557). ქისტის საფლავზე ხევსურ ზვიადაურის შეწირვა ვაჟას პოემისა არსებითად იგივეა, რაც თუშის ლუსის ლუხუმის სამსხვერპლოდ დაკვლა ქისტის საფლავზე (№ 143).

აკად. ა. შანიძე ასკვნის, რომ „ხალხურ თქმულებათ ვაჟა-ფშაველას ნაწერებში ყველგან თავისუფალი მოპყრობისა და გადაჭე-თების ცხოველი ბეჭედი აზის“.

ამის შემდეგ ქართულ ფოლკლორისტიკაში განსაკუთრებით ყურადღება მიექცა ვაჟას ნაწარმოებთა ხალხური წყაროების მი-გნებასა და მოპოვებას. დაიწყო პოეტის ყველა ცნობილი პოემის წყაროთა ძიება. დაეინხებული ძიების შედეგად მიკვლეული იქნა მრავალი სიუჟეტი, მოტივი და ამა თუ იმ ხალხური აღათის ამსახველი ფოლკლორული ნიმუშები, რომლებიც ამჟღავნებენ მსგავსებას ვაჟას ქმნილებებთან².

ვაჟა-ფშაველამ ორჯერ საგანგებოდ მიუთითა თავისი პოემების, კერძოდ, „ბახტრიონისა“ და „სტუმარ-მასპინძლის“ წყაროებზე. მან დაწვრილებით დახასიათი ის ზეპირსიტყვიერი და წერილობითი მასალა, რომელმაც პოეტის ფანტაზია აამოქმედა „ბახტრიონის“ შესაქმნელად. ჯერ ის შექერდა იმაზე, თუ რამ „გააბედვინა“ მას

¹ ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, თბილისი, 1931, გვ. 023 — 024.

² ამის შესახებ იხ. ქ. სიხარულიძე, ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, თბილისი, 1956; მიხ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია, თბ., 1956.

თემად ბახტრიონის ბრძოლა აეღო. ის წერს: „ყველაზე შეტევაში ბედაობა „ბახტრიონის“ დაწერისა მომცა იმ შემთხვევამ... რომ ხელში ჩამივარდა „კალმასობა“, და უთითებს სათანადო გვერდების შემდეგ კიდევ ახსენებს „კალმასობას“ და მის ავტორს როგორც პოემის ერთ-ერთ შთამაგონებელს. ქვე შეჩერდა ის გმირთა წარმომავლობის საკითხზეც. პოეტი წერს: „...გმირები პოემისა — ლუხუმი, ხოშარეული, სუმელჯი, კვირია, სანათა, გარდა ზეზვასი, ხალხურ ლექსებში, ერთიც არ არის ნახსენები, რომ იმათ მიეღოს რამე მონაწილეობა ბახტრიონის ბრძოლაში და არც კი არიან თანამედროვენი ამ ბრძოლისა, თუმცა კი გმირებად იხსენიებიან ხალხურ ლექსებში სრულიად სხვა ბრძოლაში, სხვა დროს. — ასეთები არიან ლუხუმი, ხოშარეული, ხოლო სუმელჯი და სანათა ეკუთვნიან იმ შავსა და ბნელს დროს, როცა ფშავლები და თუშები ერთიმეორებს ჰლაშქრავდნენ, არ იყო მათ შორის ძმობა და თანხმობა. ოთფი მაშინ ხმარებაში არა ყოფილა, არამედ მშვილდ-ისარი და ბოძალდი. თქმულება ხალხური და ლექსი ასე განმარტავენ, რომ თილიძის ბელადობით მოსული თუშის ლაშქარი მთლად გასწყვიტეს ფშავლებმა, მხოლოდ სარდალიდა გადაურჩათ ცოცხალი და შინ როცა მივიდა, დედას უამბობს თუშების დამარცხების ამბავს ფშავლების მიერ:

„დაგვლივნა ხოშარის გორმა,
იქ წყლის არ გამოდენამა,
ვიწრო-ვიწრომა ხევ-ხუვმა,
მოკლედ ფშავლების დენამა,
წოწკურაულის ისარმა,
სანათაისა ენამა.
ნელად მოვიდა სუმელჯი,
სუმელჯი სუროლვიანი,
გაიხვნა ისრის ქოჭონი
ლალის არწივის ფრთიანნი —
ესროლის, გამაგორის
თუში ფეხ-ჩითაიანი“.

ეს ორივე გმირი — სუმელჯი და სანათა — მე შევურიე „ბახტრიონის“ გმირებში; სანათა როგორც ენით, სიტყვით გამამნევებელი დიაცი და სუმელჯი კი როგორც თავისი ქვეყნისთვის მებრძო-

¹ ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, 1964 წ., გვ. 321.

ლი ვაჟკაცი. კვირია და ლელა არიან საკუთარი ფანტაზის ნაყოფი ნი. იმათი ხსენება არც ხალხურ ლექსში და არც ზეპირგადმოცემაში არსად არ მოიპოვება: დედაკაცს რომ რაიმე როლი ეთამაშნება რომ რონის აღებაში, ამაზე არც ლექსები, არც ზეპირგადმოცემა არავითარ ცნობას არ იძლევა¹.

პროფ. მ. ჩიქოვანი კრიტიკულად უდგება ავტორისეულ ცნობებს და ვარაუდობს, რომ „კალმასობა“ პოემა „ბახტრიონის“ უშუალო წყაროს არ წარმოადგენს“, რადგან 1914 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „კრიტიკა ბ. ივ. ვართაგავასი“ ვაჟა უკვე არ ასახელებს „კალმასობას“². მაგრამ საკითხი იმას კი არ უნდა ეხებოდეს, თუ რა თქვე ან რა არა თქვე ვაჟამ იქ. ვართაგავას საბასუხოდ და გასაგონად, არამედ იმას, თუ რას ფიქრობდა იგი თვითონ, რას თვლილა იგი „ბახტრიონის“ ერთ-ერთ წყაროდ, მისი დაწერის ერთ-ერთ მოტივიდ. ამის თაობაზე კი, როგორც ჩვენს მიერ ზემოთმოყვანილ ციტატიდან ჩანს, სრულიად გარკვეულად არის ნათქვამი ვაჟას ხელნაწერში. რასაკვირველია, ჩვენზე შეიძლება რომელიმე ცნობამ მეტ-ნაკლებად დამარწმუნებელი შთაბეჭდილება მოახდინოს, მაგრამ ამის მიხედვით არ შეიძლება დავასკვნათ, რომ ჭეშმარიტ პოეტსაც ამგვარივე შთაბეჭდილება აღეძრის.

პროფ. მ. ჩიქოვანი ამოწმებს ვაჟას ცნობას გმირთა წარმომავლობის შესახებ. ვაჟას პოემის პერსონაჟთა—კვირიასა და ლელას—სახეებს იგი ფოლკლორიდან მომდინარედ თვლის და მათ პროტოტიპებს ფშავ-ხევსურულ პოეზიაში ეძიებს. თუ ვაჟა წერდა, კვირიასა და ლელას „ხსენება არც ხალხურ ლექსში და არც ზეპირგადმოცემაში არსად არ მოიპოვება: დედაკაცს რომ რაიმე როლი ეთამაშნოს ბახტრიონის აღებაში, ამაზე არც ლექსები, არც ზეპირგადმოცემა არავითარ ცნობას არ იძლევა“³, პროფ. მიხეილ ჩიქოვანი პირიქით ამბობს: „თქმა იმისა, რომ კვირია და ლელა მთის პოეზიაში არ იხსენიებიანო არ იქნებოდა მართალი“⁴.

¹ ვაჟა-ფშაველი, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, 1964 წ., გვ. 322 — 323.

² მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია, 1956 წ., გვ. 33.

³ ვაჟა-ფშაველი, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, 1964, გვ. 323.

⁴ მ. ჩიქოვანი, დასახ. წიგნი, გვ. 51. რადგან ვაჟა პოემის სხვა გმირთა შორის კვირიასაც ახსენებს, მ. ჩიქოვანი ვითომ შინაგან წინაღმდეგობაში იკრეს ვაჟას, როცა პოეტი წერს, რომ კვირია საკუთარი ფანტაზის ნაყოფიან: „კვირიას შესახებ... თვითონ ვაჟა იძლევა მისივე თქმულის საბირისპირ ცნობას“.

ვაჟა მხოლოდ იმის გვაუწყებს, რომ კვირია (და ზოგი სხვაც) ბახტრიონის ბრძოლის მონაწილედ არ იხსენიება ხალხურ პოეზიის და ამის საფუძველზე ამბობს, რომ „კვირია და ლელა არიან საკუთარი ფანტაზიის ნაყოფნი“. ვაჟას ამ სიტყვებს დამარტმუნებლობა მაშინ მოაკლდებოდა, თუ მოვიპოვებდით უტყუარ ჩანაწერს, ვაჟას-დროინდელი ხალხური პოეზიის ნიმუშს, რომელშიც კვირია და ლელა ბახტრიონის ბრძოლის გმირებად იქნებოდნენ ჩათვლილნი, ანდა კვირიასა და ლელას რომელიმე ხალხური შემოქმედების ნიმუში საერთოდ დაგვიხსიათებდა მებრძოლებად.

მაგრამ ასეთი ნიმუშები მოპოვებული არ არის. ამასთანავე არ არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ვაჟამ იცოდა და საგნგებოდ დაფარა ცნობა ასეთი ნაწარმოების არსებობის შესახებ. ხოლო თუ საკითხი ეხება მხოლოდ კვირიასა და ლელას (როგორც ვაჟისა და ქალის) სახელებს, მაშინ მათ პოეტისათვის მხოლოდ ისეთივე მნიშვნელობა მიენიჭებათ, როგორც რომელიმე პეტრეს, ივანეს, გიორგის და ა. შ. ასე რომ, ვაჟას განმარტება ლელასა და კვირიას თაობაზე. მხოლოდ ისე შეიძლება იქნეს გაგებული, რომ ამ სახე-თა შექმნისას პოეტს ხელთ არ ჰქონდა მისი ფანტაზიის რაიმე ამა-მოძრავებელი მასალა. როგორც ჩანს, ვერავინ ახერხებს ვაჟას ლე-ლას (და მით უმეტეს კვირიას) ხასიათის ნიშნებს, მის პატრიოტულ მიზანსწრავებს — რაც ლელას ვაჟასული სახის ტიპიური ნიშა-ნია, — შესაბამისი მოუძებნოს ხალხურ პოეზიაში. ამიტომ თავის-თავადაც არ არსებობს საფუძველი პროტოტიპი ვუწოდოთ თილი-ძის რძლის ლელას, რომლისთვისაც სრულიად უცხოა „ბახტრიო-ნის“ ლელასათვის დამახასიათებელი სოციალური დატვირთვა¹. ამი-ტომ ვფიქრობთ, რომ არაფერი გვაძალებს ეჭვი შევიტანოთ და წი-ნააღმდეგობა დავინახოთ ვაჟას ნათქვამში.

„სტუმარ-მასპინძლის“ ზოგიერთი მოტივის ხალხურ წარმომავ-ლობას, სრულიად გარკვეულად, თვითონ ვაჟა-ფშაველა აღნიშნავს, ოღონდ არ გვიჩვენებს ლექსითი ა ეს წყარო თუ პროზაუ-ლი და საერთოდ იმას თუ საიდან მიიღო ესა თუ ის ცნობა².

პროფ. მ. ჩიქოვანი უანრობივი სახის დადგენის

¹ პროტოტიპების ცნება გულისხმობს ისეთი ნიშნების არსებობას, რომლებიც მეორედება თუ რაღაცნაირად ვლინდება მწერლის მიერ შემდგომ შექმნილ პოეტურ სახეში. ამიტომ დგება კითხვა: შეიძლება თუ არა პირდაპირი მნიშვნელობით ვაჟას პერსონაჟების პროტოტიპად მივიჩნიოთ ხალხური პოეზიის ისეთი სახელები, როგორიცაა ლუხუმი, ხოშარეული და სხვ.

² ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი ათ ტომად, ტ. IX, 1964, გვ. 323 — 324 და 363—364.

თვალსაზრისისით ეძიებს ამ წყაროებს და ვარაუდობს, რომ
ეს არის ლექსი, რომელიც გამოქვეყნებული აქვს თ. რაზე ამ მომენტში და „ლუის ლუხუმის“ სათაურით ვრცლად კომენტირებული აკად.
აკადი შანიძეს (№ 143). მაგრამ განა გამორიცხულია შესაძლებლობა, რომ ვაჟას ლექსად მოწოდებული მასალა კი არ მიაჩნდეს თავის პო-
ემის ერთი მოტივის წყაროდ, არამედ სხვა ფორმით გავონილი ამ-
ბავი თუ ადათ-წესების დახასიათება?

იმის დაღვენა თუ რა ფორმის — ლექსითი თუ პროზაული —
ნაწარმოები დაედო საფუძვლად ვაჟას „სტუმარ-მასპინძელს“ მხო-
ლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, თუ ვაჟას პოემაში მისი წყა-
როს პოეტური სტრიქნი აღმოჩნდება. ამის გარეშე სახელდებით
რომელიმე წყაროზე ვერ შევჩერდებით. ვაჟას ეს პოემა არ გვაძ-
ლევს იმის შესაძლებლობას, რომ ასეთი წყაროს ფორმა დავასახე-
ლოთ და ამ მხრივ იგი გამოირჩევა ისეთი ტიპის ნაწარმოებთაგან,
რომლებშიც პოეტური შესატყვისები თვალსაჩინოდაა მოცემული.
ეს ეხება როგორც საფლავზე ზვიადაურის დაკვლის, ისე აღაზას
დატირების და სხვა მსგავს ეპიზოდებს. აქ ვგულიხმობთ ეანრის
დაღვენის სიძნელეს (და შესაძლოა შეუძლებლობასაც) თორემ,
რასაკვირველია, სიტუაციების და ზოგიერთი ეპიზოდის მიმღინარე-
ობის თვალსაზრისით ბევრი რამ არის საერთო „სტუმარ-მასპინძ-
ლისა“ და ხალხური შემოქმედების მასალებში, რაც დამარწმუნებ-
ლადაც არის ნაჩვენები ჩვენი ფოლკლორისტების გულდასმით ძიე-
ბებში.

ნია აგესაძე

ვაჟა-ფშაველას „გახტოონის“ ვლადიმერ დერჯავინისეული თარგმანი

პოეზიის თარგმნა მეტად რთული საქმეა. ჭეშმარიტი პოეტური ნაწარმოები ერთდროულად რამდენსამე მნიშვნელოვან კომპონენტს შეიცავს, რომელთაგან მთავრისა და არსებითის გამოყოფა და, მით უმეტეს, გადმოღება ძალიან ჭირს. ამიტომ ოდითგანვე გავრცელებული იყო აზრი ლექსის უთარგმნელ ფენომენად მიჩნევის შესახებ. თარგმანის რეალისტური ოეორიის თვალსაზრისით ასეთ პესიმისტურ დასკვნამდე მისვლა მიზანშეწონილი არ არის. დახვეწილი გემოვნებისა და გარდასახვის კარგი უნარის მქონე მთარგმნელს შეუძლია სრულყოფილად ასახოს დედნის სული, ესე იგი, მკითხველამდე მიიტანოს ის ძირითადი ფიქრები, ემოციები და პოეტური მღელვარება, რაც დედანს ახასიათებს.

თარგმნის დროს ხან აზრობრივი მხარის ან მხატვრული სახეების გადმოცემას ენიჭება უპირატესი მნიშვნელობა, ხან კი მუსიკალურ-არქიტექტონურ ან რიტმულ-ემოციურ მხარეს. ვალერი ბრიუსოვს მიაჩნდა, რომ სწორედ ამ არსებითი ელემენტების შერჩევა შეადგენს თარგმნის ძირითად მეთოდს¹. სწორი მეთოდის შერჩევას მთარგმნელი მაშინ ახერხებს, თუ იგი ერთდროულად კარგი მკითხველიცაა, კარგი მკვლევარიც და კარგი პოეტიც².

მაგრამ არის ისეთი ნაწარმოებებიც, სადაც ყველა შემაღენელი ელემენტი განუყოფელ მთლიანობას ქმნის და მათი დანაწევრება შეუძლებელია. ამგვარ პოეტურ ქმნილებათა თარგმანების განხილვისას შედარება სტრიქონ-სტრიქონ კი არ უნდა მოვახდინოთ, არამედ თარ-

¹ В. Брюсов, Фиалки в тигеле, Избранные сочинения в двух томах, т. II, Москва, 1955, стр. 188—189.

² Е. Эткинд, Пoэзия и перевод, М.-Л., 1963, стр. 119, 163.

გმანი მთლიანად უნდა მივუსადაგოთ დედანს. მხოლოდ მაშინ გამოისადგომა, მოახერხა თუ არა მთარგმნელმა ლექსის ინტონაციურობის, მისი იდეისა და ფორმის თავისებურებების გაღმიყენების დროისას.

რაც საერთოდ თარგმანის შესახებ აღვნიშნეთ, გაორკეცებულად ითქმის ვაჟა-ფშაველას პოეტური ნაწარმოებების თარგმანთა შესახებ.

ცნობილია, რომ ვაჟა-ფშაველა უაღრესად ეროვნული პოეტია. მთარგმნელი ძნელად თუ გერკვევა ვაჟასეულ სამყაროში და მის გრანდიოზულ პოეტურ ხილვებში. ამიტომ რთულია მოიძებნოს სხვა ენაზე მისი ქონგენიალური მთარგმნელი.

ვაჟა-ფშაველას პოეტურ სპეციფიკას, ორიგინალურ თემატიკასა და შინაარსთან ერთად, ქმნის მის ნაწარმოებთა უაღრესად ხალხური ფორმა და თავისებური ინტონაციური ყდერადობა. ვაჟას პოეზიაში ჩაქსოვილი ფილოსოფიური აზრი ისტატურადაა გადმოცემული ფშავური ლექსიკის დაუშრეტელი მარაგით, ხოლო მის მიერ არჩეული ხალხური ლექსის საზომი ზედმიწევნით ეგუება ბრწყინვალე პოეტურ სახეებს. ამ საზომის გათვალისწინების გარეშე ვაჟას თავისებური სტილის შესახებ სრული წარმოდგენის შექმნა შეუძლებელია. სწორედ ამიტომ, მისი პოემების მთარგმნელთა წინაშე ერთ-ერთ პირველ ამოცანად აუცილებლად უნდა წამოიჭრას აღეკვატური საზომის მოძებნის საკითხი.

საზომი და მასთან დაკავშირებული ალიარებულია, რომ „სწორად შერჩეულ საზომს იმთავითვე შეუძლია მთარგმნელს მიაწოდოს ნაწარმოების სტილისტური გასაღები და დააყენოს სწორ გზაზე“². მთარგმნელს ვერ მოვთხოვთ დედნის ზომის ზუსტად დაცვას, რადგან სხვა ენაზე ეს ხშირად შეუძლებელია ან, თუ შესაძლებელია, შესაბამის ეფექტს ვერ ახდენს. „ეპვი-მეტრია საერთოდ მეტად პირობითი, მერყევი, თითქმის მეტაფიზიკური ცნებაა“³. მაგრამ აუცილებელია, რომ მთარგმნელის მიერ არჩეული ზომა რამდენადმე მაინც შეეფერებოდეს დედანს.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ვაჟა-ფშაველას პოეტურ ქმნილებათა რუსულ თარგმანებში?

სხვადასხვა მთარგმნელი განსხვავებულ ვითარებას წარმოგვიდგენს: ოსიპ განდელშტამი რუსული ხალხური ბილინების საზომს არ-

¹ Д. Самойлов, Сравнение перевода с оригиналом. сб. «Редактор и перевод», Москва, 1965, стр. 62.

² ვ. გოჩერი დე, მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი, თბილისი, 1966, გვ. 315.

³ К. Чуковский, Высокое искусство, Москва, 1968, стр. 89.

ჩევს, მარინა ცვეტაევა — ვაჟურ რითმაზე გამართულ რვა და შვიდმარ-
ცვლიან მონაცვლე ტაეპებს, ნიკოლოზ ზაბოლოცკი — პუშკინის ფრანგულ
ლერმონტოვის სამხრეთული პოემების საზომს და სხვა. ყოველ მათ-
განს რუსულ ლექსთწყობაში მოეძებნება საფუძველი.

ვაჟას პოემათა საზომის რუსულად გადმოცემის თავისებურად
გადაწყვეტა უცდია ვლადიმერ დერჟავინს. ჩვენი შესწავლის ობიექტია
მის მიერ შესრულებული „ბატხონინის“ თარგმანი¹. პოემა ნა-
თარგმნია რვასტრიქონიანი სტროფებით, რომელთა თითოეული ტაე-
პი რვამარცვლიანია. სარითმოდ გამოიყენება იამბი ან ქორე (ვაჟუ-
რი ან ქალური რითმა). ერთმანეთს შეეწყობა, ერთი მხრივ, მეორე
და მეექვსე, ხოლო მეორე მხრივ — მეოთხე და მერვე ტაეპები.
ამ საზომის გამოყენებით ვლ. დერჟავინი კარგად ახერხებს პოე-
მის მაღალმხატვრული ადგილების თარგმნას, ოსტატურად გადმო-
აქვს ბუნების სურათები:

ლამესა სძინავს მთა-ბარზე,
ბუნება დასვენებულა,
მანათობელი ქვეყნისა
მთვარეც ხომ ჩასვენებულა.
მოისმის ივრის ჩხრიალი,
სიზმარს უამბობს ჭალასა,
ერთად ჰერცეს საუბარშია
ცისა და ქვეყნის ძალასა.

Полночь на горах уснула.
Затихает лес пустынnyй
И луна — светильник мира —
Скрылась между скал вдали.
Только плещется Иори —
Сказывает сны долине
И сплетает в дивной речи
Силу неба и земли.

ასევე ჰეშმარიტი ოსტატობით არის გადმოცემული ავტორის
ფილოსოფიური წიაღსვლები, საღაც მხატვრულ სახეებთან ერთად
დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჰერტემსტსაც:

იუიტრიბანდა. ცისკარი
სულს ჰლევს, თანდათან ჰქრებოდა, —
ნეტავი ყველა ლამაზსა
ესრე სიკვდილი ჰქვდებოდა!
დღეს მყვდარი, ხვალე ღილითა
ცოცხალი წამოდგებოდა,
სრულის ჯანით და იერით
თვალებს წინ დამიღვებოდა.

День вставал. Заря, бледнея,
Над землею умирала, —
О, когда бы всем прекрасным
Смертью умирать такой:
Вечером уйдя, заутра
Снова б прелесть оживала,
В прежнем облике и силе
Представала предо мной.

თარგმნილ მონაკვეთს აქ დასრულებული სახე იმიტომაც აქვს,
რომ ამ შემთხვევაში სტროფების საზღვარი დედანსა და თარგმანში
ერთმანეთს ემთხვევა. მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის ასე არაა.

¹ Важа Пшавела, Поэмы, М.-Л., 1947, «Бахтриони», пер. Вл. Державина.

საქმე ისაა, რომ ვაჟას სტროფიკა მეტად თავისებურია. 
ფეხს შორის საზღვარი მოძრავია და ამ მიჯნას დიდი მნიშვნელობაა
ენიჭება შინაარსობრივი ნიუანსების დასადგენადაც. დერუავინის
მიერ არჩეული სტროფი კი ყოველთვის შემოსაზღვრულია რვა ტაე-
პით, ყველა აზრი ამ ჩარჩოში უნდა მოექცეს, რაც გარევეულ უხერ-
ხულობას იწვევს: იღდვევა სტროფების საზღვრები, საჭირო ხდება
ტაეპების შეკვეცა ან ჩართვა, რაც საგრძნობლად არღვევს ნაწარმო-
ბის პოეტურ სტრუქტურას. ეს ხარვეზები იმდენად მნიშვნელოვანია,
რომ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მათი ცალ-ცალკე განხილვა.

1) ტაეპების გამოტოვება. რვატაეპიან სტროფებზე
აგებული პოემა მოითხოვს, რომ თითოეულ თავში სტრიქონთა რაო-
დენობა რვაზე იყოფოდეს. სადაც ეს არ ხერხდება, მთარგმნელი კუ-
პიურებს მიმართავს: გამოტოვებულია ორი, ოთხი, ხან კი მეტი ტაე-
პიც. ზოგან ასეთი შეკვეცა შედარებით უმტკიცნეულოდ ხდება. მა-
გლითად:

ობოლ ჭვირიავ, ძმობილო,
პური შაჭამებ ბატარა,
იქნებ შაგცივდა, ობოლო,
არაყათ შაპსომ რად არა?
ჰა, ვაჟო, ცოტანი შასვენ,
აჸა, დაიჭი მათარა!

Квирия, о брат наш милый,
Что не ешь ты ничего?
Не озяб ли? Хочешь водки?
Вот испей, держи матару!

აქ ორი სტრიქონის გამოტოვება არ ცვლის დედნის ძირითად
აზრს. მაგრამ ზოგჯერ მთარგმნელი ამოკლებს ისეთ ადგილებს, რომ-
ლებიც მნიშვნელოვან მეტაფორებს ან აფორიზმებს შეიცავს.

მაგალითად:

დედაშვილობას, ნუ სჩივი,
ღმერთმა აცხონოს გმირები,
რომ არ წაიღეს საფლავში
ლაფით მოსვრილი პირები!

Матушка! Не плачь о детях,
Павших в праведном бою!

ამოლებული მეტაფორა განსაკუთრებით გაუსვამდა ხაზს ფშა-
ველთა გმირობას. სხვა ადგილს მთარგმნელი ტოვებს ლაშქრის სა-
ომრად მომზადების ამსახველ მეტაფორას, რომელსაც სიმბოლური
მნიშვნელობა აქვს შეძენილი:

ლომი საომრად მზადდება.
კბილს ააჩქამებს კბილზედა!

კიდევ უფრო მიუღებელია ვაჟასეული აფორიზმების შემცველი
ადგილების შეკვეცა. მაგალითად, თარგმანში სრულიად არ არის
წარმოდგენილი შემდეგი სტრიქონები:



ან:

პირსისხლიანის მსინჯველი
შვილის, ღუშმანიმც არია!

განსაკუთრებულ ზიანს აყენებს თარგმანს ავტორის იდეური კონცეფციის შემცველი სტრიქონების გამოტოვება. მაგალითად, პოემის უკანასკნელ თავში ნათარგმნი არაა გველის სიკეთის გზაზე და-დგომის ამსახველი მონაკვეთი:

მოელ ერთ თვეს ასე უვლიდა ადამის ტომის მტერია, ბოროტების გზა გაუშვა კეთილი დაუჭერია!	Бережет и охраняет, Целый месяц не отходит День и ночь над ним сидит.
--	---

ხშირად კუპიურები ისე შორს მიდის, რომ ვაჟას არსებითი სა-თქმელი იჩქმალება. მაგალითად, I თავის დასასრულში მთლიანად ამოღებულია შემდეგი სტრიქონები:

ნუმც ვაჯავრდება პირიმზე,
 ნუმც დამწყევლიან აანი,
 რომ იმათ დედის ძუძუთა
 ვსუქლები ცოდვილიანი.
 შეც მიგემებავ იგი რძე,
 რითაც თქვენ დაიზარდენით,
 თქვენავე გარგებსთ, დობილნო,
 თუ უხვად დაიხარჯენით!..

ვლ. დერუავინის მიერ შესრულებულ თარგმანში ვაჟასეული ტექსტის შემოკლების სხვა შემთხვევებსაც ვხვდებით, რომლებიც ნაკლებნიშნელოვანია და ამიტომ აქ მათზე აღარ შევჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ვაჟასეული სალექსო ტეპების ხშირი გა-მოტოვება საგრძნობ ზიანს აყენებს თარგმანის ტექსტს.

2) მთარგმნების გვერდით, უურადღებას იძყრობს ნაწყვეტები, სადაც აშეარა მთარგმნელისეულ ჩანართებთან გვაქვს საქმე. ჩანართი ად-გილები, ცხადია, გრძელი არ არის, მაგრამ ზოგჯერ მათ ტექსტში ისე-თი დეტალები შემოაქვთ, რომლებიც დედანში არ გვხვდება და გაუ-გებარია, საიდან მოიტანა ისინი მთარგმნელმა. მაგალითად:

ბერი ტიროდა დიაცი,
ისმის ქვითინი ქალური.

С Белою овцой старуха
У ворот стоит рыдая.

აღსანიშნავია, რომ ტექსტში სხვაგანაც არსალაა ნახსენები, რომ საკლავი მაინცდამაინც თეთრი ცხვარი იყო.

მაგ ძალთ ძმათ სისხლიც
მიმართებს,
უნდა ვიძიო იგია.

საიდან იცის მთარგმნელმა, ზუსტად რა ადგილას დაიღუპნენ
ლელას ძმები? დედანში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი.

ლელას მიერ ბახტრიონის სიმაგრის აღწერისას მთარგმნელი
ურთავს სტრიქონს — «Рвы наполнены водою», რაც დედანში
არაა. ამავე თხრილებს, დედნის საწინააღმდეგოდ, სხვაგანაც ახსენებს
მთარგმნელი:

კარს გაგვიღებენ ციხისას,
მარჯვედ მოვხვდებით შიგითა.

Ворота они откроют,
Через ров опустят мост.
Если ловко их обманем
В крепость мы с тобой войдем.

როგორც ვხედავთ, ამ წყლით სავსე თხრილების შეტანამ თარგ-
მანში ლელასა და კვირიას ბახტრიონის ციხეში მოხველრაც გაართუ-
ლა და, მით უმეტეს, გააძნელა მათ მიერ ციხეში ქართველი ლაშქრის
შეუვება. მაშასაღამე, მთარგმნელისეული ჩანართები, აგრეთვე, შეი-
ძლება ერთ-ერთ ნაკლად ჩაითვალოს.

3) სტროფებს შორის საზღვრის დარღვევა მდგრადია. მკვლევართა დაკვირვებით, საზღვარი ვაჟასეულ სტროფებს შორის
ლოგიკურ პაუზასთანაა დაკავშირებული¹. ამდენად, მისმა შეცვლად
შეიძლება გამოიწვიოს ლოგიკური მახვილის გადანაცვლება. სწორედ
ასეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე ვლ. დერუავინისეულ თარგმანში.
მის მიერ არჩეული საზომი მოითხოვს სტროფებს შორის საზღვარი
აუცილებლად 8 ტაების შემდეგ დაიდოს, რაც ყოველთვის მოსახერ-
ხებელი არაა. ამიტომ იღვევა დედნის მწყობრი სისტემა. მაგალი-
თად, IX თავში კვირიას სიტყვებში გამოთქმული ერთიანი აზრი გა-
გლეჭილია ორ რვატაებიან სტროფს შორის:

შენი პასუხი მესმოდა,
იქვე ლაშქარში ვერიე,
უფროსთა საუბანშია
მე ვეღარ ჩამოვერიე.

Я сегодня был среди войска
И услышал твой ответ.
Я молчал и слушал старших,
Что их мудрость говорила.

სტროფებს შორის საზღვრის დარღვევას ზოგჯერ იქამდე მიჰ-
ყავს მთარგმნელი, რომ ზოგიერთი სტროფი ერთი თავის ბოლოს იწ-
ყება და მეორე თავის დასაწყისში მთავრდება. ასეა, მაგალითად, IX
და X თავების საზღვარზე:

1 3. ბერაძე, ვაჟას სტროფია, „ვაჟა-ფშაველას ხსნენისაღმი შიძლვნილი
კრებული“, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1966, გვ. 177.

ა მ პირობაზე დამდგარნი,
ორნი გორი-გორ ჩადია;
ოღომც ეშველოს ჩვენ ჯარსა, —
ორსვე სიკვდილი სწადიან.

И на этом сговорились
И пошли с горы на гору,
Оба умереть готовы, —
Лишь бы войску помогли.

X

ცამ გადიბანა პირიდამ
მური, ნაცხები ღრუბლისა,
გადაეფინა სამყაროს
ლოცვა-კურთხევა უფლისა.

Смыли облачную сажу
Неба чистые просторы,
Божья благодать святая
Осенила ширь земли.

ასეთივე ვითარებაა VII და VIII თავების მიჯნაზეც. მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ სტროფებს შორის საზღვრის დარღვევა ზოგჯერ ვაჟას პოემის არქიტექტონიკის შეცვლას იწვევს.

ინტონაცია და სტილის ტური ცვლილებები. ყოველ პოეტურ ქმნილებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ინტონაციასა და სტილისტურ მხარეს. ამ სფეროში სულ ოდნავმა, თითქმის შეუმჩნეველმა ცვლილებამაც კი შეიძლება გამოიწვიოს მთელი სტილისტური სისტემის დამახინჯება და, მაშასადამე, პოეტური შინაარსის შეცვლა¹.

განსაკუთრებით ძნელია ვაჟა-ფშაველას სტილის თავისებურებების გამოვლენა. ის ფაქტი, რომ ვაჟა ფშაურ დიალექტს ეყრდნობა, მის ნაწერებს, ერთი მხრივ, ხალხურ პოეზიასთან აახლოვებს. მეორე მხრივ, თვით ფშაური კილოსათვის დამახასიათებელ არქაულ ფორმებს ამაღლებული უღერადობა შეაქვთ პოეტის ლექსებში. ამდენად ვაჟა-ფშაველას ეპიკური პოეზია ერთსა და იმავე დროს მაღალფარდოვანიცაა და ხალხური ინტონაციებით აღსავსეც. მთარგმნელს, რა თქმა უნდა, გაუძნელდება ორივე ამ მომენტის ერთდროული გაღმოცემა. ამიტომ იგი ცდილობს სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა პროპორციით ასახოს თითოეული მათგანი.

დედნის ამაღლებული ტონის გამოსახატავიდ ვლ; დერეავინი ძირითად არქაიზმების გამოყენების ხერხს მიმართავს. მაგალითად:

„გწყალობდესთ ლაშარის ჯვარი
გასულებს ბრძოლის ველზედ!“ —
ლიმილითა სთვარა ლელამა,
შუქი გამოსხდა პირისა.
სამურია საცქერლად
ვარდზე ცვარები დილისა!

«Да хранит вас крест
Лашарский!»
Молвила с улыбкой Лела,
Светлая, пленяя око,
Как росистый лепесток.

¹ Е. Эткинд, Поэзия и перевод, М.-Л., 1963, стр. 206.



თხრობისათვის ხალხური იერის მინიჭება კი მთარგმნელს შედარებით უჭირს, თუმცა ეს არც ისე განუხორციელებელი იქნებოდა, მეტად რომ გაემახვილებინა ყურადღება დედნის ზოგ სტილისტურად, თავისებურებაზე.

მაგალითად, კვირიას სიზმრის აღწერისას ვაჟა-ფშაველა იყენებს მიჯრით მიწყობილ განკერძოებულ განსაზღვრებებს, რაც ხალხურ პოეზიაში სიზმრის მოყოლის ჩვეულებრივ ხერხად ითვლება. ცნობილია, რომ ფიქსირებული ფორმის გამოორების ბუნებრივი ტენდენცია განსაკუთრებით თვალსაჩინოდ არის მოცემული ხალხურ ზეპირ-სიტყვიერებაში¹. თარგმანში ეს ფიქსირებული ფორმა არ დასტურდება და ამდენად სისმარს ზღაპრული იერი ეკარგება:

ქვეშ მეგო თეთრი ლოგინი,	На постели белоснежной
ტკბილი საძინებელი.	Распростертый, я лежал.
გვერდს ეგდო ჩემივე ცხენი,	На земле, неподалеку,
ცრემლითა სატრებელი,	Мой издохший конь валялся,
თავს მედგა დიდი ჭანდარი,	В головах платан могучий
სიცხეში საჩრდილებელი.	Ветви тихо наклоняя.

როგორც ვხედავთ, თარგმანში ეს მონაკვეთი ფორმალურად არაფრით განირჩევა პოემის სხვა აღგილებისაგან, რის გამოც იჩრდილება მოცემული ნაწყვეტის მჭიდრო კავშირი ხალხურ პოეზიასთან.

სტილისტურ შეუსაბამობათა რიცხვს ეკუთვნის ინტონაციური ცვლილებიც, რომლებიც აგრეთვე არღვევენ ფიქსირებულ ფორმას.

ვხვდებით შემდეგ შემთხვევებს:

ა) თხრობითი ინტონაცია შეცვლილია კითხვითით:

მარტოს აუნთავ სანთლები	Почему же нет народа
და ხატიც უდიდებია,	На горе? И почему
მარტოს დაუკლავ საკლავი,	Баба-режет и свежует
თვითონვე უტყავებია;	Жертву на камнях кровавых
მარტოდმარტოვას ღიაცსა	И одна свеча угрюмо
ხატ-ლმერთი უხსენებია.	Озаряет полутьму?

ეს კითხვები რომ კვირიას გამოჩენის შემდეგ იყოს დასმული, მაშინ მათ რაიმე ფსიქოლოგიური საფუძველი მოექებნებოდა, აქ კი შენაცვლების მიზეზი სრულიად გაურკვეველია.

ბ) კითხვითი ინტონაცია შეცვლილია თხრობითით ან ბრძანებითით:

¹ გ. კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები, თბილისი, 1957, გვ. 68.



როდემდის უნდა ფეხითა
ვლახოთ ჩენივე წელები,
ცეცხლები გვერტყას ათასი
გულის, გონების მწველები?

Мы своими же ногами
Ходим по своим кишкам,
Нам сердца сжигает пламя
Вечного огня грознее.

აქ თარგმანში ლექსის დინამიკა უდავოდ შენელებულია. სხვა
შემთხვევაში მთარგმნელის დეკლარაციული განცხადება ვერ გად-
მოსცემს ვაჟას აზრს:

რად გვინდა დედების შვილები?
რაზე ვსწვალდებით ნეტავი?

Матерям не нужны дети!

გ) მესამე პირის ფორმით გამოხატული რიტორიკული კითხ-
ვა შეცვლილია მიმართვით:

ნეტავ ბუნების ქმნილება
სხვა მათ რა შეედარება,
მალ-მალე შავი ჭანლები
თავზე რო დაეფარება?

Что среди творений мира,
Горы, что сравнятся с вами
В час, когда туман и грозы
Вам вершины обовьют?

აქ შეტანილია ზედმეტი ინტიმურობის მომენტი, შეცვლილია
თხრობის საერთო ტონი და შემდეგ კვლავ მესამე პირის ფორმით
მსჯელობაზე გადასვლა ჭირს. განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ეს ნა-
კლი ნიკოლოზ ზაბოლოცკის თარგმანთან! შედარებისას:

И что средь всех творений света
Сравнится с сонмом гор, когда
Ночною теменью одета
Их неподвижная гряда?

ჩვენ აქ შეგნებულად მოვიყვანეთ სხვა მთარგმნელის მიერ
შესრულებული თარგმანის მაგალითი. ცნობილია, რომ ე. წ. სტი-
ლისტური ექსპერიმენტი ანუ ამა თუ იმ ტექსტისათვის რამდენიმე
სტილისტური ვარიანტის შერჩევა უფრო მკაფიოდ გამოკვეთს სტი-
ლის ელემენტების ფუნქციებს¹. ერთი და იმავე ტექსტის სხვადა-
სხვა თარგმანის განხილვისას კი უკვე ხელთა გვაქვს მზამზარეული
სტილისტური ექსპერიმენტი და ამდენად შეფასებას უფრო ობიექ-
ტური ხასიათი ეძლევა².

¹ Грузинская классическая поэзия в переводах Н. Заболоцкого, Важа Пшавела, «Бахтриони», т. II, Тбилиси, 1958.

² А. М. Пешковский, Вопросы методики родного языка, лингвистики и стилистики, М.-Л., 1930, стр. 133.

³ А. В. Федоров, Основы общей теории перевода, Москва, 1968. стр. 33.

ფრაზეოლოგის თარგმნასთან დაკავშირებული
ბული დაბრკოლებანი. პოემა „ბახტრიონი“ მდიდარი
იდიომებითა და ფრაზეოლოგიზმებით, რომელთა რუსულად გადაწყვეტილი
ცემას ვლ. დერუავინი ზოგჯერ წარმატებით ახერხებს. ცნობილია,
რომ იდიომის თარგმნის საუკეთესო ხერხია ტოლფარდი იდიომის
დაძებნა სათარგმნ ენაზე. ამის მაგალითები საკმაოდ ხშირად გვხვდე-
ბა:

უკაცურთ ქაცობა გვმართებს,
მანამ სული გვჩრავ პირუა. Не ушла душа из тела.

ან:

თშავს უბინადროდ შთენილი
წაველ საძებრალ ბედისა. Счастье по свету искать.

ზოგჯერ ქართული იდიომის ნაცვლად თარგმანში ორიგინალუ-
რი მეტაფორა გვაქვს, მაგალითად:

ჩემს ქარ-შვილებთან ბევრს სხვასა
ვამოეგარა კარია. Вихри крутятся у входов
Заколоченных домов.

ან:

დათარეშობენ... კახეთი
მისცეს ქარსა და ნიავსა. Грабят города и села.
Кахетинскую долину
Ветер засевает пеплом
Обгорающих садов.

მაგრამ ვლ. დერუავინი ყოველთვის ვერ ახერხებს იდიომების
თარგმნასთან დაკავშირებული დაბრკოლებების გადალახვას.

გვხვდება სამგვარი სახის ნაკლოვანებანი:

ა) ტოლფარდი იდიომის მოძებნის ნაცვლად იდიომის შინაარ-
სი აღწერითაა გადმოცემული. ამის შედეგად იკარგება ექსპრე-
სიული ფუნქცია და თარგმანის ემოციური ზემოქმედება მკითხველ-
ზე მცირდება:

მართა შავკლეს მტერს თავი,
ხსენება გასწყდა კაცია. Все мужчины вышли в битву,
Всех враги побили их.

ან კიდევ:

არა სჩანს ხელის შამქცევი,
მტრის ამომყრელი ჭავრისა. И героя не осталось,
Кто бы грозно отомстил им.

ბ) იდიომის შესაბამისი გამოთქმა ცუდადაა მოძებნილი:

მხედართა გულის პასუხი
ერთ ფიქრად შაიქონება.

ან:

ცოცხალს კი უნდა ეხუროს
ვაჟკაცა ქუდი თავზედა.

Стук сердец, как
перекличка,
Связан думою одной.

Только шлем лицо мужчины
Нынче должен украшать.

აქ მთარგმელს ვერ გაუთვალისწინებია, რას ნიშნავს „*თავზე
ქუდის დახურვა*“.

გ) ზოგი იდიომი სიტყვა-სიტყვითაა ნათარგმნი, რაც სრულად შეუფერებელია:

ოლომც დააბას ჩვენმ ჯარმა
თათრები ვირის ბაგაზე.

Чтоб врагов к ослиным
я слям
Наше войско привязало.

იდიომი სწორედ იმიტომ იქცა დაუშლელ მყარ ერთეულად, რომ მისი შემადგენელი კომპონენტების თავდაპირველი მნიშვნელობა დაიკარგა, ხოლო ხატოვანება გაიცვითა. ასეთი იდიომის სიტყვა-სიტყვით გადატანა სხვა ენაზე აღადგენს კომპონენტების ამოსავალ მნიშვნელობას, რაც სათარგმნი ენის თვალსაზრისით შესაძლოა სრულ უაზრობას წარმოადგენდეს.¹ ამის საკუთხესო ნიმუშია ჩვენ მიერ ზემოთმოყვანილი მაგალითი.

აქვე გვსურს დავუმატოთ ორიოდე მაგალითი იმისა, რომ თარგმანში აფორიზმი გაუბრალოებულია ან ანდაზა ხაზგასმული არაა:

რა წერილობას გაგვიწევს,
თოვლზე ამბავი ვწეროთა?

На снегу ль писать письмо?

რო ხერხი ღონეს სჭობია,
ლაშქარი ჰყიქრობს განაო?

Не подумало, что хитрость —
Лучше силы на войне.

აფორიზმებისა და ანდაზების ხაზგაუსმელობა თარგმანში სტილისტურ ნიუანსს ცვლის და დედანთან შედარებით გაღარიბებულად აჩენს მას. უკანასკნელ მაგალითში ამას იწვევს ანდაზის დანაწილება ორ სტრიქონს შორის და დამაკონკრეტებელი ადგილის გარემოების დართვა. გამოყენებული ქართული ანდაზა ხომ მარტო საომარი ვითარების ამსახველი არაა! მეორე მთარგმნელი, ნ. ზაბოლოცკი, როგორც ჩანს, გრძნობს ანდაზის ხაზგასმის საჭიროებას და შემდეგნაირად თარგმნის ამ ადგილს:

«Сноровка нам нужнее силы», —
Сложил пословицу народ.

მეტაფორების თარგმანი. განსაკუთრებულ სირთულეს აწყდება მთარგმნელი მეტაფორების გადმოლებისას. ვაჟასეული მეტაფორები იმდენად ორიგინალურია და ქართულ გარემოში იმდენად ფესვგამჯდარი, რომ ძნელია მათ მთარგმნელმა სხვა ენაზე

¹ К. Чуковский, Высокое искусство, Москва, 1968, стр. 125—127.

ღილის მზის სხივით იპოხენ
ქედებს კახეთის მთანია.

Кахетинских гор вершины
Ярко озарял рассвет.

მაგრამ ზოგიერთი მეტაფორის გადმოლება მაინც შესაძლებელია. აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ თვით მეტაფორის თავისებურება. შედარებით ადვილად ითარგმნება ისეთი მეტაფორები, რომელთაც საგნობრივი ხასიათი აქვთ, ან შედარების მოღულაციას წარმოადგენენ:

ლელეს ჩავიდა მწუხარე
ვარდი, ვარდის წყლით ნაბანი.

С гор печально сходит роза
Свежею росой омыта.

ან:

თუ გავზრდის, — ფურმა გაზარდოს
აი მისთანა ხარია!

Редко выкормит корова
Столь упорного быка.

საკმაოდ ოსტატურად აქვს ნათარგმნი ვლ. დერუავინს უფრო რთული მეტაფორებიც, სადაც ან ბუნების მოვლენა თუ საგანია პერსონიფიცირებული, ან რომელიმე ადამიანური თვისება:

ქარი ქვითინებს. ღრუბელთა
ზარი თქვეს შესაზები.

Облаков бегущих слезы
Безутешно потекли.

ობლობის, ბეჩაბისა
დღესაც ზედ მაძე ობია.

Мне печальное сиротство
Душу плесенью покрыло.

ზოგჯერ მთარგმნელი ავტორისეული მეტაფორის ნაცვლად საკუთარ მეტაფორას გვთავაზობს, რომელიც, მართალია, ჩამორჩება ვაჟას გამოძერჩილ მხატვრულ სახეს, მაგრამ თავისთავად მაინც საყურადღებოა. მაგალითად:

და ალაზანიც, ბარს ღინჯი,
მთაში მეტადა სწყრებისა;
ძირს უთხრის სალსა
კლდეებსა,
თავზე ჩაჩქანი ჰედებისა!

Алазани, — в долах мирной, —
Оглашает горы гнев.
Роем пенных водопадов
Падает она сквозь тучи,
Скал подошву отрывает,
Гривою трясет, как лев.

ამის პარალელურად, ვლ. დერუავინის თარგმანში ისეთი შემთხვევებიც გვხვდება, როდესაც მეტაფორები დაკარგულია, მათი გადმოღება კი, როგორც ჩანს, შესაძლებელი იყო:

Он твои леса убьем да са твоим.

Утро брезжило сквозь тучи.

аб:

Монголы да кумыс твои леса.

Горы меркнут¹



Гора каскады
Мерцают в солнечных лучах
Словно вспышки
Сияющие в небе звезды.

Словно вспышки
Сияющие в небе звезды.

Двадцать лет я, словно
Буркой,
В бурю укрывался тьмой.

На монгольских горах
Словно вспышки
Сияющие в небе звезды.
Словно вспышки
Сияющие в небе звезды.

Горы были, словно дэвы
После сна, еще в дремоте,
Простоять века на месте
Было тягостно для них.

Словно вспышки
Сияющие в небе звезды.

Ручейки по горным склонам,
Словно слезы, потекли.

Гора каскады
Мерцают в солнечных лучах
Словно вспышки
Сияющие в небе звезды.

Словно вспышки
Сияющие в небе звезды.

Землю трупами своими
Наши дети утучнили.

Словно вспышки
Сияющие в небе звезды.

На душе лежит обида,
Я гнездом печали стала.

Словно вспышки
Сияющие в небе звезды.

Раздается на вершинах
Стон измученной земли.

Гора каскады
Мерцают в солнечных лучах
Словно вспышки
Сияющие в небе звезды.

Гора каскады
Мерцают в солнечных лучах
Словно вспышки
Сияющие в небе звезды.

1. Уд. б. Чистое небо с твоими горами: Зарница на небе мигает;
Закрылись очи темных гор.

2. б. Чистое небо с твоими горами: Мечта измученного мира
Скорбит над пропастью земли!

მოგვითხრობს, რომელი გვარის წარმომადგენელნი საიდან მოვიდნენ, თარგმანში კი აღრევასთან გვაქვს საქმე. ვაჟას მიხედვით მელჯაურნი როშკით არიან მოსულნი, ჭინჭარაულნი კი აშტორი. გვარად, ხაზგასმულია, რომ ლაშქრობაში მონაწილეობას იღებდა როგორც პირაქეთა, ისე პირიქითა ხევსურეთი; ხოლო დერევავინთან ეს აზრი იჩქმალება, რადგან აქ ორივე გვარის წარმომადგენლები ამღით არიან მოსულნი:

რ ო შ კ ი თ მოიდნენ ხევსურნი,
სუმელჯაურნი ცხენია,
ა მ ღ ი თ ა — ბათაკას ძენი,
ჭინჭარაულნი ძმანია.

Вот хевсуры здесь: из Амги
Прибыли Джинчараули
С девятыю Сумелджаури
Львами, рвущимися в бой.

ვაჟასეული მეტაფორის შეცვლამ თარგმანს შეიძლება დედნის სრულიად საპირისპირო მნიშვნელობა მიანიჭოს. მაგალითად, V თავში ლაშარის ხატის გამოჩენის ამბავი არასწორად არის თარგმნილი:

ჭინ მომეგება სიცილით,
ბელლის კარს მოდგა მზებურა. Телом солнце
заслонивши.

ესე იგი, დედანში ლაშარის ხატი სინათლის განსახიერებაა, იგი მზესთანაა შედარებული, თარგმანში კი, პირიქით, მისი ტანი მზეს ეფარება და აბნელებს გარემოს.

ზოგან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ მთარგმნელს გადაუსხვაფერებია სათარგმნი მონაკვეთის აზრი. ასეა, მაგალითად, II თავის ბოლოს:

მტრისამც დედასა გველი ჰებენს
და ჩაუძერება უბედა,—
გმირთა აღმზრდელთა ძუძუებს
გაიხდის თავის ბუდედა?

Стонет старая, как будто
В сердце ей змея вползла.

XIV თავში მოთხრობილია ზეზვასა და ლუხუმის შეხვედრის შესახებ, რომლებიც ხმერობით გაეკინკლავნენ ერთმანეთს. თარგმანში კი მათი შებრძოლება ცხარე შეტაკებადაა წარმოდგენილი:

ზეზვამ მყის იცნო ძმობილი,
ვეფხვი ხმალდახმალ წავიდა,
გაეკინკლავენ ერთმანეთს
ხმალ-შუბებით და ფარითა.

С поднятым мечом навстречу
Мчится старый тигр — Зевса.
Грудью, копьями, мечами
И щитами сшиблись ръяно.

XVI თავში, ბახტრიონის ციხეში შეჭრის შემდეგ, ქართველ ლაშარს კვირია და ლელა მკვდრები დახვდნენ. თარგმანში კი მო-

ქმედების დრო გადანაცვლებულია, ურჯულოები კვირიასა და ლაშქრის ციხეში შეჭრის შემდეგ კლავენ:



რო შავიჭრენით შიგნითა,
ჩვენ წინ ეყარნენ მკვდარები.

Только мы ворвались в крепость,
Басурманы их убили.

XVIII თავში დედა დასტირის ბრძოლის ველიდან გამოქცეულ
წიწოლას, რომელმაც თავი ჩამოიხრჩო. მას სწორედ შვილის უსა-
ხელო სიკვდილი ანალვლებს, თარგმანში კი ეს მომენტი იგნორი-
რებულია:

რად იქ არ მაჰვდი, ბეჩავო,
რად ხარ ყელსაბელიანი?!
რად არ მამიხვდ, წიწოლავ,
პირნათლი, სახელიანი?!

Победил бы ты в сраженье,
Ты вернулся бы веселый,
Ты прославленный пришел бы
С ясным взглядом и лицом.

ცალკეა გამოსაყოფი ისეთი შეცვლილი აღგილები, სადაც ერთი
პერსონაჟის სიტყვები მეორეს მიეწერება. მაგალითად, იმავე XVIII
თავის თარგმანში აღრეულია ლაშქრისა და წიწოლას დედის სიტყ-
ვები და გამოთქმა — „წიწოლას დანაშაული აწეულია. ცამდინა“
დედამისს მიეწერება.

XVII თავის დასასრულს მოცემულია წიწოლას სიკვდილისად-
მი ბუნების გულგრილი დამოკიდებულების ავტორისეული აღწერა,
თარგმანში კი ავტორის სიტყვებს ივრის ტალღები ამბობენ:

იორი ყურსაც არ უგდებს,
ნელად აქანებს ტალღებსა,
არ ედარდება, დაობლონენ,
გმია აღარ ჰყავ ბალღებსა.
თემისგან უარყოფილსა
გადაუგდებენ ძალებსა.

А у ног его Иори
Льется, плещет, говорит:
«Псам отверженного бросят,
Он могилы недостоин;
Бросил сирот горемыка...»
И умчать волну спешит.

გამოდის, რომ იორი გულგრილად კი არ არის განწყობილი,
არამედ მსჯელობს კიდევ წიწოლას სიკვდილის შესახებ. ასეთი
შენაცვლება მით უფრო დაუშვებლად წარმოგვიდგება, თუ გავიხ-
სენებთ, რომ ვაჟა-თშველასათვის გმირის სიკვდილისადმი ბუნე-
ბის გულგრილი დამოკიდებულების გამოხატვა ერთ-ერთი დამახა-
სიათებელი მხატვრული ხერხია, რომელსაც ავტორი იყენებს განუ-
რჩევლად იმისა, დადებით გმირზეა საუბარი თუ უარყოფითზე.
შორს რომ არ წავიდეთ, ამას ადასტურებს „გველის მჭამელის“
ცნობილი ფინალიც.

შეუფერებელი სიტყვები და გამოთქმები ბორბენის მთარგმნელი ისეთ სიტყვებსა და გამოთქმებს ხმარობს, რომ-

ლებიც შეუფერებელია ვაჟას პოემისათვის. მათი ერთი ნაწილი გა-
უდებელია იმიტომ, რომ რუსული მართლმეტყველების ნერიული
არღვევს ან უხეშად ისმის. მაგალითად:

სხვა არა მინდა, გნაცვლეთ,
თქვენს მტერს გულსა ჰქვდეს
 Одного хочу — пусть копья
 Вражье сердце прободают.
ლახვარი.

რადგან აქ ლახვარზეა საუბარი, სიტყვა „прободают“ შეუფე-
რებლად ჟღერს.

დუშმანი არ გაგვიფრთხილოს,
საქმე ქნას ნახლართიანი.
 Как бы, спевши съ
 с басурманом,
 Не завлек он в сети нас.

უარგონული იერის მატარებელი სიტყვა „спевши съ“ აშკარად
სცილდება ვაჟას პოემის თარგმანისათვის შესაფერისი ლექსიკის
სფეროს.

სხვა შემთხვევებში შეუფერებელი ფრაზების გაჩენის საფუძ-
ველი ისაა, რომ მთარგმნელი ვერ ჩაწვდა ამა თუ იმ ქართულ გა-
მოთქმას:

ლაშქრობამ ჩამომაბერა,
ძალლუმა დურად გდებამა,
სრულ ლაშქარსა ვარ, რაც კია
 დუძუს მამსხლიტა დედამა.
С той поры, как бросил
 сокку,
Я все время на войне.
Битвы старят. Как собака,
Лезу я куда попало!

ცხადია, რომ „ძალლუმა დურად გდება“ სრულიადაც არ ნიშ-
ნავს „ძალლივით ყველგან გაძრომას“, ხოლო გამოთქმა „брюсил
сокку“ არავითარ შემთხვევაში არ შეესაბამება ქართულს — „ძუ-
ძუს მამსხლიტა დედამა“, მით უმეტეს, რომ ეს სიტყვები ზეზვას
ეკუთვნის.

შეუფერებლად მიგვაჩნია აგრეთვე პოემის დამამთავრებელი
ტეპების თარგმანი:

ეღირსებაო ლუხუმსა
ლაშქარის გორზე შაღგომა!
И поставит вновь Лухуми
Ногу на родных горах!

აქ აუცილებელი იყო ქვეტექსტის შენარჩუნება. ვფიქრობთ,
რომ მთარგმნელმა ეს ვერ მოახერხა, რადგან მის მიერ შეტანილი
სიტყვა „ფეხი“ ზედმეტად აკონკრეტებს სურათს და განზოგადების
საშუალებას აღარ იძლევა.

ჩვენი აზრით, პოემის ასეთი უმნიშვნელოვანესი ადგილების
თარგმნისას მთარგმნელს მეტი გულისყრის გამოჩენა მართებდა  მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ საკმაოდ ვრცლად მიმოვიზილეთ
ვლ. დერუავინის თარგმანში შემჩნეული შეუსაბამობანი, აქვე უნდა
აღვნიშნოთ, რომ ამ ხარვეზებს სპორადული ხასიათი აქვს და მათი
ხვედრითი წონა მცირეა. ძირითადად კი ვლ. დერუავინმა მოახერხა
„ბახტრიონის“ რუსულად ამეტყველება და ამით საგრძნობი წვლი-
ლი შეიტანა ვაჟა-ფშაველას პოეზიის რუსულ ენაზე თარგმნის საქ-
მეში.

ლალი აგალიანი

„ალუდა ჩეთალაურის“ ივნევისეული და დერზავინისეული თარგმანები

I

რიურიკ ივნევის¹ მიერ თარგმნილი „ალუდა ქეთელაური“ გამოქვეყნდა ვაჟა-ფშაველას რჩეულ თხზულებათა კრებულში, რომელიც „ზარია ვოსტოკამ“ გამოსცა 1939 წელს.

ივნევისეული თარგმანი ვაჟას ღიდებული პოემის რუსულ ენაზე ამეტყველების პირველი ცდაა; უკვე ეს ფაქტი განაპირობებს რუსი პოეტის თარგმანის მნიშვნელობას.

მთარგმნელი ინარჩუნებს დედნის რვამარცვლიან სალექსო სტრიქონს და უმრავლეს შემთხვევაში ხდ რითმისაც; თუმცა ვაჟა-სეული ექვს, რვა, ათ და მეტ ტაქტიანი სტრიფის გადმოღებას (შესაბამისი რითმითურო) ყოველთვის ვერ ახერხებს.

ვაჟა-ფშაველას პოემების 1947 წლის რუსული გამოცემის რედაქტორების ვ. გოლცევისა და ს. ჩიქოვანის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: «Если переводчики были бы обязаны втискивать

¹ რუსი საბჭოთა მწერალი რიურიკ ივნევი (მიხეილ კოვალიოვი) დაიბადა თბილისში 1891 წელს. სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1913 წელს გამოვიდა ივნევის ლექსების პირველი კრებული. 1913-16 წლებში იგი ეგოფურულისტებთან თანამშრომლობდა, 1919-24 წლებში კი იმავინისტებს დაუახლოვდა. მან სხვადასხვა დროს ლექსთა შვიდი კრებული გამოსცა. აქვს პროზაული ნაწარმოებებიც, რომლებზეც ანდრე ბელის გავლენას აღნიშნავთ. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ივნევის დილოგია — «Любовь без любви» (1925 წ.) და «Открытий дом» (1927 წ.), რომელშიც ასახულია თბილისისა და ბაქოს ლიტერატურულ-არტისტული ბოპერა. ჩ. ივნევი თარგმნიდა ქართულიდან, აზერბაიჯანულიდან, თურქიდან. ვაჟა-ფშაველას პოემა „ალუდა ქეთელაურისა“ და ლექსის („სიტყვა“) გარდა, მას უთარგმნია გრ. ორბელიანისა და გრ. აბაშიძის ნაწარმოებები.

сложную совокупность образов и эпических событий вольно используемый автором размер «шири», то это вовсе не соответствовало бы правильному понятию точности поэтического перевода¹. Но Мартлак, тщимца Н. Овбогашвили Упразднено
запрещено
— купил у него — революциониста Салехована Струнини, тарагамано Мартлаку бывшему родственнику его же сестре Салеховане.

Издебнаад дидора ვაჟას ლექსის შინაგანი პოეტური ძალა, რომ დედანში საზომის ერთფეროვნებას ვერც კი ვგრძნობთ, ივნევის თარგმანში კი საზომის ერთფეროვნებას ვერ აბათილებს „პოეტური შინაარსი“, რომელიც ოდნავადაც ვერ უახლოვდება ვაჟას უმდიდრეს პოეტურ სამყაროს. შრ.:

მაცნე მოიდა შატილსა:
— ქისტებმა მოგვცეს ზიანი,
დაგვიწიოქეს მწყემსები,
ავნია, ავი-ზნიანნი.
ალუდა ქეთელაური
კაცია დავლათიანი,
საფიხნოს თავში დაჭდების,
სიტყვა გაუდის გზიანი.

Прискакал гонец в Шатили,
Он принес худые вести:
Наш табун кистини злые
Увели с собой из мести.
Алуда Кетелаури —
Человек вполне достойный,
И слова его на сходе
Льются плавно и спокойно.

სხვა გზით წავიდა მთარგმნელი ვლ. დერუავინი. მან ოქვესმეტ-
თხუთმეტმარცვლიანი სალექსო სტრიქონი გამოიყენა. ვაჟა ზუსტ
სტროფიკას არ იცავს, მთარგმნელი კი არც ჯვარედინი ჩითმით გა-
მართულ, მქვიდრად შეკრულ ოთხტაეპიან სტროფს მოერიდა (თუმ-
ცა შექმნა ილუზია რვა-შვიდმარცვლიან რვატაეპიანი სტროფისა)
და ამგვარი „თვითნებობით“ პოემას ეპიური ულერადობა დაუბრუ-
ნა.

მაგალითად:

Вестник прискакал к Шатилю,
Крикнул: «Снова нечестивый
Кист напал на нас! И стадо
Взял у наших пастухов!»
Жил там муж Кетелаури —
Мудрый, доблестный,
правдивый, —
Во главе сидел он схода,
Не бросал на ветер слов.

¹ В. Гольцев, С. Чиковани, От редакторов, წიგნიდან — Важа-Пшавела, Поэмы, ОГИЗ, 1947, 83. 5.

რ. ივნევის თარგმანში შეინიშნება ვაჟას ლექსისათვის შეუტო-
რებელი პროზაიზმები, როთაც დედნის ბევრი შესანიშნავი ხახე თუ
გამოთქმა გაუფასურდა. მაგალითად:

ალუდა ქეთელაური
კაცია დავლათიანი.

ერთიც ესროლა ალუდას,
ხანს არა ჰყარგავს ცდისას.

მზემ აიწია ცაზედა,
ნისლებმ დაწირეს ხევები.

ერთ ქურდ-კანტალს ღილველსა
ცული დაუდგა წამიო.

გაწირეს ქეთელაური
გულითა ნაჩიანითა,
სახელსა ალუდაისას
იძალენ ბრალიანითა.

ერთგან საუკეთესო იდიომის
გვხვდება:

— ტყუილად სცდები, ალუდავ,
ტყუილად იცვეთ პირსაო.

Алудა Кетелаури —
Человек в полне
достойный.

Ни секунды не теряя,
Выстрелил, моля о чуде.

Высоко поднялось солнце,
И туман — как будто не
был.

Одного врага гильгойца
Быстро вывел он из
строя.

И оставили Алуду
В одиночестве томиться.
Как появится в народе,
Начинают все браниться.

ნაცვლად ამგვარი პროზაიზმი
— Не проси меня, Алуда,
Ты напрасно время
тратишь.

შევადაროთ დერუავინის თარგმანს:

«Зря ты здесь стоишь, Алуда!
Зря ты мелешь языком!»

პოეტური ნაწარმოების თარგმნისას თითქმის აუცდენელია
მთარგმნელისეული გადახვევები. მაგრამ ივნევისეული გადახვევე-
ბის ერთი ნაწილი გაუმართლებლად მიგვაჩნია. მაგალითად:

მაცნე მოიდა შატილსა:
— ქისტებმა მოგვცეს ზიანი,
დაგვიწიოკეს მწყემსები,
ავნია, ავი-ზნიანნი.

Прискакал гонец в Шатили,
Он принес худые вести:
Наш табун кистини злые
Увели с собой из мести.

თუ კი Он принес худые вести — შეიძლება მთარგმნელის
მრავალსიტყვაობად ჩაითვალოს მხოლოდ, რადგან სტროფის შინა-
არსს არ ეწინააღმდეგება, მეორე ჩანართი — Увели с собой из
мести — აშკარად მარტოოდენ გარითმვის საჭიროებით არის ნა-
კარნახევი.



გაუგებარია ამ სტროფის ჩანართიც:

გუმან აქვ, გადაავლიონ
არხოტის თავი მთიანი,
გადაბერტყინონ ნალითა
ქუჩი მთებისა, ცვრიანი.

Их за перевал Архотский, ЧАРІЗМЕЧІЛІК
Где цветы лежат коврами,
Перегнать хотят кистини
По обычаям старинным.

თითქოს ქისტები მოტაცებულ ჭოგს ძველებური ადათის დასა-
ცავად მიერეპებოდნენ სამშვიდობოს.

უადგილოდ გვეჩვენება ამგვარი ჩანართიც:

საკლავს თვითონ ჰკლავს ალუდა, Жертву сам заклал Алуда,
მამხსენე ქისტის სულისა. Этим возмутив природу.

მთარგმნელის მრავალსიტყვაობის მაგალითებია:

გაუშინჯილის ვაღანი,
ხმალს არ მაუტყდეს ტარიო.

У меча, с которым сжился,
Он проверил рукоятку,
Чтобы меч не надломился.

კაი ყმის მარჯვენა არი...

Тот, чью руку ты привез мне,
Воин храбрый был, отменный.

მიუხედავად მთარგმნელისეული ჩანართების სიმრავლისა, შე-
ჯერებილან გამოირკვა, რომ მთარგმნელი ზუსტად იმეორებს დედ-
ნის ტაეპთა რაოდენობას. გამონაკლისის მხოლოდ I და II თავები,
რომლებშიც ტაეპთა რაოდენობის უმნიშვნელო ცვლილება შეინიშ-
ნება: დედნის I თავი მოიცავს 114 ტაეპს, თარგმანისა — 112-ს;
დედნის II თავი — 164-ს, ხოლო თარგმანისა — 165 ტაეპს. სამწუ-
ხაროდ, მთარგმნელის ამგვარ სიზუსტეს პოემის ბევრი ბრწყინვალე
ადგილი შეეწირა, თანაც ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე.

თარგმანში დაიკარგა ვაჟასეული შთამბეჭდავი ტროპები. მაგა-
ლითად:

ჭიხნი მაებნენ მყინვარსა,
მაღლი რქათ ადგა ღვთისაო.

На ледник взобрались туры,
Будь они благословенны!

ან კიდევ:

არ ჩაუშვებენ ჩამსვლელსა,
ცა ახურია კლდისაო.

Скалы, вздыбленные к небу,
Это место окружили.

პირს დასწოლია ნისლები,
გულით ნადენი, ზავია.

На лице его туманы,
Сердце горестное ноет.

დიდებულად თარგმნის ამას დერჟავინი:



რ. ივნევს ვერ შეუნიშნავს ვაჟას პოემის ერთი თავისებურება: პოეტი არ ერევა თხრობაში, იშვიათად უწოდებს თავის გმირებს მამაცს, ვაჟაცს; იგი უფრო დახვეწილი ხერხებით მიგვანიშნებს მათს ვაჟკაცურ ბუნებას. თავისქებას არც ვაჟას გმირები ეტანებიან. ივნევი კი თარგმნის:

სიტყვა გაუშრა პირზედა.
დაბლა გაერთხა მიწასა.

— გულში მჭირს, გულში,
რჯულ-ძაღლო,
ვაჟ, ცდასა მუცალისასა!

ძალს მიუგდიან საჭმელად
ხელი მუცალის მკლავისა.

ბებერი ჰქითხავს უშიშა
ალუდას ამბავს ცდისასა.

И храбрец на землю рухнул,
Слабости не обнаружил.

— В сердце, в сердце, пес
неверный!
Горе доблести Муцала!

Кинули тогда собаке
Руку славного Муцала.

Старец Ушиша желает
Разузнать про подвиг-чудо.

გვხვდება რამდენიმე ფაქტიური შეცდომაც:

სოვნი სამგზავროს წავიდნენ,
მთა-ბარს მავლეს თვალია.

По следам орлиным коршун
Мчится, чуя запах тлены.

სვავი არის გრიფ, ხოლო კორშუნ — ძერი.

ციკანიც არვის დაუკალ,
განღამიც კურატი დიდია.

Не заклав за них козленка
Ты теперь пришел с бычками.

თარგმანი არაზუსტია: ალუდას კურატი მოჰყავს მუცალის სულის მოსახსენებლად და არა კურატი ები.

არაზუსტია ამგვარი თარგმანიც:

დაიპატიჟოს სტუმრები,
დამწერიოდეს გარია.

Пусть готовы будут гости
К разгорающейся сече.

აქ „გარი“ სტუმართა სიმრავლის აღმნიშვნელია მხოლოდ და მოსალოდნელი ხოცვა-ულეტა მთარგმნელის მიერაა „ყურით მორეული“.

მთარგმნელი კარგად ვერ გარკვეულა დელნის ზოგიერთ ნიუანსში. სახელოვან ალუდას მთელი შატილი ეგებება:

შატილს გადმოდგა ბანებზედ
ხევსურთ ქალი და რძალია,
გამეეგებნენ ალუდას
ძმა — ძმისწულები სამნია.

თარგმანში კი ბანალური, თითქმის სატრფიალო სიტუაციაა
გადმოცემული:

А в Шатиле девы с кровель
Взоры в горы устремляют.

შევაჯეროთ დედანთან კიდევ ერთი სტროფის თარგმანი:

ვერ გავიმეტე მუცალი
მარჯვენის მოსაჭრელადა,
გული გამიწყრა, არა ჰქნა,
რაც საქნელია ძნელადა.

Жалко стало мне Муцала,
Не отсек ему десницы,
Не позволило мне сердце
Дикой местью насладиться.

ალუდას, რომელსაც მტრის ხელები „ჭრდესავითა“ აქვს ასხ-
მული ქავის კარზე, არა მგონია, უკვე გაცნობიერებული ჰქონდეს,
რომ მტრისათვის მკლავის მოჭრა „ველური შურისძიებაა“. ალუდამ
მხოლოდ იმიტომ ვერ გაიმეტა მუცალი მარჯვენის მოსაჭრელად,
რომ მისი ვაჟკაცობით მოიხიბლა.

ზოგჯერ ივნევის ესა თუ ის ფრაზა საქმაოდ უხეიროდ უღერს.
მაგალითად:

ამხანიგ-მოქლულ ღილველი
ჩახმახსა ეზიდებისა.

Друг убитого гильгойца
Тянется к ружью рукою.

სრულიად მოულოდნელია ამხედრებულ, თოფმომარჯვებულ
კაცზე, რომელიც ჩახმახს ეზიდება, ითქვას — Тянется к ружью
рукою.

როგორ ვახვეწო უფალსა
ძალი, ძალების ჯიშისა.

За собак молиться — значит
Бога оскорблять устами.

თარგმანში ზოგჯერ ინტონაციური შეუსაბამობაც შეინიშნება.
მაგალითად:

რაად სწყრებიან ხევსურნი,
რადა ტყვრებიან ჭავრითა?

О, зачем вы так надменны!

გაურჩულებულს არჯულებ,
შენ ეგ არ შაგიხდებისა.

За неверного молиться!..
Как решился ты? О, горе!



ერთგან თარგმანი მეტად ბუნდოვანია:

ირემს ჰერ მინდის წითლია,
შუბლითა მთვარიანითა.

Серп луны, как у оленя;
Конский лоб отображает.

მთარგმნელი არ ერიდება უცხო სიტყვებს, რომლებიც ვაჟას
ტექსტს ვერ ეგუება. ასეთია, მაგალითად—«пистолет», «трофей»...

დამპაჩა გამაადგებისთ
საბრუნლად, თითისტარადა.

Твоего же пистолета
Для веретена не жалко.

ხელი ალუდას მიართვის:
— წაიღ, მიაკარ ქავადა.

И, вручив трофеи Алуде,
Он сказал: «Привесь к бойнице».

არაზუსტია ამგვარი თარგმანიც:

ეს ვინდა მოდგა, ნისლივით,
თითბრის ნაზიკის ხმალითა?
ხევის ბერს აძლევს მოზვერსა,
დადგა დახრილის თავითა.

Кто подходит незаметно,
Меч держа, к священной двери
И подвел бычка, смущенно
Поклонившись хевисбери?

„დადგა დახრილის თავითა“ — აქ ალუდას ვაჟკაცურ თავშე-
კავებაზე, გულანის ჯვარისადმი მორჩილებაზე მიგვითიებს; ივნე-
ვი კი ამას მორცხვობად მიიჩნევს — И подвел бычка, сму-
щенно поклонившись хевисбери.

კვლავ არაზუსტი თარგმანია, გმირის ბუნების საჭინააღმდეგო:

ამის გამგონე მინდიას
მაუწყლიანდეს თვალები.

Миндия все это слушал,
Слезы лил в душевной муке.

მინდიას თავშეკავებული ბოლმა-წუხილი, რომელმაც „თვალე-
ბი მაუწყლიანა“, არ ნიშნავს —

Слезы лил в душевной муке...

Еле сдерживая слезы,
Слышил Миндия проклятья! —


როგორც დერუავინი თარგმნის.

ამრიგად, რიურიკ ივნევისეული „ალუდა ქეთელაურის“ რუსუ-
ლი თარგმანის დასახასიათებლად შეიძლება ვთქვათ:

1) მთარგმნელმა ვერ შეძლო გადმოეცა „ალუდა ქეთელაურის“
პოეტური სამყაროს მთელი ბრწყინვალება. იგი იმთავითვე შეიზღუ-
და რვამარცვლიანი ტაეპით, რამაც რიგ შემთხვევაში ეპიური უღე-
რადობა დაუკარგა პოემას.

2) ივნევის თარგმანში უხვადაა პროზაიზმები, რითაც დედნის
ბევრი შესანიშნავი ტროპი უკვალოდ დაიკარგა.

3) მთარგმნელისეული გადახვევები და ჩანართები ზოგჯერ



უადგილოა.

4) ივნევი ვერ გარკვეულა დედნის ზოგიერთ ნიუანსში. პირველი ბუნდოვანი, უხერხული გამოთქმებიც.

მიუხედავად ზემოთქმულისა, უსათუოდ უნდა აღინიშნოს, რომ თარგმანში გვხვდება მოსაწონი და ბრწყინვალე მონაცემებიც. კარგად თარგმნის ივნევი ზოგიერთ ცალკეულ ეპიზოდს, ზოგჯერ იგი დედანთან სკრუპულობური სიახლოვითაც გვანცვიფრებს. მაგალითად:

ცუდას რად უნდა მტერობა,
კარგია მუდამ მტრიანი!

ივნევმა ამ ტაეპთა აფორისტული სტილი შეინარჩუნა:

Лишь храбрец богат врагами,
Трус иметь врагов — боится.

კარგი თარგმანია:

გველმა ვერ გაჭრა ლიბოი,
დღესაც ცოცხალივ არია.

Жало змей не подточило
Стен, державшихся и ныне.

დედნის პოეტური სული, შენელებული ინტონაცია, შებინდების წყნარი სურათი კარგად გაღმოუცია მთარგმნელსაც:

დაბნელდა, წყალნი ტირიან,
კალთა გვეხურვის ღმძისა;
ღროვა ვარსკვლავთა უიფერის,
მცერევა ბალახზედ ნამისა,
მევდართ სულთ საფლავით
გამოსვლის,
დრო მთ სიმღერის წყნარია,
დევნი გამოვლენ კლდიდამა,
ხევ-ხუვში ეხეტებიან.
ყველამ ივახშმა და ახლა
საძილედ ემზადებიან.

Смерклюсь. Тихо плачут воды,
Что они покрылись тьмою.
Звезды вспыхивают в небе,
И трава блестит росою;
В это время на могилах
Говорят душа с душою.
Из расщелин скал выходят
Дэвы — с призраками скожи.
Люди ужинать кончают,
И ко сну готовят ложе.

კარგადაა თარგმნილი ალუდას შემაძრწუნებელი სიზმარი, პოემის ფინალი და სხვ.

უნდა ითქვას, რომ ამ პასაუების თარგმანის სიკეთე კიდევ უფრო გამოკვეთილად წარმოგვიღებენ ზემოაღნიშნულ ხარვეზებს. ამრიგად, ივნევისეული თარგმანი მოკლებულია „მთლიანობას“; მას, რა თქმა უნდა, ვაჟას პოემების საუკეთესო თარგმანთა რიცხვს ვერ მივაკუთვნებთ. ესაა „ალუდა ქეთელაურის“ რუსულად გაღმოცემის პირველი საინტერესო ცდა.



ვაჟა-ფშაველას პოემების 1947 წლის რუსულ გამოცემისათვის
დაიბეჭდა „ალუდა ქეთელაურის“ დერუავინისეული თარგმანისათვის
ვლ. დერუავინმა არ მოიწალინა დედნის რვამარცვლიანი სალე-
ქსო სტრიქონის შენარჩუნება და ამით მეტი გასაქანი მისცა რუსულ
ლექსს. თუმცა თარგმანი არ არის დაზღვეული ზოგიერთი ხარვეზი-
საგან, საერთო შთაბეჭდილება ძალიან კარგია. დერუავინისეული
ძარღვიანი სტრიქონი და გამოქვეთილი რიტმული უღერადობა ჩი-
ნებულად შეესატყვისება დედანს.

თვალსაჩინოებისათვის შევაჭეროთ ერთმანეთს ორიოდე პა-
საჟი:

გათენებისას ჭიუხში
შურთხმა დარეკა ზარიო,
ძალლებს კი სძინვა თეოზე,
ჯერ არ გაშლილა ცხვარიო.
მალე შააგდო ალუდმ
ქისტების ნავალს თვალიო.

Звонко горная индейка
Запевает на утесах.
Рассветает... Догоняет
Вора быстрый сокол скал.
Дремлют псы сторожевые.
Овцы спят. Все травы в росах,
Вскоре разглядел Алуда
След, которого искал...

დაბნელდა, წყალნი ტირიან,
კალთა გვეხურვის ღამისა;
დროა ვარსკვლავთა უიკუიის,
მცვრევა ბალაზედ ნამისა,
მქვდართ სულთ საფლავით
გამოსვლის,
დრო მათ სიმღერის წყნარია.

Потемнело. Воды плачут:
«Ночь подолом нас накрыла!»
Час, когда мерцают звезды,
Росы падают в траву.
Час, когда поют уныло
Души вставших из могилы,
Выползают дэвы, бродят
По ущельям наяву...

პოემა თითქმის თავიდან ბოლომდე უდიდესი ექსპრესიით არის
თარგმნილი; მაინც გამორჩევით შეიძლება დავასახელოთ ალუდას
სიზმარი, ხევისბერის წყვლა, პოემის ფინალი და სხვ.

დერუავინის თარგმანის უპირველესი თავისებურება და მისი
გამარჯვების საწინდარიც, ჩვენი აზრით, შემდეგშია საძიებელი: ვა-
უს ლექსის ერთფეროვანი საზომისა და რითმის, „გარევნული“
ეფექტების სიმცირის კვალობაზე, მისი პოეზია, უდიდესი შინაგა-
ნი პოეტური ძალის წყალობით, ერთი ავტორის სიტყვათა პერი-
ფრაზი რომ გამოვიყენოთ, სასწაულს უახლოვდება². ვაჟას პოეზიის

¹ Важа Пшавела, Поэмы, ОГИЗ, 1947.

² К. Чуковский, Высокое искусство, ж. «Искусство», 1964, стр. 168 — «Литература в высших своих достижениях есть чудо».

ამ თავისებურების „გადმოლება“ მთარგმნელის მიერ შეუძლებლად
მიგვაჩნია. მთარგმნელიც ახდენს ხოლმე „სასწაულს“, მაგრამ კულტურული
მისი საკუთარი „სასწაულია“.

ასევეა დერჟავინთანაც. ის მიმართავს რთულ საზომსა და გაუ-
ცვეთავ რითმას (ზოგჯერ შინაგანი რითმაც კი გვხვდება — Рану-
затыкает лежа, он с травою с придорожья), არ ერიდება ალი-
ტერაციების უხვ გამოყენებასაც. სწორედ ესაა მთარგმნელისეული
„სასწაული“ — ვაუას უმდიდრესი პოეტური სამყაროს სანაცვ-
ლოდ:

И рассвирепел Алуда,
Глянул гневным волчьим глазом.
Франкский меч из ножен вырвал;
Словно луч, блеснул клинок.
Над быком клинком взмахнул он,
Голова скатилась наземь.
Кликнул он: «Душа Муцала
Жертвы кровь да будет впрок!»

ალიტერაციის მაგალითებია:

Черенок меча проверил...
Догоняет вора быстрый сокол
скал...

Привинтил кремень к ружью...

გვხვდება ალიტერაცია ამგვარ დიდებულ თარგმანშიც:

На челе чернеют тучи
Что из сердца поднялись.

დერჟავინს ძალდაუტანებლად გადმოაქვს ამგვარი აფორიზ-
მები:

ცუდას რად უნდა მტერობა,
კარგია მუდამ მტრიანი!

Удалец богат врагами, —
Кто же трусу будет враг?

შენ რო სხვა მაჲკლა, შენც
მოგვლენ, რო უბიეც
მკვლელს არ შაარჩენს გვარია.

Кто убил — убитым будет, —
Род убийцу не прощает!

ბრწყინვალედ „დასძლია“ მთარგმნელმა იღიომები თუ ანდა-
ზები:

— ტყუილად სცდები ალუდავ,
ტყუილად იცვეთ პირსაო.

«Зря ты здесь стоишь, Алуда!
Зря ты мелешь языком!»

ბერდია ჭავარიშლილი
ხალხისკე იზამს პირსაო.

Хевисбер, как зверь ошерясь,
Взглядом на народ блеснул.
ЧАРІЗАМУЩА

ძაღლი ძაღლის ძვალს არ სტეხსო... Песней кости пес не гложет.

მთარგმნელი უმთავრესად ერიდება მრავალსიტყვაობას, თუმცა
ზოგჯერ ზედმეტი ლაკონიზმით აუბრალოებს დედანს. მაგალითად:

შატილს ჭერ არ ჩასწდომია
შუქი შუადღის მზისაო,
არ ჩაუშვებენ ჩამსვლელსა,
ცა ახურია კლდისაო.

Все еще не день в Шатиле.
Над селом — стальная высь.

თარგმანში გამოტოვებულია სტროფი:

„წესი არ არის მტრის მოკვლა,
თუ ხელ არ მასშერ დანითა“.
ვაი ეგეთას სამართალს
მონათლულს ცოდვა-ბრალითა.

ალუდასა და მუცალის ორთაბრძოლის ეპიზოდის თარგმანში
გამოტოვებულია ორი სტროფი; რის გამოც ეს მონაქვეთი საკმაოდ
ბუნდოვანია.

ეს სტროფებია:

— ნუ გვინავ, მჟირდეს, რჯულ-
ძაღლო.

ყმასა გუდანის ჭვრისასა.
ხმა ალუდაის თოფისა
ჭეხასა ჰეგანდა ცისასა.
— არ მოგხვდაუა, რჯულ-ძაღლო,
ნამტცრევს მაშლიდა კლდისასა...

უნდა ითქვას, რომ ალუდას სიტყვები, „სამ მე ვესროლე, სამ—
იმან, მესამით დავასრულია“, მაინცდამაინც ზუსტი არ არის. მარ-
თალია, ალუდამ სამჯერ გაისროლა, მაგრამ პირველი ნასროლი ხომ
მუცალისათვის არ იყო გამიზნული. ალუდა-მუცალის ორთაბრძო-
ლია კი ტექსტის მიხედვით ასე გვესახება: ალუდამ მეორე გასრო-
ლით მოულო ბოლო ქისტს.

დერუავინი ზუსტად თარგმნის:

Трижды я в него стрелял,
Трижды — он.

მიუხედავად ამისა, მთარგმნელმა ალუდას მხოლოდ ერთხელ
„ასროლინა“.

Выстрел. И заряд шатильца
Кисту пробивает грудь.



та́рхма́нши о а́лла́дда-мұ́са́лды́с ә́йи́ләнди, а́лла́дда с әтбәллә́нди
Жүе́шлә:

— о́х, жи́л га́збә́рдай,
шы́ркә́бда с ти́шесе.
— ма́лла да́гы́лда, бе́кіз,
күнкі́бда с а́ра сү́йір с ә́йи́ләнди.

«Хо! Гляди — пробила шапку,
Прядь волос моих задела.
Плохо целил, бесталанный!
Череп цел, — и я живой!»

Мата́рхма́нши үе́р һа́сшү́ләнди ზо́ги́рт би́тәнис. Мага́ләнти́а:

А́ра үү́зәт, бе́кіз, үнба́с,
шы́ркә́б-а́шләнди мү́зда́рда!
бе́кіз, шы́ркә́б-а́шләнди
да́кто́рдай си́ләнди ә́йи́ләнди.

Много раз поток кровавый
Уносил отсель в долины
Мертвецов с багряной пеной
На взъерошенных усах.

А́я „шы́ркә́б-а́шләнди“ да́кто́рдай си́ләнди ә́йи́ләнди үнди ә́йи́ләнди
титоги́дай; ғи́на а́лмада́г үе́мтө́зәвә́ш, ә́ра ши́ни да́аиңтү́ркә́рдән ә́йи́ләнди үнди
асе́ти үмбіншы́нди ә́йи́ләнди? си́ләнди ә́йи́ләнди, ә́ра ши́ни да́аиңтү́ркә́рдән ә́йи́ләнди
шы́ркә́б-а́шләнди „да́кто́рдай си́ләнди ә́йи́ләнди“ һа́зжы́с да́а а́ра ғы́збәди.

Ки́де́з үртә Мага́ләнти́а:

Мү́ләвізде́з ғе́бас ә́ркү́зән,
шы́нчы́д ә́ләнди а́риом.

Руку правую не рубит,
Говорит: «Ведь это — грех!»

Да а́мас а́мбәнди а́лла́дда, ә́рмәләмдә ғи́на ә́йи́ләнди үнди
та мага́ләнди мұ́са́лды́с ды́бы!

Де́рхүа́зибо́ни та́рхма́нши ғи́зде́з ғи́зде́з үа́зтү́ркә́рдән үе́пәнди:

Та́рхма́нши ғи́зде́з ғи́зде́з
мұ́са́лды́с ды́бы са́нда мү́ләвізди,
ғи́зде́з ғи́зде́з ғи́зде́з ғи́зде́з
ег ә́ркү́зәнди ә́йи́ләнди.

У седла везет он руку
Брата младшего Муцала,
Хоросанский меч «базалу».

Да а́риом ә́рмәләмдә, а́мас ғи́зде́з ғи́зде́з үа́зтү́ркә́рдән үе́пәнди
„күе́ләнди“ а́мгүа́рди та́рхма́нши:

А́шләнди са́нда мү́ләвізди
жи́рдә, ғи́зде́з ғи́зде́з ғи́зде́з

Ястреба — птицеубийцы
На ловитву полетели.

Си́ләнди „птицеубийцы“ да „ловитва“, ә́рмәләмдә са́нда
а́шләнди, та́рхма́нши ғи́зде́з ғи́зде́з ғи́зде́з ғи́зде́з
ә́йи́ләнди та́рхма́нши.

თითქოს საქმაო რაოდენობით ხარვეზები ჩამოვთვალეთ / მაგ/ /
რამ არა გვგონია, რომ მათ მთლიანად დაჩრდილონ დერუავინის / გვთავა/ /
ინტერესო და შთამბეჭდავი თარგმანის ღირსება.

ცალკეული ნაკლოვანებანი დედნისა და თარგმანის გამოწვ-
ლილვით შეჯერებამ წარმოაჩინა; მკითხველისათვის კი დერუავინი-
სეული „ალუდა ქეთელაური“ უმთავრესად მთლიანობაში აღიქმე-
ბა, დიდებული დასაწყისიდან მოყოლებული — დამაგვირგვინებელ
ბოლო სტროფამდე:

И покинули родную
Землю путники навеки...
Цепенеют горы. Ветер
Мчится, снежен и слепящ.
Вот за перевалом скрылись.
Не видать следов на снеге,
Только издали донесся
Одинокий женский плач.

ლაურა გრიგოლაშვილი

ბარინა ცვეტაევა — ვაშას მთარგმნელი

(„ეთერისა“ და „დაჭრილი ვეფხვის“ მიხედვით)

ვაჟა-ფშაველას „დაჭრილი ვეფხვისა“ და „ეთერის“ ცვეტაევა-სეული თარგმანების შესწავლაში მეტი დამაჯერებლობა მისცა იმ მოსაზრებებს, რომელიც „გოგოთურ და აფშინას“ თარგმანის ანალიზისას გამოითქვა². „გოგოთურ და აფშინას“ აღნიშნული თარგმანი, ჩვენი დაკვირვებით მაქსიმალურად უახლოვდება ორიგინალის იდეურ შინაარსსა და ინტონაციურ ულერადობას. ამ სიახლოეს აპირობებს ცვეტაევას მიერ ზომიერებით გამოყენებული არქაული ლექსიკა, ალიტერაციის ხერხით აგებული სტრიქონები, ორიგინალისეული აფორისტული მეტყველების ტენდენციის გამკაფიოება თარგმანში, ცვეტაევასეული ლექსის სიმსუბუქე და დინამიურობა. ცვეტაევას მიერ მიღწეულია ვაჟას მხატვრული მეთოდის წვდომა: თარგმანში მოცემული ფიგურალური სახეები თითქმის თავსდება კონკრეტულ საგანთა წრეში.

განსახილველ პოემათა თარგმანებშიც, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, თავი იჩინა იმ მხატვრულმა ხერხებმა, რამაც „გოგოთურ და აფშინას“ წარმატებით თარგმნა განაპირობა.

მხატვრული ნაწარმოების თარგმანის განხილვა ორი მიმართულებით შეიძლება წარიმართოს. ერთი, როცა ვამოწმებთ ორიგინალისა და თარგმანის შინაარსობრივ იდენტურობას, მეორე, — როცა მათი გამომსახველობითი ელემენტების ტოლფასოვნებას ვაღვინო.

ჩვეულებრივ, ნაკლებ ინტერესს შეიცავს ორიგინალისა და

¹ თარგმანები გამოქვეყნებულია წიგნში: В а ж а П ш а в е л а, Поэмы, Огиз, 1947.

² იხ. ლ. გრიგოლაშვილი, „გოგოთურ და აფშინას“ ცვეტაევასეული თარგმანი, კრებული „ვაჟა-ფშაველას“, თბ., 1966.

თარგმანის სიტყვა-სიტყვით შედარება და ყოველი განსხვავების აღნუსხვა, რადგან ეს არ ჰქმნის მხატვრული ნაწარმოების ღირებულებას და ასეთი დაკვირვებით თარგმანზე მთლიანი შთაბეჭდის დამატება არ გვეძლევა. ამასთანავე, თითქოს შეუძლებელია რაიმე შეიცვალოს, ვთქვათ, ისეთი თხრობის თარგმანში გადატანისას, როგორიცაა:

გოდერძიმ სახლი აიგო
მამისგან უარყოფილმა,
კერძო იჩინა მან ბინა,
ვით უკანონოდ შობილმა.
დაკარგა მემკვიდრეობა
ტახტის მემკვიდრედ ცნობილმა.
(„ეთერი“).

მაგრამ მ. ცვეტაევას აქვს სათარგმნი პოემების შინაარსისადმი თავისუფალი დამოკიდებულების ორიოდე შემთხვევა; რაში მდგომარეობს ეს თავისუფალი დამოკიდებულება? რამ განაპირობა იგი? შეაქვს თუ არა მას ცვლილება ვაჟას პოემების გაგებაში და თუ შეაქვს — როგორი?

პოემაში „დაჭრილი ვეფხვი“ ხელმოცარული მონადირე შემწეობას სთხოვს ადგილის დედას:

ლამის ვერ მოვკლა ნადირი,
ჯავრი შავსჭამო მტრისაო.
ადგილის დედავ, მიშველე,
შენც მომიმართე ხელია,
ნუმც გაცრუვდება, შენს მადლსა,
სიზმარი წუხანდელია.
წინად თუ გამცხადებია,
ეხლა ცხადდება რაობით,
მე ხომ ამ სიზმრით ვნადირობ,
ნადირს ვხოც იმავ თაობით?

ჩვენ არ გვეჩვენება არსებითად ის, რომ მ. ცვეტაევასთან შესაბამისი ადგილი ნაცვლად ათი სტრიქონისა ოცდაოთხი სტრიქონით არის გადმოცემული. თუ მთარგმნელი ამა თუ იმ პოეტური სახის მთლიანად გადატანას ვერ ახერხებს და სანაცვლოდ შემოთავაზებული ხატი რამდენიმე სტრიქონით მეტს მოითხოვს, ასეთ შემთხვევაში წონასწორობას ამყარებს არა სტრიქონთა რაოდენობის შესაბამისობა, არამედ მხატვრული სახეების თანაბარი ღირებულება. მარინა ცვეტაევასთან კონკრეტულ შემთხვევაში სხვა ფაქტორი მოქმედებს. მთარგმნელს გაუხსნია, განუმარტავს რუსი მკითხველი-სათვის ის ქვეშინაარსი, რომელიც ნავარაუდევია ორიგინალში:

Матерь мощная! Царица
 Векового рубежа,
 Горной живности хозяйка,
 Всей охоты госпожа,
 Все охотники — сновидцы!
 Род наш, испокон села,
 Жив охотой был, охота ж
 Вещим сном жива была:
 Барс ли, страшен, орл ли, хищен,
 Тур ли, спешен, хорь ли, мал, —
 Что приснилось в сонной грезе —
 То стрелок в руках держал.
 Матерь вещая! Олена
 Мне явившая в крови,
 Оживи того оленя,
 Въяве, вживе мне яви!
 Чтобы вырос мне воочью
 Исполин с ветвистым лбом!
 Чтобы снившееся ночью
 Стало сбывшееся днем.

Ճ աեսնօլօս, տպ հաս նօնեավ ՝ազգոլոս Ծըզա«, և ա հ՛մենոտ
 արօն ճայազմօրեածուլո մաստան մռնագորեածո, և արօն ու սօնմարո,
 հուս աեցենասաւ ոտեաց տարյալո. մաշրամ ամցար ՝Շըզեածա«, հռ-
 չորչ ալշնօնեատ, տզոտ ձումա ցուլուսեմօծ. թ. Ազեթայաս մըոտեզը-
 լուսատակու ցայտալուսինեածո «ազգոլոս Ծըզա« Շնաարսո. մտացա-
 րաս ու, հռմ յս ցաշրջոնալո օգցոլո ցալցիսոլո կոմենքարսո ոյրե
 յո ար աբարյածո, արամեա նամցալո ձութուրոնօտա ալեյքուլո.

՝յուրօնու մարինա Ազեթայասյալ տարցմաննո ցամունցեածուլոս
 զայս Շըմլեցո սტրօյոնեածո:

ան-յո հաս մարցեած ծեծերսա
 ասեո ցաեսնա ցուլուսա;
 ճանե հռմ յրտցուլո վելեածո
 իցենու ցրմենցուլոտա սխուլուսա.
 ճացինազ յաչու յալմանսա,
 Շոշ հացարո, հացայքրօալեած,
 սայմես ցահարեազ, ցուլերսու
 ճացինու ճա ազարիոալեած.

Շըմլեածու ցայտոյիրա, հռմ թ. Ազեթայամ ցեր Շըմլոս ՝յաչու-
 յալմանու ճամբնօնսա« ճա ՝ցրմենցուլ սօնցատա հայքրօալեածու« յմբո-
 ցալցենքուս մուցեածո ճա ամութօմաւ սյարա ցայրօն մռտանոլո օգցո-
 լոս տարցմնաս, մաշրամ ՝յուրօնու « նածոլուցուսյալո տարցմաննու-
 անալոցուրմա մդցոմարյած ցայտոյիրեածոնա, հռմ Շըմլեած յս յու-

Зиурхри ՅՇԿԱՐԵԾՈՍԵՑՈՂԻ ոյսն. այս տպ ու օսք, ամ ՀՅՈԼՈՂԵՑՈՒՆ ԵԱԾՅՈՒՆ
մոյեցիս մտլուանո Շինարևուսատցու դուռը կշալո առ ՀԱՄԲԻՆԵՑՈՒՆ
մաշրամ թ. ՀՅԵՒԹԱԵՎԱԾ մոյեր տարգմանշո ՑՈՂՑԵՐ ՇԵՐԱՆԿԵԼՈՎԱՆՄԱԿ
տո ԲՈՂԱՆՏԵՑՈՒՆ, ՀՐԱՄԵԼՈՒԱ որոցինալու Շինարևու մանցրամանց
շեր ցշոնքն. մագալուադ, զայստան ՏՄԵՐԱԾՔԵՑՈՂՈ շուրջ ՇԵՐԱՒՐՈՒ
ՑՄԱՆՑՈՂՈ: «Ան ՄԿՎՃԱՐԸ ՇԵՐՆ ԾԿՑՈՂՈ եթու եթու ՑՎԱԾ ԸԱԾԵՑՈ
ՆԱ», յև ՀՅԵՒԹԱԵՎԱԾ այս այցել ցալմուցողուն:

Только этим и страшна мне
Смерть, глубокая земля,
Что под камнем не слышна мне
Будет песня соловья.

Եյց ՀՅԵՒԹԱԵՎԱ ՑԵԺՄԵՐՈ ՑԳՐԺԵՆՑԵԼՈՒՑ ԱԺՅՄԵՑՈՆԵՑ շուրջուն:
«Զնալա բ, զնալա բ, ու գաճա բ, սоловի պոյու օ չեմ».
Իշեն աչիրու, մուրանու մագալուացուն զայս պատռու յրտցար ցա-
յալնեցածտան ցայցը սայմե.

Կուրեց ՇԵՐԱԾՔԵԼՈ մագալուացուն լասաելուն: մագա-
լուադ: Մեց ցշոնքն ինածրացուն ՇԵՐԱԾՔԵԼՈ յրտցար ցուցու-
նու, զեծուրեց մուրնեցուն յուրազեն կայրուն: «ՅՇՐՈԱԾ կարցա, կարցա ձա-
ւծիրանցեծ, սվորեսա», մաշրամ, ցշնեցուն ՇԵՐԱԾՔԵԼՈ: «Եց ցրնեցուն
սայմե, իշեն ճալ-լոնենց ՇՈՐԵՍԱ», զոյուտեաւու, ցոյժիրուն, զոմու-
նու այս ուրու թամալուն. տարգմանշուն յու զեծուրու լասելունիսացան մեռ-
լուն յևսա ճարհենուն: «Օ, պար և վոյդի! Ետո դելո կոլծուսկու,
Превышиает нашу мощь». ամ ձասուեցուն զեծուրու սաեց ծոլումնու
առ արու ԵԱԽԵՆԵՑՈՒՆ, մյուտեաւու ՇԵՐԱԾՔԵԼՈ յրտցարուն, հրամ զեծուրեց ու
յու առ յուրնեց մեց յա ցանցանցուացուն, արամեց տազունան օպուլու-
նեց ճազալուն ոյնեց ու մուրուուաց, հրամ առ տանսցրնենեց մաս;
ան կուրեց: ՀՅԵՒԹԱԵՎԱԾ սյուլ ցամութուզեցուն յրտցարու սայստարու տազո-
սալուն ցամութանուն մեշացրու: «Ծմերու լամթացուն ամուտա, հրամ
ուսուցնեց յարհու լուրջուն տացուն չանուտա!» յրտցար իշեն թարմո-
ւցենամու թմոնց սոյցարուլուսատցուն ցանցուրուլուն ումանցունեց յանսա-
նուրեց ճա իսնե, թ. ՀՅԵՒԹԱԵՎԱԾ մաշրամ ճանաելուն յրտցարուն միշ-
եարեց ամուն սուրուալուն մոմենտուն թամուրու յամարուեցուն մուհի-
նուցան.

մաշրամ յանսցենեցուն ձուրուն և. իօյուանու տանաեմաց, «յրտցարուն»
ՀՅԵՒԹԱԵՎԱԾ սեցուլ տարգմանշուն լամթացուն ՑՈՂՑԵՐ յութուստուն յեցին
նայլունեց մենշենելունցան լերտալունեց լա ձուրուն մեստրուլ Շինար-
ևսուն ամուտ արսցուու արայուրու ՇԵՐԱԾՔԵԼՈ.

¹ В а ж а Պ ш а в е л а, Պօէմա, Օգիզ, 1947, стр. 6.

სირთულე თარგმანის განხორციელებისას ამბის გადატენაშე კულტურული კონტაქტის განვითარებას არ მდგომარეობს, არამედ იმ უმაღლესი მხატვრული აზროვნების წევდომაში, რომლითაც ასე გამოიჩინავ ვაჟა. ცვეტაევასეული თარგმანები სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ.

„ეთერი“ განსაკუთრებით რთული სათარგმნია. ძნელია მოვთხოვოთ ვინმეს, იდენტური ნაცვალი მოუძებნოს ისეთი სიძლიერის მხატვრულ მეტყველებას, როგორიცა:

ჩავიდა უღრანს უფსკრულსა,
ესმოდა ქოთი, ღრიალი,
დევთა ლხინის და მღერისა
შესაზარები ზრიალი.
ცეცხლი დაენთოთ ძლიერი,
გარს უსხდნენ ყორებივითა,
თავ-ცხირი წამოეშვირათ
სალის კლდის ლოდებივითა;
დაღრენილი აქვთ ლაშები,
სალუდეს ქობებივითა.
წითელს იქნევდნენ ენებსა,
გრძელებსა შოთებივითა,
მსახურად ედგნენ ჭინკები,
ჭყიოდნენ ჭორებივითა.

(„ეთერი“)

ან კიდევ:

თვალები ცეცხლისა უსხდა,
კბილები ჰქონდა მინისა,
ცალიერს ძვლებზე ზედ ეკრა
ტყავად ფურცელი რკინისა;
ფეხები ჰქონდა ციცისა,
და, თმის მაგივრად, სულმაღლსა,
მოკლე ფაფარი კვიცისა.

(„ეთერი“)

აქ საქმე გვაქვს პოეტური ხილვის ისეთ უშუალობასთან, რომლის უბრალოდ გადათარგმნა შეუძლებელია. ეს სურათები თავიდან უნდა შეიქმნან, ახალი შთაგონებით უნდა დაიბადნონ! ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ აქ გამოვლინდა მ. ცვეტაევას, როგორც მთარგმნელის, მაღალი ოსტატიბა. მან ნამდვილ გამარჯვებას მიაღწია, როცა ზემომოტანილ ხატებს თარგმანში ვაჟას პოეზიის ელგარება მიანიჭა და მკითხველს მიაწოდა როგორც ორიგინალური ნაზრევი:

Видит Шерэ: под ногами,
 Где река бежит, быстра,
 Адским зраком, красным маком
 Блеск бесовского костра,
 И спустился визир Шерэ
 В бездну, красную, как медь,
 У бесовского веселья
 Душу черную погреть.
 Уж и дэвы! Уж и хари!
 Очи — бешенных котов,
 Пасты пенистые — шире
 Пивоваренных котов.

ასევე ძლიერია მეორე ნაწყვეტის თარგმანიც:

Вместо глаз у старца угли,
 Зубы — битое стекло,
 Кости голые железо
 Листовое облегло.
 Уши — рыси, когти — грифа,
 Чинной старости венца
 Не ищи — седин почетных!
 Ибо — грива жеребца.

ჩვენ საგანგებოდ დავკვირდით, თუ რა არის ვაჟას პოემათა
 მხატვრულ სახეთაგან ცვეტაევას მიერ გადატანილი და როგორ.
 აღმოჩნდა, რომ თარგმნისას იგი ცდილობს არ დაკარგოს ვაჟას
 არცერთი პოეტური სახე და ამ მხრივ ჩვენთვის სრულიად მოულო-
 დნელ ზედმიწევნილობას აღწევს.

ზოგჯერ ხერხდება ორიგინალისეული ნათქვამის ზუსტი შესა-
 ტყვისის მოძებნა. მაგალითად:

1. კვნესოდა, როგორც ვაჟაცი
 მტერზე ჭარბ-ამოუყრელი,
 მუდამ მდებარე მტრის ფეხ-ქვეშ,
 ვით მთა ჭანლ-გადაუყრელი.
 („დაჭრილი ვეფხვი“)

Стонет он, как муж могучий
 Под подошвою врага!
 Стонет, как гора, что тучу
 Сбрасывала — не смогла!

2. კლდის პირზე წყარო ჩამოდის,
 ხმას იწმენდს ხრინწიანასა,
 და ქაფს უსომდა კლდის პირებს
 წითელსა, სისხლიანასა.
 („დაჭრილი ვეფხვი“)

С можжевеловой вершины
 Мчит ручей хриплоголос,
 Пеной моет, — все ж не может
 Дочиста омыть утес.

3. ცას აჩ გაუხსნავ გულ-მკერდი,
 შაკრული ცეცხლის ღილითა,

Скоро ль небо приоткроет,
 В жажде утренней земной,

ჭერ არ შეცვლილა წყვდიადი
პირმომღიმარის დილითა.
(„ეთერი“)

4. ჭალას აძრახდის ხოხობი,
ზარივით დაიზრიალის;
(„ეთერი“)

5. თვალთგან, ვით კლდეზე ჩანჩქერი, სლезы катятся по скулам —
ცრემლები ჩამოსდიოდა.
(„ეთერი“)

6. შავია, როგორც ნახშირი,
როგორც ფისი და კუპრია.
(„ეთერი“)

Грудь, застегнутую солнца
Пуговицей огневой?



Серебром на всю долину
Звякнет горлышком фазан.

Что с утеса водопад.

Чернотою превосходит
Уголь, деготь и смолу.

ცვეტაევასეულ თარგმანებში გვხვდება ისეთი სახეები, რომელთაც ზუსტი შესატყვისი არ გააჩნია ორიგინალური, მაგრამ ვაჟაშვილის შესატვრულ შინაარსს არ არიან დაცილებული და ამ შინაარსისვე ჩვენებას ემსახურებიან. მაგალითად, ეთერის სახის ვაჟასეულ აღწერას მ. ცვეტაევა უმატებს შემდეგ ხატებს:

1. Как луна одна на небе —
Так в лесу она одна.
2. Сонмы ангелов нисходят
По лучам ее ресниц.
3. Не катались бы как слезы,
Дни сиротские мои.
4. Только с птицами лесными
Я беседую в лесу.
5. Обнял девушку царевич
Что орел ширококрыл.

პოეტის მიერ შექმნილი ეს სახეები ერთგვარი ანაზღაურებაა ვაჟას იმ სტრიქონებისა, რომლებიც თარგმანში არ გვხვდება.

* * *

ვაჟა უჩვეულოა თავისი ლექსიების დიაპაზონითა და სიტყვის ემოციური ძალით. ვაჟას პოეტური მეტყველების მთარგმნელი სიტყვის გრძნობის ტალანტით უნდა იყოს დაჯილდოებული. მ. ცვეტაევა ამ მხრივ ნამდვილი შემოქმედია. ვლ. ორლოვის დახასიათებით:

«М. Цветаева не изобретала новых слов, брала, как правило, обиходное слово, но умела так его обкатать, передавить и перековать, что в нем начинали играть новые оттенки [значения].

а. ცვეტაევა თარგმნისას აღოცხლებს უქველეს რუსულ ლექ-
სიკას, შემთაქვს სასაუბრო და ხალხური მეტყველებიდან ისეთი
სიტყვები, რომლებიც ახალ კონტექსტში განსხვავებულ ელფერს
იობენ. მაგალითად: ოჩიგინალისეული „პირ-მზითის“ — „თოვლი
ლხვებოდა პირ-მზითში“ („დაჭრილი ვეფხვი“) — გადმოსა-
ცემად მ. ცვეტაევა ნაცვლად «долина»-სი არჩევს სიძველის დაღ-
დასმულ სიტყვას: „дол“-ს. („В долы оползни ползли“). შესაძ-
ლოა, როგორც ჩვენთვისაა უჩვეულო „პირ-მზითი“ თავისი კუთხუ-
რი წარმოშობის გამო, მსგავსადვე განიცდება რუს მკითხველში არ-
ქაული „дол“.

ღლევანდელი რუსი მკითხველისათვის ჩვეულებრივისაგან გან-
სხვავებული ელფერის მატარებელი უნდა იყოს ცვეტაევას მიერ
უხვად გამოყენებული ისეთი სიტყვები, როგორიცა: матерь
(«Матерь мощная! Царица векового рубежа»), око
(«Смотрит в око человеку, оком желтым, как смола»), прядать
(«Но как стаду вслед не прядал,... к мчащимся
не подошел»), сокрыть («И сокрылось. Сном сокры-
лось!»), коли («Скоро лани станут львами, коли барс смири-
ней овцы»), вволю («В волю нализавшись соли, стадо воз-
вращалось в высь»), разить («Рази, пищаль!»), испокон
(«Род наш испокон села, живи охотой был, охота ж ве-
щим сном жива была»).

ამ სიტყვებს დაბრუნებული აქვთ თავიანთი სიცხოველე და
მეტყველებას განსაკუთრებულ ფერადოვნებას ანიჭებენ.

* * *

ბ. ცვეტაევამ შესძლო ვაჟას პოემათა ღიდებული ატმოსფეროს
შესაფერისი ახმოვანება რუსულ ენაზე. მან გადალახა ენის საზღვ-
რები და რუსული ლექსის რკინისებური ფორმა მიუსადაგა ვაჟას.
ცვეტაევამ საამისოდ მოუხმო თავისი ნიჭის ყველაზე არსებით
თვისებას (пишу исключительно по слуху — წერდა მ. ცვეტაევა) და შეგნებულად გაამკვეთრა პოემის ბგერწერა. მ. ცვეტაევას თით-
ქოს უშუალოდ ესმის ვაჟას, ვთქვათ, შემდეგი სტრიქონების უღე-
რადობა:

სოლობით გულ-გაცოფებულმა
ირემშა დაიღრიალის;
ან მოსქდის ზოვი მთიდამა,
დაიძრის, დაიხრიალის;
ახავდის შველი დამთხვარი,
კოდალმ დაიკრიალის;
ჭალას აძრახდის ხოხობი,
ზარივით დაიზრიალის.

(„ეთერი“)

ან ქიდევ:

მსახურად ედგნენ ჭინკები,
ჭყიოლნენ ჭოტებივითა.
(„ეთერი“)

თითქოს ამ ატმოსფეროში შევყავართ ცვეტაევას მიერ შემდეგ-
ნაირად თარგმნილ სხვა ტაეპებს:

1. Шелест листьев словно шопот
Затаенной тишины.

(«Этери»)

2. Хриплым зовом, черным словом
Оглашает даль и близъ.

(«Этери»)

3. Голодень. Качает усталь
Кости поскрипом скрипят.

(«Раненый барс»)

ზოგჯერ ვაუასა და ცვეტაევას ინტონაციათა ისეთ მსგავსებასთან
გვაქვს საქმე, თითქოს თვით ვაუა ამეტყველებულიყოს რუსულად-
მაგალითისათვის „დაჭრილი ვეფხვის“ დასაწყისს დავასახელებთ:

თოვლი ლხვებოდა პირ-მზითში,
ბარდანი ჩამოლიოდა.
ნამარილევი ჯიხვის ხრო
პრი-აღმე შემოღიოდა.

Таял снег в горах суровых,
В долы оползни ползли.
Снежным оползням навстречу
Звери-туры в горы шли.

გ. ცვეტაევას ლექსის ინტონაციური სიახლოვე ვაჟასთან უფრო
გამოჩენდება, თუ ამავე პოემის ზაბოლოცკისეული თარგმანის ტო-
ნალობას გავიხსენებთ:

საქართველო
გიგანტები

Растаял снег на солнцепеке,
Ручьи, звеня, скатились вниз.
Напившись в соляном потоке,
К вершинам туры поднялись¹.

ჯერ ერთი, ვაჟას „ლ ხ ვ ე ბ ო დ ა“ უწყვეტელია და ზაბო-
ლოცკის „растаял“ აფერხებს ლექსის დინამიკას. გ. ცვეტაევა კი
დროსაც შესაფერისს არჩევს (таял снег) და ლექსის ზომასაც;
რვა და შვიდმარცვლიანი ტაეპების მონაცვლეობა უკეთ ერგება ვა-
ჟას რვამარცვლიან ტაეპებს, ვიდრე ზაბოლოცკისეული ლექსის
ზომა.

სავსებით ერთნაირად უღერს აგრეთვე „ეთერის“ დასაწყისი
სტრიქონები დედანსა და თარგმანში:

რა უდაბური ჭალაა,
როგორ დიდრონი მთებია,
მაგრამ სოფელი არსად სჩანს,
არსად სავალი გზებია!

Выше гор уходят горы
Дальше глаз уходит дол,
Ни жилья бы не увидел
Пешеход — кабы добрел.

აქ ერთ მომენტსაც გვინდა მივაჭციოთ ყურადღება. ქართული
ვერსიფიკაციის მკვლევართა მიერ შენიშნულია, რომ ქართული
ლექსის ტაეპის დასასრული ინტონაციურად ყოველთვის ხაზგაუსმე-
ლია.² ამ მხრივ გამონაკლისი არც ვაჟას სალექსო სტროფია. გ. ცვე-
ტაევას მხოლოდ ინტუიციით შეეძლო ქართული ლექსის ბუნებას
მისწვდომოდა. ყოველ შემთხვევაში, მის თარგმანებში თითქმის თა-

¹ Важа Пшавела. Стихотворения и поэмы, перевод с грузинского Н. Заболоцкого, Л., 1957, гл. 105.

² ა. გამოცხადია, ქართული ლექსი, გამოცემა მეორე, თბ., 1955, გვ. 82.

ვიღან ბოლომდე ეს წესია გატარებული, აქცენტური მწვერვალი
ყველგან სალექსო სტრიქონის შუა ნაწილზე მოდის:

მწვერვალი
კარიბები
ვიგჟირობა

Выше глаз уходят горы
Дальше глаз уходит дол.

ჩა უდაბური ჭალაა!
როგორ დიდრონი მთებია.

* * *

მაგრამ ჩვენი დაკვირვებით მარინა ცვეტაევასეულ თარგმანებს
ზოგჯერ აკლია დელნისეული უბრალოება და სისადავე. ეს ნაკლი,
შეიძლება ითქვას, ახასიათებდა „გოგოთურ და აფშინას“ თარგმან-
საც, მაგრამ „ეთერსა“ და „დაჭრილ ვეფხვში“ უფრო იჩინა ამან
თავი. ამ თარგმანებში ზოგი ადგილი მოწოდებულია ხაზგასმული
მაღალფარდოვანებითა და სიმკვეთრით. იქ, საღაც ვაჟას ლექსს
ნათელი და ბუნებრივი მდინარება აქვს, მ. ცვეტაევა ხელოვნურო-
ბით აღბეჭდილ ფრაზებს გვთავაზობს. მაგალითად:

1. უკვირდა მონადირესა
მარცხი დლევანდლის დღისაო.
(„დაჭრილი ვეფხვი“).

Злу дивится, дню дивится,
Ну и зол, дивится день.

2. ვაი, თუ მალე მოგწყინდე,
მალე გამცვალო სხევაზედა;
ლვთის ფიცი გამატეხინო,
ჭირი მომიგდო კარზედა!
(„ეთერი“)

Но цветов в долине много
Каждый свежестью хорош;
С этого цветка на встречный
Скоро взгляд переведешь
И останусь я, печалью
Скошенная ниже трав.

3. მე მაშინავე გავიგე,
რაჭამს ეთერი პნახეო,
მეხად დაგეცა თავზედა
მაშინვე ქალის სახეო.

Знаю, знаю царский визирь,
Что пронзила, как стрела,
И, как молния, сожгла
Красота лесной пастушки.

(„ეთერი“)

ასეთ ადგილებში მ. ცვეტაევა-პოეტი ცვლის მ. ცვეტაევა-მთარ-
გმნელს და პოემებში გარკვეულ ლიტერატურულ სკოლაგავლილი
პოეტის ხელშერა ჩნდება. მაგალითად, „დაჭრილი ვეფხვის“ თარგ-
მანში სავსებით ცვეტაევასეულია შემდეგი სტრიქონები:

1. Выстрелил! Но мимо пуля!
Не достала, быстрая!
Только шибче поскакали
Быстрые от выстрела!

2. Звери вскачь, охотник следом,
Крупный пот кропит песок
Трижды обходил в обход их
И обскакивал в обскок.

3. Пестрый несся — злостный
въелся.



4. Легкий — робкий — быстрый—
близкий
Зверя шопот сквозь листву.

პოეტური პარალელიზმები (пестрый несся — злостный въелся), მიჭრილი ეპითეტები (легкий — робкий — быстрый — близкий), უკიდურესი ალიტერაციები (крупный пот кропит песок и обскакивал в обсок), მოულოდნელი რითმები (быстрая — выстrela), მარინა ცვეტაევას შემოქმედების ზერელედ გაცნობის შემთხვევაშიც კი ოვალში ხვდება და ამასოვრდება მკითხველს როგორც პოეტის უკიდურესად დამახასიათებელი მანერა.

მ. ცვეტაევა თარგმნისას, ერთი შეხედვით, თითქოს ზედმეტ თავისუფლებას იჩენს. მაგალითად, ვაჟა-ფშაველას ეთერის სახის შესაქმნელად პოეტური გამეორების ხერხისათვის არ მიუმართავს; ვაჟასთან ერთხელ ამოიკვნესებს ეთერი: „ნეტავ, ან სახე მახსოვდეს: ან ხმა მახსოვდეს დედისაო!“ მ. ცვეტაევასთან კი ეს ნატვრა მრავალგზის მეორდება:

Хоть бы образ свой сиротке
Мать оставила в помин!
Хоть бы голос свой, голубка
Завещала сироте!
Хоть бы уст своих улыбку
Позабыла уходя!.
Хоть бы что-нибудь сиротке
Мать оставила в помин!
Хоть бы уст своих улыбку
Взгляд очей своих один!

მ. ცვეტაევა ასევე თვითნებურად განმეორების ხერხს მიმართავს სხვაგანაც. ვაჟა წერს:

წამოდგა ქალი ეთერი,
მთვარე ამოჰყვა პირზედა;
თავით ბალიშად ქვა ედვა,
ლეიიბად — შამბი ძირზედა.
თვალებში ჩაჰეჭი სოვებოდა
ზღვა-ხმელი ერთიანადა,

მთელი ქვეყანა შიგ ბრწყინავს
 თავის ხატ-ღმერთიანადა.
 გვირჩვინად ტრფობა დასდგმოდა,
 სხივს გვჭენს წამწმების ხილითა,
 ცასა და მიწას მაღლს ჰფენდა
 უხვებით კიდის-კიდითა;

თარგმანში ეს ადგილი შემდეგნაირ სახეს იღებს:

П од ня ла сь Этери с ложа:
 Тюфяком ей был тростник,
 Плоский камень — изголовьем,
 П од ня ла Этери лик,—
 И всю землю озарила
 Бедной девушки краса.
 П од ня ла Этери очи—
 Отразила небеса.

Погруженная в раздумье,
 П оглядит Этери ниц —
 Сонмы ангелов нисходят
 По лучам ее ресниц.

შ. ცვეტაევას მიერაა შეტანილი „ეთერის“ ფინალში გონება-
 წართმეული შერეს წარმოსახენად ტრაგიკული ჟღერადობის:
 «День и ночь, и ночь и день он на пороге точит нож». ამ ფრაზას ვარირებული სახით სხვადასხვა კონტექსტში ხუთჯერ
 იმეორებს მთარგმნელი.

ვფიქრობთ, რომ მოტანილი მაგალითები იმის საილუსტრაცი-
 ოდაც გამოდგება, თუ როგორ შეიძლება წაიკითხო და გადმოსცე
 ვაუა თანამედროვე პოეტიკას ღაუფლებულმა შემოქმედმა. შ. ცვე-
 ტაევას არცერთ შემთხვევაში არ უღალატნია ვაუას თხზულებათა
 სულისთვის და ყოველთვის მისი, რაც შეიძლება, სრულად გადმო-
 ცემისათვისაა მოწოდებული.

ჩვენ აღარ ვეხებით თარგმანისა და ორიგინალის ურთიერთმი-
 მართების სხვა მომენტებს, რადგან მათმა გათვალისწინებამ ახალი
 არაფერი მოგვცა თარგმანის დასახასიათებლად.

სამყაროს და თავის თარგმანებს პირველქმნილი პოეზიის უწყვალოობა
ბა და ინტენსივობა მოუპოვა.

მ. ცვეტაევას თარგმანებმა, მ. მანდელშტამის, ბ. პასტერნაკის,
ნ. ზაბოლოცკის და სხვათა თარგმანებთან ერთად, ვაჟას რუსულად
თარგმნის ტრადიციას სათავე დაუდო და ამით გააფართოვა ვაჟას
მკითხველთა და თაყვანისმცემელთა წრე, გვიჩვენა, თუ რამდენადაა
შესაძლებელი სხვადასხვა ტალანტმა სხვადასხვანაირად წარმოსა-
ხოს ვაჟა თავის ენაზე.

არსებითია ის, რომ მარინა ცვეტაევა მისწვდა ვაჟა-ფშაველს
სამყაროს და თავის თარგმანებს პირველქმნილი პოეზიის უწყვალოობა
ბა და ინტენსივობა მოუპოვა.
მ. ცვეტაევას თარგმანებმა, მ. მანდელშტამის, ბ. პასტერნაკის,
ნ. ზაბოლოცკის და სხვათა თარგმანებთან ერთად, ვაჟას რუსულად
თარგმნის ტრადიციას სათავე დაუდო და ამით გააფართოვა ვაჟას
მკითხველთა და თაყვანისმცემელთა წრე, გვიჩვენა, თუ რამდენადაა
შესაძლებელი სხვადასხვა ტალანტმა სხვადასხვანაირად წარმოსა-
ხოს ვაჟა თავის ენაზე.

ეგზი კარბელაშვილი

ვაჟა-ფშაველას „მოხუცის ნათევამის“ და „პოპალას“ სერიაზრიაკოვისული თარგმანი

ჩუსმა პოეტმა-მთარგმნელმა ბორის იაკობის ძე სერებრიაკოვშა (1890 — 1959) გარკვეული წვლილი შეიტანა საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურის და, კერძოდ, ქართული ლიტერატურის ნიმუშების პოპულარიზაციის საქმეში. საკმარისია ითქვას, რომ მის კალამს ეკუთვნის თარგმანები ჩვენი ისეთი სასიქადულო პოეტების ნაწარმოებებისა, როგორიცაა: ნ. ბარათაშვილი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, გ. ტაბიძე, ს. ჩიქოვანი, გ. ლეონიძე და სხვ. დიდი სამატულო ომის პერიოდში და მანამდეც ვერ ვნახავთ ქართველი პოეტების რუსული თარგმანების კრებულს (როგორც საქართველოში, ისე რუსეთში), რომ არ იყოს შესული ბ. სერებრიაკოვის თარგმანები.

ბ. სერებრიაკოვმა ლექსების წერა აღრე დაიწყო, მაგრამ ფაქტიურად სტუდენტობის პერიოდიდან იწყება მისი ლიტერატურული მოღვაწეობა. პეტერბურგში დაინტერესდა იგი დიდი ბელგიელი პოეტის ემილ ვერპარნის შემოქმედებით და მალე ვერპარნის ორი წიგნის თარგმანი გამოაქვეყნა! დამწყები პოეტის ამ პირველ ლიტერატურულ ცდას იმდროინდელი კრიტიკა გულთბილად შეხვდა. 1920 წელს უკრნალში «Художественное слово» დაიბეჭდა ვალერი ბრიუსლოვის წერილი «Книги о Верхарне», რომელშიც ეს გამოჩენილი პოეტი და ლიტერატურის თეორეტიკოსი წერდა: «...Чувствуется, что переводчик на верной дороге: он стремится сохранить и передать все существенное в каждой поэме и в каждом стихе».

¹ Эмиль Верхарн, Безумие полей, пер. с разрешения автора Б. Серебрякова, СПБ, 1914 (1918); Эмиль Верхарн, Двенадцать месяцев, пер. Б. Серебрякова, ПГД, 1919.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1916 წელს, ბ. სერგე-
რიაკოვი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. 1921 წლიდან, დემობ-
ლიზაციის შემდეგ ის უბრუნდება ლიტერატურულ მოღვაწეობის
ამ პერიოდის მისი ერთ-ერთი საინტერესო ორიგინალური თხზუ-
ლებაა პოემა «Саят-Нова», რომელიც 1928 წელს ცალკე წიგნად
დაიბეჭდა. ამ პოემაში უკვე შეინიშნება ბ. სერებრიაკოვის დაინტე-
რესება ქართული კულტურით და ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვ-
რებით. ამ პოემაში მან სრულად გამოიყენა ცნობილი ქართული
ზღაპარი გოგია მეჩინგურეს შესახებ და მისი პოეტური ვერსია სა-
იათნოვას მიაწერა. საქართველოთი დაინტერესება მომდევნო
წლებში პოეტს უფრო უღრმავდება. 1934 წლიდან პოეტი უკვე
თბილისში გადმოვიდა და სიცოცხლის დასასრულამდე საქართვე-
ლოს დედაქალაქში მოღვაწეობს. ამ პერიოდში ბ. სერებრიაკოვმა
თავისი თარგმანების 25-მდე წიგნი გამოაქვეყნა. 40-ზე მეტი წიგნი
მისი მონაწილეობით გამოიცა ამიერკავკასიაში და 30-მდე მოსკოვ-
ში, მათ შორის ვაჟა-ფშაველას რჩეული ნაწერების კრებული
(Важа Пшавела, Избранные произведения, Тбилиси, 1939), რომელშიც შესულია ბ. სერებრიაკოვის მიერ თარგმნილი ვაჟას
პოემა „დაჭრილი ვეფხვი“, თხზულებათა ორტომეულში კი
(Важа Пшавела, Сочинения в двух томах, М., 1958) «Если
плакать захочу я», «Над прахом Николоза Бараташвили»,
«Александру Казбеги» და პოემა «Рассказ старика», რომელიც
1943 წელს, ცალკე წიგნად იყო გამოცემული თბილისში.

ცალკე წიგნადაა გამოცემული აგრეთვე სერებრიაკოვის მიერ
შესრულებული თარგმანი ვაჟას პოემებისა «Дзаглика Химикаუ-
ри» (1943), «Копала» (1945).

ამჯერად, ჩვენი ანალიზის საგანია „მოხუცის ნათქვამისა“ და
„კოპალას“ სერებრიაკოვისეული თარგმანები, ამასთანავე აღსანი-
შნავია, რომ აქამდე „მოხუცის ნათქვამი“ სხვას არავის უთარგმნია.

რუსულად „მოხუცის ნათქვამის“ სამი გამოცემა არსებობს.
პირველად იგი გამოიცა თბილისში 1943 წელს, მეორედ — 1947
წელს ლენინგრადში, მესამედ — 1958 წელს მოსკოვში. ამ გამოცე-
მათა შეჯერებისას გამოირკვა, რომ 1947 და 1958 წელს გამოცე-
მული ტექსტები იდენტურია, ხოლო 1943 წლის გამოცემა მათგან
განსხვავდება. მეტ-ნაკლებ სხვაობას 30-მდე სტრიქონი იძლევა.
ჩვენთვის ამოსავალია პირველი, 1943 წლის გამოცემის ტექსტი,
რადგან ნაირკითხვათა დიდი ნაწილი ამ გამოცემის სასარგებლოდ
მეტყველებს და იგი უფრო ახლო დგას დედანთან.

მაგალითად:



ორიგინალი (1961 წლის გამოცემა)

რომ საქართველო თათარმა
აიკლს, ჩაწვას ცეცხლშია...

თარგმანის 1943 წლის გამოცემისას

Если неверные станут
Грузину жечь дорогую...

1947—1958 წ. გამოცემები

Если враги на отчину
Вновь нападут дорогую...

1943 წლის გამოცემა

ჩვენის რჯულის მტერს, მუხანათს,
ზიანს ვერ დავდებ მყერდზედა.

Не уничтожу врага я
Веры прадедовской нашей.

1947—1958 წ. გამოცემები

Старый я, — где мне с врагами
Биться, как прежде, бесстрашно?!

ორიგინალის ემოციურად დაძაბული სტრიქონები 1947 და 1958 წლების გამოცემებში შეცვლილია უფერული, სუსტი გამოთქმებით. თარგმანში მებრძოლი მოხუცი ბედსშერიგებულად გვევლინება, მაშინ, როდესაც ვაუასეული მოხუცი ბრაზმორეული სინაულით ჩინის თავის უძლურებას. მასში არ ჩამქრალი მტრის სიძულვილი, მხოლოდ მოდუნებული სხეული აღარ ემორჩილება. 1947 და 1958 წლების თარგმანებში მოხუცის შემტევი ტონი ზერელე დეკლარაციით არის შეცვლილი.

ასეთივე ტონის დამდაბლებასთან გვაქვს საქმე უფრო ქვემოთაც:

1943 წლის გამოცემა

ეს რა დროებას მოვესწარ?
გმოიცვალა ქვეყანა,
მამალიც ჰყივის სხვაგვარად,
კაცსა სძულს მისვლა კაცთანა;
ბიჭები გალაჩრებული
ყბედობენ სიყვარულზედა;
უმსგავსო მათი სიცილი
ეკლად მეხევა გულზედა.

Дожил я, — время какое!
Все изменилось в природе:
Крик петуха изменился,
Люди друг друга обходят;
Юноши стали трусливы,
Все о любви лишь болтают;
Смех их бесстыжий мне в сердце,
Словно игла, проникает.

1947 — 1958 წ. გამოცემები

Время настало иное,
Все изменилось здесь ныне:

ՀԱՐՅԵԴ

Крик петуха изменился,
Стали и люди иными;
Юноши все о любви лишь
Играх, забавах мечтают;
Грустно смотреть на них, доблесть
Наших времен вспоминая.

Իռողորշ զեցազտ, 1947 და 1958 թլեბის გամოცემებში էլեქտրօն յմուստրադ Շեսկաբյուլուս. ისեთո մշակումը գծութիւն, Իռողորշ պատճենը՝ «გալահրեծուլո» (1943 թլու գամոცեմանու «трусливы») և այլուս գամութուզեծուլուս.

თարգմանու ամ մոցանու գամոცեմեծու յիշու բնեბու մեռնետու շեցվածու մագալութեծու զբեցլեծա:

1943 թլու գամոცեմա

յաբժա յալոծա դանչյու,
յութառնե, սուպա-նանչու,
ցյուրնա և պարուն օսոմն,—
ման առ մոմոցա ծրանչու?!

Женственны стали мужчины,
Чванятся, речь их слава,
Красятся, пудрятся, — как же
Не возмущаться мне, право?!

1947 — 1958 թ. գամոցեմեծու

Должен мужчина быть храбрым,
Речь его — твердой и правой
Да позабыли вот, — как же
Не возмущаться мне, право?!

1943 թլու თարգմանու, օսեզ Իռողորշ որոշունալու, մոենց աղթութեծուլուս զայկացեծու դայնինեծու, մատ յալեծ աջարյեծ. 1947 — 1958 թլեբու գամոցեմեծու կո գուամեթրալուրադ սավոնալութեցու բնեծեծու թարմուցենուլու — զայկացու սասուրզու ամրությունու սասպարու:

Должен мужчина быть храбрым,
Речь его — твердой и правой...

Իռողորշ նշեմու ալբոնեյտ, ագրոնությունու (1943 թ.) գամոցեմանու թուրու նշեմու ալբոնեյտ արու մեաթրուլուս արու նշերուլությունու. Իրավու սարքաբանու մուտքանու 1943 թլու գամոցեմա, ամութու որոշունալու ամ գամոցեման նշեցությունու.

Իռության զունակաց ձությունու նախարմուցու տարգման, սուտությունու շասատզալու նշեմու ալբոնեյտ արու մեաթրուլու արու նշերուլությունու. Ես սունելու մարտլան օմքենադ լուսու, Իրմ պատահու ալբոնեյտ տարգման նշեմու ալբոնեյտ արու մեաթրուլու արու նշերուլությունու ամ գամոցեման նշեցությունու.

კომპრომისთა ისტორიაა. ამასთან, მთარგმნელის ნიჭისა და ინტუიციაზე დამოკიდებული, თუ ორიგინალური ლექსის რომელ ელემენტები მენტს წამოსწევს წინ და რას მიიჩნევს მეორეხარისხოვნად. ვიდეოეფექტები ვაჟას „მოხუცის ნათქვამში“ მოხუცის მონაყოლით მოწოდებული სიუჟეტია მთავარი, რამდენადაც თვით ვაჟას პოეტური აქცენტი უფრო აქტოვენაა გადატანილი, ვიდრე ლექსის მხატვრული სამკაულისაკენ.

მთარგმნელმა ბ. სერებრიაკოვმა პოემას სწორედ ამ კუთხით შეხედა და მახვილიც ნაწარმოების ამ მხარეზე გადაიტანა.

„მოხუცის ნათქვამში“ არც თუ ისე ხშირად ვხედავთ ვაჟასეულ ბრწყინვალე ხატებს, რომლებიც მის პოეზიაში ხორციელდება სხვადასხვა პოეტური ტროპებით.

ანალიზმა გვიჩვენა, რომ მთარგმნელისათვის მთავარი ყოფილი „მოხუცის ნათქვამის“ სიუჟეტური განვითარების, ამბის თხრობის მანერა და ეთნოგრაფიული რეალიების დაცვა. მთარგმნელი ცდილობს შინაარსობრივად გაყვეს დედანს და, რამდენადაც შესაძლებელია, მხატვრულ ეფექტისაც მიაღწიოს.

პირველი, რაც თვალში ეცემა თარგმანის მკითხველს, ეს შინაარსობრივი სიზუსტეა, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მთარგმნელი ყოველთვის ახერხებს მის დაცვას. მისწრაფებას, რაც შეიძლება მეტად დაუახლოვოს თარგმანი დედანს, მთარგმნელი ზოგჯერ უკიდურესობამდე მიჰყავს და არის შემთხვევები, როდესაც იგი აუბრალოებს, ამძიმებს ლექსს.

ხშირად ლექსს პროზაულ ელფერს აძლევს მისი გადატვირთვა ნაწილაკებითა და ნაცვალსახელებით:

Как бы с упреком из близких
Кто-нибудь не обратился,
Чтоб не сочли его слезы
Признаком старости, страха,
Чтоб не сказали, что слаб он,
Плачет он, Патара Кахи.

ორგან გაუმართლებელი არქაული სიტყვების ხმარების შემთხვევებიც გვხვდება:

Царь сожалел нас всем
сердцем,

Слезы дрожали на веждах...

Плакальщицы для чего нам,

Женщины в черных одеждах.

ეს ოთხი სტრიქონი რამდენიმე შენიშვნას იმსახურებს:

პირველ სტრიქონში ნახმარი სიტყვა «сожалел» თანამედროვე რუსულ ენაში იხმარება სინანულისა და არა სიბრილულის მისახატავად. ვაჟასთან კი სწორედ ლაპარაკია იმაზე, რომელმცველება ერეკლეს ებრალებოდა ომში მიმავალი ჯარი;

მეორე სტრიქონში ნახმარია სიტყვა «вежды», რომელიც მაღალფარდოვან არქაიზმს წარმოადგენს. ვაჟა-ფშაველას პოემაში ამბავს მოხუცი გლეხი ყვება და მის მეტყველებაში ეს მწიგნობრული სიტყვა არაბუნებრივია;

მესამე სტრიქონში დარღვეულია ლექსის რიტმული სტრუქტურა. როგორც ვიცით, დაქტილურ მეტრში მახვილი, ჩვეულებრივ, ტერთის პირველ მარცვალს მოუდის, ორი მომდევნო მარცვალი კი უმახვილოა. იმის გამო, რომ მთარგმნელმა ოთხმარცვლიანი სიტყვა «плакальщицы» მოიტანა, ამ სიტყვის უმახვილო მარცვალი მახვილის ქვეშ აღმოჩნდა, რამაც რიტმის დარღვევა გამოიწვია.

ასევეა სხვა სტროფშიც:

Вскочь понеслись наши кони,
Мой тоже стал горячиться;
Сразу его обуздал я,
Мчавшегося, будто птица.

თარგმანში აქა-იქ სტილისტური სიჭრელეც შეინიშნება. ერთგან, სადაც ვაჟას ლექსი სადაა, მთარგმნელი შედარებით მაღალფარდოვან გამოთქმებს ხმარობს.

„შესახედავად კარგნია“ — ამბობს ვაჟა მთიელთა ლაშქარზე, «Стройные, медленно шествуют» — თარგმნის ბ. სერებრიაკოვი.

„აღელვდნენ ვაჟკაცებია“, —
ვაჟა-ფშაველა.

«Встали могучие станом» —
ბ. სერებრიაკოვი.

მეორეგან მთარგმნელი ზომაზე მეტად აუბრალოებს ორიგინალს:

„ჩემს დროსა ქალი ვაჟკაცსა
შეიყვარებდა მაშინა“ —

წერს ვაჟა,

სერებრიაკოვი თარგმნის:

«Толь было времечко наше!»

„რომ მეც მოვახტე შავრასა“ —
წერს ვაჟა,

«Вспрыгнул и я бы на лошадь» —



გვთავაზობს მთარგმნელი.
ვფიქრობთ, ვაუასეულ „შავრას“ შესატყვისად არ გამოღებდნენ
«лошадь», რადგან „შავრა“ მკითხველში განსაკუთრებული ცხე-
ნის, უფრო რაშის ასოციაციას იწვევს.

თარგმანში ვხვდებით რიგ არაზუსტ გამოთქმებსაც. მთიელთა
ჯარს ელის ერეკლე მეფე მტერთან ბრძოლაში შემწედ და აი ისი-
ნიც გამოჩნდნენ:

ცოტა ხანს შემდეგ მოისმა
მათი სიმღერა მკვნესარი....
არწივთა მაღლის მთისათა
ნეტავ რად უნდა მქებარი!

პ. სერებრიაკოვი ამ სტროფს თარგმნის შემდეგნაირად:

Песня потом загремела,
Сила была в том напеве...
Горным орлам разве нужен
Славящий их песнопевец?..

„სიმღერა მკვნესარი“ არ ნიშნავს სიმღერის სიძლიერეს;
მთარგმნელი კი გადაჭრით ამბობს: «Сила была в том напеве».
დედნის არასწორი გაგების შედეგია, რომ ვაჟას სტრიქონებს:

ათასფეროვნად ჩაცმულნი,
შესახედავად კარგნია.

სერებრიაკოვი ასეთ ინტერპრეტაციას აძლევს:

В пестрые ткани одеты,
Стойные, медленно шествуют.

მთიელებისათვის არ არის დამახასიათებელი ტანსაცმლის სი-
ჭრელე. ვაჟა აქ სხვადასხვა ფერის ჩაცმულობას ან ნაქარგ ტანსა-
ცმელს გულისხმობს და არა ჭრელ ქსოვილს.

ამავე რიგს განეკუთვნება შემდეგი სტრიქონის რუსული ვარი-
ანტი:

როცა ორმა-ლელეს გავედით — ვაჟა,

Вброд перешли через речку — სერებრიაკოვი.

გარკვეული გეოგრაფიული აღგილი „ლრმა-ლელე“ — «речка»-დ
არის ნათარგმნი.

ასევე არ შეიძლება „გველის-პირული ფრანგული“ ითარგმნოს
როგორც «змееподобные шашки»:

შემოკვალთულნი ჩოხებში
შტერს უცდის ქართველებით
და გველის-პირულს ფრანგულებს
აღნება ქარქაშებით.

Полы чохи приподнявши,
Ждем неприятеля в поле,
Змееподобные шашки
Рвутся из ножен на волю.

ჩვენი აზრით, თარგმანის უზუსტობის ზოგი შემთხვევა არა-
სწორ ბრწყარედს უნდა მივაწეროთ.

ამავე სტროფში, ჩვენი აზრით, ურიგო შესატყვისი არ არის გა-
მოძებნილი შემდეგი სტრიქონებისათვის: „და გველის-პირულს
ფრანგულებს აღნება ქარქაშებით“—«рвутся из ножен на волю».

ზოგიერთი სტროფის თარგმანს ვაჟას ლექსის სურნელი სდევს,
მაგალითად:

მთელი სიტურფე ქართლისა
იმას ესვენა მხერებზედა,
როგორაც შუქი მთვარისა
იალბუზისა ქეღზედა.

А на плечах его царских
Грузии всей обаянье,—
Будто на высях Эльбруса
Лунного света сиянье.

როგორც ვხედავთ, ვაჟას მიერ მხატვრული შედარებით შექმ-
ნილი ხატი სერებრიაკოვმა ზუსტად და დიდი გემოვნებით წარმო-
გვისახა.

თუ ვერ შევიძლოთ საცადი,
გაგვწირონ სასიკვდილოთა,
მოვკვდეთ — გვეხუროს მიწისა
ნაბადი, გასათბილოდა.

Если не выдержим, если
Смерть нас возьмет ледяная,
Ляжем, и пусть нас укроет
Теплая бурка земная!

ასე თარგმნის ბ. სერებრიაკოვი და რუსულ ენაზე ვაჟასეული
ხატის ბრწყინვალე ორეულს ქმნის.

ორიგინალის ლირიული ინტონაცია სდევს თარგმანის შემდეგ
სტრიქონებს:

გაწყდნენ სამშობლოს ერთგულნი,
მტრისა სისხლითა მთვრალნია,
დაიგეს მიწის ლოგინი,
დახუჭეს მუღმივ თვალნია.

Родины верные дети
Кровью врага захлебнулись,
Стала земля им постелью,
Сном беспробудным уснули!

რიგ შემთხვევაში ასეთსავე მაღალ დონეზე, თითქმის ყველა
კომპონენტის შენარჩუნებით აუღერებს მთარგმნელი ვაჟას სტრი-
ქონებს.

რაც შეეხება ვაჟა-ფშაველას პოემა „ქოპალას“, იგი „მოხუცის“

ნაოქვამისაგან“ იმით განსხვავდება, რომ ეს უკანასკნელი ერთ /
მთლიანი მონოლოგია. ამ პოემის სტრიქონებიდან ჩვენ გვესაუბრეთ
ბა ჭარმაგი მეომარი, რომელიც თავის სამშობლოს გმირულ შაო
სულს დასტირის და რომლის მხატვრულ პორტრეტს ავტორი მისი-
ვე მეტყველების მეშვეობით გვიხატავს.

სულ სხვაგვარად არის აგებული პოემა „კოპალა“. აქ ჩვენ
ვხედავთ თვით ავტორის მიერ რეალური სამყაროს ნახევრადზღაპ-
რულ გააზრებას მხატვრულ სახეებში. პოემაში მთელი სიდიადითაა
გაღმოცემული უძველესი რწმენის წარმართული ელემენტების
ქრისტიანიზაციის საფეხური, რომლის მხატვრული დანიშნულებაა
გვიჩვენოს ბუნების კეთილი ძალების გამარჯვება ბოროტზე. ეს
ღრმა ფილოსოფიური შინაარსი თავისებურ მხატვრულ ხატოვანე-
ბასაც მოითხოვს. „კოპალაში“ გარკვეულად ჭარბობს ეპიკური
ელემენტი, საზღაპრო ეპოსისათვის ღამახასიათებელი ნიშნების
უხვი გამოყენებით. ამ პოემაში ნაჩატიულ მომენტებსაც უფრო
დიდი ადგილი აქვს დათმობილი, რაც არა რომელიმე პერსონაჟის,
არამედ თვით ავტორის სიტყვებითაა გაღმოცემული.

ამით აიხსნება, ჩვენი აზრით, ის რომ მთარგმნელმა ამ ნაჩა-
ტიულ ადგილებს უკეთესი რუსული შესატყვისი მოუძებნა. მაგა-
ლითისათვის ავილოთ, პოემა „კოპალას“ საწყისი სტრიქონების რუ-
სული თარგმანი:

მოვარე არ ჩანდა ცაზედა,
ვარსკვლავნიც მიჩქმალულიყვნენ;
ნისლნი, დალლილნი ცურვითა,
მთის ყურეთ მიმალულიყვნენ.

Не было луны на небе,
Звезд укрылись караваны;
От скитаний утомившись,
На горах легли туманы;

საერთოდ ბ. სერებრიაკოვის მთარგმნელობითი მეთოდისათვის
ღამახასიათებელია ბწერედული თარგმანის მაქსიმალური მიყოლა
და დედნის შინაარსობრივი სიზუსტის დაცვა. მაგრამ როდესაც
თვით ბწერედი სცოდავს, თარგმანიც არ არის დაზღვეული ფაქ-
ტობრივი შეცდომებისაგან. მაგალითად:

ჩუმად მოვიდის ირემა,
დასწაფებოდა მდინარეს,
მაგრამ ტყესავე მიპართის
სიყრუც-სიჩუმით მძვინვარეს,
რა ნახის კვალი დევების
გარს მოსდებოდა იმ არეს.

У реки олень склонился,
Чтоб испить воды студеной,
Но, следы заметив дэвов
На окрестных горных склонах,
Он взглянул на страшный,
гневный
Лес, в молчанье погруженный.

ტყეიდან გამოსულმა ირემა დაინახა დევების ნაკვალევი და
ისევ ტყეს მიპართა, ე. ი. ტყეში შევარდა. თარგმანში კი ირემა

მხოლოდ შეხედა საშინელ, გაჩუმებულ ტყეს და თითქოს ვერც
მიხვდა რა მოხდა.

კოპალას მიერ ძლეული დევების ბელადი ბელელა ცდილობების
ცოდვების მონანიებას:

რაად დაგვოუბე კოპალავ,
ღევთ რად წაგვართვი ძალია?
ღევთაცა გვქონდა ფიქრადა
ზეცას მოგვეპყრო თვალია
და დაგვეჭდია ქედზე და
ღვთის საამური ვალია.

Почему лишил нас силы
И сгубил ты нас, Копала?
И у нас, у дэвов, тоже
Сердце к небу устремлялось
Мы мечтали в благодати
Божьей видеть эти скалы.

ორიგინალში ლაპარაკია იმაზე, რომ დევებს სურდათ ღვთის
საამური ვალის გაზიარება. თარგმანში კი ქედზედ დაჭდევა (ღვთის
ვალისა) გაეცემულია მთის ქედის მნიშვნელობით, რამაც სერიოზუ-
ლი ფაქტობრივი შეცდომა გამოიწვია. ეჭვი არაა რომ ზემოთ მოტა-
ნილი უზუსტობანი არასწორი ბრკარედის ბრალია.

სერებრიაჟოვისეული „კოპალას“ თარგმანში ზოგჯერ ვაჟასე-
ული ხატის ბადალსაც ეხვდებით. მაგალითად:

ხელუხლებელსა, უღრან ტყეს
ბუვი საბრალოდ ჰკიოდა.

В глухомани темной леса
Жалобно сова кричала.

მთარგმნელის მიერ გმოყენებული სიტყვა «глухомань» კარგ
მხატვრულ გაფორმებას აძლევს ვაჟასეულ სტრიქონებს რუსულ
ენაზე.

ან კიდევ:

ღამესა უფრო აღამებს
დიღი ტყე ფიჭვნარიანი:
თელა, ვერხვი და წიფელი,
ცაცხვი ტანჯავარიანი,
მიყრით ერთურთში დჟესულნი,
მუხა თავკარავიანი.
მზის სხივით არ იძოხება
დიღი ტყე შალდაყიანი,
ხელუხლებელსა მიდამოს
არსად სჩანს ნაკაფიანი.

По ночам еще темнее
Лес нетронутый дремучий, —
Сосны, ели, вяз, осина,
Липа, толща трав колючих
И дубы, густой листвою
Достигающие тучи.
В гущу леса пасть не может
Света луч с небесной кручи,
Не видать нигде деревьев,
Срубленных рукой могучей.

როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითებში, ისე რიგ სხვა შემ-
თხვევებშიც მთარგმნელი ცდილობს რუს მკითხველს გარკვეული
წარმოდგენა შეუქმნას ვაჟას ლექსის რიტმულ-რითმულ სტრუქტუ-
რაზე.

ფორმალური მხარის გარდა აქ დაცულია ორიგინალის შინარ-

სობრივი სიზუსტე და მისი ხატოვანებაც ჯეროვნად აჩის ნათულყოფილო.

საქონდის
პლატფორმა

ყველა, რაც ამკობს სიცოცხლეს,
გახდეს საჭმელად ჭიისა.
რადღა ვის უნდა შაშინა
ან მზე, ან მთვარე ცაზედა,
ხშირად ყვავილით ნაქარგი
მწვანე ბალახი მთაზედა;
გაზაფხულს მოსვლა მერცხლისა,
ჩქეფა, ჩერიალი ხევისა,
დღის წასელა, ღმის დაღვომა,
სიტკბო ბულბულის სტვენისა?!
დარჩეს მარტოლა ლრიალი
გაუმარლის დევისა?!

Все, что землю украшает,
Все для червя пищей станет,
И к чему тогда на небе
Солнца свет, луны сиянье,
На горах цветов душистых,
Трав зеленых прорастанье;
; Ласточек прилет весною,
Рокот бурных рек в ущельях,
Дня уход, рожденье ночи,
Сладость соловьиной трели?
Неужели только дэвам
Пировать здесь в самом деле?

პოემის თარგმნის მთელ მანძილზე მთარგმნელი, შეიძლება ითქვას, ფეხდაფეხ მიყვება ორიგინალს, ცდილობს შეინარჩუნოს ვაჟას ლექსის ლაკონიურობა და, რაც შეიძლება, ნაკლებად დააზიანოს პოემის მხატვრული ქსოვილი:

ია თალხ-კაბა ამოვა, —
ჟალი მგლოვარე ძმაზედა.
ზაფხულის ცემერა სწადიან,
პირის დაბანა ნამზედა,
არ დააცლიან, იცოცხლოს,
მიუხდებინ კარზედა,
შმაგად უჭამენ ფესვებსა,
მერჩე გაღავლენ თმაზედა.
მოკლე სიცოცხლე იასა
იმ უამით აწევს თავზედა.

Синеокая фиалка
Поднялась в кисейном платье. —
Словно девушка тоскует
О своем умершем брате.
Ей бы цветы, весной любуясь,
Умываться бы росою, —
Не дают, терзают, гложут
Стан цветка ватагой злую.
Оттого и жизнь фиалки
С быстротой бежит такою.

და სულ ბოლოს მთარგმნელმა კიდევ ერთხელ მოგვაწოდა ვაჟას ლექსის მშვენიერი რუსული ვარიანტი:

დილა საღამოს ნიშნს უგებს,
დღე ღამეს ებრძვის ძალზედა,
ნისლნი, ათას მხრით მომდგარნი,
დაისვენებენ მთაზედა.

Утро с вечером враждует,
С ночью спорит день румяный,
От скитаний утомившись,
На горах легли туманы.

აღნიშნული მაგალითებიდან ჩანს, რომ ბ. სერებრიაკოვს შე-
სწევს პოეტური ძალა ვაჟასეული მხატვრული სახეების წვდომისა.
სერებრიაკოვისეულ თარგმანებს უდავოდ ღირსეული ადგილი
უკავიათ ვაჟას პოეზიის ნიმუშების რუსულ ენაზე თარგმანის ისტო-
რიაში.

ნინო კონტრიძე

ვაჟას „ეთერის“ ზაბოლოცვისეული თარგმანი

მთარგმნელის წინაშეა ობიექტური რეალობა უკვე მზა მხატვრული ნაწარმოების სახით, რომელიც მან ახალ ენაზე უნდა აამეტყველოს. განსხვავებით პირველწყაროს ავტორისაგან, რომელიც თავისი სურვილის მიხედვით იჩევს თემას, გამოსახვის ფორმასა და ხერხებს, მთარგმნელი შეზღუდულია სწორედ ამ ნაწარმოებით, მისი მხატვრულ-სტილისტური სახით.

მთარგმნელობითი პრაქტიკა იცნობს ბევრ, უმაღლესი ნიჭით დაჯილდოებულ ხელოვანს, რომელთაც შეძლეს სათარგმნ ენაზე ახალი სიცოცხლე მიენიჭებინათ დედნისათვის. ეს თარგმანები ხელოვნების ნაწარმოებებია, რადგან მათში შენარჩუნებულია დედნის სული და ამასთანავე, მთარგმნელის ინდივიდუალობის წყალობით, გვევლინებიან განსხვავებული ეროვნული ლიტერატურის სრულფასოვან მხატვრულ ნაწარმოებებად.

რა თქმა უნდა, პოეტური ინდივიდუალობის აუცილებლობა თარგმანში არ იძლევა უსაზღვრო თავისუფლებას. მთარგმნელი დედნისაგან დამოკიდებული შემოქმედია. აქ უნდა გამოჩნდეს მისი ალო, ინტუიცია და ამავე დროს, მკვლევარის უნარიც. მთარგმნელს უნდა შეეძლოს უმთავრესის მოძებნა დედანში.

ამიტომ სავსებით ვერ გავიზიარებთ აზრს, თითქოს მთარგმნელი მუშაობისას რაღაც ერთი, გარკვეული პრინციპით უნდა ხელმძღვანელობდეს. ზოგ ავტორს¹ მიაჩნია, რომ თარგმანის საწყისი

¹ Л. Гинзбург, Вначале было слово, сб. «Мастерство перевода», М., 1959, стр. 291—292. «Мне кажется, что умение находить слово для поэта-переводчика состоит не только в том, чтобы в необходимости своего родного языка отыскать единственно верное слово, соответствующее слову подлинника, но и в том, чтобы в самом подлиннике найти то слово

სიტყვაა, სხვებს ხატი, ზოგს ინტონაცია და ა. შ. ასეთი შეზღუდვა —
საგან განთავისუფლება მთარგმნელს აყისრებს დიდ მოვალეობას: და
პასუხისმგებლობას — გაერკვეს ყოველ კონკრეტულ შემთხვე-
ვაში, სათარგმნად აღებულ ნაწარმოებში იძოვოს და შეარჩიოს
მთავარი, რაზეც დედანში მოღის ძირითადი მხატვრული დატვირთ-
ვა.

მაგრამ ის, რაც ასე აღვილად ითქმის, სინამდვილეში რთული,
ძნელად დასაკმაყოფილებელი მოთხოვნაა. შესაბამისად თავ-თავი-
ანთი პოეტური ინდივიდუალობისა, ვაჟას მთარგმნელები ნაირ-ნაი-
რად უბასუხებენ ამ მოთხოვნას.

ამის საილუსტრაციოდ ავილოთ რომელიმე აღგილი ვაჟას პო-
ემიდან „ეთერი“ და რუსულად მის თარგმანთა ნაირსახეობას დავა-
კვირდეთ.

ამ პოემაში ვკითხულობთ:

სთვლობით გულ-გაცოფებულმა
იჩემმა და იღრია ლის;
ან მოსქდის ზოვი მთიდამა,
და იძრის, და იხრია ლის;
ას ავლდის შველი დამთხვარი,
კოდალამ და იკრია ლის;
ჭალას აძრახდის ხოხობი,
ზარივით და იზრია ლის;
ზღაპარს უამბობს ნიავი,
ფოთლებმა და იშრია ლის.

აქ დახატულია ბუნების გამოღვიძების საოცარი სურათი. ეს
არ არის ლამაზიად და მომხიბვლელად ნაჩვენები სტატიკური პეიზა-
ჟი, აქ ყველაფერი ცოცხლობს, მოძრაობს და განიცდის. დიდი და,
შეიძლება, მთავარი მხატვრული სიმძიმე აქ ზმნაზე (და მის უჩვეუ-
ლო ფორმაზეც!) მოღის: დაიღრიალის, მოსქდის, დაიძრის, დაიხრია-
ლის...

ვაჟას ეს სტრიქონები სხვადასხვაგვარად უთარგმნიათ ნ. ზაბო-
ლოცვისა და მ. ცვეტაევას:

или ту деталь, от которой он будет «отталкиваться» в работе над дан-
ной строфой, а может быть стихотворение в целом!»; И. Любимов,
Перевод — искусство, «Мастерство перевода», М., 1963, стр. 256. «Мы
можем и должны выбирать в себя общую языковую атмосферу того или
иного автора, той или иной эпохи, но нельзя заимствовать выражения,
характерные именно для данного автора, им введенные в литературный
обиход».

Да рвется с вершины обвал,
Да серна спеша к водопою,
По выступам прыгает скал,
Да дятел колдует весною,
Да бьет в колокольчик фазан,
Наполнив окрестности звоном,
Да с песнею ветер-смутьян
Летит по долинам зеленым.

(Б. ზაბოლოცი)

То олень осенним ревом
Потрясет покой дерев.
Громким голосом обвала
Вдруг гора проявит гнев. ԱՌՋՈՂՈՅԻՆ
Серна вскрикнет, дятел стукнет,
Филин ухнет, каркнет вран,
Серебром на всю долину
Звякнет горлышком фазан... .

(Թ. ԱՅՐԵՎԱ)

Ամ տարշմանտա Շեղարյեծ զբոհվենեծ, հռմ մտարշմելլեծմա ցած-
մոցաւը լուսակա օքանուն ինքոնացուա, մթարձո լուսամոյա, ու, հաւ մու մեստ-
շրջուլ նուժուրյուն յմնու. մացրամ ամուսատցու տպությունմա մատցանմա
տացուսո, յրտմանետուսացան ցանսեցազեծուլո սամշալլեծմա ցամուցունա.
ზածոլուցում մաեցուո լուսացա լոյժի յրտսա լու ոմազ ագցոլուս
ցամեռուրյեծուլ «да»-ս լու ամուտ յշյմնա մթարձո բամբուս ցանցու; ԱՅ-
Շայզամ յո — նոնացան հումուտ լոյցամուրյեծուլո նմենցուո —
վսկրիկнет, ստукнет, ուխнет, կարկнет — ցածմուսու լուսակա օքանուն մելո-
ջոյա.

Եղանակու տարշմանշո մոլությունու լուսակա օքանուն ուղարկու և մեստշրջուլ-
յետուրյուրո մտլուսանուն ցածմուրյումա, պալկուլ շնչուստունատա
աղրուցեա և մատչե լուսականուն յշյասեծ տարշմանուն լուրյեծուլլե-
ծունու — մարտուրյեծու ար ոյնեծ. յարց տարշման մուտեռցեծ ցահեն-
ցու ու ցանցուրյեծու, ոնցուուրյուսուրո, հաւ մու լուսակա ու ցածմուն
ուրուցունալուր նախարմուց ենու. յարց տարշմանշո մյուտեռցելո սննդա
շրջունուն ազուրու, մուսեւազա աեալո յենուրուո յմուցունու. Տոյ-
քոյնուն մտարշմելո յշյելությունու մրացալո սկըցուոյսուրո Տոյ-
քոյնուրո յունուն ենուրուն ենու սուրությունու մուտեռցելո ար մարտու
լոյժի յուրյուրո և ուրանի յուրյունու ալեյշամուն ենու, եստյենու, անալո-
ցունու մուցենամու, արամեց սրությունու իւրյունուրուո սուրությունուն
մեստշրջուլո սակեցուն յշյեմեցամու, հաւ ցանցուրյեծու ցանցուրյունու-
լուն յմնու սրությունու ամ յշյեմեցուն ցամո. յս չյունու մեւալունամո
ո. յրենծուրյուն, հռուցուս վերձու: «Есть поэты, которые подда-
ются переводу: можно передать на другом языке не только
мысль их или образы, но порой и стихотворные приемы»¹
մացրամ ձումյունու «մանենուրո վամուս» և զերլյունու «վզոմու» ցա-
նունաւունուս ոչո այցենու: «Обаяние приведенных строк относится

¹ Сб. «Мастерство перевода», М., 1962, стр. 98.



к найденному сочетанию обычных слов, и его немыслимо воссоздать на другом языке»¹.

Доцент Сибирской филологической академии
Михаил Григорьевич Красильников пишет:

«Ах ах-маахе с тяжелым дыханием
Барабан барабан барабан
Да мечты мои ясны, отдохни, —
Утешение утешение утешение...
Еще раз да еще раз ламаши
На землю я пришел.

Здесь мы видим, что автор не пытается передать смысл каждого слова, а стремится передать общую атмосферу и настроение текста. Важно отметить, что в переводе сохранены стихотворный ритм и метр. Текст написан в прозаическом стихе, состоящем из пяти строк, каждая из которых имеет пять слогов. Рифмы: «ах», «барабан», «да», «утешение», «на землю». Стихи разделены запятыми и тире, что соответствует структуре оригинального текста.

Этери с соломы встает,
На сердце привычное горе.
Но — господи! — весь небосвод
В ее отражается взоре.

Михаил Григорьевич Красильников пишет:

«На сердце привычное горе» — это стихотворение, написанное в прозаическом стихе. Оно имеет пять строк, каждая из которых состоит из пяти слогов. Рифмы: «ах», «барабан», «да», «утешение», «на землю». Стихи разделены запятыми и тире, что соответствует структуре оригинального текста.

¹ Сб. «Мастерство перевода», М., 1962, стр. 98.

поди»-с да «Привычное горе»-с წყალობით შეიძინა სხვა, სენ
ტიმენტალური ქლერალობა.

ვაჟასთან ქალის სილამაზის ხილვა არ აღძრავს ცნობილი ტინქტებს. ვაჟას მიხედვით მოხიბლული ვაჟი ქალს ესაუბრება „კრძალვით“, „წყნარადა“, „მთრთოლარის სახითა“. არსად მინიშნებაც კი ვნებების ქარიშხალზე, როგორც ეს გაეგბულია რუსულში:

Глаза незнакомец претер
И снова взглянул на красотку.
И в самом разгаре забав
Вдруг сердце его закипело...

ასეთ თარგმანში ძნელია იმის ამოკითხვა, თუ რატომ მიგვაჩნია ჩვენ ვაჟა უალრესად თავისებურად იმითაც, რომ მისი გმირები, უბრალო ადამიანები, დიდი და კდემამოსილი გრძნობების მატარებელნი არიან. ვაჟასთან არამც თუ უადგილო, წარმოუდგენელია «красотка», წარმოუდგენელია «разгар-забав», რადგან ასეთ კავშირს მისი გმირების ურთიერთობა არ გულისხმობს. ეს უკვე აღარ არის ცალკეული ხარვეზი და გადახვევა ორიგინალიდან, ეს მეტია. ამით ვუხვევთ ვაჟას გზას, მის თავისებურებას და შესაძლოა კორნეი ჩუკოვსკის სიტყვები «искажение творческой личности переведимого автора»¹ — გამოდგეს ასეთი შემთხვევების საკვალიფიკაციოდ.

მაგრამ ცალკეული აღვილების მიხედვით არ შეიძლება მთელი თარგმანის შეფასება. დიდი პატივისცემის ღირსია შესანიშნავი პოეტი და მთარგმნელი ნიკოლოზ ზაბოლოცკი. დიდია მისი დამსახურება, მან ძალიან ბეჭითად და საგულდაგულოდ გააცნო რუს საზოგადოებრიობას ვაჟას სახელი. ზაბოლოცკის კეთილშობილური შრომის შედეგად მიიღო რუსმა მკითხველმა მეტნაკლებად სრულად ვაჟას პოეზია.

ნიკოლოზ ზაბოლოცკის, როგორც მთარგმნელის ინტერესი ვაჟა ფშაველასაღმი გასაეგბი გახდება, თუ გავითვალისწინებთ მის ორიგინალურ პოეტურ შემოქმედებას. განსაკუთრებული სწრაფვა ბუნების სურათების დახატვისაკენ, მისი რაობის ამოცნობისაკენ იგრძნობა ზაბოლოცკის შემოქმედების აღრეულ პერიოდში. ეს იყო ძიების, სულიერი ტკივილების დაუყუჩებლობის ხანა, რამაც განსაკუთრებით გაუღვივა პოეტს ინტერესი ბუნებისაღმი. ზაბო-

¹ К. Чуковский, Высокое искусство, М., 1968, стр. 30.

ლოცვის გააჩნია უნარი იგრძნოს ტყის წუხილი, წყლის ტკოდი /
ვაერის, როგორც სულიერი არსების მოძრაობა («Мне зимний ворот
дух сердце спеленал»), მდინარის, როგორც თითქოსდა უზრუნველყოფა
სიცოცხლის უნარის მქონე არსების ფიზიკური სიკვდილის შესაძ-
ლებლობა.

Заковывая холодом природу,
Зима идет и руки тянет в воду.
Река дрожит и, чуя смертный час,
Уже открытъ не может томных глаз.

И все ее беспомощное тело
Вдруг страшно вытянулось и
оцепенело

И еле двигая свинцовою волной
Теперь лежит и бьется головой.
Я наблюдал, как речка умирала...
(«Начало зимы»)

ცხადია, ეს ისეთი ხელოვანის თვალით დანახული სამყაროა,
რომელიც პერიოდი მხოლოდ თავისი განწყობილებების ანარექსი
როდი ეძებს. ზაბოლოვე უკვე 1936 წელს გამოთქვამს თავისი,
როგორც პოეტის, უაღრესად საინტერესო მიგნებას:

И сам я был не детище природы,
но мысль ее! Но зыбкий ум ее!
(«Вчера о смерти размышляя»)

ასეთი და მსგავსი სტრიქონები, როგორიცაა, ვთქვათ:

И смеется вся природа,
умирая каждый миг.
(«Прогулка»)

მიუთითებენ პოეტის თავისებურ, განსხვავებულ ინტერესზე ბუნე-
ბისადმი. ამას მოწმობს ზაბოლოვეის აღრეული პოეზია. მაგრამ ზა-
ბოლოვეის პოეზიაში ეს ძიება არ იყო თანმიმდევრული და ბო-
ლომდე მიყვანილი. შეიძლება მართებული იქნას მიჩნეული დაშ-
ვება, რომ ზაბოლოვეიმ სწორედ იმიტომ მიმართა ვაჟას და განსა-
კუთრებით დიდი შრომა მოანდომა მისი პოეზიის თარგმნას, რომ
მასში იპოვა ბუნების ისეთი წვდომა და მხატვრული ფორმით გად-
მოცემა, როგორისკენაც თვით ისწრაფოდა. ასეთი აზრისაა ზაბოლ-
ოვეის შემოქმედების მკვლევარი | ა. ტურქოვი: «Действительно,
Важа-Пшавела был ему необычайно близок своим высоким

гуманизмом, напряженными раздумьями и тяготением к философской поэзии Гете и Баратынского. Герой поэмы Пшавела «Змееед» Миндия испытывает едва ли не те же чувства, которые передал Н. Заболоцкий в одном из своих довоенных стихотворений:

..Небеса с благоволењем
Вдруг посмотрели на него.
Сознанье новое вселилось
В него и некий новый дух.
И зренье сердца прояснилось,
И отворился к миру слух.
И понял он пернатых пенье,
И рев зверей, и шепот трав,
И в думы каждого растеня
Проник, душой затрепетав.

(«Змееед»)

Сам Н. Заболоцкий писал в стихотворении «Вчера, о смерти размышля...»:

...И в этот мир

Все, все услышал я — и трав
вечерних пенье,
И речь воды, и камня мертвый
крик¹.

Зოეტური ნათესაობის, დიღი სიცვარულის, მუყაითი შრომის
ბეჭედი აზის ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა ნიკოლოვკი-
სეულ თარგმანებს. მხოლოდ ნამდვილი პოეტის, ხელოვანის კალამი
თარგმნიდა ვაჟას სტრიქონებს ამგვარად:

მზეგ აიშია ცაზედა,
ნისლებმ დაწირეს ხევები;
მისჯარებიან ცის კიდეს
კავკასიონის დევები.

Блеснуло солнце с высоты,
Исчез туман, пропали тени.
Как дэвы, горные хребты
Прижались к небу в отдаленъи.

აქ მოძებნილია არა მარტო ლექსიკური შესატყვისები, არამედ
გადმოცემულია ზვიადი სიმშვილის ის განწყობილებაც, რომლითაც
შესრულებულია დედანი.

ვაჟასეულ უშუალო შედარებას გრძნობს მკითხველი, როცა ზა-
ბოლოვკი ასეთ ხატს აწვდის მას:

¹ А. Турков, Вступительная статья к сборнику стихотворений и поэм Н. Заболоцкого, М.-Л., 1965, стр. 39—40.

ჭამჭამებს, დაწვდილებს შუბის
წვრად,
ეთერის წამწებს შავსაო,
ზედ მარგალიტი დაესხმის
შავის მელნის ტბის თავსაო.

И черные копья ресниц
Очей заслоняют озера...



ზაბოლოცკისათვის გასაგებია ვაჟას ლექსის ღინამიკა. მთარგ-
მნელი გრძნობს ვაჟას არაჩვეულებრივ ხატებს და თარგმანში შესა-
ნიშნავად მიგნებული ინტონაციის წყალობით მიანიშნებს მკითხ-
ველს ამ სურათის უჩვეულობაზე:

ახმიანებდა კლდეებსა
ცხენის ნალების ჩქამითა.
უკან გამოჰყვა ალ-ქაფის
წენავილ-ლნავილი ხრამითა,
ჩოლროს გზას მოუნათებდნენ
ქაჯინ ქბილების ალითა,

И били подковы скалу,
И ветер наигрывал в трубы,
И бесы, уставясь во мглу,
Свистели и скалили зубы.

ეს ნაწყვეტი კარგი მაგალითია იმის საილუსტრაციოდ, თუ რამ-
დენად პირობითი და საპირისპირო ცნებებია მხატვრული სიზუსტე
და სიმართლე. თარგმანში დაკლებულია ორი ტაეპი, დაშვებულია
ლექსიკური არათანაფარდობა, მაგრამ თარგმანი ვაჟას ლექსია გან-
წყობილებით და იმ შთაბეჭდილებით, რომელსაც იგი ახდენს მკი-
თველზე. ამ სწორად მიგნებულ ინტონაციას თარგმანში ქმნის
რიტმულად გამახვილებული «И», «С»-ს ალტერაცია და ლექსის
მზარდი ტემპი.

ამ მაგალითებით ჩვენ მხოლოდ რამდენადმე ვცადეთ გვერდე-
ნებინა ზაბოლოცკის დიდი პოეტური და მთარგმნელობითი ოსტა-
ტობა საზოგადოდ, რათა საგანგებოდ შევეხოთ ვაჟას „ეთერის“ მი-
სეულ თარგმანს.

ცნობილია, რომ ვაჟა-ფშაველას პოემა „ეთერი“ დაწერილია
ქართულ ფოლკლორში საკმაოდ გავრცელებულ სიუჟეტზე. საქმე
ეხება არა იმას, რომ ვაჟამ ნიჭიერად გალექსა ცნობილი ამბავი
ძეფისწულისა და ობოლი ეთერის სიყვარულის შესახებ, არამედ
იმას, თუ რა შეიძინა ნაწარმოებმა ვაჟას ავტორობის წყალობით,
საჭიროა გარკვევა იმისა, თუ რას წარმოადგენს „ეთერის“ ორიგი-
ნალი, რა არის მისი ლერძი, რა პრობლემას შეიცავს ის და რა გზით,
რა მხატვრული საშუალებებით არის გაშუქებული ეს პრობლემა.
მხოლოდ ამის საფუძველზე შეიძლება შევაფასოთ თარგმანის ლი-
რებულება.

ვაჟას პოემა თავისუფალია იმ ყოფითი სამოსელისაგან, რო-
მელშიც ხალხური „ეთერიანია“ გახვეული. ვაჟას პოემას წარმარ-

თავს მაღალი, ყოვლისმძღვე გრძნობა, რომელსაც პოეტმა წმინდა
ესთეტიკური შინაარსი შესძინა. ვაჟა-ფშაველასათვის ქალის სილა-
მაზე ისეთივე მოვლენაა, როგორც მშვენიერება თვით ჭურვების შედების დრო-
როდესაც ვაჟა წერს „წამოდგა ქალი ეთერი, მთვარე ამოკვა პირ-
ზედა“, ან „გვირგვინად ტრფობა დასდგმოდა, სხივს გვფენს წამ-
წმების ხილითა, ცასა და მიწას მაღლს ჰფენდა უხვებით კიდის-კიდი-
თა“ — ეს ქალის გარეგნობის აღწერილობითი დახასიათება კი არ
არის, არამედ უშუალო, პირდაპირი ხატია კონკრეტულ სახეში და-
ნახული მშვენიერებისა საზოგადოდ. ვაჟას პოემის მკითხველი მო-
ხილულია მისი ხატებით, უჩვეულო ხილვებით და რამდენადმე
უკანა პლანზეა გადატანილი ინტერესი წმინდა სიუჟეტისადმი.

დამახასიათებელია ერთი დეტალი. როდესაც მეფისწული პირ-
ველად ხვდება ტყეში ეთერს, იგი გაოგნებულია ამ მშვენიერების
ხილვით და მიდის მასთან კრძალვით, მთრთოლარის სა-
ხითა; ესაუბრება წყნარადა. აქ არის ყველაფერი,
აღტაცება, გაოცება, მუხლმოდრეკა ამ მშვენების წინაშე, ყვე-
ლაფერი, გარდა მამაკაცური ვნებისა:

თვალი შეასწრო უცნობმა,
შედგა, უქერდა შტერადა;
ხელი მიეპყრო შუბლზედა,
თავი გადეგდო ცერადა;
ირემი დაპეიტყებოდა,
ხედ ქცეულიყო ხმელადა.

ვაჟამ გასაგები გახადა ის ფაქტი, რომ ადამიანის გრძნობათ-
გამოვლინების რაინდული და კდემამოსილი ფორმები არსებობს.
და თუ ეს ასეა, მაშინ საკითხავია, იგრძნობს თუ არა რუსი მკითხ-
ველი გოდერძის ტაქტს, თავშეეჯვებულ და ეთიკურ ბუნებას, რო-
დესაც წაიკითხავს, რომ ის წყნარად კი არ საუბრობს, არამედ
«восклициает». თარგმანის მიხედვით მკითხველს არ აქვს შესაძლებ-
ლობა იმსჯელოს ვაჟას ეთერის, როგორც მშვენიერების ზოგად-
ამაღლებულ სახეზე, რადგან იგი «красотка»-დ იწოდება.

Глаза незнакомец протор
И снова взглянул на красотку.
Знать тем ты, красотка, горда,
Что лицом ты сходна с луною.
Открой же, красотка, уста,
Скажи свое имя, девица.

ვაჟას პოემის რუსული თარგმანი ვერ აღწევს იმ სიმაღლეს,
რითაც ფასეულია დედანი. ეს მოხდა იმის გამო, რომ თარგმანში

გაჩნდა ფამილარული ინტონაციები — «пастушка моя, не дро-
жи!», «откройся мне, милая», სენტიმენტები — «ах пташка»,
«о, если б мне только узнать», «дивные речи», да ვულგარული
მებიც კი — «бездушная дрянь», «И в самом разгаре за-
бав вдруг сердце его закипело».

არ იქნებოდა საჭირო ხაზგასმა ასეთნაირად თარგმნილი ადგი-
ლებისა, ეს რომ მხოლოდ ცალკეული შემთხვევები იყოს. საქმე
ისაა, რომ ისინი სხვა ელფერით ღებავენ ვაჟას პოემას, სხვა უღე-
რადობას ანიჭებენ მას, აფერხებენ პოემის საყრდენთა დანახვას და
ჩვეულებრივი, ყოფითი სამოსელით მოსავენ.

ვაჟას პოემა შედგება 1437 ტაებისაგან, თარგმანი — 1200-გან.
სხვაობა — 237 ტაები. აქ საყურადღებო ისაა, რომ გამოტოვებუ-
ლია ვაჟას ბრწყინვალე ხატები:

თვალებში ჩაჭქსოვებოდა
ზღვა-ხმელი ერთიანადა,
მთელი ქვეყანა შიგ ბრწყინავს
თვეის ხატ-ღმერთიანადა.
წამოდგა ქალი ეთერი,
მთვარე ამოჰყვა პირზედა;
ეტყობა მიწას ლამაზი
ნავალი ეთერისაო.

გვირგვინად ტრთობა დასდგმოდა,
სხივს გვთენს წამწმების ხიდითა,
ცასა და მიწას მადლს ჰფენდა
უხვებით კიდის-კიდითა.

ზოგჯერ იმდენად სცილდება თარგმანი ორიგინალს, რომ სულ
სხვის, თან უფრო მდარე სტრიქონებს ვკითხულობთ. მაგალითად,
ვაჟა წერს:

რა ლამაზი ხარ, ეთერო,
რა მომხიბლავის ფერისა!..
სალოცველია კაცთაგან
ფერფლიც შენთ ფეხთა მტვერისა,

ზაბოლოცკი კი ამას ასე თარგმნის:

О, как ты собой хороша,
Этери моя дорогая!
Молиться б тебе, не дыша,
Следы твоих ног лобызая!

სხვას რომ თავი დავანებოთ, «лобызания» წარმოუდგენელი შე-
უსაბამობაა!

ზევითაც აღინიშნა, რომ როგორც ცნობილია ვაჟას დიდებული, მისთვის სპეციფიკური ხატები გაშუალების გარეშე, პირდაპირ ეძლევა შეითხველს. როცა ამ თვალით შევხედავთ თარგმანს, ნახავთ, რომ ხატის შესაქმნელად ჩვეულებრივი შედარების ხერხია მომარჯვებული. მაგალითად:

ამ არებარეს სთელავდნენ
მარტო ნადირი ტყისაო
და მწყემსი ქალი, ობოლი, —
ყვავილი ედემისაო....

Привольный глухой уголок!
Одни только дикие звери
Здесь бродят, и, словно цветок,
Растет сиротинка Этери.

სწორედ «словно» არის ის, რაც ვაჟას ხატს აშკარად განასხვავებს ზაბოლოცკისეული ხატისაგან.

ვაჟას მკითხველს არასოდეს არ ტოვებს იმ ამბების მონაწილის განცდა, რომელთაც ავტორი ხატავს. უაღრესად საგნობრივია ვაჟას პოეტური მეტყველება, უხვია სრულიად მოულოდნელი ხატებით. ამ მხრივ განსაკუთრებით ძლიერია ვაჟას პოემაში დევთა მეჯლისის სურათი. აქ ვლინდება მაქსიმალური ძალით ვაჟას პოეტური შესაძლებლობანი, აქ ჩანს მისი უჩვეულო სამყარო, აქ ყველაფერი უაღრესად ვაჟასეულია. ამიტომ მიგვაჩნია საჭიროდ ამ მოზრდილი ნაწყვეტის მოტანა:

მოსდევდა შერე მდინარეს,
ბნელს ხევზე ჩამდინარესა,
ცრებლები ჩამოსდომდა
სვინიდის-ნამძინარევსა;
ერთის მხრით გულით უხარის
შერესა ნამტირალევსა.
ჩავიდა უღრანს უფსკრულსა,
ესმოდა ქოთი, ღრიალი,
დევთა ლხანის და მღერისა
შესაზრები ზრიალი.
ცეცხლი დაენთოთ ძლიერი,
გარს უსხლენ ყოტებივითა,
თავ-ცხვირი წამოეშვირათ
სალის კლდის ლოდებივითა;
დაღრენილი აქვთ ლაშები,
სალუდეს ქობებივითა.
წითელს იქნევდენ ენებსა,
გრძელებსა შოთებივითა,
მსახურად ედგნენ ჭინკები,
ჭყიოდნენ ჭოტებივითა.
დევთა ხელთ ეპყრათ პირ-დიდი
ჭურჭლები კოკებივითა.

ღვინის მაგივრად სისხლს ჰსვამდენ
 დევები სწორობაზედა.
 საცა ვისოვასმე მოესწროთ
 ხევში, ან გორობაზედა,
 არჩობდნენ, ეზიდებოდნენ,
 დამდგრები ღორობაზედა.
 სისხლი, ნაწური კაცების,
 ჭურჭლებში ედგათ ღვანოდა,
 მეჯლისში სისხლით თვრებოდნენ
 სისხლს ჰსვამდნენ მოსალხინოდა.

ზაბოლოცკისეულ თარგმანში იკითხება:

Сжимая дрожащей рукой
 Свое драгоценное зелье,
 По горной тропе верховой
 Въезжает в ночное ущелье.
 Он едет, а совесть не спит,
 Стремясь уличить негодяя.
 И плачет бедняга навзыд,
 Коня над рекой погоняя.
 А в пропасти стелется дым,
 Колеблется пламя во мраке,
 И дэвы сидят перед ним,
 Костры разложив в буераке.
 Ликует, ревет чертовня
 В разгаре бесовской пирушки.
 Как камни, при свете огня
 Чернеют большие макушки.
 Здесь глотки пещерных владык,
 Подобны корчагам для пива.
 Огромный, как шоти, язык
 Ворочает следь торопливо.
 Прислужники, рой бесенят,
 Проносятся с криком совиным
 И полным ковшом норовят
 Вина поднести исполинам.
 Дымится в кувшинах вино —
 Награда за смерть иувечья,
 Струится во мраке оно —
 Невинная кровь человечья.
 И жрут ее духи земли
 Подобно косматым обжорам,
 И Шере завидев вдали,
 Приветствуют визиря хором.

საქმაოდ ძლიერია ზაბოლოცკისეული თარგმანისაგან მიღებული
 შთაბეჭდილება, მაგრამ აქაც ისეთი სიტყვებია მოხმობილი შთარგ-

მნელის მიერ, რომლებიც ვაუასათვის სრულიად უცხოა. ამ სურა-
თის აღწერისას ვაუასეულ ზვიადობას და ჰიპერბოლურობას სრუ-
ლიად არ უხდება რუსულის კნინობითები «пирушка», «макушка»,
«бесенята». ვაუა ხაზს უსვამს, რომ შერე „სვინიდისნამძინარევია“,
ზაბოლოცკი კი პირიქით, სინდისის ქენჯნას მიაწერს ვეზირს სიტყვი-
ბით: «Он едет, а совесть не спит». წინააღმდეგობრიობის შთა-
ბეჭდილებას ახლენს შერეს დახასიათება:

Он едет, а совесть не спит,
Стремясь уличить негодяя.
И плачет бедняга навзрыд...

სიბრალულის გრძნობის აღმძვრელი «бедняга» სრულიად შე-
უსაბამოა «негодяй»-ის დასახასიათებლად. ამგვარი თარგმნის შე-
დეგად გმირი სხვა თვისებებს იძენს, ნელდება ვაუასეული სურა-
თის განცდა.

ეს ნაკლი დაუძლეველი რომ არ არის, ამას სხვა თარგმანი გვი-
ჩვენებს.

Едет Шерэ по ущелью,
Едет шагом, тупит взгляд.
Разливается по жилам
Совести змеиный яд.
Видит Шерэ: под ногами,
Где река бежит, быстра,
Адским зраком, красным маком
Блеск бесовского костра.
И спустился визирь Шерэ
В бездну, красную, как медь,
У бесовского веселья
Душу черную погреть.
Уж и дэвы! Уж и хари!
Очи бешеных котов,
Пасты пенистые — шире
Пивоваренных котлов.
Это скулы или скалы?
Это нос или утес?
Устрашился визирь Шерэ,
С камнем сросся, в землю врос.
Что-то лижут, что-то гложут,
Отвалившись от жратвы,
Человеческую хлещут
Кровь из мертвей головы.¹

¹ თარგმანი მ. ცვეტაევასი, იხ. Важа-Пшавела, Поэмы, Огиз, 1947,
стр. 69.

Шеюძлება აქ აღინიშნოს უზუსტობათა წყება — ნაშევეტი სავ-
სეა ჩართვებით, მაგრამ მკითხველი იმყოფება ვაჟასეული ხატების
გარემოცვაში. თარგმანში მიგნებულია ინტონაცია: адским პავ-
კом, красным маком блеск бесовского костра — гаდმოცემუ-
ლია დედნის სახეთა დინამიურობა «что-то лижут, что-то гло-
жут», «человеческую хлещут кровь» და ამიტომ ქართველი, ვა-
ჟას შემოქმედების მცოდნე რწმუნდება, რომ ამ თარგმანში ნაჩვე-
ნებია ვაჟას თვალით დანახული სურათი.

6. ზაბოლოცკი ხშირად მიმართავს კნინობით ფორმებს, როცა
უნდა უმწეობის, ჩაგრულის, პატარას გამოხატვა. მასთან ეთერი
«сиротинка»-ა: «и словно цветок растет сиротинка Этери»,
«Привольный глухой уголок». ეს ერთგვარი სენტიმენტალობის
იერს ანიჭებს თარგმანს, რაც უცხოა დედნისათვის.

„გენაცვლე, ჩიტო — ღუღუნებს — Ax, птичка, — бормочет она, —
ლამაზად ჰემარობ ენასა... Ax, милая пташка, откуда
ნეტავ რას ამბობ, ვიცოდე,
ნეტავი გამაგებინა“. Тебе эта песня дана?
Она — настоящее чудо!
O, если б мне только узнать,
О чём твои дивные речи!

სევდიანი ნატვრა, მშვიდი და მოკრძალებული, რომლის მთელ-
შხატვრულ შინაარსს სიტყვა „ღუღუნებს“ გაღმოგვცემს, რუსულ-
ში დაკარგულია. ვაჟას მკითხველს გაუჭირდება წარმოდგენა, რომ
„ლამაზად ხმარობ ენასა“ არის «дивные речи», უცხოა და სრუ-
ლიად არაა ვაჟასეული «ах, милая пташка».

იმდენად ძლიერია კნინობითი ფორმები ზაბოლოცკისთან, რომ
თავი იჩინეს ბებერი დედინაცვლის სიტყვებშიც თავის თავშე=
«болят и не гнутся коленки».

გოდერძისა და ეთერის შეხვედრის აღწერისას პოეტი მიგვი-
თითებს: ვაჟი იმდენადაა მოხიბლული ამ მშვენებით, არც კი
სჯერა, რომ ეს ხილვა რეალურია. თარგმანში კი იგი ასე მიმართავს
ქალს: «Пастушка моя, не дрожи». რატომაა ეთერი გოდერძისა-
თვის «моя», რატომ უნდა დაემუქროს იგი

Скажи, кто отец твой, кто мать,
Не скажешь — отведаешь стали?!

ეს არაა ნაცვალი სტრიქონებისა:

„ნამდვილ მეჩვენე, რაცა ხარ,
თორო გაგჭერი შუადა“.

„რაცა ხარ“, ე. ი. არსება ხარ, თუ რაიმე სხვა; იმდენად დაუ-
შერებელია, რომ ასეთი მშვენება შეიძლება სულს ფლობის გადა-
ადამიანი იყოს. ეს დაკარგულია თარგმანში.

თარგმანში ვერ განხორციელდა ნაწარმოების გათავისუფლება
ყოფითი სამოსელისაგან. ისიც აღსანიშნავია, რომ ვაჟას პოემაში არ
ჩანს შერესათვის დაპირებული საფასურის ბედი. შერემ დაავადა
ეთერი, იგი ციხეშია ჩაკეტილი, შემდეგ გადაწყდა ეთერის განკურ-
ნება, აქ ცხადდება გოდერძის სიკვდილი. ვაჟას არ სურს ტრივია-
ლური სიუჟეტის მიწოდება მკითხველისათვის. ან რა მნიშვნელობა
აქვს ეთერისა და გოდერძის, როგორც ცოლისა და ქმრის ურთიერ-
თობას?! დამახასიათებელია, რომ გოდერძის ვეღრებაში დელისად-
მი ეთერის ნახვის სურვილის შესახებ ერთხელაც არაა ნახმარი სი-
ტყვა „ცოლი“ მაშინ, როდესაც თარგმანში ეთერი მხოლოდ «ცუ-
რყა»-დ იხსენიება.

ასეთია ნ. ზაბოლოცკის მიერ რუსულად თარგმნილი „ეთერი“. როგორც ვხედავთ, ნ. ზაბოლოცკიმ ზიდა ტვირთი ამ ბრწყინვალე
ნაწარმოების თარგმნისა. მოულოდნელი სრულიად არ იქნებოდა,
თუ ჩვენ ვერ ვიხილავდით ამ ნაწარმოების ტოლფასოვანს რომელი-
მე სხვა ენაზე. ზაბოლოცკის საკუთარი პოეტური ენერგია არ დაუ-
ზოგავს ამ პოემის თარგმნისას და აუხსნელი თუ გაუგებარი არა-
ფერია იმაში, რომ რამდენადმე განსხვავებულად წარსდგა ვაჟას
„ეთერი“ რუსი მკითხველის წინაშე.

თინა პოპლატაძე

ვაშას „სტუმარ-მასპინძლის“ სპასისეული თარგმანი

ახლა სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ, მთარგმნელი-პოეტი ყველაფერს (მთელ ორიგინალს) ვერ თარგმნის, ზოგი რამ უნდა გასწიროსო. ერთია საკითხავი: როგორ ამოირჩიოს გასაწირი, როგორ მიაგნოს მთავარს? მკვლევარსა და მთარგმნელს ე. ეტკინდს ოდნავ გაუბრალოებულად აქვს გადაწყვეტილი ეს საკითხი — მთარგმნელმა ჯერ უნდა გაარკვიოს სათარგმნი ავტორისათვის პოეტური იდეის რომელი კომპონენტია მთავარი, უნდა გაარკვიოს ესაა გარეგნული ფორმის პოეზია (ასეთად ასახელებს ვ. ჰიუგოს „ბურგგრაფის ნადირობას“), აზრის პოეზია (ამას მიეკუთვნება კლასიციზმის „სწავლული“ პოეზია) თუ სახის პოეზია (რომანტიკული პოეზია).

ამ დაყოფას ერთი ნაკლი აქვს, და არსებითი ნაკლიც. არ მოხერხდება პოეტთა დანაწილება ამ სამ უჯრაში. თანაც, შეიძლება რომელიმე გარეგნულ ფორმას პოეტის ნაწარმოების გარკვეულ პასაჟში (სახეს ან აზრს) ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მოსალოდნელია სხვა ვარიანტებიც. ზოგადად კი, რა თქმა უნდა, სრულიად მისაღებია ე. ეტკინდის აზრი: «За попытками добиться максимальной точности стоит обычно педантическая приверженность к букве подлинника, нежелание идти на какие то ни было жертвы, пропуски или замены при воссоздании поэтического произведения на ином языке... как правило, без жертв, без пропусков и замен нет стихотворного перевода».

„სტუმარ-მასპინძელი“ ვაჟას ერთი მძაფრი სიუჟეტის პოემა-თაგანია, რომელიც თემის (საზოგადოებისა) და პიროვნების ურთიერთობას ეხება. მოქმედების არე ქისტების მიღამოა, საკმაოდ უცხო თუნდაც საქართველოს ბარის კარგად მცოდნე რუსი პოეტი-

სათვის. ეს თარგმნისას (მით უფრო ბწყარედით თარგმნისას) დღი
სიძნელესა და ხიფათს უქმნის მთარგმნელს.

მთარგმნელს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიეცეოდეს
ლექსის ზომისათვის. როგორც ცნობილია, „სტუმარ-მასპინძელი“
დაწერილია რვამარცვლიანი ლექსით:

ლამის წყვდიადში ჩაფლული, — 8
გამტნარებულის სახითა, — 8
მოსჩანს ქისტეთის მიდამო — 8
სალის კლდეების ტახტითა. — 8

საზომის მნიშვნელობაზე ძნელია იმ პოეტებთან ლაპარაკი,
რომელთაც ვაუს ლექსის მდინარება ქართულად არ ჩაესმით. სამ-
წუხაროდ, დღემდე ვაუს არა ჰყოლია დედნის მცოდნე არცერთი
მთარგმნელი. ბწყარედებით თარგმნიდნენ: დერუავინი, პასტერნაკი,
ცვეტავა, ზაბოლოცკი, სერებრიაკოვი, სპასკი. ღრო კია, ვაუს
ქართულის მცოდნე მთარგმნელი შეხვდეს. ცხალია, ყველა ბწყარედი
თანაბარი ღირებულების არაა, ამიტომ ზოგი მთარგმნელი ცოდნითა
და ინტუიციით, პოეტური წვდომით, ლექსის ზოგადი მაღალი
კულტურით რამდენადმე ფარავს ბწყარედის ნაკლს. და მანც სი-
ტყვა და ლექსი უმჭიდროეს კავშირშია ერთმანეთთან და ბწყარედი
ამ კავშირის უბოროტესი მტერია.

დავუბრუნდეთ ისევ ლექსის ზომას. არ შეიძლება მთარგმნელ
პოეტს მოეთხოვოს ზომის ზუსტი გადმოლება. უპირველეს ყოვლი-
სა, აქ ანგარიშგასაწევია ის, თუ რა რიტმულ საზომს მოიხდენს
თარგმანის ენაში დედნის პოეტური ფრაზა. ვფიქრობთ, სავსებით
ნათელია, რომ ერთფეროვანი მდინარება ვაუს ლექსისა შემთხვე-
ვითი არაა. უფლება გვაქვს ვთქვათ: ვაუს ჯიუტად ამოჩემებული
რვამარცვლიანი ლექსი მისი პოეტური აზრის მყარი კომპონენტია
და თარგმნისას ანგარიშგასაწევი.

სპასკი თარგმნის:

Лик побледневший тая

в покрываалах

Сумрака, в сумраке смутно видна,
Будто на троне отвесном — на
скалах

Труднодоступная кистов страна.

ამ საზომს ერთი ნაკლი აქვს: ვაუს მოქნილი, კომპაქტური
ფრაზებით გერ ხერხდება მისი ამოვსება და სპასკი იძულებულია
ცარიელი ადგილები შეავსოს. ვაუს პოეზიას თუ დავუკვირდებით,

თვალშინ გზას ველარ ვამჩნევდი,
კლდეზე გადვარდნას ვლამობდი,
ხამად ვარ, ვეზი არ ვიცი,
ამით ძლიერად ვწვალობდი.

ან:

აი საფლავიც ქისტისა,
ხალხი მოერტყა გარსაო,
მოლა მოჰყვება ლოცვასა,
იხსენებს თავის მკვდარსაო.

თუ მაინცადამაინც სტრიქონში არ სრულდება აზრი, მეორე
სტრიქონში სინტაქსურად ერთმანეთთან დაკავშირებული სიტყვები
გაღადის, რომელთაც ფრაზის წინა ნაწილიდან გარკვეული შეუვა-
ლობა მიჯნავს. ზოგადად ვაუასათვის დამახასიათებელია ასეთი პო-
ეტური ფრაზა:

ხვალ თვითონ იცი, ძმობილო,
საითაც გინდა, იარე,
ზოგს მე გიამბობ ჩემს დარდსა,
ზოგიც შენ გამიზიარე.

ვაუასათვის უცხოა ფრაზის ასეთი მოძრაობა:

იგი მკვდარია, რაც მან შრიალა
ჩემს სიყმაწვილეს შთაბერს ძალა,
ჟამბა ხელით ვერ გამოაცალა
იგი, ტბილი თუ მწარე ფიალა.
(გალაკტიონი)

ამრიგად, ვაუას პოეტური ფრაზის მოძრაობა მაინც ერთ მონა-
ხაზს ემორჩილება და იგი დიდად უწყობს ხელს პოეტის პირველ-
ქმნილ სინათლესა და დიდ უბრალოებას. სპასკიმ შეცვალა ვაუას
პოეტური ფრაზის მოძრაობა:

Лик побледневший тая
в покрываах

Сумрака, в сумраке смутно видна,
Будто на троне отвесном — на
скалах

Труднодоступная кистов страна.

ავილოთ მეორე აღგილი:

ეს სოქვა ჭოყოლიშ, წამოდგა,
ხელ ხანჭრიანი წავიდა.
გააღო სახლის კარები,
შეუპოვარად გავიდა.

თარგმანი:

Джохола вскакивает и с размаха
Дверь открывает, и только зажал,
Перед толпой появившись без
страха,
В правой руке напряженный
кинжал.

არას ვამბობთ „напряженный кинжал“-ზე, მხოლოდ აღვ-
ნიშნავთ კარგა მანძილით გაგლეჭილ ფრაზას: «И только за-
жал, перед толпой появившись без страха, в правой
руке напряженный кинжал». ეს მიხვეულ-მოხვეული
გზა უცხოა ვაჟასათვის. რამდენად უკეთესია ზაბოლოცები:

Еще глазам своим не веря,
Кинжал Джохола вырвал вон,
И открывая настежь двери,
В толпу людей метнулся он.

ქიდევ ერთი მაგალითი:

თავს რად იმურტლავ, ბეჩავო,
გაუმაძღარის ღორითა?
გული როგორ არ გერევა
მაგასთან ჯდომა-ყოფნითა?

თარგმანი:

Ты на себя навлекаешь проклятье.
Как с ненасытной свиньею ты мог
Ладить? И как тебе не было тошно
В тесном согласии, в соседстве с
врагом?

ქისტთა გულისწყრომა ვაჟასთან დიდ ექსპრესიას პოულობს,
იმთავითვე კითხვაა დასმული („თავს რად იმურტლავ, ბეჩავო, გაუ-
მაძღარის ღორითა?“) მეორე ნაწილიც ტაეპისა კითხვაა და საკმა-
ოდ რაღიკალური. სპასკისეული ტაეპი ამ ექსპრესიას ვერ გამოხა-

ტავს, იგი მოღუნებულია პირველი სტრიქონის თხრობითი ტონით
«Ты на себя навлекаешь проклятье». შემდეგ ტავპებში კადებულის
ლის შესავსებად ჩართულია «В тесном согласии», რაც პატრიტულობის
ვანებს აზრს. მართლაც რა «тесное согласие»-ზეა აქ ლაპარაკი?
ვაჟას მიხედვით, ჭოყოლამ ხევსური ზვიადაური (ქისტთა თქმით,
„მურტალი ოორი“) გვერდით მოისვა, ვითარცა სტუმარი. სწორედ
ამას უსაყვედურებებ ქისტნი („გული როგორ არ გერევა მაგასთან
ჯდომა-ყოფნითა?“) «Тесное согласие» აქ ყურითაა მოთრეული
და მთელ კითხვას ვაჟასათვის უფერ პროზაიზმს ანიჭებს:
«И как тебе не было тошно в тесном согласии, в соседстве с
врагом?».

ს. სპასკი ვერ უზრუნველყო ვაჟას პოეტური ფრაზის ლალი
მდინარება. შედარებისათვის მოვიტანოთ პოემის დასაწყისი ზაბო-
ლოცისეული თარგმანიდან:

Бледна лицом и молчалива,
В ночную мглу погружена,
На троне горного массива
Видна Кистинская страна.

სილაოე და სისადავე პირველი სტრიქონებიდანვე მოხელთებუ-
ლია.

საზომის არჩევის მარცხს სხვაც ერთვის, სპასკი მეტისმეტად თა-
ვისუფლად ექცევა ყოფით რეალიებს, მეტაფორულ
ილიომებს. ეს აკნინებს და ამცირებს ვაჟას პოეტური აზრის სიღი-
ადეს და იგი რუს მკითხველამდე საკმაოდ გაღარიბებული და ბუნ-
დოვანი სახით მიდის.

მოვიტანოთ რამდენიმე დამახასიათებელი მაგალითი:

დღეს ჩვენს ხელთ არის, ვეცადოთ,
ვაგემოთ გემო მწარია,
მაგათ მოკლული ამ ზაფხულს
გვყავს უპატრონო მკვდარია.

აქ ვაჟა მაჰმადიან მთიელთა წესს გულისხმობს — მკვლელის
შეწირვას მოკლულისათვის (იხ. ოვით ვაჟას ახსნა-განმარტება: „სი-
სხლის აღება, მკვლელობისათვის მოკვლა ყველა მთიელებსა აქვს
წესად, მაგრამ საფლავზე დაკვლა და ამგვარი „შეწირვა“ მაჰმადიან
მთიელების ადათია. ქრისტიანი მთიელები ამას ერიდებიან. თუ ვი-
საც სწირავენ და საფლავზე ჰკლავენ, არ შედრეა, მკვდრისათვის
„შეწირულად“ არ ჩაითვლება“). სპასკი ამ რეალიას ანგარიშს არ
უწევს და გვეუბნება:

В наших руках.

Сам жаловал в гости.

Мы ему горького корма дадим!

Мы мертвцом угостим его. Этим

Летом еще он убил!..

ეს „მკვდრით გამასპინძლება“ სრული გაუგებრობაა და რეალურ ყოფასთან არაფერი აქვს საერთო.

სტუმარმასპინძლობის წესი მთიელთა შორის დიდად მიღებულია. ამ წესს არამცირედი ადგილი უჭირავს პოემაშიც, შემთხვევით არა ჰქვია მას „სტუმარ-მასპინძელი“. ზვიადაურის შინ მიმუვანი ჯოულო ცოლს ეუბნება:

აი სტუმარი მოგვარე,
ღვთის წყალობაა ჩვენზედა,
როგორ დახვდები, დიაცო,
ახლა ჰქიდია შენზედა.

სულ სხვაა რუსული თარგმანი:

Вот привел я

с собою

Гостя. Господня на нас благодать!
Женщина, как отзовешься на это?
Мы твоего приглашения ждем.

არ შეიძლება მთიელმა კაცმა ცოლს სტუმარი მიჰვაროს და ჰქითხოს: «Как отзовешься на это?» ეს რომ საკითხავი იყოს, მაშინ ხომ სტუმარი ღვთის წყალობაც არ იქნება.

მეორე თავში ვაჟამ ერთმანეთს შეახვედრა ორი მთიელი. ისინი, ვინც პოემის დასასრულს ურთიერთდანდობის, სტუმარმასპინძლობის, ცნობისა და ძმობისას ამბობს. მათი შეხვედრის აღწერა ერთობლაკონურია. ვაჟა არ უხვისტყვაობს და მოკლედ აგვიწერს ამბავს. სვებედნიერი მონადირე ქისტი ჯოყოლა ნანადირევში შეიზიარებს უცნობს. ამ შეზიარებას დიდი ტაქტი ახლავს.

ნუ სწუხარ, საზრდო შენთვისაკ
დღეს უტალს გაუჩენია.
წილი გდებია შენაცა
ამ ჩემგან მოკლულ ჯიხვშია.
რად გივვის, არ გეხუმრები,
არც გეფერები პირშია.

მაშ, თუ ეს ასე არ არის,
 რად შემეფეთე ამ ღროსა?!

შავრცხევს, ჩემ თავად, ვინც შენა
 ნაწილი დაგიკარგოსა.

სპასკი სრულიად სპობს ამ ვაჟკაცურ ტაქტს, ლაქონურობას და
 ისეთ სილბოს ანიჭებს ქისტის მეტყველებას, რისი საფუძველიც მის-
 თვის დედანს არ მიუცია:

Видно такая уж воля господня,
 Пишу тебе создала его власть.
 В туре, что мне подвернулся сегодня,
 И для тебя предназначена часть.
 Разве мое удивительно слово?
 Нет, я до шуток сейчас не охоч.
 Разве ты ждал обхожденья другого,
 Если в такую мы встретились ночь?

განსაკუთრებით თავისუფლად ეპურობა მთარგმნელი ოდიო-
 მებს. ქართველ მკითხველს შეუძლია სიტყვასიტყვით გადმოაქარ-
 თულოს სპასკისეული თარგმანი და ამ გზით აღადგინოს ვაჟას აზ-
 რი, მაგრამ რა უნდა გაიგოს რუსმა მკითხველმა? «И крови у чу-
 жестранца не выпустим мы. Крови густой, словно сажа» —
 «Чтвёртый раз убьём грозившего земляку...». «Будто огни-
 вом бьет по языку» — „ენას აქვესებს კვესითა“.
 «На голову
 мне из кувшина льете помои» — „თავს ლაფს რად მასხამ კო-
 კითა? «Мы желанную пишу в жертву тебе предлагаем —
 возьми» — „მსხვერპლსაცა გწირავთ, იხარე, არ გაჭმევთ მტრისა
 ჯავრსაო“.
 «Звиадаури бесстрашен, спокоен, пряди волос,
 словно грива у льва» — „ბეჭვს აშლის ბრაზმორეული, როგორ-
 საც ვეფხვი თმასაო“.
 «Затрепетала толпа в удивленье, слов-
 но приподнятая на дыбы» — „გაოცდნენ ქისტის შვილები, ხალ-
 ხი დგებოდა ყალყსაო“.
 «Спеша крадется тьма. И в окрепнув-
 шей черни ясного света отходит душа».
 — „სიბნელე მოიპ-
 რება, სინათლეს სული ამოჭხდა“.
 «Падайте, слезы, въедаясь в
 булыжник» — „ცრემლსა სიპი ქვა გაედნო“.

განსაკუთრებით თვალში საცემია ს. სპასკის პროზაიზმები, რომ-
 ლებიც ამდაბლებენ ვაჟას ლექსს. სასაფლაოდან დაბრუნებული აღა-
 ზა ქმარს უამბობს, რაც თავს გარდახდა. გულამღვრეული ჯოუოლი
 ცოლს ეუბნება:

მაგისთვის როგორ შეგრისხავ?
 ტყუილს სჭობს სიმართლის თქმაო.
 იტირე, მაღლი გიქნია,
 მე რა გამგე ვაჩ მაგისა?
 დიაცს მუდამაც უხდება
 გლოვა ვაჟკაცის კარგისა.

ეს ადგილი ერთიანია და მშვენივრად გამოხატავს ჯოყოლას სულიერ განშუობილებას. „დიაცსა მუდამ უხდება გლოვა ვაჟკაცის კარგისა“. — სასხვათაშორისოდათ თქმული და სენტენციის იერს არ დაიკრავს. რუსული თარგმანი საოცრად პროზაულია, ჯოყოლას მეტყველება ერთობ კატეგორიული (რაც აღარ უხდება სიმწარენანას ჯოყოლას), ხოლო ბოლო სტრიქონები ცუდი სენტენციის შთაბეჭდილებას ახდენს:

...Что ж... Я сердиться не буду,
 Только, Агата, не лги никогда.
 Правильно сделала. Нет прегрешенья.
 Я не судья. А на женском лице
 Слезы считаются за украшенье,
 Пролитые о достойном бойце.

ვაჟა გვეუბნება:

ხანჭრისკე ხელი მიუდის,
 ჩუმად სინჯავდა დანასა,
 მაგრამ სტუმარი სხვის სახლში
 ვერ გაშლის ხათაბალისა.

სპასკი თარგმნის:

«Он ухватился рукою за ножны,
 Лезвия пальцы коснулись скользя.
 Так бы и вырвать кинжал! —
 Невозможно.
 Переполох в чужом доме? — Нельзя.

ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს უკანასკნელი სტრიქონი. ეს, რა თქმა უნდა, აღარ არის ვაჟა.
 დიდად პოეტურია პოემის ვაჟასეული დასასრული:

მაგრამ გაჩნდება ჯანლი რამ
 კურუმად შავის ფერითა,
 დაეფარება სანახავს
 წერა-მწერალის წერითა.

ზედ აწევს ჭაღოსავითა,
 არ დაიმტვრევა ქვერითა,
 ვერც შეულოცავს მლოცვი,
 არც აიხდება ხელითა.
 მხოლოდ მდინარის ხმა ისმის,
 დაბლა მიქანევს ხელითა
 და უფსერულს დასცერს პირიმზე
 მოღერებულის ყელითა...

ბოლოს ნახსენები პირიმზე სათნობის კალთას აფარებს ჭანლის სიავეს. იქ ბუნების ის სურათია მოცემული, რომელზედაც ვაჟა ლექს „ღამე მთაში“ ლაპარაკობს:

„ერთფერად მტვირთველი არის
 საქმის თეთრის და შავისა,
 საცა პირიმზეს ახარებს,
 იქვე მთხრელია ზეავისა...“

ცხადია, ეს ადგილი ძალზე ძნელი სათარგმნელია. იქნებ სხვა ენაზე ვერც ითარგმნოს „წერა-მწერალის წერითა“. მაგრამ ის, რასაც ს. სპასკი გვთავაზობს, მეტისმეტად დაშორებულია ვაჟას ლექსის სიდიადეს:

Только туман наползает и тенью
 Непроницаемой все заволок.
 И пропадает в тумане виденье.
 Правит туманом неведомый рок.
 С толщей тумана не справится молот,
 Словно скрепило его колдовство.
 Заговором он не будет расколот,
 Крепкой рукою не сдвинуть его.
 Только река по расселине тесной,
 Кашляя, шумно торопится вниз.
 Да, стебелек нагибая над бездной,
 Горный цветок, заглядевшись, повис.

პირველი თავის მაგალითზე ჩანს ს. სპასკის თარგმანის დონე.

ბნელს ხევზე მოჰყეფს მდინარე
 გულამღვრეული ჭავრითა.
 ვაღმოხრილიყენენ მთანიცა,
 ხელ-პირს იბანდენ წყალზედა.
 ბევრი მომკვდარა მათს ბევრდზე,
 სისხლს ვერ იხდენენ ტანზედა,
 ძმის მკვლელის სისხლი სწყურია,
 კაცე რომ მოდის გზაზედა.
 გზას ვამბობ, ოორებ ჩა გზაა
 ვიწრო ბილიკი კლდეზედა?

პირველი მეტაფორა სპასკიმ ცუდად გაიგო. „ყეფას“ ქართველები მხოლოდ ძალლზე არ იტყვიან. როგორც ცნობილია, ყეფა მდგრადი წივი, ყორანი და უნაზესი ბულბულიც. მთარგმნელმა ყეფა მდგრადი რეს დააცილა და ხეობა აავსო მით: «Полно ущелье немолчного лая». როცა კიდევ ერთი მეტაფორა თქვა, ვაჟამ ადამიანი შემოყვანა: „ძმის მკვლელის სისხლი სწყურია, კაცი რომ მიღის გზაზედა“. სპასკიმ ამ სტრიქონს სრულიად გაუმართლებელი კატეგორიულობა შესძინა. ვაჟა გვეუბნება, რომ ამ კაცს ძმა დაუკარგავს, ძმის მკვლელის სისხლი სწყურია — ზოგადად. სპასკის ჰგონებია, რომ ლაპარაკია კონკრეტულ შემთხვევაზე, ამიტომაც თარგმანში აღმოჩნდა:

Путник по склонам торопится к цели,
Брата утратил он. Цель его — месть.

ვაჟა წერს:

...გაღმა ჩანს ქისტის სოფელი
არწივის ბუდესავითა,
საამო არის საცერლად
ღიაცის უბესავითა.

სპასკი გვეუბნება:

В склонах кистин уместились селенье,
Схоже с орлиным гнездом. И сквозь
муть

Вид его благоприятен для зренья,
Словно открытая женская грудь.

სრული გაუგებრობაა «сквозь муть», ხოლო «вид его благоприятен для зренья» — ვაჟასათვის შეუფერებელი პროზაიზმია.

შემდეგ სტროფებს ვაჟა შავ ნისლს უძღვნის. მას ცოტა ხნის სტუმარს ეძახის, რომელიც დღეს აქაა, ხვალ კი სხვაგან წავა და „აბნელებს, უხილავად ხდის ქვეყანას ხილულიანსა“. ეს სახე სრულიად ნათელია — ნისლი, რასაც გადაეფარება, აღარ ჩანს.

სპასკის ბადალი:

Он проползет по хребтам ледниковым,
Видимый мир упраздня и там....

სულ სხვაა: «видимый мир упраздня и там».

ამრიგად, პოემის ერთ პატარა მონაცვეთში ს. სპასკიმ რამდენიმე
შეტაფორა გააუქმა, ხეობა ყეფით აავსო და ღამეული პერზა არა მარტივი
ნორი დაარღვია, შემოიტანა გაუმართლებელი პროზაიზმები, დაარ-
ღვია ვაჟას სახეთა სისტემა. რა გასაქვირია, რომ თარგმანში ვაჟა
დაქნინდა და თავისი განუმეორებელი პოეტური სილამაზე დაპკარგა.

ხშირად ლაპარაკობენ პოეზის მთარგმნელში პოეტისა და
მკვლევარის შერწყმაზე. სპასკის პიროვნებაში ეს სინთეზი არ ჩანს.
არა ჩანს, რომ მას საგანგებოდ შეესწავლოს ვაჟას ლექსის განუმეო-
რებელი მშვენიერება. მისეული თარგმანი უფრო იმის ნიმუშად გა-
მოღვება, თუ რა ხიდათი ემუქრება მთარგმნელს. კიდევ კარგი, რომ
„სტუმარ-მასპინძელმა“ იპოვა ახალი მთარგმნელი, რომელიც სულ
სხვა გზით წავიდა.

სალომე ჭუბანევიშვილი

ვლადიმერ დერჯავინის მიერ თარგმნილი „გიგლია“ და „მონადირე“

რუს პოეტს ვლადიმერ დერჯავინს უთარგმნია ვაჟა-ფშაველას ბევრი ნაწარმოები — პოემები: „გიგლია“, „მონადირე“, „ბახტრიონი“, „ალუდა ქეთელაური“; ლექსები: „გიგი“, „გალაშქრება ლაშარის ჭვრის ღროშით“, „ჩივილი ხმლისა“, „სიკვდილი გმირისა“; „ადგილი კურუმ-კურუმო“, „ხევსური ბერძია“, „ირაკლის სიზმარი“. ვაჟას თხზულებების ასე უხვად თარგმნა იმის მაჩვენებელია, რომ ვ. დერჯავინს უყვარდა ვაჟას პოეზია და აფასებდა მას. ამას ადასტურებს დერჯავინის წერილიც „დიდი ჰორიზონტი“, რომელიც ვაჟა-ფშაველას საიუბილეო ღლებში გამოქვეყნდა გაზ. „კომუნისტი“ (1961, 3 სექტ.).

ჩვენი ანალიზის საგანია ვაჟა-ფშაველას პოემების „გიგლიასა“ და „მონადირეს“ დერჯავინისეული თარგმანები.

1. „გიგლია“ დაწერილია ვაჟა-ფშაველასათვის ჩვეული რვა-მარცვლიანი საზომით. შერითმულია II და IV სტრიქონები.

მაგ.:

მთვარე ამოჩნდა ნალევი, —
მახარობელი ქვეყნისა;
აქა-იქ მოჩანს ნათალი
მწვეტი წვერები მთებისა.

დერჯავინი ამ რვამარცვლიან სალექსო საზომს რუსულ ენაზე ურითმო ათმარცვლიან სტრიქონს უფარდებს:

Полный месяц, утешитель мира
Выплыл из туманного ущелья.
Слышится в лощинах затенённых
Говор водопадов и потоков.¹

¹ Важа Пшавела, Сочинения в двух томах, перевод с грузинского, т. II, изд. «Художественная литература», Москва, 1958.

ვაჟას ლექსის თარგმნისათვის რითმას დიღი მნიშვნელობა აქვთ.
ვაჟას თარგმნა ურითმო ლექსით გამართლებული არ ჩანს, მით
უფრო, რომ დერუავინისეულ თარგმანში დედნის პოეტურობის უფრო
რი კომპონენტი ისედაც დაკარგულია. ასე რომ, აქ რითმაზე უარის
თქმა ლექსის სხვა ელემენტით არ არის კომპენსირებული.

ვერ ვიტყვით, რომ დერუავინი ვაჟას არ იცნობდეს: ის გრძნობს
მას. ეს ამ თარგმანშიც ჩანს (თუმც გაცილებით ნაკლებად, ვიდრე
„მონადირეში“). „გიგლიას“ რუსულ ენაზე წამკითხველს არ გუჭვირ-
დება ვაჟას განცდათა სფეროსთან მიახლოება მაინც. ამის საბუთს
„გიგლიას“ რუსული ტექსტის რამდენიმე აღგილი გვაძლევს:

ზინდდება, აგერ გრილებიც
ასცდენ მთებს, გაქრენ ცაშია.

Потемнело и теней громады
Отошли от гор, пропали в небе.

ან კიდევ, ვაჟას ბრწყინვალე მეტაფორა:

უკვენა-ფშავის ქედები
დაწყობილიყვნენ ჯარადა.

К шлему шлем построили, как войско
Пshawии синеющие горы.

მართალია, რუსულ თარგმანში უკვალოდაა დაკარგული დია-
ლექტური, გაუცვეთავი და ამიტომ მეტად მოულოდნელი, დასამახ-
სოვრებელი „უკვენა“ — მაგრამ ამის ნაცვლად შემოსულია ისევ
პოეტური «синеющие», რაც ორიგინალში არ არის, მაგრამ მოხდე-
ნილია აქ.

დერუავინს აქვს მიგნებები თავის თარგმანში:

ქვითინებს გოდერძათ ქალი,
მთის ჭალას აბერტყს ცრემლსაო.

ვაჟა ხმარობს აქ ერთ ზმნას, რომელიც ძალიან ემოციურს ხდის
მთელ ფრაზას — „აბერტყს“. ამ კონტექსტში სხვა ზმნა უფრო ნაკლებ
შთაბეჭდილებას დატოვებდა მყითხველზე. ეს სიტყვაა ცენტრი მთე-
ლი ფრაზისა, მისი ამტანი უფრო მაღალ პოეტურ საფეხურზე.

რუსულად ეს ფრაზა ასე ითარგმნა:

Стонет связанная дочь Годердзи,
Отрясает слезы на дорогу.

აქაც საოცრად მოუხდა ზმნა «отрясает».

ვაჟა წერს:

თოფი ვეარ, ხევში გავგზავნე,
იქ ჰლოკს კლდეების მტვერსაო!



დერუავინი თარგმნის:

Выстрелом свалил его я в пропасть,
Он на дне ущелья лежет скалы.

რუსულ თარგმანში უფრო ხაზგასმულია გიგლიას უიღბლო ბოლო: «на дне ущелья».

ქართულისაგან განსხვავებით რუსულ თარგმანში „ქლდეების მტვრის ლოკვა“ — შენაცვლებულია თვით კლდეების ლოკვით.

ღამის ულამაზესი სურათი ეპიური სიღინჯით სრულდება ვაჟას-თან. „მთვარე აღმოჩნდა ნალევი...“ ვაჟის პოემაში არის ნალევი მთვარე და მისით განათებული „მწვეტი წვერები მთებისა“, „გრილებჩა-დგული“ ხევები და ყველის ბორბალა, რომელიც „გულის-პირს არ-ღვევს ცისასა“. ეს მონაკვეთი ასე მთავრდება:

ერთი ბუ გაღმით კითხულობს
ამბავს გამოღმა ძმისასა!

დერუავინი თარგმნის ეპიური სიღინჯით:

И ночная птица окликает
За горой оставшегося брата.

დერუავინის თარგმანი არ არის დაზღვეული შეცდომებისაგან, არის ტექსტის შეცდომით წაკითხვის შემთხვევები. პოემა იწყება იმით, რომ გიგლია ეძებს თავის საჭურველს:

ალარსაღ სამკლავენი ჩნან,
აღარც ფარი და ჩაჩქანი.

დერუავინი თარგმნის:

Где колчуга, щит и рукавицы?
Что за вор хояйничает в доме?

გიგლიამ კარგად იცის, რომ ქურდი არ წაიღებდა მის იარაღს-მეტიც, მან ისიც იცის, ვისი „ონარი“ იქნება ეს.

ერთგან გიგლიას ცხენის ეპითეტი მიწერილი აქვს თვით გიგლიას:

არაგვებ პირ-პირ აჩქამებს
გიგლიას ცხენი ნალებსა;
აქა-იქ ავლებს ლომივით
იმ ცეცხლმოდებულს თვალებსა.

Над Арагвой рассыпают искры
Молодецкого коня подковы,
Скачет Гиглия, обводит горы
Пламенными, львиными глазами.

¹ ვაჟა სხვა ნაწარმოებებშიც ლაპარაკობს ბუდ გადაქცეულ და-ძმაზე.

ვაჟა ამბობს მყვირალზე:

ხან თავს დააჩენს კლდის პირზედ,
ხან დიყიანში ხტებოდა.

დერუავინი „დააჩენს“ თარგმნის, როგორც «приложит» და გამოვიდა შეუსაბამო ფრაზა:

То к утесу голову приложит,
То глядит в глубокое ущелье.

ზოგჯერ მთარგმნელი მეტაფორას პირდაპირი მნიშვნელობით გვთავაზობს. მაგ. ვაჟა წერს:

გორ-გორის პირებს მისღვევნ	По лесам и по краям ущелий
ჭოგი დალისტნელთ მგლებისა —	В темноте проходит волчья стая.

დერუავინი ზოგჯერ სიტყვა-სიტყვით თარგმნის ტექსტს და უფრო მეტად სცილდება მას:

ყინჩად სამ იცის ტრიალი (გიგლიამ)	Он в бою умеет повернуться И рука его неутомима.
-------------------------------------	---

ომში ჭარად და ტარად.

«В бою повернуться» — ნამდვილად არ არის „ომში ტრიალის“ ექვივალენტი. ქართულში იხმარება ზმნა „ტრიალი“, „დატრიალება“, როგორც მარდად, ლაზათიანად გაკეთების აღმნიშვნელი, ტოლფასი. რუსული «поворнуться» კი ზუსტი თარგმანია, რომელიც მხოლოდ გარეგნული ნიშნით ჰგავს ორიგინალს.

სიზუსტისადმი ლტოლვის შედეგია უხერხული ფრაზა:

Пусть немедля Гиглия стреляет
В лоб передовому дагестанцу.

უთხოდი, თოფი დაპკროდეს
იმ დალისტანელს წინასო.

ვლ. დერუავინის თარგმანის მნიშვნელოვანი ნაკლი ისაა, რომ მას ვერ მოუხერხებია სწორი ინტონაციის გაღმოცემა. ბორის პასტერნაკისა არ იყოს: «Они — переводчики — привыкли воспроизводить смысл, а не тон сказанного, а тут все дело в тоне». ეს განსაკუთრებით არის მხედველობაში მისაღები ვაჟას ნაწარმოებების თარგმნის დროს.

პოემა „გიგლია“ ვაჟას ტრაგიულ პოემათა რიცხვს ეკუთვნის. ის პირქუშია, ძუნწი, მკაცრი. პირქუშია პირველ რიგში იმ ამბების წყალობით, რაც აქ ხდება. ამ განწყობილების შექმნას ემსახურება მთელი ანტურაუი ნაწარმოებისა — პოემის დასაწყისიდან ბრწყინვა-

ლე ეპილოგამდე („ვაჰმე, საღა მყავ გიგლია, კარგი პატრონი ჩე—
მიო!“). ამ მცირე მოცულობის პოემაში ცხრაჯერ არის ნახმარი სი—
ტყვა „ვაჰმე“, ან მისი ვარიაცია: „ავაჰმე“, „ვაჰ“.

ეს პოემა ვაჟკაცურია ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. აქ
იგრძნობა სუნთქვა მიუვალი კლდეებისა და ისმის უინით ანთებულ
შეომართა ფარ-ხმალის „წეპანი“. სევდიან, გულსაკლავ ლეიტმოტი—
ვად გაისმის ტყვე გოდერძათ ქალის მოთქმა და ზარი. ამ შთაბეჭდი—
ლებას საოცრად აგვირგვინებს ყორნის ცინიკური ლოცვა.

ამბის ტრაგიკულობის გრძნობა თავიდანვე ჩნდება. მხედველო—
ბაში მაქვს გიგლიას დის სიზმარი. ვაჟა-ფშაველას პოემაში სიტუა—
ცია დაძაბულია, აქ იგრძნობა, რომ გიგლია ვეღარ დაბრუნდება.

სამწუხაროდ, თარგმანში ეს განწყობილება აღარ იგრძნობა.

გიგლიას დედის უჭირს შვილის მდევრად წასვლის ამბავს შეუ—
რიგდეს; მაგრამ „კაც მიტომ კაცა ვეძახით, უნდა წელს ერტყას
ხმალია“ — ამბობს გიგლიას დედა. ამასთანავე გიგლია ბევრჯერ ყო—
ფილა მდევრად — ამშვიდებს ის თამარს.

„მდევრად ათასჯერ ყოფილა“ (გიგლია). რუსულად ამ სტრი—
ქნის, სადაც არც არის გიგლიას სახელი ნახსენები, შემდეგი ფრაზა
შეესატყვისება:

Не впервые он гонцом назначен,
Мой сыночек, мальчик мой отважный.

ასევე:

„შენ არ მაჟკვდე დედასა, მი სტრი—
ქნებ არ დავჭრე მტირალი“ —

ყველა ეს კრინობითი ფორმა სულ სხვა, უცხო იერს აძლევს გი—
გლიას დედის ნათქვამს და საერთოდ ვნებს ნაწარმოებს.

გიგლიას მეტყველება მეტად ძუნწია, მკაცრია, თავის დისათვის,
რომელმაც მას საჭურველი დაუმალა, გიგლია „ქალ-კუპრზე“ რბილ
ეპითეტს ვერ იმეტებს:

„მართლა, ი ქალ-კუპრ რა იქნა?“

თარგმანში:

Где моя любезная сестрица?

ნამდვილად გადაჭარბებასთან, ინტონაციის დარღვევასთან გვაქვს
საქმე. არამარტო «сестрица» არამედ — «любезная»-ც საერ—
თოდ წარმოუდგენელია გიგლიას ლექსიკონში.

შესანიშნავია დედასთან გიგლიას გამომშვიდობების სცენა. დე-
დის ლაკონიური „მშვიდობით, ჯვარი გეწეროს!“ — გამოუტამელ
შიშს გულისხმობს:

ფშაველთ სალოცავმ შამასწერას
შენს შინ მშვიდობით მოსვლასა,
ხერხით მაიქე მტერთანა,
ნუ გასწევ ჯიუტობასა.
მშვიდობით! ჯვარი გეწეროს!

თარგმანში:

Все святые Пшавии помогут
Мне дождаться возвращенья сына!
Не упрямься, храбростью не хвастай,
На войне всего сильней уменье.
До свиданья. Будь здоров и счастлив!

დედის დალოცვა თარგმანში იწვევს სამშვიდობო გზაზე დამდ-
გარი შვილის გაცილების ასოციაციას და არა იმისას, რასაც სინამ-
დვილეში აქვს ადგილი.

თარგმანს აუბრალოებს და თავის ინტონაციას უკარგავს ვაჟას
ამაღლებული ლექსის დაყვანის შემთხვევები თხრობითს, პროზა-
ულს ენამდე.

ავაპმე, ჩვენო სახ-ჯარო,
(ტირის თინიბეჭაის რძელი)
ვაპმე, დამიღებს თვალიო!
ავაპმე, ჩვენო ციხეო,
ნაგებო ქვითკირისაო,
ჩამოშლილ-ჩამონგრეულო,
გადათელილო მტრისაო!

ეს ტექსტი დატირების კლასიკური ნიმუშია. განმეორებანი, ერთ
ეპითეტად შეკრული სიტყვები, რაც დანგრეულ ციხეს მონუმენტუ-
რობის, გამოუსწორებელი უბეღურების შთაბეჭდილებას უქმნის —
თარგმანში, ამ ხატის მოკლე შინაარსადაა ქცეული.

Горе дому нашему родному,
Лучше бы глаза мои погасли,
Горе нашей крепости высокой,
Возведенной из камней зеленых!
Ты обрушилась и развалилась,
Ты растоптана ногою вражьей!

„ნაგებო ქვიტკირისაო“ — განა აუცილებლად «зеленые камни»
უნდა იყოს? აქ ფერს საერთოდ არ ენიჭება რაიმე ფუნქცია.

მიმართვა ციხისადმი «ты обрушилась...» — ფამილიარულ ინტონაციას ბადებს, რაც ამდაბლებს ორიგინალის შესაბამისი მონაკედლების მაღალ პოეტურ უღერას.

ასევე უინტერესოა შემდეგი ფრაზის რუსული თარგმანი:

წყეულმა ერთ წამს გიგლიას
ოოფი დაგვიკრა მკერდშია...

В Гиглию он выстрелил оттуда
И попал ему в середину груди.

ამ ფრაზას დაკონკრეტების, ახსნა-განმარტების იერი აქვს. ასე-
თივე კატეგორიას განეკუთვნება ყორნის შემაზრჩენი სიტყვების რუ-
სული თარგმანი:

მე უფრო გამიხარდება,
როცა ვაჟკაცი კვდებაო.

А для ворона большая радость,
Если умирают молодые.

ასე თარგმნა ვლ. დერუავინმა ვაჟა-ფშაველას პოემა „გიგლია“. გაცილებით უკეთეს შთაბეჭდილებას ტოვებს მისივე თარგმანი ვა-
უს მეორე პოემისა — „მონადირე“.

„მონადირე“ ლექსის ზომის მხრივ ვაჟას უმთავრეს პოეტურ ქმნილებებს მისდევს. ეს არის რვამარცვლიანი სტრიქონი, ეს გარეგნული მხრივ. არსებითად, ეს პოემა მეტად მოღუნებული ჩანს. აქ არ არის არც ვაჟასათვის ნიშნეული სიმაღლე ინტერესებისა, არც ბრწყინავს ეს პოემა ვაჟას სხვა პოემათა დარად. ამიტომ, შესაძლებელია ნაკლებად მომთხოვნი ვართ ამ შემთხვევაში მთარგმნელის მიმართ.

ეს პოემა ვლ. დერუავინმა გარითმულ ლექსად თარგმნა, იმავე საზომით, რაც ორიგინალშია. უკვე ამან განაპირობა „მონადირეს“ თარგმანის უპირატესობა „გიგლიას“ თარგმანთან შედარებით.

ბუნების სურათები მშვენივრად არის თარგმნილი ამ პოემაში. აღარ გვჭირდება ორიგინალში შემოწმება, როდესაც ვკითხულობთ ასეთ სტრიქონებს:

Дождик
Моросил, как в забытьи,
По опушке Чиаури
Кушаком туман свернулся
Сонмы гор во мглу осели,
Чешут головы свои.

ეს უკვე ვაჟასეული პლასტიურობაა ხატებისა.
პოემაში არის ულამაზესი ხატი ქალისა, რომელსაც:

ია, პირიმზე ტან ეცვა,
თავზე ბუერა ეხურა.

მეტად ლამაზი რამ იყო,
საამო, სახით ღვთებურა;
ბრძამ-ლელის წინდებსა ჰქონდა,
თითებს აქანებს წყლებურა...

დერუავინმა ძალიან კარგად გაართვა თავი ამ პასაუის თარგმნას:

Шла по синей ежевике
Девушка — хозяйка стада —
В покрывале из фиалок
И с венком на волосах.
Шла, из камыша речного
Тоненький платок вязала,
И казалось, между пальцев
У нее река текла.

მართალია, აქ დაკარგულია ამ ქალის უმნიშვნელოვანესი ეპითეტი: „საამო, სახით ღვთებურა“, — მაგრამ ის, რაც არის, ისეთნაირად აქვს გადმოცემული მთარგმნელს, რომ ეს ნაწყვეტიც მიახლოებული ჩანს ორიგინალთან. სწორედ ინტონაციაა დაცული აქ.

ვაჟა-ფშაველას ცოტა „ხორჯლიანი“ გამოთქმა: „ასუნებულა ვნებითა“ — თარგმნილია ასე: «самый воздух пахнет страстью, где самец-олень пройдет».

ვლ. დერუავინი ახერხებს იდიომების თარგმნას. მაგ.:

უნდა დავლივნე სიმწარით
ჩემი სიცოცხლის დღენია.

Дни мои теперь и ночи
Горем до краев полны.

ვაჟა ასე ახასიათებს ვინმე „ბერის“ გარეგნობას:

თოვლივით წვერი გულზედ სცემს,
სულ ანგელოზის ფერია.

თავისთავად „თოვლივით თეთრი“ წვერი მეტად გაცვეთილი მსაზღვრელ-საზღვრულია. ვლ. დერუავინთან ეს ფრაზა ძალიან პოეტურია:

Борода, белее выюги
Упадала до земли.¹

აღსანიშნავია ისიც, რომ ეს თარგმანი არ არის დაზღვეული ტექსტის ამოკითხვის შეცდომებისაგან. დერუავინს გამოტოვებული აქვს სტრიქონები, ან უფრო დიდი მონაკვეთები.

¹ გაძნელებია თარგმნა იდიომის: „თავზედ დავიდვა სირცხვილი“. თარგმნილია ასე: «как позор на голову надену».

მაგ.:

წუხელ ნანახი სიზმარი
მითც არ მოცდება — ცხადია.



ან კიდევ:

ორი წლის უკან ჩემს სახლსა,
ჩემს მეტი არვინ ჰქონია.

დერეავინი ხშირად კვეცავს ტექსტს: „თითქო ღვთიშვილნი გალობენ“, თარგმნილია ასე: «СЛОВНО ПЕНЬЕ».

ამრიგად, ვლ. დერეავინის მიერ თარგმნილი პოემები „გიგლია“ და „მონადირე“ საინტერესოა სპეციალისტისათვის, მაგრამ მათ თავისთავადი მნიშვნელობა არა აქვთ, რადგან თარგმანი საკმაოდ დაშორებულია ვაჟა-ფშაველას პოეტურ სამყაროს.

ნანი ზერეთელი

ვაჟა-ფშაველას პროზის რუსული თარგმანები („ია“ და „დარეჯანი“)

ჩვენ განვიხილეთ ვაჟა-ფშაველას ზემოღასახელებული მოთხრობების ორი თარგმანი, რომლებიც შესრულებულია ვ. ლოლობერიძის, ლ. ნატროშვილის, ბ. ემუხვარის, ფ. თვალთვაძისა და ვ. ორჯონიკიძის მიერ¹. ამ ორი თარგმანის ერთად განხილვა იმითაც აღმოჩნდა საინტერესო, რომ საშუალება მოგვეცა შეგვედარებინა, როგორ ითარგმნა ორი სტილისტურად განსხვავებული ნაწარმოები. „ია“ უფრო ლირიულია, პოეტურია, „დარეჯანის“ კი ეთნოგრაფიულობისა და დოკუმენტურობის ელფერი დაჰკრავს. პირველის მთარგმნელს მეტი შესაძლებლობა აქვს თავისი შემოქმედებითი ძალების გამოსამყდავნებლად და მთავარი მიზნის — სტილისტური ადექვატურობის — ინდივიდუალური გზით მისაღწევად.

აღსანიშნავია, რომ ფ. თვალთვაძე და ვ. ორჯონიკიძე ცდილობენ მაქსიმალურად მიუახლოვდნენ ტექსტს, ბ. ემუხვარი კი უფრო თავისუფლად ექცევა მას. იმის საჩვენებლად, თუ რა თავისებურება-ახასიათებს თითოეულ მათგანს, პირველივე ფრაზის მოყვანა შეიძლება.

ვაჟა ამბობს: „ულრანს ტყეში მოსული ვარ“². თვალთვაძე-ორჯონიკიძე თარგმნიან: «В дремучем лесу выросла я» (191), ემუხვარი კი წერს: «Я расцвела в дремучем лесу» (176). ერთი შეხედვით მათ შორის დიდი განსხვავება არ უნდა იყოს, მაგრამ თუ დავუკვირდებით, დავინახავთ, რომ პირველში სრულიად არ არის გა-

¹ იხ. კრებულები: Важа-Пшавела, Избр. произведения, 1939; Важа-Пшавела, т. II, Рассказы, пьесы, статьи, 1961.

² იხ. ვაჟა-ფშაველა, თხ. III, 1961.

დახვევა: «Я выросла», მეორე მთარგმნელმა ოდნავ გადაუხვია / და
გამოვიდა: «Я расцвела». ამ მაგალითის მიხედვითაც გამოჩნდა, თუ
რა გზით მიღის თითოეული მთარგმნელი. იგივეს ამტკიცებული იქმნებოდა
გი წინადაღების თარგმანებიც:

„მანამ ცოცხალი ვარ, ჩემის სილამაზით დავატკბობ ტყეს, ბა-
ლახს და იმ გაღმიდან გამომცერალს გულხავსიანს კლდესა, სურნე-
ლებას მივაფრქვევ არე-მარესა“. თვალთვაძე-ორჯონიქიძე თარგმნის:
«И пока живу, буду радовать своей красотой лес и травы и
этую нависшую с той стороны мшистую скалу, напою ароматом
все вокруг» (191,) ემუხვარი კი: «Пока живу, моей красотой на-
слаждаются леса, травы и мшистые скалы, что на том берегу.
Все окружающее вдыхает мой аромат» (176).

„აგერ იმ დამპალ ყუნჭს თვალი სულ ჩემსკენ უჭირავს“ —
თვალთვაძე-ორჯონიქიძე — «Вон тот гнилой пень постоянно
смотрит в мою сторону» (191), ემუხვარი — «Все внимание вот
этого старого пня устремлено на меня» (176).

„განა მარტო იმას უხარიან ჩემი სიცოცხლე“? — თვალთვაძე-
ორჯონიქიძე — «Да разве только его радует мое существова-
ние?» (191), ემუხვარი — «И разве только его радует мое бы-
тие?» (176.) ასე შეიძლება მთელი მოთხოვის ჩაკითხვა.

არის შინაარსეული განსხვავებებიც. როცა ვაჟა ამბობს: „წვერ-
ხმელი ხეებიც მე დამხარიან“, თვალთვაძე და ორჯონიქიძე თარგმ-
ნიან: «Вон деревья с высохшими верхушками тоже не нара-
дуются, поглядывая на меня с высоты» (191), ემუხვარი თარგმ-
ნის: «Даже деревья с полузасохшими ветками мне рады» (176).
ანდა: „თვითონ თავშიწველი, ტოტებს მე მაფარებენ“. რუსულად
გვაქვს: თვალთვაძე-ორჯონიქიძე — «Сами стоят с непокрытой
головой, а меня прикрывают своими ветвями» (191), ემუხვარი:
«Сами обнаженные, укрывают меня» (176.).

როგორც ვხედავთ, ფ. თვალთვაძე და ვ. ორჯონიქიძე ცდილო-
ბენ თარგმანი რაც შეიძლება მიუახლოვონ ორიგინალს. მით უფრო
გასაკვირია ის უზუსტობანი, რომლებიც მცენარეთა სახელების
თარგმნისას გვხვდება.

მოთხოვის „ია“ ვაჟას ნახსენები აქვს შემდეგი მცენარეები:
არყი, წიფელი, თხილი; თმელი, ღუღულა, სასუტელა, გუგულისკა-
ბა, თელა. მთარგმნელ ბ. ემუხვარს უმეტესად უცვლელად აქვს და-
ტოვებული ქართული სახელები. ასეთებია თამელი, ღუღულა (ნა-
თარგმნია «дудули»), სასუტელა და გუგულისკაბა. მეორე თარგმან-
ში ცველა ზემოაღნიშული სახელი თარგმნილია: თამელი — «вер-

ба»-ღ, ღუდგულა — «бузина»-ღ, სასუტელა — «фирлетка»-ღ.
გუგულისკაბა — «повилика»-ღ. შემოწმებისას¹ აღმოჩნდა, რომ მარტებულია, როგორც ველური ხილის წარმომადგენელი, რომელიც ისხამს ზღმარტლის გემოს მქონე წაბლისფერ ნაყოფს.² ამას ტირიფთან ან ბზასთან არაფერი აქვს საერთო.

ღუდგულას, იგივე ღიდგულას, იგივე უცვეთელას «бузина»-ღ თარგმნის შესაძლებლობა სადაცო. როცა მის რუსულ ექვივალენტს ვძებნით სინონიმ „უცვეთელას“ საშუალებით, იგი «чубушник»-ი ანდა «кавказский жасмин»-ია, ხოლო „ღიდგულას“ მიხედვით კი «бузина садовая» და «бузина черная»-ი. ქართულად იგი ანწლის კოლორიტს ღებულობს. როგორც ჩანს ეს უკანასკნელი, ე. ი. «бузина» მართლაც უფრო ახლოს დგას ღუდგულასთან, რადგან ყვავილებითა და ნაყოფით იგი ანწლს ჰგავს³. მიუხედავად ასეთი განმარტებისა, გასათვალისწინებელია, რომ ღუდგულა ხეა, ანწლი კი ბალახი.

სასუტელას, იგივე ფუტკარას, რუსული ექვივალენტია «наперстянка».

გუგულისკაბაზე ნათქვამია, რომ მისი რუსული სახელწოდებაა «ярышник». ხოლო «повилика» აბრეშუმაა. მათ შორის ის განსხვავებაა, რომ პირველი ბალახოვანი მცენარეა, აქვს წითელი წინწკლებიანი ფოთლები და ლამაზი მოწითალო ყვავილი, მეორე კი უფოთლო და უფესვო ხვიარაღერობიანი პარაზიტია, ეხვევა მწვანე მცენარებებს⁴. აშკარაა, რომ ვაჟასთან სწორედ «ярышник»-ზეა ლაპარაკი. როცა ასე სადაცოდაა საქმე, საგებით გამართლებულია ზემოდასახელებულ მცენარეთა სახელების უთარგმნელად გადატანა.

უფრო როულადაა საქმე „დარეგანის“ თარგმანებში. ამ მოთხ-რობაში მრავლად გვხვდება ავეჯის, ხელსაქმის, ჭურჭლის, ტანსაცმლის სახელწოდებები. ბევრია ფშაური კილოსათვის ღამახასიათებელი გამოთქმები, წყევლისა თუ დალოცვის ფორმულები. ზოგიერთი დიალექტური ფორმა ლიტერატურულის გვერდითაა მოყვანილი. ასეთი სირთულეები ზოგჯერ გადაულახვი რჩება. ხშირია მათი პირდაპირ გადატანა რუსულში. მაგალითად, სიტყვები მამითადი, ქადა-ცურები, თემი, კეცი, „მგელკაცი“ მთარგმნელ ლ. ნატროშვილს

¹ გამოვიყენეთ: რ. ერისთავი, Краткий литературно-русск.-грузинский словарь, 1873, ალ. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, 1949; რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1956.

² ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.

³ ოქვე.

⁴ ოქვე.

უთარგმნელად გადააქვს. ე. ოოლობერიძე კი შემდეგნაირად თარგმნის მათ: «на толоку», «сдобные хлебцы», «община», «каменная сковорода», «волколак»¹ ანდა «оборотень», ორი მათგანიც შეატყობინებული მანი დამაკმაყოფილებელი არ ჩანს. „ქადაგურები“ კომპოზიტია², ხოლო მისი რუსული თარგმანი «сдобные хлебцы» ნაზუქის ექვივალენტია³.

რაც შეეხება „მგელკაცს“, ვაჟას იგი ნახმარი აქვს დარეჯანის დასახასიათებლად, როგორც ყოჩალი, ვაჟკაცური, შეუპოვარი ქალი-სა და არა ზღაპრული წარმოშობის «оборотень», -ისა⁴.

სიტყვები ჭუბა, დასტური⁵, გზირი ორივე თარგმანში ასევეა გადატანილი.

ლიტერატურული სიტყვის გვერდით სინონიმად ნახმარი დიალექტური ფორმები რუსულად თარგმნისას, რა თქმა უნდა, იქარგება. ასეთებია ყინჩი (კარგი); მაჭანქალი, „მარჯეკალი“, პურის „ჩაცხობა“ (ჩაცვრა), ღარადელა (ჩირი). ამ შემთხვევაში უფრო საინტერესოა ბოლო მაგალითი. ორი სიტყვიდან ლ. ნატროშვილს აურჩევია ლიტერატურული (ჩირი) და უთარგმნელად გადაუტანია რუსულში. ე. ოოლობერიძეს ჭერ დაუზუსტებია „დარჩელას“ მნიშვნელობა („აცმა“), მერე დაუკონკრეტებია („ვაშლის აცმა“) და უთარგმნია: «связка сущеных яблок» (107). აქელანაც ჩანს რომ ორ სხვადასხვა ხასიათის მთარგმნელთან გვაქვს საქმე.

ზოგჯერ იქარგება ნიუანსები ისეთი სიტყვებისა, როგორიცაა „დარჩომილი“ ფრაზაში „...არჩენდა „დარჩომილს“ მამას“. ნატროშვილთან — «Она кормила его своим трудом» (186), ოოლობერიძესთან — «Трудилась чтоб... прокормить параличного отца» (113). ლიალექტური ფორმის ამგვარი ტერმინით თარგმნა შეუფერებლად გამოიყურება. ნატროშვილის თარგმანში ამ სიტყვის შინაარსიც კი დაკარგულია.

გამოთქმა „დილაური საქონელი“ ზუსტად აქვს გადმოცემული ე. ოოლობერიძეს — «Доила корову после утренней пастьбы» (115), ნატროშვილთან არის «Доила... корову» (187).

„სადედაკაცო კერაც“ ვრცლად აქვს ასენილი ე. ოოლობერიძეს — «...У очага с той стороны, где по обычаю располагаются

¹ კარექტურული შეცდომაა. უნდა იყოს «волколак». იხ. Даль, В. Толковый словарь, 1955.

² ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.

³ რუსულ-ქართული ლექსიკონი.

⁴. იხ. Даль, В. Толковый словарь, 1955.

⁵ ხატის მსახური, იხ. ქართ. ენის განმარტ. ლექსიკონი.

женщины» (107), бағыншылтабан бағаңызбай әмбеккүйдө «Үшоча-
га» (182).

Сабынбүрәкесең әмбекаңың үйнәдәлдеңдөң «Шарғыншылтабан
иңләйшіңің ұтағ-жарғыртыңа әжерінде қарынғында. Қарынғында шағарғылар күнде
дә ғалуғын мәртвул айтады». Ес мұндағы більшік сөздөңдөң «Шамандұх
вынула из короба веретено и кудель стала прясть» (182). Әмбеккүйдөс таба
— «Шамандұх вынула из берестяного лукошка, которое держала
под мышкой, веретено вместе с деревянным блюдцем и при-
нялась прядь» (107).

„Ұтағ-жарғыртыңа“ 309 заңда тағымаңшыңың үтештік айтады. „веретено и
кудель“-ағ. Мәртвул — „веретено“-ғ. „Карынғы“ (кеңін қіргізін-
шыңың үтештік әмбеккүйдөң) бағаңызбай „короб“-ағ, мәртвул — „лу-
кошко“-ғ; ал ұзындық менесеңдең жарғыртыңын сәкенейдегі „берестян-
ный“. Сиңүза „Шарғыншылтабан“ әмбеккүйдөңдең деңгелдең жарғыртыңын
з. Әмбеккүйдөс таба 309 заңда жарғыртыңын сәкенейдегі „деревянное блюдце“-ғ,
әуес 309 заңда әмбеккүйдөңдең деңгелдең жарғыртыңын сәкенейдегі „деревян-
ное блюдо“ таба 309 заңда жарғыртыңын сәкенейдегі „деревянное блюдце“-ғ.
А. Әмбеккүйдөс таба 309 заңда жарғыртыңын сәкенейдегі „плетушка“-ғ. (125).

Алсаңан шундағы әдебиеттегі тағымаңда үйнәдәлдеңдөң «...итшыңа қаң-
дағы ұл үндересең қиңшыңы». „қиңшыңы“ аңы မәртвул менесеңдеңдең деңгелдең
309 заңда жарғыртыңын сәкенейдегі „корзина“-ғ (186), қарынғын деңгелдеңдең
дәккесең „плетенка“-ғ (112), аңы ғаладың менесеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдең
309 заңда жарғыртыңын сәкенейдегі „балкон“-ағ (113) з. Әмбеккүйдөс таба 309 заңда жарғыртыңын сәкенейдегі
шарттардағы „навес“ (187) деңгелдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдең
309 заңда жарғыртыңын сәкенейдегі „балкон“-ағ.

Оңраңа шыңы „қаңдағы ұл“ менесеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдең
309 заңда жарғыртыңын сәкенейдегі „щитовник“-ағ¹, деңгелдеңдеңдеңдеңдең
309 заңда жарғыртыңын сәкенейдегі „вереск“-ағ. 309 заңда жарғыртыңын сәкенейдегі
шарттардағы „вереск“ „бабана“ деңгелдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдең
309 заңда жарғыртыңын сәкенейдегі „бабана“.

Шеғазбездеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдең
шарттардағы „бабана“ менесеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдең
шарттардағы „бабана“ менесеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдең
шарттардағы „бабана“ менесеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдең
шарттардағы „бабана“ менесеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдең
шарттардағы „бабана“ менесеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдең
шарттардағы „бабана“ менесеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдең
шарттардағы „бабана“ менесеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдең

¹ Ұндағы әмбеккүйдөс таба, қарынғын деңгелдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдең
шарттардағы „папоротник“ менесеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдең
шарттардағы „щитовник“ менесеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдең
шарттардағы „асpidник“ менесеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдеңдең

თურმე არქევენ საქონელს, რომელსაც ზოლიანი ანდა ჭრელი კუთხი აქვს. „Резвушка“ ამ შინაარსს ვერ გამოხატავს.

თითქმის შეუძლებლად მიგვაჩნია ისეთი გამოთქმებისათვის ანსების შენარჩუნება, როგორიცაა „დიდიავ“ ანდა „დიდიაისავ“. მათი შელევა ჭობს ისეთი გამოთქმების ხმარებას, როგორიცაა „бабуся“ ნატროშვილთან (194), ანდა „племянничек“ ღოღობერიძესთან (125).

განსაკუთრებით საინტერესოა „დარეჯანის“ თარგმანებში მრავალრიცხვანი დალოცვების, წყევლის, საალერსო თუ გაკიცხვის შესატყვისთა განხილვა. ასეთი გამოთქმები ან სულ გამოტოვებულია, ანდა თავის ნამდვილ მნიშვნელობას კარგავს. ესენია: „აგრემც დამიტირებ“, „აგრემც დამმარხავ“, „ჩამოგიდნი“ და სხვები. მაგალითად, ერთგან ე. ღოღობერიძეს „აგრემც დამიტირებ“ ნათარგმნი აქვს „Да пошлет тебе бог долгую жизнь“ (123). წინადადებაში „სადღა არი, დამარხე დარეჯანი, წინანდელი ერთურთის სიყვარული და დანდობა“ გამოთქმა „დამარხე დარეჯანი“ ნათარგმნი აქვს შემდეგნაირად: «Эх, разве нынче сохранились любовь и доверие, умереть бы тебе, Дареджан» (122). ლ. ნატროშვილმა თავი აარიდა ამ გამოთქმის თარგმანს: «И куда пропали старинная дружба и любовь» (192). წინადადებაში „აცა, დამარხე ჭავარაი, მაინც რა არი?“ ლ. ნატროშვილი იმავე მეთოდს მიმართავს: «А что сестра с ней случилось» (189). ე. ღოღობერიძე შინაარსობრივი სიზუსტის დაცვას ცდილობს: «Погоди, умереть мне на этом месте! Скажи все-таки, что случилось» (117). სხვაგან იგივე მთარგმნელი ზემოაღნიშნული გამოთქმისათვის იყენებს ფორმულას: «Дай тебе бог долгой жизни». ნატროშვილი კი ისევ გვერდს უვლის მის თარგმანს. ასეთივე მდგომარეობაა გამოთქმა „დამიტირებ“ თარგმნისას: „რა კილოსა ხართ, დამიტირე?“ ნატროშვილი — «Как живешь?» (182). ღოღობერიძე — «Как поживаешь?» (107). ნათარგმნია ფრაზის მხოლოდ პირველი ნაწილი, რომელიც თავისთავად მშვენიერი გამოთქმაა.

ასეთივე სირთულესთან გვაქვს საქმე გამოთქმა „ჩამოგიდნი“-ს და მისი ვარიანტების თარგმნისას:

„ვაჰმე, ჩამოგიდნი, აგრია, შე დამწვარო“.

ნატროშვილი — «Ах ты, мой бедненький» (194).

ღოღობერიძე — «Ох ты, бедненький мой» (125).

ორივესთან ნათარგმნია, მხოლოდ „დამწვარო“.

„ჩამოგიდნესთ პატრონი, ჩემო „მირეშავ“ და კულბეჭედავ“ (187).



ნატროშვილი — «Горе мне» (187).

ღოღობერიძე — «Горе мне, горе... уж лучше бы ^{умереть}_{здесь} вашей хозяйке» (114).

სხვაგან „ჩამოგიდნი“ ნათარგმნია:

ნატროშვილი — «Болит душа моя за тебя» (182).

ღოღობერიძე — «Умереть бы мне за тебя» (107).

„ე ჩამოსადნობი“ — ნატროშვილთან „негодная“, ღოღობერიძესთან „окаянная“; „ჩამაუდნეს დედა“ ნატროშვილს გამოტოვებული აქვს, ღოღობერიძეს უთარგმნია «Умереть бы ее матери».

გარდა იმისა, რომ ზოგჯერ თარგმანი დედანს არ ემთხვევა, არის შემთხვევები, როცა ერთიდაიგივე გამოთქმა სხვადასხვანაირად ითარგმნება, რაც არღვევს ნაწარმოების საერთო სტილს. კარგი იქნებოდა მეტნაკლებად ზუსტი შესატყვისი მოძებნილიყო და გამეორებულიყო ყველა საჭირო შემთხვევაში.

დაახლოებით იგივე მდგომარეობაა დანარჩენი გამოთქმების თარგმნისასაც. მოვიყვანთ მაგალითებს:

„სუ, ბეჩავო“.

ნატროშვილი — «Молчи, баба» (191).

ღოღობერიძე — «Молчал бы уж лучше, несчастный» (120).

„რას გილევენ ეს ბეჩავები?“

ნატროშვილი — «Что они вам сделали дурного» (194).

ღოღობერიძე — «Чем они вам мешают эти бедняжки?» (125).

„....არ მიეპატრონები ი თავის ბეჩაობასა“.

ნატროშვილი — «Лучше бы присмотрел за своим добром» (184).

ღოღობერიძე — «Присмотрел бы лучше за своим убогим двором» (110).

„შე უგერგილო, შე ბეჩავო“.

ნატროშვილს გამოტოვებული აქვს (193).

ღოღობერიძე — «Бездельник ты убогий» (123).

პირველ მაგალითში აშეარა შეუსაბამობაა. რუსულ „баба“-ს არაფერი აქვს საერთო „ბეჩავო“-ს ქართულ გაგებასთან. იმავე მთარგმნელს გვერდი აუკლია ამ სიტყვისათვის მეორე წინადადებაში, ხოლო მესამეში ეს სიტყვა გაიგება, როგორც სიღარიბე, სისაწყლე და არა, დოვლათი, ქონება, როგორც ეს რუსული გამოიყრება „добрь“-ს წყალობით. რაც შეეხება მეორე წინადადებას, ის სულ გამოტოვებული აქვს ნატროშვილს. იგივე ფრაზებში სიტყვა „ბეჩავო“ უფრო შესაფერისად აქვს ნათარგმნი ე. ღოღობერიძეს: „несчастный“, „бедняжка“, „убогий двор“, „убогий“. სხვაგან იგივე

„Сибирьца боязливого альбиноса „злосчастный“-д, „беда -д, огнезда „Сибирьца“
„Чиновника-дурнаша: „Богатырь, дядя Якушев, Чулпанова отец альбиноса, Шебуев, Красильников
кари?“ Калмыкская поговорка гласит: „Когда настанет день, когда я умру, я скажу: „Богатырь-дурник
— Калмык-человек — Как обидно“ (181), — „Когда умру, скажу: „Богатырь-дурник —
— Экая обида“ (106).

Сибирьца „мурлыка-хвостика“ „как у нас в деревне“ зовут. Л. Багратион-
Шенкель в своем романе „Дурни“ пишет: „Сын мой“-д утешает
богатыря, что счастья не будет: „если ты будешь жить в деревне, то ты будешь
богатырем, если же ты будешь жить в городе, то ты будешь дурнем“.

Сибирьца „таварыши-дурни“ творят богатыри из деревни Шемахинской губернии
— „Они счастливы, потому что живут в деревне, а не в городе“ (115). Г. Соловьев в книге
„Очерки из истории русской литературы“ пишет: „Все счастливые люди — это деревенские
люди, а все несчастные — это городские“.

Сибирьца „дядюшка-дурник“ — это богатырь из деревни Шемахинской губернии (118).

„Мария Стюарт — богатырь из деревни Шемахинской губернии (189).
Л. Багратион-Шенкель пишет: „Деверя этой бесстыдной, оказывается,
тоже не было дома“ (118).

„Сибирьца — богатырь из деревни Шемахинской губернии (189).
Л. Багратион-Шенкель пишет: «Чтобы не сдобривать их матери» (189).

Л. Багратион-Шенкель пишет: «Пусть смерть поразит их мать» (117).

„Ехать в деревню — это значит быть дядюшкой-дурником“ (120).

Богатырь из деревни Шемахинской губернии (192).

Л. Багратион-Шенкель пишет: «(Сосед) жаждет поскорей бы все перевернули» (122).

Сибирьца „дядя Митя“ — богатырь из деревни Шемахинской губернии (116).
Л. Багратион-Шенкель пишет: «Чтоб тебя молния испепелила (поразила)», — «Порази тебя (его) гром». Ф. Достоевский пишет: «Да поразит тебя горькая смерть» (116).

Г. Соловьев пишет: „Шеф майора Калмыков из деревни Шемахинской губернии (189).

згэбжулло аյз (188). ე. ღოღობერიძეს უთარგმნია: «Провалиться бы тебе сквозь землю» (116). წინადაღებაში „იმ გმირის კოპალის ლახტნაკრავსა, იმ შავის მიწის შესაჭმელსა“, ნატროშვილს ტოვებია „კოპალის ლახტნაკრავი“ და მხოლოდ მეორე ნაწილი უთარგმნია: «Гнить бы ему в сырой земле» (187). ე. ღოღობერიძის თარგმანში მიახლოებულიდ არის წარმოდგენილი კოპალის სახე, მეორე ნაწილი კი სიტყვა-სიტყვითაა ნათარგმნი: «Да будет он проклят Копалой, да поглотит его черная земля» (115).

რამდენჯერმეა ნახმარი „დარეჭანში“ გამოთქმა „მამიჩემის სალოცავი“.

ფრაზა „ნეტავი გაემარჯვა ი მამიჩემის სალოცავსა, დაგეკრა რაი ძალებისადა, მაშინ ჰახავდი შენს ყოფასა“ ლ. ნატროშვილს ნათარგმნი აქვს შემდეგნაირად: «Попробовал бы ты их ударить, я бы тебе показал» (188). ჩვენთვის საინტერესო გამოთქმა აქაც გამოტოვებულია. ე. ღოღობერიძე თარგმნის: «Жаль, что не ударил, я бы тебе показала во славу святыни моего отца» (116). აქ გამოთქმა სხვა მისამართითაა ნახმარი.

ფრაზა „ღმერთო და აი მამის ჩემის სალოცავო“ ლ. ნატროშვილს ნათარგმნი აქვს «господь и святители» (187). ე. ღოღობერიძეს უფრო ზუსტად უთარგმნია: «господь и святыни наших отцов» (114).

გამოთქმა „ჩემის მამის სალოცავთა“ ლ. ნატროშვილს უთარგმნია: «нашим святыням», ე. ღოღობერიძეს — «святыни нашего рода».

ფრაზა „ნურა კარგი მაახილებინოს ამათ დედის ღმერთმა და იმ ჩემის მამის სალოცავმა“ ნათარგმნია ლ. ნატროშვილთან: «Пусть накажет ее бог» (190), ე. ღოღობერიძესთან — «Пусть накажет ее бог и святыни моих отцов» (119). ლ. ნატროშვილს ისევ გამოტოვებული აქვს ჩვენთვის საინტერესო გამოთქმა.

ფრაზა „შე უკლოვ, შე უგერგილო“, რაც „შე უშნო, შე მოუხერხებელო“-ს ნიშნავს, ნათარგმნია ლ. ნატროშვილთან «крохля безмозглая» (180), ე. ღოღობერიძესთან — «разиня безмозглая» (105), ხოლო ფრაზა „ნურას კარგს მაასვლევინებთ იმათ წამსხმელსა“ გამოიყრება შემდეგნაირად: «Обрушьте кары на врагов наших» (187) — ნატროშვილთან და «Пусть накажет... пусть лишил их всякого блага» (114) — ე. ღოღობერიძესთან.

ხელოვნურად უღერს ლ. ნატროშვილის თარგმანი გამოთქმისა „თქვე სამგლებო“ — «Проклятые, чтобы вас волки пожрали» (188), კარგია ე. ღოღობერიძის გამოთქმა «волчья съть» (116).

„ეშმაკსა ჰქონდეს შენი სულ-ხორცი“ თითქოს უცოცხად უთარგმნია ლ. ნატროშვილს — «Пусть тебя черти упрутъ» (183), ე. ღოღობერიძის თარგმანში «Пускай черт унесет с душой и кости тями» (108), «костями»-ს ნაცვლად «тело» მაინც რომ ყოფილიყო, უფრო გამართლებული იქნებოდა ასეთი ზუსტი თარგმანი.

მიმართვა „ცოდვილნო“ ლ. ნატროშვილს გამოუტოვებია (181), ე. ღოღობერიძეს შესაფერისი «греховодники» უხმარია (105). „ღვთის ნავნები“ არ უნდა ნიშნავდეს «бессовестная»-ს, როგორც ეს ლ. ნატროშვილის თარგმანში გვხვდება (190). უფრო ახლოსაა დედანთან ე. ღოღობერიძის «отверженные богом» (119).

გვხვდება საალერსო და დასალოცი გამოთქმები — „დედაშვილობას“, „შენს თვალთ ენაცვლოს“ და სხვ. მაგალითად, ფრაზა „ჩემო დარეჯანო, დედაშვილობას“ გამოთქმა „დედაშვილობას“ ლ. ნატროშვილს უთარგმნია «дорогая тетушка»-დ (184), ე. ღოღობერიძეს იგი გამოტოვებული აქვს. „შენს თვალთ ენაცვლოს დარეჯანი“ ლ. ნატროშვილს უთარგმნია «сынок»-ად (192), ე. ღოღობერიძეს — «Пусть падут на меня твои беды» (121). „შენი ჭირიმე-სათვის“ განკუთვნილი «мать моя» ნატროშვილის თარგმანში (182) „დედაშვილობას“ უფრო მოუხდებოდა. იგივე გამოთქმა ე. ღოღობერიძეს უთარგმნელად გაღაუტანია რუსულში (107). „მაღლია, შვილო“ ლ. ნატროშვილს «Так лучше, родной!»-დ უქცევია (194), ე. ღოღობერიძეს უფრო შესაფერი «Благое дело, сынок» მოუქებნია (125). ფრაზა „ღვთის წყალობა გაქვ და მაქვ მე კარგა გამოგილანდე“ ლ. ნატროშვილს «Будь покойен»-ად უთარგმნია (192), რაც ცუდად არ გამოიყურება ე. ღოღობერიძის უფრო ზუსტი თარგმანის გვერდით — «Дай бог милости тебе и мне, крепко я обругала» (123). სამავიეროდ ლ. ნატროშვილს გამოტოვებული აქვს გამოთქმები — „აგრემც გიცხონდებიან მკვდარნი“ და „ჩემთ მკვდართ ცხონებამა“. იგივე გამოთქმები ე. ღოღობერიძეს შემდეგნაირად უთარგმნია: «Да удостоятся твои покойники царствия небесного» (119), «Да не лишит бог блаженства моих покойников» (108). შეიძლებოდა ამ წინადადებების სხვანაირად გამართვაც, რათა რუსულ თარგმანებში უკვე შაბლონადქცეული ოღმოსავლური დაშაქრულობა მოშორებოდა ფრაზას. იგივე შეიძლება ითქვას „ღმერთმა გიცოცხლოს მზის საფიცარი“-ს თარგმანზეც. ლ. ნატროშვილისეული «Да поможет тебе бог» (182) ფრაზის შინაარსს არ გამოხატავს. ეს უფრო ქართული „ღმერთმა გიშველო“-ს არის. ხოლო ე. ღოღობერიძის ზუსტი თარგმანი «Да продлит бог дни того, кто тебе всего дороже» (107) მძიმედ აღიქმება, თანაც იმ

აღმოსავლური შაბლონით არის გაწყობილი, რომელზედაც ზევით
იყო ლაპარაკი.

დამახინჯებულია ნაწყვეტი: „იმდენი გეშველოს შენცა გამოისახეს
და ამ ჩემს ობოლსაც, — დარეჯანი თავის შვილს გამახარეს
„ობოლს“ ეძახდა, — რამდენიცა ნატრულობდეს, სხვა გაწყდეს და
მე კი გავმრავლდეო, სუყველა მე დამრჩესო“. ამ მონაკვეთს ლ. ნატ-
როშვილის თარგმანში ასეთი სახე აქვს მიღებული: «Пусть накажет
меня бог, если я лгу. Сколько таких, которые только и помыш-
ляют чтобы разжиться на чужой беде» (192) გამოიტოვებულია
მთელი მონაკვეთი დარეჯანის სიტყვებისა ავტორის შენიშვნითურთ.
შინაარსობრივად სწორად არის გადმოცემული იგივე ნაწყვეტი
ე. ღოლობერიძის თარგმანში (122).

შეცდომაა დაშვებული ნაწყვეტში, სადაც ვაჟა ამბობს, რომ
არუთინამ „ფშაური ფიცი იცის, ფშაურს კილოზედ საუბარი“.
მთარგმნელები ამბობენ, რომ «Арутин научился пшавскому язы-
ку и артистически божился» (185) (ლ. ნატროშვილი). ანდა
«Он научился говорить по-пшавски и даже клянется на пшав-
ский лад» (111) (ე. ღოლობერიძე). სწორია შესატყვისი «клянется
на пшавский лад», მაგრამ შეუფერებელია ფშაურ ენაზე ლა-
პარაკი, მაშინ როდესაც ვაჟა ფშაურ კილოზე ლაპარაკობს. ხო-
ლო არუთინას ფიცის არტისტულობაზე ტექსტში არაფე-
რია ნათქვამი.

ლ. ნატროშვილის თარგმანში დაკარგულია მშვენიერი გამოთქ-
მა „ნაზოვრის წყალი“: „(დარეჯანი) ერთად ღვთისოსთან მძიმე ნა-
ზოვრის წყალმა მორევში მიიტანა და კლდეზე მიაწყვიტა“. ლ. ნატ-
როშვილთან გვაქვს: «Волна подхватила ее и, закружив в водо-
вороте вместе с Хвтисо, ударила о берег» (195). ე. ღოლობერი-
ძესთან: «Тяжелые талые воды затянули Дареджан вместе с
Хвтисо в водоворот и с силой швырнули о скалы» (126).

შეუსაბამობაა ფრაზა „რას ეთრეინები“-ს თარგმანი ლ. ნატრო-
შვილთან — «Чего стоишь перед ним как вкопанный» (191).
უფრო ახლოსაა ე. ღოლობერიძის «Он тебя бьет, а ты терпишь»
(120). სიტყვა-სიტყვით თარგმნის გზა არ უნდა იყოს გამართოებუ-
ლი, რადგან მან თარგმანი ვერ აიყვანა იმ მხატვრულ დონემდე, რო-
გორიც სასურველი იყო. რა თქმა უნდა, აქ ლაპარაკი არ არის იმ
თითქმის გადაულახავ დაბრკოლებებზე, რასაც ერთი ენიდან
მეორე ენაზე ამბის გადატანისას აუცილებლად შეხვდება მთარგმნე-
ლი, არამედ იმაზე, რომ ზედმეტი სიზუსტის ხარჯზე მხატვრული დო-
ლი, ეცემა. ამის მაგალითად გამოდგება, აგრეთვე, ერთი ფრაზის თარგ-
ნე ეცემა.

მანი: „ჩემის ხელით ჩხირი არ გათლილა ჩემს სახლში“. ლ. ნატროშვილი, რომელიც ხანდახან შეცდომებსაც უშვებს და კიდევ მარტო კიდევ უშვებს ძნელად სათარგმნ აღგილებს, ამგვარად თარგმნის ამ ფრაზას: «Сижу сложив руки» (186). ასეთი გა ში ფრვა სავსებით გამართლებულია ამ შემთხვევაში და იქნებ სჯობდეს კიდეც ე. ოოლობერიძის მიერ სიტყვა-სიტყვით ნათარგმნ «Палочки в собственном доме не обстругал» (114). სამაგიეროდ ე. ოოლობერიძის თარგმანშიც გვხვდება სხარტი გამოთქმები. შეაღარეთ, მაგალითად, ამ ფრაზის ორი თარგმანი: „სუსველა საკვირველს შენ რად ჩაიდენ, დედაკაცო?“ ლ. ნატროშვილი — «Почему это, Дареджан, с тобой приключается всегда что-то необыкновенное» (183). ე. ოოლობერიძე — «Почему, Дареджан, ты вечно чудиши» (109). მეორე ფრაზა უკეთესად გამოიყრება თავისი ლაკონურობის გამო.

ზეღმეტად შეკვეცილი გვეჩვენება ლ. ნატროშვილის ნათარგმნი წინადადება „ერთხელ, შუალამისას, დიდი ნაორღვენი მოიდა, დელგადა, ავღარი.“ — «Пошел сильный дождь» (183). შეაღარეთ ე. ოოლობერიძის ფრაზას — «В полночь налетели тучи, началось ненастое, хлынул ливень» (109).

ორივე მთარგმნელმა მოქნილად თარგმნა ფრაზა „ძაღლოდები ბიძა-ბიძაშვილები ჰუვანან“. ლ. ნატროშვილთან არის: «Братьев и родни у него не счастье» (192), ე. ოოლობერიძე თარგმნის — «Дядьев и двоюродных братьев у него — как собак нерезанных» (122). უკეთესია „башка“ „თავრიელის“ შესატყვისად ფრაზაში: „დასტაცე იმას ი ბუწუწები და დაბეგვეო, გაუნაყე ი თავრიელა ქვებზე-დაო“. ლ. ნატროშვილი თარგმნის — «За волосы да о камень, пустой башкой» (189). აქ „пустая“ ზეღმეტიც უნდა იყოს. ე. ოოლობერიძის თარგმანი ოდნავ განსხვავებულია — «Взял бы за космы и отлупил, истолок бы ее пустую голову об камень» (118).

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ორივე თარგმანი ხარისხით უთანაბროდ გამოიყრება. ორივეშია კარგი და სუსტი აღგილები, საღავო, მხატვრული და ნაკლებ მხატვრული მონაკვეთები.

III

ლევან ჭრელაშვილი

2018-ფეხულას თხზულებათა მივიწვევული პუგლიძაციები

ვაჟა-ფშაველას მემკვიდრეობა ყველაზე სრულად 1964 წლის აკადემიურ გამოცემაშია წარმოდგენილი, მაგრამ, როგორც ჩანს, გამომცემლებს პოეტის ზოგიერთი ნაწარმოები აქაც გამორჩენიათ. ოტომეულის მეორე ტომის გამომცემელი „ვაჟა მომამადლა მე დიდი მადლი“-ს კომენტარში წერს: „ლექსი 1961 წლამდე გამოქვეყნებული არსად ჩანს, თუმცა ამავე უურცელზე (იგულისხმება ხელნ. ინსტ. ვაჟას ფონდი № 108 — ლ. ჭ.) მოთავსებული სხვა ლექსების აფტოგრაფებია ალ. აბაშელს მითითებული აქვს, მაგრამ, ეს ლექსი მას როგორდაც გამორჩენია მხედველობიდან¹. ეს ლექსი ავტორმა გამოივიყენა 1912 წლის 12 ნოემბერს (გამ. „თემი“ № 97). აკადემიურ გამოცემაში ძირითადი ტექსტის დაღვენისათვის პირველი პუბლიკაცია არა გათვალისწინებული, იგი საყურადღებო ვარიანტულ სხვაობას კი შეიცავს. მოგვაძეს აღნიშნული ნაბეჭდი წყარო (განსხვავებული წაკითხები ხაზგასმულია).

სიმღერა

ვინაც მომზადლა მე დიდი მადლი,
მკვდართ ოღმადგენელ ხმათ ჩანგზე თქმისა,
ვინაც დამნიშნა ერის აღმზდელად
ჩემს ბედს ყოველთვის განავებს ისა.
როს მოისურვებს მიწა-მტვრად მაქცევს, —
არა, — დამიღვამს სამეფო ტახტსა.
მაშ რა ვემდურო უმაღურ ბრბოსა?
წყავა ვით ვუთხრა ჩემ ბედკრულ ძმასა?!

წადით, მომშორდით, მაცდურო ხმებო,
არ მომიწამლოთ მაღალი ჰანგი;
მოძმეთა წყვევა არ ათქმევინოთ
არ გააბრიყოთ მოლექსის ჩანგი.

¹ ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, 1964, ტ. II,
გვ. 456.

ამ ლექსის ავტოგრაფში, რომლის მიხედვითაც დადგენილია აკადემიური გუ-
მოცემის ძირითადი ტექსტი, ჩვენს მიერ ხაზგასმულს შემდეგი ნაირწყითხვები
აქვს: [სიმღერა] ვინც მომამადლა მე დიდი მაღლი (სიმღერა); ვნაც შემდეგი სიმღერა,
ვინც მომამადლა; ყოველთვის] ყოველმხრივ; წყვვა] წყვვლა; ვუთხრა] ვუძღვხა;
მომშორდით] გამშორდით; მოლექსის] მგლისისა. ავტოგრაფში ნაბეჭდისაგან გან-
სხვაებით მეორე სტრიქონის შემდეგ კიდევ არის ორი სალექსო ტახტი, ესენია:
„ვინც ჩანგი მიძღვნა თვისი ნაურითხი, მომჯადობი სამოთხის ხისა“¹. ცხადია,
ვაჟას ლექსში აღნიშნული ცვლილებები ავტორისეულია და ამიტომ შემდგომ გა-
მოცემაში ძირითადი ტექსტი ჩვენს მიერ აქ მოტანილი ნაბეჭდი წყაროს მიხედვით
უნდა დაიბეჭდოს.

ჩვენს მიერ გამოვლენილი ორი ნაწარმოები, რომელთა პუბლიკაციასაც აქ ვახ-
